



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

დავით კაკოიშვილი

*დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა საერთაშორისო კომერციულ
არბიტრაჟში*

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი ცერცვაძე

თბილისი

2022

სარჩევი

აბრევიატურები	vii
1. შესავალი.....	1
1.1. კვლევის მიზანი, საკვლევო კითხვები	4
1.2. კვლევის მეთოდოლოგია და მასალები	5
1.3. ნაშრომის სტრუქტურა	8
2. საარბიტრაჟო განხილვის ეტაპები და მტკიცებულებების შეგროვების ადგილი ამ ეტაპებს შორის.....	9
3. მტკიცებულებების კატეგორიები საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში.....	14
3.1. შესავალი.....	14
3.2. დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები).....	15
3.3. (ფაქტის) მოწმეთა ჩვენებები.....	17
3.4. ექსპერტთა მოსაზრებები (ჩვენებები).....	19
3.5. შემოწმება (დათვალიერება).....	20
4. მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო	21
4.1. შესავალი.....	21
4.2. დოკუმენტური მტკიცებულებების ნაწილში მნიშვნელოვანი პრინციპები კომერციულ არბიტრაჟში.....	21
4.2.1. მხარეთა კერძო ავტონომია.....	22
4.2.2. ტრიბუნალის დისკრეცია.....	24
4.2.3. მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა და თავიანთი პოზიციების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა.....	28
4.2.4. ტრიბუნალის მიერ ფაქტების მოძიების უფლებამოსილება.....	30
4.2.5. ეფექტიანობა.....	31
4.2.6. საჯარო წესრიგი	34
4.3. მტკიცებულებებთან დაკავშირებით კონკრეტული ქვეყნის შიდა წესების (საპროცესო ნორმების) გამოყენების დაუშვებლობა.....	38
4.4. (დოკუმენტური) მტკიცებულებების წარდგენის შესახებ დეტალური წესების დადგენა.....	39
4.5. რბილი სამართლის გამოყენება.....	43

4.5.1.	IBA-ს წესები	45
4.5.2.	პრადის წესები (Prague Rules)	51
4.5.3.	CPR-ის პროტოკოლი	54
4.5.4.	ICDR-ის გზამკვლევი	56
4.5.5.	ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესახებ არსებული რბილი სამართალი	58
5.	მტკიცების ტვირთი და სტანდარტი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში	63
5.1.	შესავალი	63
5.2.	მტკიცების ტვირთის დეფინიცია	64
5.3.	მტკიცების ტვირთი	66
5.4.	მტკიცების სტანდარტი	69
6.	სამოქალაქო საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებების შეგროვების სხვადასხვა მოდელი და შესაფერისი ვარიანტი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟისთვის	71
6.1.	საერთო სამართლის ტრადიციის მიდგომა	72
6.2.	კონტინენტური სამართლის ტრადიციის მიდგომა	73
6.3.	საერთაშორისო არბიტრაჟისთვის შესაფერისი მიდგომა	74
7.	დოკუმენტების წარდგენა: მხარის მფლობელობაში არსებული დოკუმენტების გამჟღავნება	74
7.1.	მტკიცებულებების წარდგენის ვადა	78
7.2.	მტკიცებულებების წარდგენის დასრულების ეტაპი	79
7.3.	კეთილსინდისიერება დოკუმენტების ნებაყოფლობით წარდგენის შემთხვევაში 81	
7.4.	დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის ფორმა და ადრესატი	82
8.	მტკიცებულებების მოპოვება: მოთხოვნა დოკუმენტების გამჟღავნების შესახებ	83
8.1.	შესავალი	83
8.2.	მხარეთა უფლება გამოითხოვონ მათთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი	84
8.3.	საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება მხარეს დაავალოს დოკუმენტის წარდგენა	86
8.4.	მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა: ფორმალური ნაწილი	88
8.4.1.	შესავალი	88

8.4.2.	რა ვადებში არის შესაძლებელი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა?	89
8.4.3.	რა ფორმით უნდა იქნას წარდგენილი მოთხოვნა?.....	93
8.4.4.	ვის უნდა წარედგინოს მოთხოვნა?	95
8.5.	მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა: შინაარსობრივი ნაწილი.....	96
8.5.1.	შესავალი	96
8.5.2.	დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა იყოს “ვიწრო და კონკრეტული”	97
8.5.3.	მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა იყოს საქმისთვის „რელევანტური და არსებითი“ (relevant and material).....	106
8.5.3.1.	„საქმისთვის რელევანტურობა“	108
8.5.3.2.	„საქმის შედეგისთვის (გადაწყვეტილებისთვის) არსებითობა“	110
8.5.4.	დოკუმენტები არ უნდა იყოს მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან მისთვის მისი წარმოდგენა არაგონივრულად რთული უნდა იყოს	113
8.5.4.1.	მომთხოვნის მხარის ხელმისაწვდომობა დოკუმენტებზე.....	113
8.5.4.2.	დოკუმენტების წარმოდგენის არაგონივრული სირთულე.....	116
8.5.5.	დოკუმენტები უნდა იყოს იმ მხარის კონტროლს ქვეშ, რომლისგანაც მოთხოვნილია მათი წარდგენა	118
8.6.	მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის შესრულება ან პროტესტი	119
8.6.1.	შესავალი	119
8.6.2.	პროტესტის დაყენების ფორმალური გამართულობა.....	120
8.6.3.	პროტესტის საფუძვლები	122
8.6.3.1.	მომთხოვნი მხარის მიერ ფორმალური მოთხოვნების დაუცველობა	122
8.6.3.2.	“ვიწრო და კონკრეტული” მოთხოვნის კრიტერიუმის დაუცველობა.	123
8.6.3.3.	„რელევანტური და არსებითი“ მტკიცებულებების მოთხოვნის კრიტერიუმის დაუცველობა	124
8.6.3.4.	მტკიცებულებების არსებობა მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან გამგებლობაში ან მათი არარსებობა მოთხოვნის ადრესატის მფლობელობაში ან გამგებლობაში.....	126
8.6.3.5.	იურიდიული პრივილეგია (legal privilege).....	127
8.6.3.5.1.	შესავალი	127

8.6.3.5.2. ტერმინი პრივილეგია და მისი სახეები	128
8.6.3.5.3. საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ტრადიციების განსხვავებული მიდგომები.....	130
8.6.3.5.4. საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამოსაყენებელი წესები და მიდგომები.....	134
8.6.3.6. ტექნიკური და კომერციული კონფიდენციალურობა	142
8.6.3.7. პოლიტიკური და ინსტიტუციური სენსიტიურობა.....	146
8.6.3.8. გაუმართლებელი ტვირთი მოთხოვნის ადრესატისთვის.....	149
8.6.3.9. დაკარგული ან განადგურებული მტკიცებულებები	151
8.6.3.10. პროცესის ეკონომიურობა, პროპორციულობა, სამართლიანობა ან თანასწორობა	152
9. ტრიბუნალის გადაწყვეტილება მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნასა და საპასუხო პროტესტზე და შედეგები მხარეთათვის.....	155
9.1. შესავალი.....	155
9.2. ტრიბუნალის ბრძანება დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ.....	156
9.3. მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანების შესრულება და მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა.....	162
9.4. მხარის უარი დოკუმენტების წარდგენის შესახებ ტრიბუნალის ბრძანების შესრულებაზე მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენაზე	167
9.5. მხარის უარის სამართლებრივი შედეგები.....	169
9.5.1. უარყოფითი დასკვნები (adverse inferences)	169
9.5.2. ხარჯების განაწილება	173
9.5.3. მხარეთა დაჯარიმება	176
10. ეროვნული სასამართლოების როლი მტკიცებულებების მოპოვებაში.....	177
10.1. შესავალი.....	177
10.1.1. არბიტრაჟის დამოუკიდებლობის გაზრდა	180
10.1.2. არბიტრაჟის დამოუკიდებლობის არსებული შეზღუდვები.....	181
10.2. ეროვნული სასამართლოების როლი საარბიტრაჟო პროცესის დროს.....	182
10.2.1. სასამართლოების როლი არბიტრაჟის დაწყებამდე ან დაწყებისას	182
10.2.2. სასამართლოების როლი საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობის დროს	184

10.2.3. სასამართლოების როლი საარბიტრაჟო განხილვის შემდეგ	185	დასრულების
10.3. სასამართლოების ჩართულობა დოკუმენტური მტკიცებულებების	186	შეგროვებაში
10.3.1. სასამართლოს დახმარების სამართლებრივი საფუძველი.....	187	
10.3.1.1. შესავალი.....	187	
10.3.1.2. UNCITRAL-ს მოდელური კანონი.....	188	
10.3.1.3. ინგლისი	189	
10.3.1.4. აშშ.....	191	
10.3.1.5. გერმანია.....	194	
10.3.1.6. შვედეთი	195	
10.3.1.7. საფრანგეთი.....	196	
10.3.1.8. საქართველო.....	197	
10.3.1.9. მხარეთა მიერ დახმარების გამორიცხვის შესაძლებლობა.....	199	
10.3.2. სასამართლოსთვის მიმართვის კომპეტენციის მქონე პირები.....	199	
10.3.2.1. შესავალი.....	199	
10.3.2.2. UNCITRAL-ის მოდელური კანონი.....	200	
10.3.2.3. ინგლისი	201	
10.3.2.4. აშშ.....	202	
10.3.2.5. გერმანია.....	203	
10.3.2.6. შვედეთი	204	
10.3.2.7. საფრანგეთი.....	206	
10.3.2.8. საქართველო.....	207	
10.3.3. როდის არის მიმართვა დასაშვები?.....	208	
10.3.3.1. შესავალი.....	208	
10.3.3.2. UNCITRAL-ის მოდელური კანონი.....	208	
10.3.3.3. ინგლისი	210	
10.3.3.4. აშშ.....	211	
10.3.3.5. გერმანია.....	212	
10.3.3.6. შვედეთი	212	
10.3.3.7. საფრანგეთი.....	213	

10.3.3.8. საქართველო.....	213
10.3.4. სასამართლოს მიერ განსახორციელებელი დახმარების ფარგლები	214
10.3.4.1. შესავალი.....	214
10.3.4.2. UNCITRAL-ის მოდელური კანონი.....	215
10.3.4.3. ინგლისი	216
10.3.4.4. აშშ.....	217
10.3.4.5. გერმანია.....	218
10.3.4.6. შვედეთი	219
10.3.4.7. საფრანგეთი.....	220
10.3.4.8. საქართველო.....	221
11. დასკვნა.....	223
გამოყენებული ლიტერატურა.....	231

აბრევიატურები

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
იხ.	იხილეთ
გვ.	გვერდი / გვერდები
გსკ	გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
AAA	American Arbitration Association (აშშ-ს საარბიტრაჟო ასოციაცია)
CIArb	Chartered Institute of Arbitrators (დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტი)
CPR	International Institute for Conflict Prevention and Resolution (კონფლიქტის პრევენციის და მოგვარების საერთაშორისო ინსტიტუტი)
FAA	Federal Arbitration Act (აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტი).
GIAC	Georgian International Arbitration Centre (საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი)
HKIAC	Hong Kong International Arbitration Centre (ჰონგ კონგის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი)
ICC	International Chamber of Commerce (საერთაშორისო სამრეწველო პალატა)

ICDR	International Center for Dispute Resolution (დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი)
ICSID	International Centre for Settlement of Investment Disputes (საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი)
LCIA	London Court of International Arbitration (ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო)
Para.	Paragraph (პარაგრაფი)
p. / pp.	Page/Pages (გვერდი/გვერდები)
SCC	Stockholm Chamber of Commerce (სტოკჰოლმის სამრეწველო პალატა)
SIAC	Singapore International Arbitration Centre (სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი)
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law (გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო კომისია)
Vol.	Volume
WIPO	World Intellectual Property Organization (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია)

1. შესავალი

არბიტრაჟი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია, რომელიც, როგორც წესი კომერციული ხასიათის დავების გადასაწყვეტად გამოიყენება. დავების გადაჭრის ამ მექანიზმის საფუძველი არის მხარეთა შორის დადებული შეთანხმება მათ შორის წარმოშობილი დავა განსახილველად არბიტრაჟს გადასცენ. მიჩნეულია, რომ არბიტრაჟი, საერთაშორისო კომერციული ტრანზაქციებისთვის დავის გადაწყვეტის ტრადიციულ - სასამართლო გზასთან შედარებით უკეთესი ალტერნატივაა, რადგან არის უფრო იაფი, კონფიდენციალური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. გარდა ამისა, დავების გადაწყვეტის ეს გზა მხარეებს აძლევს საშუალებას შეარჩიონ არბიტრები, რომლებიც კონკრეტულ სფეროში იქნებიან კვალიფიციურნი, რაც სასამართლო განხილვის შემთხვევაში დაუშვებელია. ამასთან, სასამართლოების მიმართ, როგორც წესი, მხარეებს აქვთ წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენა მიკერძოებულობის შესახებ, რაც ასე არ არის არბიტრაჟის შემთხვევაში.¹

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიუ იორკის კონვენციის შექმნით და მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობის მიერ მისი რატიფიცირებით,² შესაძლებელი გახდა არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სხვა ქვეყანაში ცნობა-აღსრულება, რამაც დიდწილად ხელი შეუწყო არბიტრაჟის პოპულარიზაციას და ფართოდ გავრცელებას, განსაკუთრებით საერთაშორისო კომერციული ტრანზაქციებისთვის.³

საარბიტრაჟო დავის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმატების მიღწევა და პროცესის გამარჯვებით დასრულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ტრიბუნალის წინაშე წარდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამასთან, აღიარებულია, რომ კომერციულ დავებში დოკუმენტები (წერილობითი მასალები), სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სანდო მტკიცებულებას წარმოადგენს.⁴ შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით და პრაქტიკული თვალსაზრისით, დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა წარმოადგენს ერთ-ერთ

¹ Adangor Z., Gilbert S., Future of International Arbitration: What Changes Are on the Horizon?, Journal of Property Law and Contemporary Issues, Vol 9. No. 1, 2019, p. 195.

² 2023 წლის თებერვლის მონაცემებით ნიუ იორკის კონვენციას ჰყავს 172 ხელშემკვერელი მხარე.

³ Gaillard E, Siino B., Enforcement under the New York Convention, Shearman & Sterling LLP, 2019. იხ. აგრეთვე Arbitration Subcommittee Report of international Bar Association, The Current State and Future of International Arbitration: Regional Perspectives, 2015, p. 20.

⁴ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, პარაგრაფი 6.90.

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის პროცესი თამაშობს მნიშვნელოვან როლს იმაში თუ როგორ, რა შედეგით დასრულდება მხარეებისთვის საარბიტრაჟო განხილვა. მტკიცებულებების მოპოვება-წარდგენის პროცესის გამართულად განხორციელებაზე, შესაძლოა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო ბედიც კი იყოს დამოკიდებული, ვინაიდან ამ პროცესში მხარეთა უფლებების დარღვევამ შეიძლება საქმე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებამდეც კი მიიყვანოს.

ვინაიდან დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება-წარდგენას დიდი გავლენა აქვს საქმის შედეგზე, ეს საკითხი საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვების დროს მხარეებსა და არბიტრებს შორის ერთ-ერთ საკამათო პროცესულურ საკითხს წარმოადგენს. საკითხის წინააღმდეგობრიობა და სადავო ხასიათი ძირითადად განპირობებულია იმით, რომ დოკუმენტურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საერთაშორისო არბიტრაჟის სფეროში ნაკლები რეგულირება არსებობს, რაც მხარეებსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალებს ანიჭებთ ფართო უფლებამოსილებას თავად შექმნან მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები. აღნიშნული კი ქმნის რისკს, რომ მხარეები და არბიტრები საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში მიიტანენ თავიანთ „ბარგს“ ანუ მათთვის კარგად ცნობილ პრაქტიკას, რომელსაც ისინი სასამართლო განხილვების დროს იყენებენ.⁵

მხარეთა და ტრიბუნალის მიერ ამგვარი „ბარგის“ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მიტანა შეიძლება პრობლემური იყოს, რადგან საერთაშორისო დავებში მხარეები და ტრიბუნალი, როგორც წესი, სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციიდან მოდიან და შესაბამისად, მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით განსხვავებული პრაქტიკის მიმდევარნი არიან. აღნიშნული კი მხარეთა შორის დავის საგანი შეიძლება გახდეს.

ძირითადი განსხვავებულობა მდგომარეობს საერთო სამართლის და კონტინენტური სამართლის ტრადიციებში. კერძოდ, ეს ორი სამართლის ტრადიცია დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის კუთხით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს. მოკლედ და ძალიან ზოგადად რომ ითქვას, საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ე.წ. დოკუმენტების სრულად გამჟღავნება, რომლის დროსაც მხარეები სასამართლოებს წარუდგენენ მათ ხელთ არსებულ და დავასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს (იქნება ეს მათთვის ხელსაყრელი თუ არა). კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი ამგვარი სრული

⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016, p. 1.

გამჟღავნების ვალდებულება არ არსებობს და მხარეები დისპოზიციურობის პრონციპიდან გამომდინარე სასამართლოს წარუდგენენ მათთვის ხელსაყრელ და სასურველ მტკიცებულებებს.⁶

იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო განხილვის მხარეები და არბიტრები შეიძლება იყვნენ განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციის ქვეყნებიდან და შესაბამისად, ამ ქვეყნების პროცედურულ (საპროცესო) წესებში ჰქონდეთ ექსპერტიზა, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან სამართლებრივი ტრადიციის მიდგომის პირდაპირ გამოყენება საერთაშორისო არბიტრაჟში მიზანშეწონილი არ არის. ამის მიზეზი კი არის ის, რომ შესაძლოა ამან ერთი მხარე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, რადგან არჩეული მიდგომა მტკიცებულებების შესახებ მისთვის ნაცნობი იყოს, ხოლო მეორე მხარეს არახელსაყრელი პირობები შეუქმნას, ამ ქვეყნის თუ სამართლებრივი ტრადიციის მიდგომის არცოდნის გამო.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ფარგლებში არსებობდეს ე.წ. ჰიბრიდული მიდგომა, რათა არბიტრაჟის მონაწილეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი მოლოდინები გათვალისწინებული იქნება განხილვის პროცესში.⁷ თუმცა, ამგვარი ჰიბრიდული მიდგომის შემუშავება და დამკვიდრება ადვილი არ არის, რადგან საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში გამოსაყენებელი კანონმდებლობა (საარბიტრაჟო აქტები) და საარბიტრაჟო წესები შეიცავენ მხოლოდ და მხოლოდ ზოგად მითითებებს მტკიცებულებებთან დაკავშირებით და ნაკლებად ადგენენ კონკრეტულ რეგულაციებს, რომლებსაც შეიძლება მხარეები ან ტრიბუნალი მიყვეს განხილვის დროს. აღნიშნული სიცარიელის აღმოსაფხვრელად და ზემოთ მითითებული ჰიბრიდული მოდელის შესაქმნელად შეიქმნა მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებული რბილი სამართლის წესები.⁸

თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ რბილი სამართლის წესებიც, მიუხედავად იმისა, რომ გვაწვდიან გარკვეულ გზამკვლევს, ღიად ტოვებენ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს, რომლებსაც მტკიცებულებების წარდგენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ღია საკითხები კი ინტერპრეტაციის საგანი ხდება.⁹ შესაბამისად, აუცილებელია დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის იმგვარი წესების/რეგულირების არსებობა, საარბიტრაჟო ტრიბუნალების ან საჭიროების

⁶ დაწვრილებით ამ ორი ტრადიციის შესახებ იხ. თავი 6.

⁷ Trittmann R., Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, University of New South Wales law journal, 18, 31(1), 2008, p. 340.

⁸ მაგ. IBA-ს წესები, პრადის წესები და ა.შ.

⁹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 4-5.

შემთხვევაში, სასამართლოების მიერ მათი იმგვარად გამოყენება, რომ უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა უფლებების დაცვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობა.

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი რეგულირების შექმნით საფრთხე უნდა შეექმნას არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ხერხის მოქნილობას, თუმცა გარკვეულ საკითხებში სინათლის შეტანა აუცილებელია.

1.1. კვლევის მიზანი, საკვლევ კითხვები

წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზოს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესახებ არსებული პროცედურა და ვინაიდან აღნიშნული პროცედურა შეიცავს საკმაოდ დიდ სიცარიელეს, ნაშრომში მოცემული იქნება არსებული წესების ინტერპრეტაციებით და პრაქტიკის ანალიზით ამ სიცარიელების შევსების გზები. ამასთან, ნაშრომში გატარებული იქნება მოსაზრება დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება-წარდგენის შესახებ ჰიბრიდული და არბიტრაჟზე მორგებული მიდგომის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხის ანალიზის ფარგლებში განხილული იქნება რამდენიმე მთავარი საკვლევ კითხვა, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელოვან ქვე-კითხვებს შეიცავენ. თავდაპირველად ნაშრომში განხილული იქნება თუ რა სახის მტკიცებულებები არსებობს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში და რა სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს მტკიცებულებების მოპოვების საკითხს. აღნიშნული საკითხების გამოკვლევის შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმოა ორი მთავარი საკითხის განხილვას: (1) რა პროცედურებით რეგულირდება და როგორ უნდა იქნეს ორგანიზებული მხარის მფლობელობაში არსებული მტკიცებულების წარდგენა; და (2) როგორ წესრიგდება/უნდა მოწესრიგდეს ოპონენტი მხარისგან დოკუმენტური მტკიცებულებების გამოთხოვა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დროს გაანალიზებული იქნება თუ რა მატერიალურ თუ პროცედურულ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნა. მომდევნო ნაწილში კი პასუხი გაეცემა შეკითხვას თუ რა უფლება-მოვალეობები აკისრია მოთხოვნის ადრესატ მხარეს, როგორ უნდა განიხილოს მსგავსი მოთხოვნა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და რა გარემოებები უნდა მიიღოს მან მხედველობაში. დასკვნით ნაწილებში კი განხილული იქნება თუ რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ტრიბუნალის გადაწყვეტილებას მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ და რა როლი აქვთ მტკიცებულებების გამოთხოვის პროცესში ეროვნულ სასამართლოებს (მათ შორის, როგორ არის მოწესრიგებული ეს საკითხი სხვადასხვა ქვეყნებში).

დავას არ იწვევს რომ საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებით დაწერილი ყველა სახელმძღვანელო და ზოგიერთი მონოგრაფია შეიცავს ერთ ან რამდენიმე თავს

მტკიცებულებების საკითხზე.¹⁰ ასევე, არსებობს არაერთი სტატია, რომელიც განიხილავს მტკიცებულებებთან დაკავშირებით კონკრეტულ საკითხებს.¹¹ თუმცა უიშვიათესად შევხვდებით იმგვარ ნაშრომს, რომელიც სრულყოფილად და ამომწურავად განიხილავს დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის პროცედურებს. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე მკვლევარებისა და პრაქტიკოსებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ამ ნაშრომის ქართულ ენაზე არსებობა, რადგან შესაძლოა იგი გამოყენებული იყოს მხარების (მათი ადვოკატების), არბიტრების და მოსამართლეების მიერ სადავო საკითხების მოგვარება-დარეგულირების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟით და იგი არ განიხილავს საინვესტიციო არბიტრაჟის ან სხვა სახის არბიტრაჟების ფარგლებში მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის საკითხებს, ისევე როგორც არ ეხება შიდა (ეროვნულ/არასაერთაშორისო) განხილვებს.

1.2. კვლევის მეთოდოლოგია და მასალები

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენასთან დაკავშირებით არსებული რეგულირების მიმოხილვას და მათში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით პრაქტიკული გადაწყვეტების შემოთავაზებას. შესაბამისად, გამოყენებული იქნება ტრადიციული დოგმატური კვლევის მეთოდი, რადგან სწორედ ეს მეთოდი არის ყველაზე შესაფერისი, როდესაც მკვლევარს სურს არსებული კანონმდებლობის/რეგულირების აღწერა და საკითხის შესახებ ყველაზე მისაღები გადაწყვეტის მითითება.¹² შესაბამისად, კვლევა ორგანიზებული იქნება „სამართლებრივი დანაწესების, პრინციპების, კონცეფციების თუ დოქტრინების და მათთან დაკავშირებული სასამართლოს (ტრიბუნალის) განმარტებების გარშემო“.¹³ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი დანაწესების, პრინციპების და კონცეფციების სისტემურ აღწერას და ახსნას, რომელიც თავის მხრივ

¹⁰ იხ. მაგ. Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, pp. 177-193; Born G.B., *International Arbitration: Cases and Materials (Second Edition)*, International; Kluwer Law International, 2015, pp. 830-851.

¹¹ მაგალითად დოკუმენტის კონფიდენციალურობის და პრივილეგიის საკითხს, ან ე.წ. „უარყოფითი დასკვნების“ (adverse inferences) საკითხს.

¹² Smits J.M., *What Is Legal Doctrine? On the Aims and Methods of Legal-Dogmatic Research*, Maastricht European Private Law Institute working paper no. 2015/06, 2015, p. 13.

¹³ Vibhute K, Aynalem F, *Legal Research Methods. Teaching Material*, The Justice and Legal System Research Institute, 2009, p. 73.

წარმოადგენს გზამკვლევს კონკრეტული ინსტიტუციებისთვის. სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით ხდება ერთის მხრივ, ამ წესებს, კონცეფციებსა და პრინციპებს შორის კავშირის გაანალიზება,¹⁴ ხოლო მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს სფეროს განვითარებას.¹⁵

წინამდებარე ნაშრომისთვის გამოყენებული იქნება ე.წ. *de lege lata* (რა არის კანონი) და *de lege ferenda* (რა უნდა იყოს კანონი) მიდგომები. *de lege lata* მიდგომის გამოყენება მიზანშეწონილია როდესაც ნაშრომი განიხილავს არსებულ დანაწესებს (კანონებს) მაქსიმალურად ნეიტრალურად, რათა დაადგინოს თუ მართლაც რა არის რეგულირება.¹⁶ რაც შეეხება *de lege ferenda* მიდგომას, მისი გამოყენება უნდა მოხდეს, როდესაც ნაშრომის ავტორს სურს უპასუხოს შეკითხვას თუ რა უნდა იყოს კანონი. შესაბამისად, ეს მიდგომა უპირველეს ყოვლისა, მიმართულია არსებული რეგულირების დახვეწისკენ. ამრიგად, საკითხი თუ რა რეგულირება არსებობს დოკუმენტურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე, გაანალიზებული იქნება ე.წ. *de lege lata* პერსპექტივიდან, ხოლო საკითხი თუ როგორი უნდა იყოს რეგულირება და როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ წესის განმარტება თუ ხარვეზის აღმოფხვრა, განხილული იქნება *de lege ferenda* პერსპექტივიდან.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს, როდესაც საკვლევი საკითხის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სფეროს ჰარმონიზაცია, შედარებითი კვლევა ფასდაუდებელი შეიძლება იყოს, რადგან ასეთ დროს ფოკუსი შეიძლება იყოს საერთო მახასიათებლებზე და არსებული განსხვავებების აღმოფხვრაზე.¹⁷ წინამდებარე ნაშრომში კი განხილულია დოკუმენტურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში არსებული და სასურველი მიდგომები, რაც პირველ რიგში გულისხმობს კონტინენტური სამართლის და საერთო სამართლის ტრადიციებისგან განსხვავებულ, ჰიბრიდულ მიდგომის შემუშავებას. ამასთან, როდესაც საუბარია დოკუმენტების მოპოვების პროცესში ეროვნული სასამართლოების დახმარებაზე, აუცილებელია კონკრეტული ქვეყნების შიდა კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი. სწორედ ზემოაღნიშნულისთვის წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდი. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის ამ მეთოდის გამოყენების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესადარებელი

¹⁴ Smits J.M., What Is Legal Doctrine? On the Aims and Methods of Legal-Dogmatic Research, Maastricht European Private Law Institute working paper no. 2015/06, 2015, p. 5.

¹⁵ Vibhute K, Aynalem F, Legal Research Methods. Teaching Material, The Justice and Legal System Research Institute, 2009, p. 73.

¹⁶ Smits J.M., What Is Legal Doctrine? On the Aims and Methods of Legal-Dogmatic Research, Maastricht European Private Law Institute working paper no. 2015/06, 2015, p. 8.

¹⁷ Van Hoecke M., Methodology of Comparative Legal Research, Law and Method, 12, 2015, pp. 2-3.

სამართლებრივი სისტემების სწორად შერჩევას.¹⁸ წინამდებარე ნაშრომში, როდესაც საუბარია ეროვნული სასამართლოების დახმარებაზე მტკიცებულებების მოპოვების პროცესში, ერთმანეთს შედარებული იქნება ინგლისის, აშშ-ს, გერმანიის, შვედეთის საფრანგეთის და საქართველოს კანონმდებლობები. (საქართველოს გარდა) ეს არის ქვეყნები, რომლებშიც მდებარეობს მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი საარბიტრაჟო ინსტიტუციები და შესაბამისად, რომლებიც საარბიტრაჟო განხილვის ადგილად ძალიან ხშირად არიან არჩეულნი. ამრიგად, ეროვნულ სასამართლოებს ამ ქვეყნებში დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებაში დასახმარებლად ხშირად მიმართავენ. მითითებულ სიაში საქართველოს მოხვედრა კი ნათელი მიზეზითაა განპირობებულია - წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის საკვლევი საკითხის თაობაზე ქართული კანონმდებლობის გამოკვლევა და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა საინტერესო უნდა იყოს ქართული აკადემიური სივრცისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის. რაც შეეხება მტკიცებულებებთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხზე საარბიტრაჟო წესების ერთმანეთთან შედარებას და მსგავსებების და განსხვავებების გამოყოფას, ნაშრომში ამ შემთხვევაში შესადარებლად ძირითადად გამოყენებული იქნება მსოფლიოში ცნობილი საარბიტრაჟო წესები, როგორებიცაა, ICC-ს, SCC-ს, LCIA-ს, ICDR-ის და AAA-ს საარბიტრაჟო წესები.

მკვლევარები გამოყოფენ შვიდი სახის წყაროს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში კვლევის დროს, ესენია: საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, ეროვნული კანონმდებლობები, საარბიტრაჟო წესები, საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული წესები (პროცედურული დადგენილებები და მხარეთა შორის არსებული შეთანხმებები), საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო საქმეების პრაქტიკა (case law) და სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფიები და სტატიები).¹⁹ კიდევ ერთი სახის წყარო, რომელიც შეიძლება ცალკე გამოიყოს არის რბილი სამართლის წესები.

წინამდებარე ნაშრომში ყველა ეს წყარო იქნება გამოყენებული. კერძოდ, ნიუ იორკის კონვენცია გამოყენებული იქნება, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პირველწყარო, რომლის არსებობაც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას სძენს მტკიცებულებების შეგროვების საკითხს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, ვინაიდან თუ მხარეს არ მიეცემა შესაძლებლობა ტრიბუნალის წინაშე წარადგინოს მისი

¹⁸ Van Hoecke M., Methodology of Comparative Legal Research, Law and Method, 12, 2015, pp. 3-4.

¹⁹ Strong S., Research in International Commercial Arbitration: Special Skills, Special Sources, The American Review of International Arbitration, 20, 2009, p. 113.

არგუმენტები და მტკიცებულებები, ეს შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

რადგან დოგმატური კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკვლევი მასალა არის სტატუტები (კანონები, წესები),²⁰ ეროვნული კანონმდებლობები და ინსტიტუციური თუ *ad hoc* საარბიტრაჟო წესები, ნაშრომში გამოყენებული იქნება როგორც წყაროები, რომლებიც ქმნიან ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე და ამ პროცესში მხარეთა და ტრიბუნალის უფლება-მოვალეობების შესახებ. თუმცა, ვინაიდან ისინი ნაკლებად შეიცავენ დეტალურ რეგულირებას, უფრო დეტალური მოწესრიგების და არსებული სიცარიელების აღმოფხვრის მიზნით გაანალიზებული იქნება მტკიცებულებებთან დაკავშირებით არსებული რბილი სამართლის წესები. აგრეთვე, მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა საარბიტრაჟო ტრიბუნალების პრაქტიკის განხილვასა და ანალიზს, რაშიც (და არა მხოლოდ აღნიშნულში) მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეცნიერო ნაშრომები.

1.3. ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი დაყოფილი იქნება თერთმეტ თავად. პირველი და ბოლო თავი წარმოადგენს შესავალსა და დასკვნას. რაც შეეხება ნაშრომის არსებით ნაწილს, მეორე, მესამე და მეოთხე თავებში საუბარი იქნება საარბიტრაჟო განხილვის ეტაპებზე, მტკიცებულებების შეგროვების ადგილზე აღნიშნულ ეტაპებში, ისევე როგორც საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის ზოგადსამართლებრივ ჩარჩოზე, რომლის ფარგლებში განხილული იქნება როგორც ეროვნული კანონმდებლობის დანაწესები და საარბიტრაჟო წესები, ისევე რბილი სამართლის წესები, რომლებიც დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენას უკავშირდება.

მომდევნო - მეხუთე და მეექვსე თავები დაეთმობა მტკიცების ტვირთის და სტანდარტის და მტკიცებულებების შეგროვების თაობაზე საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟისთვის ყველაზე შესაფერისი მიდგომის შესახებ მსჯელობას. აღნიშნულ თავებს ლოგიკურად ებმის შემდგომი, მეშვიდე და მერვე თავები, რომლებიც დეტალურად მიმოიხილავს სწორედ მითითებული მიდგომას. კერძოდ, მეშვიდე თავში განხილული იქნება მხარის მფლობელობაში არსებული დოკუმენტების წარდგენის პროცედურები. რაც შეეხება მერვე თავს, მასში საუბარი იქნება მოწინააღმდეგე მხარისგან მტკიცებულებების მოპოვების შესახებ. აღნიშნული თავი მოიცავს მსჯელობას მხარის მიერ დოკუმენტების მოთხოვნის დაყენების პროცედურების, ამ მოთხოვნის

²⁰ Vibhute K, Aynalem F, Legal Research Methods. Teaching Material, The Justice and Legal System Research Institute, 2009, p. 74.

შინაარსობრივი და ფორმალური მხარის შესახებ, ისევე როგორც მეორე მხარის მიერ მოთხოვნის შესრულების ან შესრულებაზე უარის და პროტესტის შესახებ.

მეცხრე თავი ეთმობა ტრიბუნალის გადაწყვეტილებას დოკუმენტური მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნაზე და დაწვრილებით მიმოიხილავს თუ რა გარემოებები უნდა მიიღოს მხედველობაში ტრიბუნალმა და რა სახის გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია მას. ამავე თავში საუბარი იქნება მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანების შესრულებასთან ან შესრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

დასკვნამდე ბოლო, მეათე თავში საუბარი იქნება ეროვნული სასამართლოების როლზე დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებაში, რაც მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზს.

2. საარბიტრაჟო განხილვის ეტაპები და მტკიცებულებების შეგროვების ადგილი ამ ეტაპებს შორის.

საერთაშორისო არბიტრაჟი შეიძლება გაიმართოს მრავალი სხვადასხვა გზით. ინსტიტუციური თუ *ad hoc* საარბიტრაჟო წესები ხშირად შეიცავს ამ პროცესის ფარგლებში გადასადგმელი ნაბიჯების მიმოხილვას, თუმცა დეტალური რეგულირება, პროცესის განმავლობაში უნდა იქნეს შემუშავებული, მხარეების მიერ დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ან ტრიბუნალის დისკრეციის ან ორივე მითითებულის ფარგლებში. სწორედ ეს მოქნილობაა ერთ-ერთი ფაქტორი, თუ რატომაც ანიჭებენ უპირატესობას არბიტრაჟს მხარეები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დავის გადაჭრის სხვა მეთოდებთან შედარებით.²¹

მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს და ტრიბუნალს შეუძლიათ არბიტრაჟის სხვადასხვაგვარად, მათთვის უფრო ხელსაყრელი ფორმით და პროცედურებით ჩატარება, მათი ეს თავისუფლება არ არის აბსოლუტური. კერძოდ, მათ მიერ დადგენილი პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ამავე საარბიტრაჟო პროცესისთვის საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის (*lex arbitri*) სავალდებულო ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.²²

როგორც არ უნდა იქნას წარმართული საარბიტრაჟო პროცესი, მეტ-ნაკლები განზოგადებით შეიძლება ითქვას, რომ იგი რამდენიმე აუცილებელი ეტაპისგან შედგება,

²¹ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 353.

²² Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 354.

რომელიც სრულდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანით.²³

საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესი იწყება მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო განაცხადის (request (or notice) for arbitration) წარდგენით (საარბიტრაჟო დაწესებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანდა მოპასუხისთვის მისი გადაცემით).²⁴ განაცხადი, როგორც წესი, მოიცავს მითითებას მხარეებზე, საქმის გარემოებებზე, არბიტრაჟის საფუძველზე (საარბიტრაჟო შეთანხმებაზე), (მოსარჩელის ქვოტით)²⁵ დასანიშნი არბიტრის კანდიდატურაზე, ისევე როგორც მოთხოვნაზე და იგი უნდა იწვევდეს მოპასუხეს რათა მან მონაწილეობა მიიღოს საარბიტრაჟო განხილვაში.²⁶

აღნიშნულის შემდგომ, მოპასუხეს განსაზღვრული აქვს ვადა საარბიტრაჟო განაცხადზე პასუხის წარდგენისათვის, რომელშიც მას შეუძლია შეეპასუხოს საარბიტრაჟო განაცხადს და გააპროტესტოს იგი სხვადასხვა, მათ შორის არბიტრაჟის განსჯადობის არარსებობის²⁷ საფუძველით. ამავე დროს, მოპასუხეს შეუძლია წარადგინოს მოსაზრებები არბიტრის კანდიდატის შესახებ ან ისევე როგორც მისი ქვოტით დასანიშნი არბიტრის კანდიდატურა.²⁸

მხარეების მიერ საარბიტრაჟო განაცხადის და მასზე პასუხის გაცვლის შემდეგ²⁹ ყალიბდება საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომელიც შემდგომ განიხილავს მხარეების მიერ

²³ ბუნებრივია, ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ მოდის გადაწყვეტილების გაუქმების და შესაძლოა მისი ცნობა-აღსრულების ეტაპები, თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია უშუალოდ საარბიტრაჟო განხილვის დასრულებაზე.

²⁴ Bantekas I., An Introduction to International Arbitration, Cambridge University Press, 2015, p. 167. იხ. მაგალითად GIAC-ის საარბიტრაჟო წესების მე-6 მუხლი: „1. ნებისმიერმა მხარემ, რომელსაც სურს დაიწყოს საარბიტრაჟო პროცესი წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო ცენტრის სამდივნოში უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო განაცხადი, შიდა წესებით განსაზღვრულ ან საარბიტრაჟო ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე მოცემულ ელექტრონულ ან ფაქტიურ მისამართზე ან ამისთვის განკუთვნილი ელექტრონული პორტალის მეშვეობით.“ აგრეთვე LCIA-ს საარბიტრაჟო წესების პირველი მუხლი.

²⁵ საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვები, როგორც წესი, იმართება სამი არბიტრის მონაწილეობით, რომელთაგან თითო ირჩევს თითოეული მხარე, ხოლო მესამეს კი ირჩევენ თავად მხარეების მიერ არჩეული არბიტრები ან საარბიტრაჟო ინსტიტუციები.

²⁶ იხ. მაგალითად UNCITRAL წესების მე-3 მუხლი; GIAC-ის საარბიტრაჟო წესების მე-6 მუხლი; LCIA-ს საარბიტრაჟო წესების პირველი მუხლი; ICC-ს წესების მე-4 მუხლი.

²⁷ მოპასუხეს შეუძლია მიუთითოს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ აქვს განსჯადობა (jurisdiction) დავის განსახილველად.

²⁸ იხ. მაგალითად UNCITRAL წესების მე-4 მუხლი; GIAC-ის საარბიტრაჟო წესების მე-7 მუხლი; LCIA-ს საარბიტრაჟო წესების მე-2 მუხლი; ICC-ს წესების მე-5 მუხლი.

²⁹ შესაძლოა მოპასუხე მხარემ არ წარადგინოს საარბიტრაჟო განაცხადზე პასუხი. ასეთ დროს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებას ახდენს ან საარბიტრაჟო დაწესებულების შესაბამისი ორგანო (ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში (იხ. მაგ. GIAC-ს წესების მე-13 მუხლი)) ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ერთგული სასამართლო (ad hoc არბიტრაჟის შემთხვევაში (UNCITRAL-ის წესების მე-10 მუხლი)).

წარდგენილ განსჯადობის შესახებ მოთხოვნებს მანამ, სანამ იგი გადავა საქმის არსებით განხილვამდე.

ფორმირების შემდეგ, საარბიტრაჟო ტრიბუნალი, როგორც წესი, მართავს წინასწარ მოსმენას (preliminary meeting)³⁰ ან პროცედურულ კონფერენციას (case management conference),³¹ რომლის შემდეგ ტრიბუნალი იღებს პროცედურულ დადგინილება No.1-ს.³² პროცედურული კონფერენციის დროს განსახილველი საკითხები შესაძლოა განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის სამართალი არის გამოსაყენებელი ან რომელი საარბიტრაჟო წესებით განხილვაზე შეთანხმდნენ მხარეები (თუ საერთოდ არსებობს ამგვარი შეთანხმება).³³

მიუხედავად იმისა თუ რა სახის არბიტრაჟი იმართება, ინსტიტუციური თუ *ad hoc*, შემდეგი საკითხები, როგორც წესი განხილულია პროცედურული კონფერენციის/წინასწარი მოსმენის დროს:³⁴

- წინასწარი საკითხები - როგორებიცაა განსჯადობის შესახებ პროტესტი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება;
- წერილობითი წარდგინებები - მათ შორის, რამდენ ეტაპად უნდა მოხდეს პოზიციების წარდგენა, წარდგენის დრო, ფორმა, სტრუქტურა, მოცულობა და უნდა დაერთოთ თუ არა მათ მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები წერილობითი სახით;
- დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენა;
- მოწმეები/ექსპერტები - მათ შორის მათი რაოდენობა, მოწმეთა ჩვენებების და ექსპერტთა დასკვნების წარდგენის ვადები, ტრიბუნალის მიერ ექსპერტის არჩევის საკითხი;
- ზეპირი მოსმენა - მათ შორის მისი დრო და ადგილი;
- მტკიცებულებების შესახებ მოსმენა - მათ შორის მისი დრო და ადგილი;
- სხვა პროცედურული და ადმინისტრაციული საკითხები - როგორებიცაა მაგალითად IBA წესების როლი, ტრიბუნალის თავმჯდომარის უფლებამოსილება

³⁰ იხ. მაგალითად SIAC-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 19 (3).

³¹ იხ. მაგალითად ICC-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 24.

³² ინსტიტუციური საარბიტრაჟო წესები პირველი პროცედურული გადაწყვეტილებისთვის იყენებენ სხვადასხვა სახელს. ყველაზე გავრცელებულია პროცედურული დადგინილება No.1. თუმცა, მაგალითად ICC -ის წესები იყენებენ ტერმინს terms of reference (მუხლი 23).

³³ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 367.

³⁴ Böckstiegel K., Party autonomy and case management: Experiences and suggestions of an arbitrator, SchiedsVZ, 2013, p. 1.

მარტომ გამოსცეს პროცედურული დადგენილებები, საარბიტრაჟო განხილვის მდივნის არჩევა, ტრიბუნალთან კომუნიკაციის ფორმა და საშუალებები.

ბუნებრივია, წინასწარი მოსმენის დროს განხილული ყველა საკითხის შესახებ გადაწყვეტილება აისახება პროცედურულ დადგენილება No.1-ში. სწორედ აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს საარბიტრაჟო პროცესის განმავლობაში მანამ სანამ ტრიბუნალი გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე.³⁵

პროცედურულ დადგენილებას, როგორც წესი, მოჰყვება მხარეთა წარდგინებები. პირველი წარდგინებები წარმოადგენენ ე.წ. საარბიტრაჟო სარჩელს და შესაგებელს.³⁶

როგორც წესი, მხარეები საარბიტრაჟო სარჩელსა და შესაგებელს და შემდგომ წარდგინებებს (არსებობის შემთხვევაში) ურთავენ მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ შუამდგომლობები/მოთხოვნები მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საქმიდან ამორიცხვის შესახებ, ისევე როგორც ოპონენტისგან მტკიცებულებების გამოთხოვის (შესაბამისად, პოზიციები გამოთხოვაზე უარის თქმის) შესახებ.

აღნიშნული საკითხის განხილვის და გადაწყვეტის შემდეგ, მხარეებს, საარბიტრაჟო შეთანხმების და ტრიბუნალის პოზიციის გათვალისწინებით, ეძლევათ დამატებითი წარდგინებების შეტანის უფლებამოსილება.³⁷

კომპლექსური საარბიტრაჟო განხილვების დროს, სადაც სახეზეა მრავალი მტკიცებულება და მტკიცებულებებთან დაკავშირებით მხარეთა არაერთი მოთხოვნა/შუამდგომლობა, ტრიბუნალი უფლებამოსილია დამატებით დანიშნოს სხდომა მტკიცებულებების შესახებ,³⁸ რომელზეც, როგორც წესი ხდება მტკიცებულებების გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში მოწმეების ანდა ექსპერტების დაკითხვა.³⁹

³⁵ Bantekas I., *An Introduction to International Arbitration*, Cambridge University Press, 2015, p. 169.

³⁶ იხ. მაგალითად UNCITRAL წესების მე-20 და 21-ე მუხლები; GIAC-ის წესების მუხლი 28.

³⁷ Bantekas I., *An Introduction to International Arbitration*, Cambridge University Press, 2015, p. 169.


³⁸ “Evidentiary hearing”.

³⁹ დაწვრილებით მტკიცებულებების შესახებ სხდომის შესახებ იხ. Rivkin D. W., *The Revised IBA Rules on the Taking Evidence, Contemporary Issues in International Arbitration and Mediation*, 2011. pp. 212-219; ასევე, Ashford P., *The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: a guide*, Cambridge University Press, 2013. pp. 130-140.

როგორც კი მხარეთა მიერ წარდგინებების და მტკიცებულებების შეტანის ვადა ამოიწურება, ტრიბუნალი ნიშნავს ზეპირ განხილვას,⁴⁰ რომელიც შეიძლება გაიმართოს სატელეფონო ან ვიდეოკონფერენციის საშუალებითაც, თუ ამაზე მხარეები შეთანხმდებიან.

ზეპირი მოსმენის შემდეგ, მხარეებს შეიძლება მიეცეთ მოსმენის შემდგომი მოკლე პოზიციების წარდგენის უფლებაც, რის შემდეგ პროცესი სრულდება და გარკვეული დროის შემდეგ ტრიბუნალს გამოაქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.⁴¹

გრაფიკული ფორმით საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის ეტაპები შესაძლოა შემდეგნაირად გამოისახოს:⁴²



⁴⁰ ბუნებრივია, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ტრიბუნალმა საქმე გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე, მხოლოდ წარდგენილი წერილობითი პოზიციების და მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში ამგვარი შემთხვევები ძალიან იშვიათია.

⁴¹ Bantekas I., An Introduction to International Arbitration, Cambridge University Press, 2015, p. 169.

⁴² იხ. Born G.B., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 159. მითითებულ წყაროში მოცემული სქემა მოდიფიცირებულია, ვინაიდან, მივიჩნევ, რომ მასში ცალკე მართკუთხედში მოცემული ზოგიერთი ეტაპი ცალკე ეტაპად გამოყოფილი არ უნდა იყოს, ხოლო ზოგიერთი სხვა ეტაპთან უნდა გაერთიანდეს.

3. მტკიცებულებების კატეგორიები საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

3.1. შესავალი

სადავო საკითხის შესახებ ტრიბუნალისთვის წარდგენილი მტკიცებულებები საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად, ესენია:

- (1) დოკუმენტური (წერილობითი) მტკიცებულებები;
- (2) ფაქტის მოწმეთა ჩვენებები;
- (3) ექსპერტთა ჩვენებები (მოსაზრებები);
- (4) შემოწმება (დათვალიერება).⁴³

ისინი მხარეების მიერ საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად მტკიცების ტვირთის და სტანდარტის დასაკმაყოფილებლად შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გამოყენებული, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთმანეთთან კომბინაციაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულმა ტრიბუნალმა შეიძლება სხვადასხვა მოდგომა შეიმუშაოს არა მხოლოდ წარდგენილი მტკიცებულების ბუნების, არამედ მისთვის მისანიჭებელი მნიშვნელობის და წონის შესახებ. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალები, როგორც წესი, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დოკუმენტურ მტკიცებულებებს, ვიდრე მაგალითად მოწმეთა ჩვენებებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ხშირად (თუ არა ყოველთვის) გაივლიან ხოლმე წინასწარ „მომზადებას“ მხარეების და მისი ადვოკატების მხრიდან.⁴⁴

თუმცა, თითოეული ზემოაღნიშნული მტკიცებულების სახე მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო განხილვის დროს და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და სადავო საკითხიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება ნებისმიერ მათგანს მნიშვნელოვან გადამწყვეტი მნიშვნელობა და თავისი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მას დააყრდნოს. შესაბამისად, მტკიცებულებათა კატეგორიებს შორის მკაცრი იერარქია არ შეიძლება არსებობდეს, თუმცა მათ სანდოობასთან დაკავშირებით არსებობს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომები.

⁴³ ინგლისურ ენაზე გამოიყენება შემდეგი ტერმინები: Documentary evidence; fact witnesses, expert witnesses, inspection.

⁴⁴ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 380

3.2. დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები)

დოკუმენტები, როგორც არაერთხელ აღინიშნა, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში ყველაზე სანდო მტკიცებულებად მიიჩნევა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ გარემოებები, როგორც წესი უცვლელადაა დაცული დოკუმენტებში და გადმოცემულია ისეთი ფორმით, რომლებიც არსებობდა იმ დროს როდესაც სადავო მოვლენები მოხდა.⁴⁵

თუმცა, მნიშვნელოვანი და აუცილებელია (განსაკუთრებით წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის) განიმარტოს თუ რა მოიაზრება ტერმინში „დოკუმენტი/დოკუმენტური მტკიცებულება“.

თანამედროვე, „ქალაქის“ ეპოქაში, როდესაც საუბარია დოკუმენტებზე, როგორც მტკიცებულებებზე, ყველამ შეიძლება იცოდეს, რომ ტერმინი „დოკუმენტი“ მოიცავს: ხელშეკრულებებს, ინვოისებს, წერილებს, მემორანდუმებს და სხვა „ქალაქებს“, რომლებიც შეიძლება ინახოს ბიზნეს ფაილების ოთახში. ამასთან, ელექტრონულ ერაში, ნაკლებად ცხადია, თუ რა ექცევა ტერმინ „დოკუმენტის“ ფარგლებში.⁴⁶

საარბიტრაჟო აქტები და წესები, როგორც წესი არ განმარტავენ თუ რას გულისხმობს ტერმინი „დოკუმენტები“, თუმცა ამ ტერმინის განმარტება გვხვდება IBA-ს წესებში და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, როდესაც საქმე ეხება ტერმინი „დოკუმენტის“ განმარტებას საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში.⁴⁷

IBA წესების „ტერმინთა განმარტების“ ნაწილის მიხედვით, დოკუმენტი ნიშნავს ჩანაწერს, კომუნიკაციას, სურათს, ნახაზს, პროგრამას ან ნებისმიერი სახის მონაცემს, მიუხედავად იმისა ჩაწერილია თუ შენახულია ფურცელზე ან ელექტრონული, აუდიო, ვიზუალური ან სხვა ნებისმიერი ხერხით.⁴⁸

აღსანიშნავია, რომ IBA-ს წესების 1999 წლის რედაქციაში „დოკუმენტის“ განმარტება უფრო ვიწროდ, შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „დოკუმენტი ნიშნავს ნებისმიერი სახის ჩანაწერს, მიუხედავად იმისა ჩაწერილია თუ შენახულია ფურცელზე ან ელექტრონული, აუდიო, ვიზუალური საშუალებით ან ინფორმაციის შენახვის ან ჩაწერის

⁴⁵ იხ. Holtzmann H.M., Fact-finding by the Iran–United States Claims Tribunal, in Lillich (ed.) Fact-Finding before International Tribunals: Eleventh Sokol Colloquium, Transnational Publishers, 1992, pp. 110–114.

⁴⁶ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 72.

⁴⁷ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 72.

⁴⁸ „Document’ means a writing, communication, picture, drawing, program or data of any kind, whether recorded or maintained on paper or by electronic, audio, visual or any other means“.

სხვა ნებისმიერი მექანიკური ან ელექტრონული ხერხით.“ აღნიშნული დეფინიცია 2010 წელს შეიცვალა. ცვლილების მიზეზი იყო ის, რომ აღნიშნული რედაქციით ბუნდოვანი იყო, მოიცავდა თუ არა ეს განმარტება ციფრულ მონაცემებს (metadata)⁴⁹ და ელექტრონულად შენახულ დოკუმენტებს (Electronically Stored Information⁵⁰ (ESI)).⁵¹ შესაბამისად, 2010 წლის ცვლილებები განხორციელდა, რათა განმარტებით უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყველა სახის დოკუმენტების, მათ შორის ელექტრონულის მოცვა.⁵²

ვინაიდან ახალმა რედაქციამ მიუთითა, რომ დოკუმენტი ნიშნავს „ნებისმიერი სახის მონაცემს“, რომელიც შენახულია „სხვა ნებისმიერი სახით“, აღნიშნული უნდა ნიშნავდეს, რომ ტერმინი დოკუმენტი მოიცავს ციფრულ მონაცემებსაც და ელექტრონულად შენახულ ინფორმაციასაც.

CPR-ის პროტოკოლი ასევე შეიცავს ტერმინი „დოკუმენტის“ ფართო განმარტებას და პრეამბულაში ხსნის, რომ ტერმინი „დოკუმენტი“ მიემართება ყველა სახის შენახულ ან ჩაწერილ ინფორმაციას, არის ის ფიზიკური დოკუმენტები თუ არა, მათ შორის ელექტრონულ ინფორმაციასაც. შესაბამისად, ეს განმარტებაც ფართოა და მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, მათ შორის ციფრულ მონაცემსაც.⁵³

აღსანიშნავია, რომ ნების ავტონომიის ფარგლებში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმებით განსაზღვრონ ტერმინ „დოკუმენტის“ მნიშვნელობა, თუმცა, როდესაც მხარეები შეთანხმებას ვერ აღწევენ, ტრიბუნალი უფლებამოსილია თავად განმარტოს ეს ტერმინი. მაგალითად, შეიძლება განისაზღვროს, რომ ეს ტერმინი მოიაზრებს მხოლოდ

⁴⁹ მეტადატა არის მონაცემი, რომელიც აღწერს სხვა მონაცემს. კერძოდ კი ის გვაწვდის ინფორმაციას კონკრეტული მონაცემის შინაარსის შესახებ. მაგალითად, ელექტრონულად შენახული ფოტოსურათი შეიძლება მოიცავდეს მეტადატას, რომელიც აღწერს თუ რა მოცულობისაა ფოტოსურათი, როდის იქნა იგი შექმნილი, რა გაფართოებისაა იგი, ვინ არის ავტორი (ელექტრონული დოკუმენტის შემქმნელი და ა.შ.) იხ. [Metadata Definition \(techterms.com\)](#).

⁵⁰ ESI არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შენახულია/ჩაწერილია ელექტრონულ საშუალებაზე, რომლიდანაც ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია პირდაპირ ან, თუ აუცილებელია შესაბამისი “თარგმანის” საშუალებით. იხ. [Electronically stored information \(ESI\) Definition | Law Insider](#); თანამედროვე სამართალწარმოების პირობებში ეს, როგორც წესი არის ელ. ფოსტები და მათი დანართები, მაიკროსოფტ ვორდის და ა.შ. დოკუმენტები, ცხრილები, ელექტრონული ფოტოსურათები, ვიდეოები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ზარების შესახებ მონაცემები, ხმოვანი შეტყობინებები, ონლაინ აქტივობების შესახებ ინფორმაცია, დატაბეიზზე შენახული ინფორმაცია, და ა.შ. იხ. [Electronically Stored Information \(ESI\) | Practical Law \(westlaw.com\)](#).

⁵¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 73.

⁵² Commentary on the revised text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021. p. 4.

⁵³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 74.

ხელშეკრულებებს და ინვოისებს ან პირად ელ. ფოსტებს და ა.შ. აგრეთვე შეიძლება გამოირიცხოს ამ ტერმინის გავრცელება ელექტრონულ დოკუმენტებზე. თუ მხარეებს თავიანთი განმარტების დადგენა სურთ, უმჯობესია ეს მათ, გააკეთონ პროცედურულ სხდომაზე,⁵⁴ რაც შემდეგ ტრიბუნალის მიერ პროცედურულ დადგენილებაში აისახება.

თუმცა, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინ „დოკუმენტის“ ფართო განმარტება, რომელიც მოიცავს ნებისმიერ სახის ინფორმაციას, მათ შორის წაშლილ ელექტრონულ მონაცემებსაც.

3.3. (ფაქტის) მოწმეთა ჩვენებები

მოწმის ჩვენების როლი მდგომარეობს იმაში, რომ მან უნდა განმარტოს ან განავრცოს ის ინფორმაცია, რომელიც დოკუმენტურ მტკიცებულებებშია მოცემული, რათა დაეხმაროს ტრიბუნალს შეასრულოს ფაქტების დამდგენის ფუნქცია. კომერციულ ტრანზაქციებში, დელიქტისგან განსხვავებით, მოწმეთა უმეტესობას წარმოადგენენ ის პირები, რომლებსაც რაიმე სახის კავშირი აქვთ ტრანზაქციასთან რომელიმე მხარესთან კავშირის გამო. ისინი, შესაბამისად, შემჩნეულნი არიან, რომ აქვთ პირდაპირი თუ ირიბი დაინტერესება საქმის შედეგის მიმართ. ამის გამო, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალთა დიდი ნაწილი ამგვარი მოწმეების ჩვენებებს დოკუმენტებთან შედარებით ნაკლებ სანდოდ მიიჩნევს.⁵⁵

IBA-ს წესების მიხედვით,⁵⁶ ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ დროში თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს იმ მოწმეთა ვინაობა, რომელთა ჩვენებებზე დაყრდნობასაც იგი აპირებს. ამგვარი მოწმე კი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის მხარე, მხარის თანამშრომელი ან წარმომადგენელი. ამასთან მხარისთვის და მისი წარმომადგენლისთვის შეუფერებლად არ მიიჩნევა, რომ საკუთარ მოწმესთან განიხილოს ამ უკანასკნელის მიერ მისაცემი ჩვენება. ამასთან, იმავე წესების მიხედვით,⁵⁷ ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარეს დაავალოს ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში მას წარუდგინოს მისი მოწმის წერილობითი ჩვენება. ტრიბუნალის მიერ წერილობითი ჩვენების წარდგენის მოთხოვნის უფლებამოსილება ემსახურება იმას, რომ თავიდან იქნას აცილებული მოულოდნელი ჩვენებები.⁵⁸

⁵⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. pp. 74-75.

⁵⁵ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 389.

⁵⁶ მუხლი 4.

⁵⁷ მუხლი 4.4.

⁵⁸ Born G.B., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 169. მოწმის წერილობითი ჩვენების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ იხ. Kocur M., Witness Statements in

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ამგვარი წერილობითი ჩვენებისთვის წინასწარ განსაზღვრული ფორმა. ჩვენებები შეიძლება განსხვავდებოდეს მოცულობის და შინაარსის მიხედვით.⁵⁹ თუმცა, როგორც წესი, მხარეები მოწმეთა ჩვენებას ტრიბუნალის წინაშე წარადგენენ მარტივი წერილობითი ფორმით (მხოლოდ მოწმის ხელმოწერით).⁶⁰ სავარაუდოდ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მხარეებს აქვთ უფლებამოსილება მოითხოვონ ნებისმიერი იმ მოწმის ზეპირად დაკითხვა, რომლის წერილობითი ჩვენებაც წარდგენილია მეორე მხარის მიერ.⁶¹

როდესაც მოწმე გამოძახებულია დასაკითხად მოსმენაზე და იგი მისცემს ზეპირ ჩვენებას, ტრიბუნალი მხედველობაში იღებს მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩვენებას და უყურადღებოდ ტოვებს ამავე მოწმის წერილობით ჩვენებას.⁶² ამასთან, ტრიბუნალს აქვს სრული კონტროლი მოწმის ზეპირად დაკითხვის პროცესზე.⁶³ თუმცა, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟების ფარგლებში, მიღებულია, რომ არბიტრები მხარეებს და მათ წარმომადგენლებს აძლევენ შესაძლებლობას კითხვები დაუსვან მოწმეს (ჩაატარონ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა) და თავად ისინი მხოლოდ დამაზუსტებელი და დამატებითი შეკითხვების დასმით შემოიფარგლებიან.⁶⁴

ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების „მასა“ და მნიშვნელობა საქმეში.⁶⁵ ტრიბუნალმა შესაძლოა უარი თქვას მოწმის ჩვენების გაზიარებაზე სხვადასხვა მოტივით, მათ შორის იმის გამო, რომ ეს მოწმე დაინტერესებულია, იგი თხოვრის დროს იყო არადადამაჯერებელი, ტრიბუნალს ეჭვი გაუჩნდა რამდენად ზუსტად ახსოვდა მოწმეს ფაქტები⁶⁶ და ა.შ.

International Commercial Arbitration, in Gessel-Kalinowska vel Kalisz (ed.) The Challenges and the Future of Commercial and Investment Arbitration, Court of Arbitration Lewiatan, 2015, pp. 168-169.

⁵⁹ Kocur M., Witness Statements in International Commercial Arbitration, in Gessel-Kalinowska vel Kalisz (ed.) The Challenges and the Future of Commercial and Investment Arbitration, Court of Arbitration Lewiatan, 2015, p. 169

⁶⁰ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 190.

⁶¹ იხ. IBA-s წესების მუხლი 8.1.

⁶² Born G.B., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 169.

⁶³ იხ. Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014, p. 2285.

⁶⁴ Born G.B., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012, p. 169.

⁶⁵ მოწმის ჩვენების მნიშვნელობის შესახედ დისკუსიისთვის იხ. Holtzmann H.M., Fact-finding by the Iran-United States Claims Tribunal, in Lillich (ed.) Fact-Finding before International Tribunals: Eleventh Sokol Colloquium, Transnational Publishers, 1992, pp. 113-114.

⁶⁶ მოწმის მახსოვრობის მნიშვნელობის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ იხ. ICC, ICC Commission Report, The Accuracy of Fact Witness Memory in International Arbitration, 2020, pp. 5-61.

3.4. ექსპერტთა მოსაზრებები (ჩვენებები)

ექსპერტის ჩვენება/დასკვნა შეიძლება ტრიბუნალს წარედგინოს მხარეების ან თავად ტრიბუნალის მიერ დანიშნული ექსპერტისგან. საარბიტრაჟო აქტების და ინსტიტუციური წესების უმრავლესობა პირდაპირ მიუთითებს როგორც მხარეების, ისე ტრიბუნალის უფლებამოსილებაზე აირჩიონ/დანიშნონ ექსპერტი.⁶⁷

დავების ფაქტობრივი და სამართლებრივი კომპლექსურობა ხშირად მოითხოვს პროცესში ექსპერტების ჩართვას, რათა ისინი, სპეციალიზებული მტკიცებულებით დაეხმარონ არბიტრებს გაერკვნენ მათთვის უცნობ სფეროში.⁶⁸ შესაბამისად, ექსპერტები, როგორც წესი, არიან სპეციალური ცოდნის მქონე ადამიანები.

შეიძლება გამოიყოს ექსპერტების რამდენიმე კატეგორია. პირველი მათგანი არის ე.წ. ტექნიკური ექსპერტები, რომელთა მოწვევა ხდება იმისათვის, რომ დაეხმარონ ტრიბუნალს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს სპეციალისტის ტექნიკურ ცოდნას კონკრეტულ სფეროში. მაგალითისთვის, ამგვარი სფერო შეიძლება იყოს ფარმაცოლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები, მეტალურგია,⁶⁹ ინჟინერია და ა.შ.

მეორე კატეგორია შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ ტერმინში „ანალიტიკური“ ან „რაოდენობრივი“ ექსპერტები. ეს ექსპერტები, როგორც წესი გამოთქვამენ თავიანთ შეფასებას კომპლექსურ ანალიტიკურ მოდელებზე. მაგალითად. ამგვარ ექსპერტს წარმოადგენს ექსპერტი, რომელიც აკეთებს ზიანის შეფასებას. ასეთ დროს ექსპერტი იყენებს, როგორც შეფასების მეთოდებს, ასევე აანალიზებს ინფორმაციას და მონაცემებს, რომელთა გაანალიზება ტრიბუნალისთვის ძალიან რთული და შეუძლებელი იქნებოდა.⁷⁰

მესამე კატეგორია, ესაა სამართლის ექსპერტები. ადვოკატები და სამართლის პრაქტიკოსები შეიძლება მოწვეულ იქნენ რათა მისცენ ჩვენება ან წარადგინონ დასკვნა, როდესაც დავა უნდა გადაწყდეს კონკრეტული ქვეყნის სამართლის მიხედვით და მხარეები და ტრიბუნალი არ იცნობენ ამ სამართალს.⁷¹

⁶⁷ UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 29; LCIA-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 21. იხ. აგრეთვე Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. pp. 2294–2295.

⁶⁸ Jones D. A, *Redefining the Role and Value of Expert Evidence*, ICC Institute 41st Annual Conference paper, 2021. p. 2.

⁶⁹ Jones D. A, *Redefining the Role and Value of Expert Evidence*, ICC Institute 41st Annual Conference paper, 2021. p. 2.

⁷⁰ Jones D. A, *Redefining the Role and Value of Expert Evidence*, ICC Institute 41st Annual Conference paper, 2021. p. 3.

⁷¹ Jones D. A, *Redefining the Role and Value of Expert Evidence*, ICC Institute 41st Annual Conference paper, 2021. p. 3. იხ. აგრეთვე Donovan D.F., *Re-examining the Legal Expert in International Arbitration in Hong Kong*

როგორც წესი, მხარეები ვალდებულნი არიან წარადგინონ მათი ექსპერტების მოსაზრებები წერილობითი ფორმით. მოწინააღმდეგე მხარეს კი შეუძლია ტრიბუნალს სთხოვოს მოიწვიოს ექსპერტი მტკიცებულებების შესახებ სხდომაზე დასაკითხად.⁷² ექსპერტის დაკითხვის პროცედურა ფაქტის მოწმის დაკითხვის პროცედურის იდენტურია (პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა).

როდესაც ექსპერტი დანიშნულია ტრიბუნალის მიერ, მხარეებს ასევე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა კომენტარი გააკეთონ ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნაზე.

ტრიბუნალის მიერ ექსპერტების მოსაზრებების შეფასება უნდა მოხდეს მისი დისკრეციის ფარგლებში მათ წერილობითი დასკვნების და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ზეპირი ახსნა-განმარტებების მხედველობაში მიღებით.

3.5. შემოწმება (დათვალიერება)

მტკიცებულების წარდგენის მეოთხე მეთოდი, როგორც აღინიშნა, არის ტრიბუნალის მიერ დავის საგნის შემოწმება/დათვალიერება.⁷³ ეს უმეტეს შემთხვევაში გამოიხატება ადგილის დათვალიერებაში და მისი აუცილებლობა წარმოიშობა სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებულ დავებზე.⁷⁴ თუმცა, ეს მეთოდი სხვა ტიპის დავებზეც შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად, ტრიბუნალმა შეიძლება შეამოწმოს მიწოდებული ტვირთი, თუ დავა ეხება მიწოდებული საქონლის ხარისხს.⁷⁵

ტრიბუნალის უფლებამოსილება დაათვალიეროს/შეამოწმოს დავის საგანი გათვალისწინებულია ფაქტობრივად ყველა ძირითად საარბიტრაჟო წესში.⁷⁶ ამასთან, IBA-ს წესების მე-7 მუხლის მიხედვით, მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ტრიბუნალს შეუძლია თავად ან მის მიერ დანიშნული ან მხარეთა მიერ არჩეული ექსპერტის მეშვეობით შეამოწმოს/დაათვალიეროს ნებისმიერი ის ადგილი, ქონება, მანქანა-დანადგარი ან სხვა საქონელი, ნიმუში, სისტემა, პროცესი ან დოკუმენტი, რომელსაც იგი მიიჩნევს სათანადოდ. მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის პირობებში, დათვალიერებას უნდა დაესწროს ორივე მხარე და ტრიბუნალმა

International Arbitration Centre (ed), *International Arbitration: Issues, Perspectives and Practice: Liber Amicorum* Neil Kaplan, Wolters Kluwer, 2018, pp. 247, 253-255.

⁷² იხ. IBA-ს წესები, მუხლი 8.1.

⁷³ *Inspection of the subject matter of the dispute.*

⁷⁴ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 398.

⁷⁵ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 398.

⁷⁶ იხ. მაგალითად LCIA-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 22(1)(iv); SIAC-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 27(e); WIPO საარბიტრაჟო წესები, მუხლი 50; AAA საარბიტრაჟო წესები, მუხლი 37.

უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების და ახსნა განმარტებების სურათების და ჩანაწერების სახით განხორციელება.⁷⁷

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დათვალიერების შესაძლებლობისა, ეს მეთოდი ხშირად არ არის გამოყენებული ტრიბუნალების მიერ, შესაძლოა იმიტომ, რომ ამ პროცედურის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯი ბევრად გადაწონის მისგან მიღებულ სარგებელს. თანამედროვე საარბიტრაჟო განხილვებში უფრო მიღებულია ფოტოსურათების, ნახაზების, [ვიდეოების] და ფაილების წარდგენაც კი, რაც ფაქტობრივად ანაცვლებს ადგილის დათვალიერებას. მაგალითად ICC-ს ერთ-ერთი არბიტრაჟის დროს შეთავაზებულ იქნა ვექტორებისგან გადაღებული ვიდეო, რომელზეც გამოსახული იყო რელიეფი 60 კმ სიგრძეზე, სადაც გზა უნდა მოწყობილიყო.⁷⁸

4. მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო

4.1. შესავალი

სანამ დეტალურად იქნება მიმოხილული დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის პროცედურები და მასთან დაკავშირებული თავისებურებები, პირველ რიგში აუცილებელია განხილულ იქნეს თუ რა სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს ამ საკითხს საერთაშორისო არბიტრაჟში, რათა შესაბამისი პროცედურების შესახებ მსჯელობა წარიმართოს ამ სამართლებრივი ნორმების თუ პრინციპების ფონზე.

აღინიშნა, რომ, როგორც წესი არბიტრაჟის შესახებ ქვეყნების კანონები, ისევე როგორც საარბიტრაჟო წესები არ შეიცავენ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესახებ დეტალურ რეგულირებას. მტკიცებულებების წარდგენის საკითხები რეგულირდება ძირითადად ზოგადი პრინციპების და მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურების, მათ შორის რბილი სამართლის წესების საფუძველზე.

4.2. დოკუმენტური მტკიცებულებების ნაწილში მნიშვნელოვანი პრინციპები კომერციულ არბიტრაჟში.

ნიუ იორკის კონვენცია უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად ფოკუსირებულია საარბიტრაჟო

⁷⁷ Varady, T., Barceló, J.J., von Mehren, A.T., International Commercial Arbitration, Thomson/West 2006, p. 568; იხ. აგრეთვე, Malacka M., Evidence in International Commercial Arbitration, ICLR, Vol. 13, No. 1, 2013. p. 103.

⁷⁸ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 399.

შეთანხმებების და გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე,⁷⁹ მისი მუხლები გავლენას ახდენენ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სამართლებრივ რეჟიმზე, და ქმნიან სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ფარავს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს საარბიტრაჟო შეთანხმების დადებიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁸⁰ შესაბამისად, იგი წარმოადგენს თანმიმდევრულ ჩარჩოს საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებებისთვის, საარბიტრაჟო პროცესისთვის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისთვის.⁸¹ თუმცა, ნიუ იორის კონვენცია, ისევე როგორც ქვეყნების შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობა და საარბიტრაჟო წესები ადგენენ ძალიან ზოგად დანაწესებს საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნული დანაწესების საფუძველზე კი საერთაშორისო არბიტრაჟში დამკვიდრებულია სხვადასხვა პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საარბიტრაჟო პროცესის, მათ შორის დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის დროს.

4.2.1. მხარეთა კერძო ავტონომია

მხარეთა კერძო ავტონომია არის მხარეთა თავისუფლება განსაზღვრონ თავიანთი სახელშეკრულებო ურთიერთობა ისე, როგორც ამას ისინი ხედავენ.⁸² აღნიშნული პრინციპი ფუნდამენტურია არბიტრაჟისთვის ზოგადად და საერთაშორისო არბიტრაჟისთვის კონკრეტულად.⁸³ როდესაც საქმე ეხება კომერციულ დავას, ეს პრინციპი არეგულირებს საარბიტრაჟო პროცესს ამლევს რა მხარეებს უფლებამოსილებას დაადგინონ წესები თუ როგორ უნდათ მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტა.⁸⁴

ნიუ იორკის კონვენცია V (1) (d) მუხლში, მიუთითებს რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე შესაძლოა უარი ითქვას იმ შემთხვევაში თუ საარბიტრაჟო განხილვის პროცედურა არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას.⁸⁵ შესაბამისად, ნიუ იორკის კონვენციის მითითებული მუხლი ირიბად აღიარებს, რომ

⁷⁹ ნიუ იორკის კონვენციის ფუნდამენტს წარმოადგენენ II და V მუხლები, რომლებიც ადგენენ ხელშეკრულებით მხარეების ვალდებულებას აღსრულოს საარბიტრაჟო შეთანხმებები და გადაწყვეტილებები.

⁸⁰ Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. p. 13.

⁸¹ Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. p. 13.

⁸² Abdulhay S., *Corruption in International Trade and Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 2004, p. 159. აგრეთვე Fagbemi S., *The doctrine of party autonomy in international commercial arbitration: myth or reality?*, *Journal of Sustainable Development Law and Policy*, Vol. 6:1, 2016. p. 224.

⁸³ Bockstiegel K., *The Role of Party Autonomy in International Arbitration*, *Dispute Resolution Journal*, 1997. p. 24.

⁸⁴ Dickson M., *Party autonomy and justice in international commercial arbitration*, *International Journal of Law and Management*, Vol. 60, Iss. 1, 2018. p. 115.

⁸⁵ ნიუ იორკის კონვენციის მუხლი V(1)(d): *“ცნობა-აღსრულება შესაძლოა არ იქნას განხორციელებული [...] თუ [...] (d) საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება ან საარბიტრაჟო პროცედურები არ განხორციელდა მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, ან, ამგვარი შეთანხმების არარსებობის პირობებში, იმ ქვეყნის სამართლის შესაბამისად, სადაც იყო არბიტრაჟის ადგილსამყოფელი”*.

მხარეებს აქვთ უფლებამოსილება (ავტონომია) შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის (მათ შორის პროცედურულ) საკითხებზე.

UNCITRAL-ის მოდელური კანონის ასევე მიუთითებს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ განსხვავებულ პროცედურაზე, ისევე როგორც მტკიცებულებების შეგროვების წესზე, რომელსაც უნდა მიჰყვეს ტრიბუნალი.⁸⁶ კერძოდ, მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „მხარეები თავისუფლები არიან შეთანხმდნენ პროცედურაზე, რომელსაც უნდა მიჰყვეს საარბიტრაჟო ტრიბუნალი პროცესის წარმართვის დროს.“

მსგავსად ამისა, მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპს განამტკიცებს ინგლისის⁸⁷ და შვედეთის საარბიტრაჟო აქტები.⁸⁸ შვეიცარიის ფედერალური სტატუტი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ასევე აფუძნებს მხარეთა უფლებას თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო პროცედურა. კერძოდ, აღნიშნული სტატუტის 182-ე მუხლი მიუთითებს, რომ „მხარეები უფლებამოსილნი არიან, პირდაპირ ან არბიტრაჟის წესებზე მითითებით, განსაზღვრონ საარბიტრაჟო პროცედურები; მათ ასევე უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვა დაუქვემდებარონ მათ მიერ არჩეულ პროცედურულ სამართალს.

UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავს წესს შეიცავს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 24-ე მუხლი აღიარებს მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპს უთითებს რა შემდეგზე: „საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით“.⁸⁹

საარბიტრაჟო წესები ღიად აღიარებენ მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპს. ICC-ს საარბიტრაჟო წესების მე-19 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო პროცესი რეგულირდება ICC-ს საარბიტრაჟო წესების ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა წესების შესაბამისად.

⁸⁶ იხ. მუხლები 18 და 19. მოდელური კანონის შემქმნელების მიერ აღნიშნული მუხლები (მუხლი 19: მხარეთა კერძო ავტონომია; მუხლი 18: სათანადო პროცესი (due process)) განხილულია როგორც საარბიტრაჟო პროცესის „დიდი ქარტია“ (magna carta). იხ. Analytical Commentary on the Draft Text of a Model Law on International Commercial Arbitration, (1985). p. 44.

⁸⁷ იხ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტის მუხლი 1 (ბ).

⁸⁸ იხ. შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 21-ე მუხლი.

⁸⁹ უნდა აღინიშნოს, რომ კარგი იქნებოდა თუ 24-ე მუხლი ზუსტად გაიმეორებდა UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-19 მუხლის დანაწესს და ჩამოყალიბებოდა შემდეგნაირად: „ამ კანონის დებულებების გათვალისწინებით, მხარეები თავისუფალნი არიან შეთანხმდნენ პროცედურაზე, რომელსაც უნდა მიყვეს საარბიტრაჟო ტრიბუნალი საარბიტრაჟო განხილვის დროს.“ მსგავსი ჩანაწერი, არსებული დებულებისგან განსხვავებით უფრო მეტად უსვამს ხაზს მხარეთა კერძო ავტონომიას პროცედურული საკითხების შეთანხმების ნაწილში.

ამ მიდგომას იზიარებს აგრეთვე LCIA-ს,⁹⁰ SCC-ს⁹¹ და სხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტების საარბიტრაჟო წესები.⁹²

შესაბამისად, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს აქვთ უფლება აირჩიონ საარბიტრაჟო წესები, რომლებიც მათ სთავაზობენ პროცედურული საკითხების მეტ-ნაკლებად დეტალურ რეგულირებას. თუმცა როგორც აღინიშნა, საარბიტრაჟო წესები ნაკლებად შეიცავენ დეტალურ რეგულაციას საარბიტრაჟო პროცესთან და მითუფრო მტკიცებულებების საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ თავად შექმნან პროცედურული ჩარჩო ან რბილი სამართალი (მაგ. IBA-ს წესები), რომელიც სავალდებულოდ გამოსაყენებელი იქნება ტრიბუნალისთვის. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მტკიცებულებათა შესახებ ამა თუ იმ ქვეყნის რეგულირების გამოყენების შესახებ. თუმცა, საერთაშორისო არბიტრაჟის კონტექსტში კონკრეტული ქვეყნის პროცედურული სამართლის⁹³ ნორმების შემოტანა მართებულად არ მიიჩნევა და არც მიღებულ და გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

თუმცა მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი არ არის შეუზღუდავი. სავალდებულო წესებს (mandatory provisions) პრიორიტეტი ენიჭება ამ პრინციპთან მიმართებით.⁹⁴ ასევე, არსებობს რამდენიმე პრინციპი თუ კონცეფცია, რომლებიც ასევე დგანან კერძო ავტონომიის პრინციპზე წინ, როდესაც საქმე ეხება საარბიტრაჟო განხილვას და პროცედურებს. აღნიშნულის მაგალითებია მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპი და საჯარო წესრიგი.⁹⁵ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მხარეები თავისუფლები არიან შეთანხმონ საარბიტრაჟო პროცედურა, რომელსაც ტრიბუნალი უნდა მიჰყვეს საარბიტრაჟო განხილვის დროს, თუმცა მათ არ აქვთ სრული თავისუფლება.

4.2.2. ტრიბუნალის დისკრეცია

კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟის ფუნდამენტს წარმოადგენს არის ე.წ. „ტრიბუნალის დისკრეციის“ პრინციპი. ტრიბუნალის დისკრეცია გულისხმობს საარბიტრაჟო პრაქტიკას, როდესაც მხარეთა შეთანხმების არარსებობის

⁹⁰ LCIA-ს საარბიტრაჟო წესების მე-14 მუხლი.

⁹¹ SCC-ს საარბიტრაჟო წესების 23-ე მუხლი.

⁹² იხ. მაგ. GIAC-ის საარბიტრაჟო წესების 23-ე მუხლი.

⁹³ მაგ. სსსკ-ის და გსსკ-ის დანაწესები.

⁹⁴ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 19 (1) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო პროცედურაზე ამავე კანონის დებულებათა გათვალისწინებით. მსგავსად ამისა, ინგლისის საარბიტრაჟო აქტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სავალდებულო დებულებები მხოლოდია, მიუხედავად მხარეთა მიერ საწინააღმდეგო შეთანხმებისა.

⁹⁵ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. pp. 356-357; იხ. აგრეთვე Bantekas I., An Introduction to International Arbitration, Cambridge University Press, 2015. pp. 162-166.

პირობებში ტრიბუნალს შეუძლია საარბიტრაჟო პროცესი წარმართოს თითქმის ყველა იმგვარი ხერხის გამოყენებით (იმგვარად), რასაც ის თვლის საუკეთესოდ. ამასთან ტრიბუნალმა მისი დისკრეცია უნდა განახორციელოს იმ პირობით, რომ პატივი სცეს მის მისიას (დანიშნულებას) და დაიცვას სამართლიანობა, რომელიც, როგორც წესი, მოიხსენიება როგორც „სამართლიანი პროცესი“ (“due process”) და „ბუნებითი სამართლიანობა“ (“natural justice”).⁹⁶

UNCITRAL-ის მოდელური კანონის 19 (2) მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეთა შეთანხმების არარსებობის პირობებში, ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება საარბიტრაჟო პროცესი წარმართოს ისე, როგორც ის ამას მიიჩნევს სათანადოდ და შესატყვისად. თუმცა, აღიარებულია, რომ ტრიბუნალის დისკრეცია არ არის აბსოლუტური და იგი იზღუდება ერთი მხრივ საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე არსებული სავალდებულო წესებით (mandatory rules of the seat), ხოლო მეორე მხრივ, მხარეთა კერძო ავტონომიით (მხარეთა შეთანხმებით).⁹⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდელური კანონის 19 (2) მუხლი გაკრიტიკებული იყო, რადგან მას არ მიიჩნევდნენ საკმარისად ცხადად იმ საკითხთან დაკავშირებით, მითითებული დისკრეცია მტკიცებულებებთან დაკავშირებით ტრიბუნალს მინიჭებული აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს მხარეთა შეთანხმება, თუ მაშინაც როდესაც მხარეები შეთანხმებულნი არიან გარკვეულ პროცედურაზე.⁹⁸ მიუხედავად, ბუნდოვანი ჩანაწერისა, აღნიშნული მუხლი, შემქმნელთა განზრახვის შესაბამისად იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ტრიბუნალს ეს დისკრეცია მინიჭებული აქვთ მაშინაც, როდესაც მხარეები შეთანხმებულნი არიან ზოგად პროცედურულ წესებზე.⁹⁹ თუმცა, თუ მხარეები შეთანხმებულნი არიან კონკრეტულ წესზე (ძალიან სპეციფიურ წესზე), მაშინ ტრიბუნალი შეზღუდულია მხარეთა შეთანხმებული ამ წესით.¹⁰⁰

⁹⁶ იხ. Makmot-Kibwanga A.R., *Arbitral Discretion and Procedural Autonomy*, GRIN Verlag, 2017.

⁹⁷ Pauker S. A., *Substance and procedure in international arbitration*, *Arbitration International*, Vol. 36 (1), 2020. p. 342; იხ. აგრეთვე Commission J. and Mooloo R., *Procedural Issues in International Investment Arbitration*, OUP, 2018. p. 141.

⁹⁸ Holtzmann H. M., *The Conduct of Arbitral Proceedings*, In: Pieter Sanders (ed.), *UNCITRAL's Project for a Model Law on International Commercial Arbitration*, ICCA Congress Series, Vol. 2, Kluwer Law International, 1984. p. 133.

⁹⁹ Holtzmann H. M., *The Conduct of Arbitral Proceedings*, In: Pieter Sanders (ed.), *UNCITRAL's Project for a Model Law on International Commercial Arbitration*, ICCA Congress Series, Vol. 2, Kluwer Law International, 1984. pp. 133-134.

¹⁰⁰ Pauker S. A., *Substance and procedure in international arbitration*, *Arbitration International*, Vol. 36 (1), 2020. p. 342; იხ. აგრეთვე OLG Frankfurt am Main, 17.02.2011 - 26 Sch 13/10 გერმანულმა სასამართლომ გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ ტრიბუნალმა გადაუხვია მხარეთა შეთანხმებას მტკიცებულებების ნაწილში და არ დაიცვა ის. იხ. აგრეთვე, United Nations Commission on International Trade

UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად, ტრიბუნალის დისკრეციას აღიარებს სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობა. მაგალითად, ტრიბუნალს აქვს დისკრეცია განსაზღვროს საარბიტრაჟო განხილვის პროცედურები აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტის საფუძველზე.¹⁰¹ ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-7 მუხლი, რომელიც ტრიბუნალს ანიჭებს უფლებამოსილებას მხარეებს დაავალოს საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების წარმოდგენა. ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, აგრეთვე უთითებს, რომ მხარეთა კერძო ავტონომიის შემდეგ, ტრიბუნალის დისკრეციას აქვს მნიშვნელოვანი როლი, როდესაც საქმე ეხება პროცედურულ და მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს.¹⁰² აღნიშნული, ინგლისის საარბიტრაჟო აქტის მიხედვით მათ შორის, მოიცავს საკითხებს დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენაზე, მათ დასაშვებობაზე და შეფასებაზე.¹⁰³

შვეიცარიის საარბიტრაჟო კანონმდებლობის მიხედვით, მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში ტრიბუნალს აქვს დისკრეცია განსაზღვროს პროცედურული წესები¹⁰⁴ და მოიპოვოს მტკიცებულებები.¹⁰⁵

ზემოაღნიშნული ქვეყნებისგან განსხვავებით, შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 25-ე მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს ტრიბუნალის დისკრეციაზე, თუმცა აღნიშნული მუხლი იმგვარად განიმარტება, რომ ტრიბუნალს აქვს დისკრეცია მხარეებს მიუთითოს დოკუმენტების წარდგენაზე.¹⁰⁶ მსგავს ჩანაწერს შეიცავს საფრანგეთის საარბიტრაჟო კანონმდებლობაც.¹⁰⁷

UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავს ჩანაწერს იცნობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.“ დოკუმენტური მტკიცებულებების კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია 35-ე მუხლის მე-2

Law, Explanatory Note by the UNCITRAL secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006, United Nations Publications, 2008. p. 32.

¹⁰¹ Born G.B., International Arbitration: Cases and Materials (Second Edition), International; Kluwer Law International, 2015. p. 792. იხ. აგრეთვე Transp. Workers Union v. Philadelphia Trans. Co., 283 F.Supp. 597, 600 (E.D. Pa. 1968).

¹⁰² ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, მუხლი 34 (1).

¹⁰³ Tirado, J., Sherina P. et al, Chapter 23: Factual Evidence, In: Lew D. M. J. and Bor H. et al. (eds.), Arbitration in England, with chapters on Scotland and Ireland, Kluwer Law International, 2013. p. 484.

¹⁰⁴ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის ფედერალური კანონის მუხლი 182 (1)

¹⁰⁵ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის ფედერალური კანონის მუხლი 184 (1)

¹⁰⁶ Hober K, International Commercial Arbitration in Sweden, Oxford University Press, 2011. p. 225

¹⁰⁷ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1467-ე მუხლი.

ნაწილი, რომელიც მტკიცებულებების მოპოვება-წარდგენის ნაწილში ტრიბუნალის უფლებამოსილების დეკლარირებას ახდენს.¹⁰⁸

ტრიბუნალის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ჩაატაროს საარბიტრაჟო განხილვა იმგვარად, როგორც ამას ის მიიჩნევს საუკეთესოდ, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები მტკიცებულებებთან დაკავშირებით ასევე ითვალისწინებს საარბიტრაჟო წესები.¹⁰⁹

კერძოდ, ICC-ს საარბიტრაჟო წესების მიხედვით,¹¹⁰ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები რათა მოკლე ვადაში დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. 25-ე მუხლის მიხედვითვე, ტრიბუნალს აქვს დისკრეცია მხარეებს პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა. LCIA-ს საარბიტრაჟო წესების მიხედვით კი,¹¹¹ ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს მხარეების მიერ წარდგინებების შეტანის განრიგი და ფორმა, ისევე როგორც მტკიცებულებების დასაშვებობის და რელევანტურობის შეფასების მკაცრი წესები. SCC-ს საარბიტრაჟო წესების 31-ე მუხლის საფუძველზე ტრიბუნალს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს მტკიცებულებების დაშვების, მათი რელევანტურობის, მნიშვნელობის საკითხები, ისევე როგორც მიუთითოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები საქმის სწორად გადასაწყვეტად. GIAC საარბიტრაჟო წესების 21-ე მუხლის მიხედვით, „საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება მიიღოს პროცედურული ზომები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წესებს ან მხარეთა შეთანხმებას.“¹¹² ამავე წესების 29-ე მუხლი კი საარბიტრაჟო ტრიბუნალს აძლევს უფლებამოსილებას განსაზღვროს მტკიცებულებათა მნიშვნელობა და მათი დასაშვებობის საკითხი, ისევე როგორც მოსთხოვოს მხარეს იმ ნებისმიერი დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა, რომელზედაც იგი ამყარებს თავის პოზიციას.

¹⁰⁸ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილი: „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია: ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება; ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს; გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.“

¹⁰⁹ ICC საარბიტრაჟო წესების მე-19 მუხლი; LCIA-ს საარბიტრაჟო წესების მუხლი 14; SCC-ს საარბიტრაჟო წესების მუხლი 23.

¹¹⁰ მუხლი 25.

¹¹¹ მუხლი 22 (1) (vi).

აღნიშნული პრინციპი ასევე აღიარებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსა თუ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში.¹¹²

4.2.3. მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა და თავიანთი პოზიციების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა

მხარეთა ნების ავტონომიასა და ტრიბუნალის დისკრეციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებს ზღვარს უდებს მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობის და მათთვის პოზიციების წარდგენის შესაძლებლობის მიცემის პრინციპი.¹¹³

აღნიშნული პრინციპები მნიშვნელოვანია მთელი ცივილიზებული სისტემებისთვის¹¹⁴ და ისინი არიან სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილი.¹¹⁵ შესაბამისად, ეს პრინციპი არის არა მხოლოდ არბიტრაჟის შესახებ კანონმდებლობების, არამედ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნაწილიც.¹¹⁶

რაც შეეხება უშუალოდ არბიტრაჟის შესახებ კანონმდებლობას, აღნიშნული პრინციპები პირდაპირ არის აღიარებული ნიუ იორკის კონვენციის, ისე UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიერ.¹¹⁷ კერძოდ, ნიუ იორკის კონვენციის V(1)(ბ) მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია თუ დამარცხებულ მხარეს სათანადო წესით არ ეცნობა პროცესის შესახებ ან მას არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი პოზიცია სხვა მიზეზით. აღნიშნული მუხლის ფარგლებში ასევე მოიაზრება შემთხვევა, როდესაც ტრიბუნალი თანასწორად არ ექცეოდა მხარეებს.¹¹⁸ ამასთან, UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-18 მუხლის მიხედვით,

¹¹² Judgment of 26 May 1994, in Van den Berg A.J. (ed.), Yearbook Commercial Arbitration, Vol. XXIII, 1998. იხ. აგრეთვე Judgment of 25 June 1992 in Van den Berg A.J. (ed.), Yearbook Commercial Arbitration, Vol. XXII, 1997. (“მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო პროცედურები თავიანთი შეთანხმებით. ამგვარი შეთანხმების არარსებობის პირობებში არბიტრები განსაზღვრავენ პროცედურას.”).

¹¹³ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 356.

¹¹⁴ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 356.

¹¹⁵ Bantekas I., An Introduction to International Arbitration, Cambridge University Press, 2015. p. 995.

¹¹⁶ Bantekas I., An Introduction to International Arbitration, Cambridge University Press, 2015. p. 995. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც ნაწილიც გახლავთ მხარის უფლება მოეპყრონ თანასწორად და ჰქონდეს შესაძლებლობა წარადგინოს მისი პოზიცია.

¹¹⁷ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 356.

¹¹⁸ Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 3520.

მხარეებს უნდა მოეპყრან თანასწორად და თითოეულ მათგანს უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა წარადგინოს მისი პოზიცია.¹¹⁹

აღნიშნული უფლება მოდელური კანონის მსგავსად (თუმცა სხვადასხვა ვარიაციით) მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობაში. კერძოდ, ინგლისის საარბიტრაჟო აქტის 33 (1) (ა) მუხლის თანახმად, ტრიბუნალმა უნდა იმოქმედოს მხარეთა მიმართ სამართლიანად და მიუკერძოებლად და მისცეს მათ გონივრული შესაძლებლობა წარადგინონ მათი პოზიციები და შეეპასუხონ ოპონენტის პოზიციას. ნათელია, რომ ინგლისის საარბიტრაჟო აქტის მიხედვით, ეს პრინციპი მოიცავს მხარის უფლებას მოექცნენ თანასწორად, ისევე როგორც მის უფლებას, წარადგინოს მისი პოზიცია და უპასუხოს ოპონენტს. ამასთან, მოდელური კანონმდებლობისგან განსხვავებით, ინგლისის საარბიტრაჟო აქტი იყენებს სიტყვას საკუთარი პოზიციის წარდგენის გონივრული (და არა სრული) შესაძლებლობა. მითითებული უფლება ასევე აღიარებულია ინგლისის სასამართლო პრაქტიკის მიერ.¹²⁰

საფრანგეთში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს უფლებას მხარეებისთვის, რომ ისინი მოსმენილ იქნენ ტრიბუნალის მიერ და მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი პოზიციები.¹²¹ ეს უფლება ასევე გათვალისწინებულია შვეიცარიის,¹²² შვედეთის¹²³ და საქართველოს¹²⁴ კანონმდებლობებში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტი პირდაპირ არ ითვალისწინებს ამ უფლებას, პრაქტიკით დადგენილია, რომ აშშ-ს სასამართლოები აღიარებენ მას.¹²⁵

საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები, როგორც წესი, ასევე შეიცავს პირდაპირ მითითებას იმაზე, რომ ტრიბუნალი მხარეებს უნდა მოეპყროს სამართლიანად და მიუკერძოებლად

¹¹⁹ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული პრინციპების დარღვევა შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ხოლო 36-ე მუხლის მიხედვით - ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

¹²⁰ *Walkinshaw v. Diniz* [2000] 2 All ER (Comm) 237 (QB) (English High Ct.).

¹²¹ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1510 მუხლი. იხ. Fortese F. and Hemmi L., *Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration*, Groningen Journal of International Law, Vol. 3 (1): International Arbitration Procedure, 2015, p. 115.

¹²² შვეიცარიის ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, მუხლი 182 (3).

¹²³ შვედეთის საარბიტრაჟო აქტი, მუხლები 21 და 24.

¹²⁴ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3: „საარბიტრაჟო წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა.“

¹²⁵ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014, p. 2168.

და უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ მათგანს ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი პოზიცია.¹²⁶

როგორც აღინიშნა, აღნიშნულ პრინციპებს უპირატესი ძალა აქვთ მხარეთა კერძო ავტონომიის და ტრიბუნალის დისკრეციის პრინციპებთან შედარებით, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა ნებისმიერი შეთანხმება, რომელშიც შესაძლოა უპირატესობა ენიჭებოდეს ერთ მხარეს მეორესთან შედარებით (მაგ. ერთ მხარეს ჰქონდეს სამი წარდგინების, ხოლო მეორეს, ერთი წარდგინების შეტანის უფლება) იქნება ბათილი, იმ შემთხვევაშიც კი თუ მისი გაფორმების დროს მას ხელი ორივე მხარემ მოაწერა.¹²⁷

ამ პრინციპთან მიმართებით ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ მხარეს ამ პრინციპზე მითითებით არ მიეცეს შესაძლებლობა ხელოვნურად და უფლების ბოროტად გამოყენებით ხელი შეუშალოს ტრიბუნალს საქმის გადაწყვეტაში. ამის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია, რომ მხარეს რაღაც ეტაპის შემდეგ დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობაც კი ჩამოერთვას (მაგ. თუ იგი ხელოვნურად აჭიანურებს საარბიტრაჟო განხილვას). თუმცა აღნიშნული უიშვიათესად და მხოლოდ და მხოლოდ ამკარა და დასაბუთებლად შემთხვევაში უნდა მოხდეს.

4.2.4. ტრიბუნალის მიერ ფაქტების მოძიების უფლებამოსილება

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებები ტრიბუნალს წარედგინება გარკვეული ფაქტების დადასტურების ან უარყოფის მიზნით.¹²⁸ აღნიშნულის კონტექსტში კი ფაქტების მოძიების პროცესი (fact-finding process)¹²⁹ არის დავის განხილვის საკვანძო პროცესი.¹³⁰ ფაქტების მოძიება და დადგენა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად არის მიჩნეული, რომელიც ყველა ტრიბუნალმა სერიოზულად უნდა მიიღოს.¹³¹ აღნიშნული ნიშნავს, ტრიბუნალი, მხარეთა დახმარებით ცდილობს, უზრუნველყოს რომ (მისი შეფასებით) ყველა საჭირო

¹²⁶ მაგალითისთვის ICC საარბიტრაჟო წესები, მუხლი 22(4); იხ. Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2172; იხ. აგრეთვე GIAC საარბიტრაჟო წესები, მუხლი 21.3.

¹²⁷ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 355.

¹²⁸ Marossi A., *The Necessity for Discovery of Evidence in the Fact-Finding Process of International Tribunals*, *Journal of International Arbitration*, 26:4, 2009. p. 512.

¹²⁹ დავის გადაწყვეტის დროს ფაქტების მოძიების რაობის და მნიშვნელობის შესახებ იხ. Ho H.L., *A Philosophy of Evidence Law*, Oxford University Press, 2008. pp. 1-50; აგრეთვე Grando T.M. *Evidence, Proof, and Fact-finding in WTO Dispute Settlement*, Oxford University Press, 2009. pp. 9-67.

¹³⁰ Hill M. F. and Delacenserie E., *Interest Criteria in Fact-finding and Arbitration: Evidentiary and Substantive Considerations*, *Marquette Law Review*, Vol. 74:399, 1991. p. 406.

¹³¹ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 376

დოკუმენტი იყოს წარდგენილი მის წინაშე. ამ კონტექსტში კი, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანია მხარეთა კერძო ავტონომიის და ტრიბუნალის დისკრეციის პრინციპები. ამასთან, საერთაშორისო არბიტრაჟში აღიარებულია, რომ პირველ რიგში მხარეებს აქვთ ვალდებულება წარადგინონ მტკიცებულებები და ტრიბუნალის უფლებამოსილება ამ მიმართულებით საკმაოდ შეზღუდულია.¹³² ამ უფლებამოსილების შეზღუდულად განმარტება კი ძირითადად გამომდინარეობს იქედან, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონი და ქვეყნების შიდა კანონმდებლობები პირდაპირ არ მიუთითებენ ამ პრინციპზე. როგორც წესი აღნიშნულ უფლებამოსილებაზე საუბარია საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესებში. ამის ერთ-ერთი მაგალითია ICC-ს საარბიტრაჟო წესების 25-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ტრიბუნალმა „პროცესი უნდა წარმართოს რაც შეიძლება მოკლე ვადაში რათა ყველა შესაბამისი ხერხით დაადგინოს საქმის ფაქტები“. თუმცა ამგვარი პირდაპირი ჩანაწერის პირობებშიც კი, ეს მუხლი განმარტებულია ვიწროდ და მიჩნეულია, რომ იგი მოიცავს ტრიბუნალის უფლებას, ნათელი მოჰფინოს მხარეთა შორის არსებულ განსხვავებულ პოზიციებს და არა იმას, რომ ტრიბუნალმა თავისი ინიციატივით დაადგინოს ფაქტი.¹³³ თუმცა, როგორც აღინიშნა, საარბიტრაჟო ტრიბუნალს, როგორც UNCITRAL-ის მოდელური კანონის, ისე შიდა კანონმდებლობების თუ საარბიტრაჟო წესების მიხედვით, აქვს შესაძლებლობა მხარეს მოსთხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტრიბუნალის მიერ ზღვარი გაივლოს იმგვარად რომ, ერთი მხრივ, მას საქმეზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები წარედგინოს, ხოლო მეორე მხრივ, არ შეითავსოს მხარის ან მხარეების (ან მათი ადვოკატების) ფუნქციები მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებით.

4.2.5. ეფექტიანობა

კიდევ ერთი პრინციპი, რომელსაც საარბიტრაჟო პროცესის წარმართვის დროს მნიშვნელობა ენიჭება, ეს არის პროცესის ეფექტიანობა. აღნიშნულ პრინციპს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში რამდენიმე განზომილება აქვს. კერძოდ, არბიტრაჟი ასოცირდება დროის და ხარჯების კუთხით განხილვის ეფექტიანად ჩატარებასთან, თუმცა იმავე მონეტის მეორე მხარე არის განხილვის ეფექტიანად ჩატარება ისე, რომ არ გაირისკოს სწორი შედეგი ან სამართლიანი პროცესი.¹³⁴

¹³² Hobér K, *International Commercial Arbitration in Sweden*, Oxford University Press, 2011. p. 211.

¹³³ Verbist H., Schäfer E. et al., *ICC Arbitration in Practice*, Second Edition), Kluwer Law International, 2015. p. 139.

¹³⁴ Fortese F. and Hemmi L., *Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration*, Groningen Journal of International Law, Vol. 3 (1): *International Arbitration Procedure*, 2015. p. 116. აღნიშნულ საკითხზე ასევე იხ. Risse J., *Ten Drastic Proposals for Saving Time and Costs in Arbitral Proceedings*, *Arbitration International*, Vol. 29 (1), 2013. pp. 453-466.

ნიუ იორკის კონვენციასა და UNCITRAL-ის მოდელურ კანონში პირდაპირ არ გვხვდება მითითება პროცესის ეფექტიანად წარმართვასთან დაკავშირებით, თუმცა ამ უკანასკნელში არის მუხლები, რომელიც ტრიბუნალს ანიჭებს უფლებას შეზღუდოს მხარეები პოზიციების წარდგენაში რათა არბიტრებს მიეცეთ შესაძლებლობა ეფექტიანად წარმართონ პროცესი.¹³⁵

ამასთანავე, ეფექტიანობის პრინციპი პირდაპირ მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის საარბიტრაჟო აქტში არის მითითებული. ინგლისის საარბიტრაჟო აქტის 33 (b) მუხლის მიხედვით, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას დავის სამართლიანად გადაწყვეტა, ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს პროცედურები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტულ საქმეზე და რომელიც თავიდან აიცილებს არასაჭირო გაჭიანურებას ან ხარჯებს. შესაბამისად, ეს მუხლი პროცესის ეფექტიანად წარმართვის ვალდებულებას აკისრებს ტრიბუნალს. თუმცა, ამავე აქტში ვხვდებით კიდევ ერთ მუხლს (მუხლი 40), რომელიც მსგავს ვალდებულებას ასევე აკისრებს ასევე პროცესის მონაწილე მხარეებს და მიუთითებს, რომ მხარეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ საარბიტრაჟო პროცესის სწრაფად და სათანადოდ ჩასატარებლად, რაც ასევე მოიცავს ტრიბუნალის მითითებების/პროცედურული დადგენილებების გაჭიანურების გარეშე შესრულებას და გადაწყვეტილებების დროულად მიღებას. ინგლისის სასამართლოების მიერ განმარტებულია, რომ ტრიბუნალის მიერ არააუცილებელი დაგვიანების და ხარჯების საწინააღმდეგო ზომების მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოდის საარბიტრაჟო აქტის 33-ე მუხლთან და მიუთითებს პროცესის არასათანადო ხარისხზე და შესაძლოა გახსნას დისკუსია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართულებით.¹³⁶

მსგავსად ამისა, შვედეთის საარბიტრაჟო აქტი მოითხოვს, რომ ტრიბუნალმა არა მხოლოდ გადაწყვიტოს საქმე მიუკერძოებლად, არამედ სწრაფად და ეფექტიანად.¹³⁷

ეფექტიანობაზე უფრო მეტ აქცენტს აკეთებს საარბიტრაჟო წესები, ვინაიდან ეფექტიანობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესახებ მხარეთა თუ ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, რადგან ეს საარბიტრაჟო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ხშირად სწორედ

¹³⁵ მაგ. UNCITRAL-ის მოდელური კანონის მუხლები 23 (2) (ტრიბუნალს შეუძლია მხარეებს შეუზღუდოს უფლება დააზუსტონ ან შეცვალონ მათი საარბიტრაჟო სარჩელი ან საარბიტრაჟო შესაგებელი თუ მას სჯერა, რომ აღნიშნული გამოიწვევს პროცესის გაჭიანურებას) და 25 (გ) (ტრიბუნალს შეუძლია განაგრძოს საარბიტრაჟო განხილვა და მიიღოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის წინაშე წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე იმ შემთხვევაშიც თუ მხარე არ წარსდგება პროცესზე ან არ წარადგენს მტკიცებულებებს).

¹³⁶ R.C. Pillar & Sons v. Edwards [2001] CILL 1799. იხ აგრეთვე Earnest D. Gallardo R. and others, Ways to Sharpen the Sword of Efficiency in International Arbitration, Young ICCA Group Papers, 2013. p. 16.

¹³⁷ შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 21-ე მუხლი.

დოკუმენტების შეგროვება წარმოადგენს პროცესის გაჭიანურების და დამატებითი ხარჯების წარმოშობის საფუძველს.¹³⁸ სწორედ აღნიშნულის გამო საარბიტრაჟო წესები, როგორც წესი, ითვალისწინებენ მითითებას ეფექტიანობაზე, რაც საკანონმდებლო საფუძველს უქმნის ტრიბუნალს აღკვეთოს გაჭიანურების მცდელობები.

მაგალითისთვის, ICC-ს საარბიტრაჟო წესების 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ტრიბუნალს აძლევს უფლებამოსილებას საარბიტრაჟო განხილვა ჩაატაროს სწრაფად და ხარჯების მხრივ ეფექტიანად და (მხარეთა შეთანხმების მხედველობაში მიღებით) გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკები ამისთვის. ამგვარი ტექნიკა კი მოცემულია ამავე წესების IV დანართში, რომლის სახელწოდებაცაა „საქმის მენეჯმენტის ტექნიკები“.¹³⁹ აღსანიშნავია, რომ ტრიბუნალს ამ ტექნიკების გამოყენება იმ შემთხვევაშიც შეუძლიათ თუ ისინი არბიტრაჟს სხვა ინსტიტუციის საარბიტრაჟო წესებით წარმართავენ.¹⁴⁰ საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას რომ ეს ტექნიკები ემსახურება მიზანს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არააუცილებელი ზეპირი პროცესები, შემოიფარგლოს მხარეთა წარდგინებები და მოწმეთა ვრცელი ზეპირი ჩვენებები.¹⁴¹

მსგავსად ამისა, LCIA-ის საარბიტრაჟო წესები მიუთითებს, რომ ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ის პროცედურები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტულ არბიტრაჟზე და თავიდან აირიდებს საქმის გაჭიანურებას და არასათანადო ხარჯებს.¹⁴²

SCC-ს საარბიტრაჟო წესების მე-2 და 23-ე მუხლების თანახმად, ტრიბუნალმა და მხარეებმა უნდა იმოქმედონ ეფექტიანად, ხოლო ტრიბუნალი ვალდებულია საქმე განიხილოს მიუკერძოებლად, ეფექტიანად და სწრაფად. მსგავს ჩანაწერს ასევე შეიცავს ICDR-ის¹⁴³ და GIAC-ის საარბიტრაჟო წესები.¹⁴⁴

ეფექტიანობის მოთხოვნას შეიცავს არა მხოლოდ ინსტიტუციური წესები, არამედ ე.წ. ad hoc საარბიტრაჟო წესები. მაგალითად UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების მე-17 მუხლი,

¹³⁸ White and Case, 2010 International Arbitration Survey: Choices in International Arbitration, 2010. p. 31. იხ. აგრეთვე Risse J., Ten Drastic Proposals for Saving Time and Costs in Arbitral Proceedings, *Arbitration International*, Vol. 29 (1), 2013. p. 460. როგორც წესი დოკუმენტების ფართოდ გამოთხოვა დღესდღეობით წესადაა მიღებული, რასაც მოსდევს ამ მოთხოვნის განხილვა, მტკიცებულებების დასაშვებობის შემოწმება, მხარეთა შესაგებლები კონფიდენციალურობაზე და ა.შ. რასაც საკმაოდ დიდი დრო და რესურსი მიაქვს.

¹³⁹ საერთაშორისო არბიტრაჟის მკვლევარები განიხილავენ სხვადასხვა ტექნიკებს, რომლებიც შესაძლოა იქნეს გამოყენებული საქმის მენეჯმენტის უკეთ წარმართვისთვის. აღნიშნულ საკითხზე იხ. (Moser 2013); Redfern A., *Efficiency in Arbitration: The Redfern Schedule*, ICCA Review, 2013. pp. 9, 12.

¹⁴⁰ Fortese F. and Hemmi L., *Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration*, *Groningen Journal of International Law*, Vol. 3 (1): *International Arbitration Procedure*, 2015. p. 121.

¹⁴¹ Fortese F. and Hemmi L., *Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration*, *Groningen Journal of International Law*, Vol. 3 (1): *International Arbitration Procedure*, 2015. p. 121.

¹⁴² LCIA-ს საარბიტრაჟო წესების მუხლი 14 (1) (II).

¹⁴³ ICDR-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 22.

¹⁴⁴ GIAC-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 21.

რომელიც აცხადებს, რომ ტრიბუნალმა თავიდან უნდა აიცილოს პროცესის გაჭიანურება და არასაჭირო ხარჯები და წარმართოს პროცესი სამართლიანად და ეფექტიანად.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალს აქვს ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ბერკეტი და დისკრეციული უფლებამოსილება საარბიტრაჟო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ პატივი უნდა სცეს მნიშვნელოვან პროცედურულ გარანტიებს (მაგ. მხარეთა უფლებას წარადგინონ საკუთარი პოზიციები, მხარეთა ნების ავტონომიას და ა.შ.). შესაბამისად, პრაქტიკაში, როგორც წესი, ეფექტიანობასა და პროცედურულ სამართლიანობას შორის შესაძლოა წარმოიშვას კონფლიქტი. როდესაც ეს ხდება, არბიტრებს უწევთ კიდევ ერთი ტესტის ჩაბარება რათა წარმოაჩინონ, რომ შესწევთ უნარი, იპოვონ საკმაოდ დელიკატური ბალანსი ამ ორ პრინციპს შორის (ისე რომ არ დაარღვიონ მხარეთა ფუნდამენტური უფლებები), რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მათ მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობას.¹⁴⁵ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეფექტიანობაზე მსჯელობის დროს, ზოგიერთი მკვლევარი უთითებს, რომ პროცედურული მაქსიმების (პრინციპების) იერარქიაში პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვის მაქსიმა ნაკლებად მნიშვნელოვანია მაქსიმაზე, რომელიც ითვალისწინებს მხარის უფლებას მიეცეს ადეკვატური და საკმარისი შესაძლებლობა წარადგინოს მისი პოზიცია.¹⁴⁶ შესაბამისად, ტრიბუნალმა კარგად უნდა განსაჯოს ყველა პროცედურული საკითხი (მათ შორის მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები) სანამ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას ეფექტიანობის პრინციპზე დაყრდნობით.

4.2.6. საჯარო წესრიგი

როგორც აღინიშნა, მხარეებს აქვთ კერძო ავტონომია განსაზღვრონ საარბიტრაჟო პროცესის წარმართვის პროცედურები, მათ შორის მტკიცებულებების მოპოვებასთან და წარდგენასთან დაკავშირებული წესები, ხოლო მეორე მხრივ, ტრიბუნალს აქვს დისკრეცია, შეთანხმების არარსებობის პირობებშიც კი განსაზღვროს შესაბამისი პროცედურული წესები. თუმცა, მხარეებმა საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ უნდა მიანიჭონ (ისევე როგორც ტრიბუნალმა არ უნდა გამოიყენოს) იმგვარი უფლებამოსილება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა იმ ქვეყნის სავალდებულო (იმპერატიულ) წესებთან და საჯარო წესრიგთან, სადაც არბიტრაჟს აქვს მისი ადგილსამყოფელი. ერთი ამგვარი სავალდებულო (იმპერატიული) წესი მოითხოვს, რომ საარბიტრაჟო განხილვის ყველა

¹⁴⁵ Fortese F. and Hemmi L., Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration, Groningen Journal of International Law, Vol. 3 (1): International Arbitration Procedure, 2015. p. 121.

¹⁴⁶ Blessing M., The ICC Arbitral Process. Part III: The Procedure before the Arbitral Tribunal, ICC International Court of Arbitration Bulletin Vol. 3 No. 2, 1992. p. 31; იხ. აგრეთვე Derains Y. and Schwartz E., A Guide to the ICC Rules of Arbitration, Kluwer Law International, 2005. p. 273.

მხარეს უნდა ჰქონდეს საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მისი პოზიციები საქმესთან დაკავშირებით.¹⁴⁷ წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითი პროცესის ფუნდამენტური და კონსტიტუციური უფლება. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, საჯარო წესრიგი შეიძლება განიმარტოს როგორც ის ნორმები, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის (ან საერთაშორისო საზოგადოების) სამართლიანობის ფუნდამენტურ იდეას და ემსახურებიან საჯარო ინტერესის დაცვას.¹⁴⁸

უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფენ მატერიალურ¹⁴⁹ და პროცესუალურ საჯარო წესრიგს.¹⁵⁰ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია პროცესუალური საჯარო წესრიგი, ვინაიდან საკვლევი საკითხი შეეხება დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენას, რაც პროცედურულ საკითხს წარმოადგენს.

ნიუ იორკის კონვენცია ირიბად აღიარებს და სამართლებრივი ძალის მქონედ მიიჩნევს სავალდებულო მოთხოვნას საარბიტრაჟო პროცესის პროცედურულ სამართლიანობაზე. აღნიშნულს კი ის აკეთებს იმაზე მითითებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება შეიძლება არ განხორციელდეს თუ საერთაშორისო მოთხოვნები პროცედურულ სამართლიანობაზე პროცესის განმავლობაში არ იყო დაკმაყოფილებული. იგი აგრეთვე ტოვებს ადგილს შიდა კანონმდებლობის სავალდებულო არადისკრიმინაციული წესების გამოყენებით ცნობა აღსრულებაზე უარის თქმისთვის.¹⁵¹ კერძოდ, ნიუ იორკის კონვენციის V (1) (b) მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია თუ

¹⁴⁷ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 357.

¹⁴⁸ იხ. უფრო დეტალურად საჯარო წესრიგის გაგებაზე და მის მნიშვნელობაზე იხ. Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. pp. 3646–3694.

¹⁴⁹ იხ. ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013. გვ. 17. „თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომაა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და, შესაბამისად, საჯარო წესრიგის დარღვევად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ სახელმძღვანელო დებულებების არასწორი განმარტება, სამართლებრივი ურთიერთობების არასწორი კვალიფიკაცია თუ მტკიცებულებათა შეფასების წესი. არც სავალდებულო, იმპერატიული ნორმების დარღვევა შეიძლება ავტომატურად მიჩნეულ იქნეს საჯარო წესრიგის დარღვევად. იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგის საფუძველით იქნეს გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან. როგორც სინგაპურისა და ახალი ზელანდიის სასამართლოებმა დაადგინეს, იგი „ცნობიერებისთვის შოკისმომგვრელ“ შედეგს უნდა იწვევდეს.“

¹⁵⁰ იხ. ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013. გვ. 16-19.

¹⁵¹ Born G.B., International Arbitration: Law and Practice, Kluwer Law International, 2012. p. 152.

მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება სათანადოდ არ მიიწვიეს განხილვაზე ან თუ მას სხვა გარემოებების გამო არ ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა მისი პოზიცია. ასევე, მუხლი V(2)(b) პოტენციურად გამოსაყენებელია ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმისთვის, როდესაც მნიშვნელოვანი პროცედურული არასამართლიანობა წარმოადგენს შიდა თუ საერთაშორისო საჯარო წესრიგის დარღვევას.¹⁵²

მსგავსად ნიუ იორკის კონვენციისა, ქვეყნების შიდა კანონმდებლობები და სასამართლო გადაწყვეტილებები მოითხოვს, რომ საარბიტრაჟო განხილვებმა, რომლებიც იმართება კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე დააკმაყოფილოს სამართლიანობის და თანასწორობის მინიმალური სტანდარტები. ამ სტანდარტებს მოიხსენიებენ როგორც „სამართლიან პროცესს“ (“due process”),¹⁵³ „ბუნებით სამართალს“ (“natural justice,”) ან „პროცედურული თანმიმდევრულობას“ (“procedural regularity”).¹⁵⁴

UNCITRAL-ის მოდელური კანონი არის კარგი ილუსტრაცია ამგვარი სავალდებულო მოთხოვნისა პროცედურული სამართლიანობის შესახებ. მე-18 მუხლი პირდაპირ აცხადებს, რომ მხარეებს ტრიბუნალი უნდა მოექცეს თანასწორად და თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციების წარდგენის შესაძლებლობა. ასევე, მოდელური კანონი მე-19 მუხლში უთითებს, რომ ეს მოთხოვნა სავალდებულოა მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა საპირისპიროზე ან ტრიბუნალის საპირისპირო ქმედებისა. სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობები ასევე შეიძლება ითვალისწინებენ მსგავს მითითებებს.¹⁵⁵

ყველა ქვეყანას თავისი პროცედურული წესები აქვს დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. თუმცა თითოეული ქვეყნის რომელიმე პროცედურული წესის დარღვევა ავტომატურად არ ჩაითვლება საჯარო წესრიგის დარღვევად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ნიუ იორკის კონვენცია ტოვებს ადგილს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის სავალდებულო წესების და საჯარო წესრიგის გამოყენებისთვის, საერთაშორისო არბიტრაჟში საჯარო წესრიგი განიმარტება ვიწროდ საერთაშორისო არბიტრაჟის საერთაშორისო ბუნების და ჰარმონიზაციის მიზნებიდან

¹⁵² Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. p. 152.

¹⁵³ *ib. Garcia J., The Role of Public Policy in International Commercial Arbitration, LAW & POL'Y INT' L BUS*, 1990. p. 413.

¹⁵⁴ Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. p. 152.

¹⁵⁵ *ib. მაგალითად შვეიცარიის საერთაშორისო კერძოს სამართლის შესახებ ფედერალური კანონის მუხლი 182(3). ასევე ინგლისის საარბიტრაჟო აქტი მიუთითებს (მუხლი 1), რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ თუ როგორ სურთ თავიანთი დავის გადაწყვეტა, თუმცა მხოლოდ საჯარო ინტერესის დაცვის საჭიროების გათვალისწინებით.*

გამომდინარე.¹⁵⁶ შესაბამისად, მიღებულია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟისთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ე.წ. საერთაშორისო საჯარო წესრიგი.¹⁵⁷

საერთაშორისო საჯარო წესრიგს საერთაშორისო სამართლის ასოციაცია სამ კატეგორიად ყოფს: (1) სამართლიანობის და მორალის ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც სახელმწიფოს სურს დაიცვას მაშინაც კი, როდესაც ისინი პირდაპირ შემხებლობაში არ არიან ამ სახელმწიფოსთან; (2) წესები რომლებიც ემსახურებიან სახელმწიფოს ძირეულ პოლიტიკურ, სოციალურ ან ეკონომიკურ ინტერესებს; (3) სახელმწიფოს ვალდებულება, პატივი სცეს სხვა სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ვალდებულებებს.¹⁵⁸ ამოსავალი წერტილი ტერმინის შეზღუდული ფარგლებია, რაც განპირობებულია იმით, რომ საჯარო წესრიგი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების უარყოფის იშვიათი საფუძველი უნდა იყოს.¹⁵⁹

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სავალდებულო დებულებების და საჯარო წესრიგის შემადგენელი ნორმების გვერდის ავლა მხარეებს და ტრიბუნალს არ შეუძლიათ. მაგალითისთვის, მხარეებს არ შეუძლიათ უარი თქვან თუნდაც საკუთარ სამართლიანი სასამართლოს და თანასწორი მოპყრობის უფლებაზე.¹⁶⁰

¹⁵⁶ ვიწრო განმარტებას ემხრობიან პრო-საარბიტრაჟო რეჟიმის ქვეყნები. იხ. შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილება *KS AG v CC SA Camera di Esecuzione e Fallimenti* [Execution and Bankruptcy Chamber], Canton Tessin, Not Indicated, 19 June 1990. იხ. აგრეთვე აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილება *Parsons & Whittemore Overseas Co Inc v Société General de L'Industrie du Paie (RAKTA)*, 508 2d 969 (2d Cir. 1974); იტალიის სასამართლოების გადაწყვეტილებები: *S.A. Pando Compania Naviera v. S.a.S. Filmo*, 1976 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, *Efxinos Shipping Co. Ltd. v. Rawi Shipping Lines Ltd.*, 1980 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება, *Rocco Giuseppe e Figli s.n.c. v. Federal Commerce and Navigation Ltd.*, 1982 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება. იხ. *Schwebel S.M., Lahne S.G., Public Policy and Arbitral Procedure*, ICCA Congress Series no. 3, 1986. p. 214.

¹⁵⁷ საერთაშორისო საჯარო წესრიგის შესახებ დეტალურად იხ. Ghodoosi F., *International Dispute Resolution and the Public Policy Exception*, Routledge, 2017. pp. 108-144.

¹⁵⁸ იხ. ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013. გვ. 19; იხ. აგრეთვე ILA, *Resolution 2/2002, Recommendations on the Application of Public Policy as a Ground for Refusing Recognition or Enforcement of International Arbitral Awards*, რეკომენდაცია 1 (დ).

¹⁵⁹ ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013. გვ. 19.

¹⁶⁰ იხ. აშშ-ს ერთ-ერთი სასამართლოს გადაწყვეტილება *Baravati v. Josephthal, Lyon & Ross*, 28 F.3d 704, 709 (7th Cir. 1994).

4.3. მტკიცებულებებთან დაკავშირებით კონკრეტული ქვეყნის შიდა წესების (საპროცესო ნორმების) გამოყენების დაუშვებლობა

საერთაშორისო არბიტრაჟში ისტორიულად არსებობდა შეხედულება, რომ ტრიბუნალს შეეძლო მტკიცებულებების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები „ესესხა“ იმ ქვეყნის შიდა (პროცესუალური) კანონმდებლობიდან, სადაც არბიტრაჟს ჰქონდა ადგილსამყოფელი.¹⁶¹ თუმცა აღნიშნული მიდგომა ამჟამად უარყოფილია.¹⁶² მიღებული მოსაზრების თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის (მით უფრო - სხვა ნებისმიერი ქვეყნის) ადგილობრივი წესები თუ პრაქტიკა მტკიცებულებებთან (მათი მოპოვების და წარდგენის პროცედურებთან) დაკავშირებით პირდაპირ (და ავტომატურად) არ არის გამოსაყენებელი არც ერთი სახის არბიტრაჟში.¹⁶³ აღნიშნული პრინციპი დადასტურებულია როგორც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების¹⁶⁴ მიერ, ისე საერთაშორისო კომერციული¹⁶⁵ და საინვესტიციო ტრიბუნალების მიერ.¹⁶⁶ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის არჩევა მხარეთა მიერ არ ნიშნავს, რომ ავტომატურად მოხდება ამ ადგილის (ქვეყნის) მტკიცებულების შესახებ წესების გამოყენება.

სხვაგვარად იქნება საქმე თუ მხარეები პირდაპირი მითითების გზით შეთანხმდებიან კონკრეტულ სამართლებრივ სისტემაში არსებული პროცედურული (მათ შორის მტკიცებულების შესახებ) წესების გამოყენებაზე, მაშინ ტრიბუნალმა პატივი უნდა სცეს ამას.¹⁶⁷

თუმცა, მხარეთა მიერ ამგვარ შიდა წესებზე შეთანხმება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი მოიცავს არა მხოლოდ მიუკერძოებელი და საერთაშორისო გამოცდილების მქონე არბიტრის მიერ, არამედ ნეიტრალური პროცესის საფუძველზე დავის გადაწყვეტასაც, რომლის ფარგლებშიც

¹⁶¹ Craig W., Park W, Paulsson J., International Chamber of Commerce Arbitration, Oceana Publications, 2000. p. 423.

¹⁶² O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 6.

¹⁶³ Born G.B., International Arbitration: Cases and Materials (Second Edition), International; Kluwer Law International, 2015. p. 777. იხ. აგრეთვე O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. pp. 6; 10. Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. pp. 2130-38, 2150-53, 2161-62.

¹⁶⁴ Rintin Corp SA v Domar Ltd, 374 F.Supp. 2d 1165 (SD Fla. 2005); Chantiers de l'Atlantique SA v Gaztransport & Technigaz SAS [2011] EWHC 3383 (Comm).

¹⁶⁵ იხ. ICC Case No. 12124 in ICC Bulletin, 2010 Special Supplement: Decisions on ICC Arbitration Procedure, 2010. p. 32.

¹⁶⁶ Tradex Hellas SA v Republic of Albania, ICSID Case No. ARB/94/2.

¹⁶⁷ LaPine v Kyocera Corp, 2008 US Dist. LEXIS 41172, 26–27 (ND Cal. 22 May 2008); LCIA Case No. 5680, Final Award, para. 5.4 (2006).

გამოყენებული იქნება მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ერთ-ერთი მხარისთვის არ იქნება უპირატესობის მიმნიჭებელი.¹⁶⁸ ეს პოზიცია მხარდაჭერილია თანამედროვე საარბიტრაჟო კანონმდებლობებში, როგორცაა მაგალითად UNCITRAL-ის მოდელური კანონი, რომელიც არ აკეთებს მითითებას დოკუმენტების შესახებ ადგილობრივი პროცედურული წესების გამოყენებაზე.¹⁶⁹ უფრო მიღებული მიდგომაა, რომ საარბიტრაჟო განხილვის დროს გამოყენებული იყოს მხარეთა მიერ, არბიტრაჟის საერთაშორისო ბუნების გათვალისწინებით, სპეციალურად საარბიტრაჟო განხილვისთვის შემუშავებული და შეთანხმებული წესები, ან რბილი სამართალი, რომელიც მტკიცებულებებთან დაკავშირებით არსებობს.

4.4. (დოკუმენტური) მტკიცებულებების წარდგენის შესახებ დეტალური წესების დადგენა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის პროცედურულ, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის წესებზე, ხოლო მხარეთა შეთანხმების არარსებობის პირობებშიც კი ტრიბუნალს შეუძლია შეიმუშავოს დამატებითი წესები მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ. UNCITRAL-ის მოდელურ კანონზე მითითების დროს აღინიშნა, რომ თუ მხარეები ამგვარ კონკრეტულ წესებზე შეთანხმდებიან, ტრიბუნალმა პატივი უნდა სცეს და უნდა მიჰყვეს მათ.¹⁷⁰

ამასთან, შეიძლება განვასხვავოთ ერთი მხრივ, მხარეთა შეთანხმება სპეციფიკურ და კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც არ ტოვებს ადგილს ინტერპრეტაციისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მხარეთა ზოგადი შეთანხმება დოკუმენტების წარდგენაზე, რომელიც იძლევა ინტერპრეტაციების საშუალებას. მაგალითად, თუ მხარეები შეთანხმდნენ რომ მხოლოდ რელევანტური და მნიშვნელოვანი დოკუმენტური მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოთხოვილი, ტრიბუნალს ექნება უფლება და შესაძლებლობა შეაფასოს რომელი დოკუმენტი არის მნიშვნელოვანი და რომელი უმნიშვნელო. შესაბამისად, თუ მხარეები შეთანხმდებიან გამოსაყენებელ წესებზე, ტრიბუნალი მაინც ინარჩუნებს გარკვეულ დისკრეციას ამ წესების ფარგლებში. თუმცა ზოგჯერ ეს წესები იმდენად ვიწრო და კონკრეტულია, რომ შესაძლოა არ ტოვებდნენ ტრიბუნალის დისკრეციის და ინტერპრეტაციის ადგილს.¹⁷¹ მაგალითისთვის გერმანიის ერთ-ერთმა სასამართლომ

¹⁶⁸ იხ. Robert J., Administration of Evidence in International Commercial Arbitration in Pieter Sanders (ed), Yearbook Commercial Arbitration, Vol. I, 1976. p. 222; Paulsson J., International Arbitration is Not Arbitration, Stockholm International Arbitration Review, n. 2, 2008. p. 1.

¹⁶⁹ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 7.

¹⁷⁰ იხ. ქვეთავი 4.2.1 ზემოთ.

¹⁷¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. pp. 44-45.

გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ვინაიდან ჩათვალა, რომ ტრიბუნალმა დაარღვია მხარეთა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა რომ მოთხოვნის შემთხვევაში მხარეებს ტრიბუნალისთვის უნდა წარედგინათ ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც გადაცემული ჰქონდათ მათ მიერ დაქირავებულ ექსპერტებს.¹⁷² სასამართლომ აღნიშნა, რომ შეთანხმებული პროცედურის დაცვა სავალდებულო იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის და ის არ ტოვებდა ტრიბუნალის დისკრეციის ადგილს.¹⁷³ ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებიდან არა ყოველგვარ გადახვევას შეუძლია საფრთხე შეუქმნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და მის აღსრულებადობას, არამედ მხოლოდ სერიოზულ დარღვევას, რადგან ამ შემთხვევაში მოქმედებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასარგებლო პრეზუმცია და მის დასაძლევად სტანდარტი უფრო მაღალია.¹⁷⁴ გერმანულ საქმეში, დარღვევა იყო სერიოზული, რადგან მხარემ 1200 დოკუმენტიდან წარადგინა მხოლოდ 110, რამაც გავლენა იქონია საბოლოო გადაწყვეტილებაზე.¹⁷⁵

ამჟამად მიჩნეულია, რომ კარგია, როდესაც მხარეები, რომლებიც საარბიტრაჟო განხილვაში არიან ჩართულნი, ქმნიან პროცედურულ განრიგს. ICC-ს საარბიტრაჟო წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეებს აქვთ უფლება გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები როგორც პროცედურული წესების და განრიგის შექმნამდე, ასევე მოითხოვონ ცვლილება უკვე შექმნილ პროცედურულ წესებში.¹⁷⁶ SCC-ს საარბიტრაჟო წესები მიუთითებს, რომ ტრიბუნალი ქმნის პროცედურულ განრიგს მხარეებთან კონსულტაციისთვის.¹⁷⁷ თუმცა ამ შემთხვევაში, თუ მხარეების ჩართვით მოხდება შესაბამისი პროცედურული განრიგის და წესების შედგენა, ეს მაინც ტრიბუნალის მიერ შედგენილ პროცედურულ წესებად ითვლება.

პროცედურული განრიგის თუ წესების შექმნაში მხარეთა ჩართვის სასარგებლო არგუმენტად იშველიებენ იმას, რომ როდესაც მხარეთა მოლოდინები არის მხედველობაში მიღებული ადრეულ ეტაპზე, ეს, როგორც წესი, თავიდან ირიდებს მხარეთა დავას მტკიცებულებების წარდგენის შესახებ უფრო გვიანდელ ეტაპებზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში მხარეებს ექმნებათ სამართლიანობის განცდა. ამისთვის კი

¹⁷² OLG Frankfurt am Main, 17.02.2011 - 26 Sch 13/10.

¹⁷³ OLG Frankfurt am Main, 17.02.2011 - 26 Sch 13/10.

¹⁷⁴ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 3561.

¹⁷⁵ OLG Frankfurt am Main, 17.02.2011 - 26 Sch 13/10.

¹⁷⁶ ICC-ს საარბიტრაჟო წესების მუხლი 24(1) და მუხლი 24(3).

¹⁷⁷ SCC-ს საარბიტრაჟო წესების 28-ე მუხლი. იხ. აგრეთვე შვეიცარიის საარბიტრაჟო წესების მუხლი 19, რომელიც ითვალისწინებს იდენტურ დანაწესს.

მხარეებთან კონსულტაციები ამ საკითხზე უნდა გაიმართოს ადრეულ პროცედურულ კონფერენციაზე ან საქმის მენეჯმენტის კონფერენციაზე.¹⁷⁸

თუმცა, როდესაც პროცედურული და, მათ შორის, დოკუმენტების წარდგენის შესახებ წესების დადგენა ხდება მხარეთა ჩართულობით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი კონკრეტულ წესზე ან წესებზე ვერ თანხმდებიან, რა დროსაც ირთვება ე.წ. ტრიბუნალის დისკრეცია და მას ენიჭება უფლება დადგინოს კონკრეტული პროცედურული წესი.¹⁷⁹

ამგვარი წესების შექმნაზე ფიქრის დროს მნიშვნელოვანია განჭვრეტადობაც. შესაბამისად, ხშირად წინასწარ ჩამოყალიბებული წესის გათვალისწინება განჭვრეტადობის კუთხით მხარეებისთვის უკეთესია, ვიდრე „ტვინის ჭყლეტვა“ თუ როგორ (როგორი წესის გამოყენებით) გადაჭრას კონკრეტული პრობლემური საკითხი.¹⁸⁰ ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ მხარეების მონაწილეობით თუ მათ გარეშე ტრიბუნალის მიერ მიღებული უკვე წინასწარ ჩამოყალიბებული პროცედურული წესები იყოს ისეთი, რომ მასში გათვალისწინებული იყოს საქმის კომპლექსურობა და დავის საგნის სიდიდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასაჭირო დამატებითი ხარჯები და გაჭიანურება.¹⁸¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილვის დროს ამგვარი წინასწარ ჩამოყალიბებული წესების უპირობოდ აღების და გამოყენების მიმართ არსებობს კრიტიკაც. არსებული კრიტიკის თანახმად, ეს მაინც გამოიწვევს დავას მხარეებს შორის მტკიცებულებების წარდგენის ნაწილში, რადგან ისინი (ვინაიდან წესები უშუალოდ მათი შექმნილი არ არის) მაინც გადაუხვევენ მათ.¹⁸² ამის გათვალისწინებით, პატარა და მარტივ საქმეებში შესაძლოა არ იყოს მიზანშეწონილი დოკუმენტების წარდგენის შესახებ დეტალური წესების დადგენა, თუმცა მნიშვნელოვან და დიდ საქმეებში, სადაც დავის საგანიც დიდია, ამგვარი დოკუმენტური მტკიცებულებების შესახებ დეტალური წესების, და განსაკუთრებით განრიგის შეუქმნელობას შესაძლოა მოყვეს სერიოზული უარყოფითი შედეგი საარბიტრაჟო პროცესის ხარჯებთან და დროსთან მიმართებით. შესაბამისად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დოკუმენტების გამოთხოვა უნდა მოხდეს, კარგია თუ

¹⁷⁸ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. p. 45.

¹⁷⁹ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. p. 45.

¹⁸⁰ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. pp. 45-46. იხ. აგრეთვე *Burnet v Coronado Oil and Gas Co.*, 285 U.S. 393, 447 (1932).

¹⁸¹ იხ. ICC, *Effective Management of Arbitration: A Guide for In-House Counsel and Other Party Representatives*, 2017. p. 4.

¹⁸² Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. p. 46.

ტრიბუნალს ექნება დადგენილი განრიგი თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული.¹⁸³

ამასთან, პროცედურა დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის შესახებ შესაძლოა შედგეს ცალკე დოკუმენტად ან მას მოიცავდეს ზოგადი პროცედურული წესები და წინასწარი განრიგი პირველ პროცედურულ დადგენილებაში.¹⁸⁴

თუმცა, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ პროცესის ადრეულ ეტაპზე მხარეებმა ვერ გაითვალისწინონ დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის საჭიროება და შესაბამისად, განრიგში არ გაითვალისწინონ აღნიშნულზე რაიმე წესი. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია პროცედურა შეთანხმდეს მოგვიანებით, პროცედურული დადგენილების ფორმით ერთხელ, ან საჭიროების შემთხვევაში რამდენჯერმე.¹⁸⁵

შესაძლოა ასევე ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან რბილ სამართალზე (მაგ. IBA-ს წესები). ამ დროს, მათ ანდა ტრიბუნალს ასევე აქვთ შესაძლებლობა ამ ჩარჩოს ფარგლებში დაადგინონ უფრო ზუსტი და დეტალური წესები, რომლებიც შეავსებენ მათ. აღნიშნულის მაგალითი შეიძლება იყოს არბიტრაჟზე მორგებული განრიგი, რომელიც წვლილს შეიტანს განხილვის უფრო ეფექტიანად ჩატარებაში.¹⁸⁶ თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მხარეებს შეიძლება ამ პროცესში სხვადასხვა ინტერესი ჰქონდეთ ან მათ მიერ შემოთავაზებული შეთანხმება საფრთხეს უქმნიდეს საარბიტრაჟო პროცესის ეფექტიანად ჩატარებას. ასეთ დროს ტრიბუნალს აქვს შესაძლებლობა მხარეებს შესთავაზოს განსხვავებული, მისი პოზიციით პროცესზე უფრო მორგებული პროცედურული განრიგი.

პროცედურული წესების შემუშავებაზე სხვადასხვა არბიტრაჟს სხვადასხვა მიდგომა აქვს. მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეში ICC-ს ტრიბუნალმა არ მიუთითა დოკუმენტური მტკიცებულების საკითხის შესახებ წესები განხილვის პირობებში,¹⁸⁷ თუმცა დაადგინა შესაბამისი წესები პროცედურულ დადგენილება No. 2-ში და შექმნა სპეციალური განრიგი დოკუმენტების წარსადგენად, რომელშიც, მაგალითად მიუთითა, რომ

¹⁸³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 46.

¹⁸⁴ იხ. Tercier P.D., Bersheda T., Document Production in Arbitration: A Civil Law Viewpoint in Search for Truth in Arbitration: Is Finding the Truth what Dispute Resolution is About?, ASA Special Series No. 35, 2011. p. 93; იხ. მოდელური პროცედურული დადგენილება No. 1. Grierson J. Van Hoof A., Arbitrating under the 2012 ICC Rules, Kluwer Law International, 2012. pp. 307-313.

¹⁸⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 47.

¹⁸⁶ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 47.

¹⁸⁷ Terms of Reference. ICC-ს საარბიტრაჟო წესებით გამართული არბიტრაჟის ფარგლებში პროცედურული დადგენილება No. 1 - ის ფუნქციას აღნიშნული დოკუმენტი ასრულებს.

„დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს დოკუმენტები გონივრული სიცხადით და უნდა იყოს განმარტებული რატომ არიან ისინი მნიშვნელოვანი და რელევანტური საქმის გადაწყვეტისთვის.“ სხვა საქმეში, ტრიბუნალმა ასევე არაფერი თქვა დოკუმენტური მტკიცებულებების საკითხზე განხილვის პირობებში, თუმცა ამ საკითხს შეეხო პროცედურულ დადგენილება No. 1-ში, რომელშიც ასევე გაითვალისწინა განრიგი, დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის ზოგადი პროცედურები, ისევე როგორც მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნის წინაპირობები. კიდევ ერთ საქმეში, ტრიბუნალმა პროცედურული წესები დანართად დაურთო განხილვის პირობებს. მასში სხვა მოთხოვნებთან ერთად მითითებული იყო, რომ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა წარდგენილიყო ე.წ. „რედფერნის ცხრილის“ ფორმით.¹⁸⁸

შესაბამისად, ნათელია, რომ მხარეებს და ტრიბუნალს შეუძლიათ შეიმუშაონ პროცედურული წესები მათ შორის დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის და გამოთხოვის შესახებ წესები, განრიგი და პროცედურები. თუმცა, მსგავსი წესების შემუშავების დროსაც უნდა მოხდეს გარკვეული საკითხების გათვალისწინება, რაც დაკავშირებულია მხარეთა ნების ავტონომიასთან, ტრიბუნალის დისკრეციასთან და საჯარო წესრიგთან.

4.5. რბილი სამართლის გამოყენება

როგორც უკვე აღინიშნა მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის დროს რბილი სამართლის გამოყენებაზე, ისევე როგორც ტრიბუნალები არიან უფლებამოსილნი გამოიყენონ მსგავსი წესები როგორც სახელმძღვანელო პრინციპები.

როგორც სამართლის მრავალი დარგი, რბილი სამართალი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა ბოლო დეკადის განმავლობაში და მზარდი ტენდენციით მიიღო რბილი სამართლის წესების ფორმა, რომლებსაც „რბილი სამართლის კოდექსებსაც უწოდებენ“.¹⁸⁹

რბილი სამართლის ნორმები არის გაგებული როგორც ნორმები, რომელთა საჯარო ძალით აღსრულება არ ხდება. ეს ნორმები არ არის დადგენილი სახელმწიფოების, მათი საკანონმდებლო ორგანოების, მთავრობების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

¹⁸⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 47-48.

¹⁸⁹ Lüth F. Wagner P., Soft Law in International Arbitration-Some Thoughts on Legitimacy, StudZR, Vol. 3, 2012. p. 410.

ისინი შესაძლებელია შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო ინსტიტუციების თუ სავაჭრო ასოციაციების მიერ.¹⁹⁰

გამოყოფენ მატერიალურ და პროცედურულ რბილ სამართალს. მატერიალური რბილი სამართლის ტიპური მაგალითებია უნიდროას პრინციპები საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების შესახებ (UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT Principles)), ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (the Lando Principles on European Contract Law (PECL)), კორპორაციული მართვის და ქცევის კოდექსი (OECD Principles of Corporate Governance).¹⁹¹

რაც შეეხება პროცედურულ რბილ სამართალს, საერთაშორისო არბიტრაჟის სფეროში ამგვარი რბილი სამართლის მაგალითები შემდეგია: IBA-ს წესები, IBA-ს გზამკვლევი საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ,¹⁹² UNCITRAL-ის მოდელური კანონი,¹⁹³ წესები საერთაშორისო არბიტრაჟში პროცესის ეფექტიანად ჩატარების შესახებ (პრადის წესები)¹⁹⁴. ბუნებრივია კიდევ არსებობს რბილი სამართლის სხვა წესები და მათ შორის ზოგიერთი დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ.

რბილი სამართლის გამოყენების დამკვიდრება უკავშირდება ამგვარი წესების გამოყენებით მიღებულ ბენეფიტებს. კერძოდ, მისი გამოყენებით ხდება წონასწორობის დადგენა სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის.¹⁹⁵ ამასთანავე, ამგვარი მექანიზმები ხელს უწყობენ სამართლის ჰარმონიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო არბიტრაჟში. კერძოდ, ისინი ფოკუსირებულნი არიან უნივერსალური გამოყენების და არა რეგიონალური ინსტრუმენტების გამოყენებაზე.¹⁹⁶ შესაბამისად,

¹⁹⁰ Kaufmann-Kohler G., Soft Law in International Arbitration: Codification and Normativity, *Journal of International Dispute Settlement* 1(2), 2010. p. 284; სხვადასხვა მიმართულებით ე.წ. რბილ სამართალს ქმნიან შემდეგი ინსტიტუციები: IBA, CIArb, UNCITRAL, კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო (ICCA), ICC და ა.შ. იხ. Fernández Arroyo D., Soft Law and Arbitral Procedure: A Conditioned but Inescapable Couple, *European International Arbitration Review*, Vol. 7:2, 2018. p. 72.

¹⁹¹ იხ. Lüth F. Wagner P., Soft Law in International Arbitration—Some Thoughts on Legitimacy, *StudZR*, Vol. 3, 2012. p. 412. ვინაიდან წინამდებარე დისერტაციის კვლევის საგანი მიეკუთვნება პროცედურულ სამართალს, ამიტომ მატერიალური რბილი სამართლის საკითხები დეტალურად განხილული არ იქნება.

¹⁹² IBA Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration.

¹⁹³ იხ. Kaufmann-Kohler G., Soft Law in International Arbitration: Codification and Normativity, *Journal of International Dispute Settlement* 1(2), 2010. p. 287.

¹⁹⁴ იხ. Ostas L. Tomszyk B., Planning and Organizing Effective Procedures for Taking Evidence, *Global Arbitration Review*, 2021.

¹⁹⁵ Park W., The Procedural Soft Law of International Arbitration: Non-Governmental Instruments. In Mistelis L., Lew, J. D. M., *Pervasive problems in International arbitration*. Alphen aan den Rijn: Kluwer Law International, 2006. p. 144.

¹⁹⁶ Kaufmann-Kohler G., Soft Law in International Arbitration: Codification and Normativity, *Journal of International Dispute Settlement* 1(2), 2010. p. 287.

ზოგიერთი ამგვარი სამართალი მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც გამოიყენება და საბოლოო ჯამში მიისწრაფვის სამართლის უკეთესი ხარისხით განხორციელებისკენ.¹⁹⁷

რბილი სამართლის წარმატებულ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ IBA-ს წესები მტკიცებულებების მიღების შესახებ თუ იმავე ინსტიტუციის გზამკვლევი ინტერესთა კონფლიქტში. ისეთი გამოცდილი საარბიტრაჟო ინსტიტუციებიც კი, როგორებიცაა ICC და LCIA იყენებენ აღნიშნული რბილი სამართლის ნორმებს. მსგავსად ამისა, აშშ-ს სასამართლოებიც კი იყენებენ რბილი სამართლის ნორმებს აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტის განსამართლებად.¹⁹⁸ ასევე, მიუხედავად მათი არასავალდებულო ხასიათისა, ვერავინ უარყოფს საარბიტრაჟო ინსტიტუციების მიერ გამოქვეყნებულ ინსტრუმენტებს, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას ამ ინსტიტუციის წესების გამოყენების შესახებ.¹⁹⁹

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რბილ სამართალზე დაყრდნობით მხარეები ცდილობენ საარბიტრაჟო პროცესის სამართლიანად და განჭვრეტადად ჩატარებას. რბილი სამართლის გამოყენების გარეშე კი მხარეები დიდი ალბათობით წააწყდებიან უფრო მეტ გაუთვალისწინებელ საკითხს პროცესის დროს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რბილ სამართალზე მხარეების შეთანხმების ან ტრიბუნალის მიერ მისი გამოსაყენებლად არჩევის შემდეგ ის ხდება სავალდებულოდ გამოსაყენებელი. თუმცა, ამგვარი შეთანხმების ან ტრიბუნალის მიერ გამოსაყენებლად არჩევის არარსებობის დროსაც კი იგი, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი შეიძლება იყოს გამოყენებული.²⁰⁰

4.5.1. IBA-ს წესები

საერთაშორისო არბიტრაჟში ყველაზე გავლენიან რბილი სამართლის წესებად მიჩნეულია IBA-ს წესები.²⁰¹ აღნიშნული წესები შექმნილია საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის

¹⁹⁷ Fernández Arroyo D., *Soft Law and Arbitral Procedure: A Conditioned but Inescapable Couple*, *European International Arbitration Review*, Vol. 7:2, 2018. p. 74.

¹⁹⁸ Fernández Arroyo D., *Soft Law and Arbitral Procedure: A Conditioned but Inescapable Couple*, *European International Arbitration Review*, Vol. 7:2, 2018. p. 75.

¹⁹⁹ Fernández Arroyo D., *Soft Law and Arbitral Procedure: A Conditioned but Inescapable Couple*, *European International Arbitration Review*, Vol. 7:2, 2018. p. 75.

²⁰⁰ Fernández Arroyo D., *Soft Law and Arbitral Procedure: A Conditioned but Inescapable Couple*, *European International Arbitration Review*, Vol. 7:2, 2018. p. 75.

²⁰¹ IBA-ს ქვეკომიტეტის კვლევის თანახმად, 173 რესპონდენტისგან 43%-მა განაცხადა, რომ ისინი IBA-ს წესებს იყენებდნენ თითქმის ყველა ან უმეტესობა არბიტრაჟებში, ხოლო 42%-მა აღნიშნა, რომ ამ წესებს ისინი იყენებდნენ ზოგიერთ ან რამდენიმე არბიტრაჟში. საინტერესოა, რომ 18%-მა განაცხადა, რომ ამ წესებს ისინი პირდაპირ საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებდნენ თითქმის ყველა ან უმეტესობა

მიერ, რომელიც შეიქმნა 1947 წელს 34 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის მონაწილეობით და იგი ამჟამად აერთიანებს 45 000-ზე მეტ ადვოკატს 200-მდე ადვოკატთა ასოციაციიდან და სამართლის საზოგადოებიდან ყველა კონტინენტზე. აღნიშნული ორგანიზაციის გაცხადებული მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ სამართლის ასოციაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა, მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის მხარდაჭერა და ადვოკატთა უფლებების დაცვა, რათა არ ერეოდნენ მათ პროფესიულ საქმიანობაში.²⁰² ორგანიზაცია ამ მიზნების მიღწევას ცდილობს კომიტეტების მეშვეობით. არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელია კომიტეტი „დ“, ბიზნეს სამართლის განყოფილების საარბიტრაჟო კომიტეტი. სწორედ ამ კომიტეტმა 1999 წელს შეიმუშავა IBA წესები.²⁰³

თუმცა, 1999 წლის წესები არ იყო პირველი ინსტრუმენტი, რომელიც მიღებული იყო IBA-ს მიერ. ამავე ორგანიზაციამ 1983 წელს მიიღო „საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მტკიცებულებების წარდგენის და მოპოვების დამატებითი წესები“,²⁰⁴ მაგრამ 1983 წლის წესები პრაქტიკაში ნაკლებად იყო გამოყენებული. იგი წარმოადგენდა პირველ თანმიმდევრულ წესთა ერთობლიობას, რომელიც ეხებოდა მტკიცებულებების მიღების საკითხს და რომელიც მისაღები უნდა ყოფილიყო როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური სამართლის ქვეყნების პრაქტიკოსებისთვის.²⁰⁵

1983 წლის წესებისგან განსხვავებით, 1999 წლის წესები უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, თუმცა ისინი მაინც იყო გაკრიტიკებული როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური სამართლის ტრადიციის მიმდევარი ქვეყნების პრაქტიკოსებისგან. მაგალითისთვის, საერთო სამართლის ქვეყნებში მოღვაწე იურისტების კრიტიკა შეიძლება გადმოიცეს ამ ციტატით: „IBA წესები წარმოადგენს განსხვავებული ტრადიციების სხვადასხვა ასპექტების დამაბნეველ კომბინაციას.“²⁰⁶

არბიტრაჟებში. იხ. Von Segesser G., The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, ASA Bulletin, Vol. 28, no. 4, 2010. p. 736.

²⁰² Lüth F. Wagner P., Soft Law in International Arbitration-Some Thoughts on Legitimacy, StudZR, Vol. 3, 2012. p. 413.

²⁰³ Lüth F. Wagner P., Soft Law in International Arbitration-Some Thoughts on Legitimacy, StudZR, Vol. 3, 2012. p. 413.

²⁰⁴ Supplementary Rules Governing the Presentation and Reception of Evidence in International Commercial Arbitration. იხ. Von Segesser G., The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, ASA Bulletin, Vol. 28, no. 4, 2010. p. 735.

²⁰⁵ Kuhner D., Revised IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 27(6), 2010. p. 668.

²⁰⁶ Kuhner D., Revised IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 27(6), 2010. p. 668.

2008 წელს IBA-ს საარბიტრაჟო კომიტეტმა შექმნა IBA-ს წესების ქვეკომიტეტი და დაავალა მას 1999 წლის წესების გადახედვა. ქვეკომიტეტს ხელმძღვანელობდა პროფესორი რიჩარდ კრაიდერი და იგი შედგებოდა 22 პრაქტიკოსისგან, რომლებსაც ჰქონდათ განსხვავებული კულტურული და სამართლებრივი წარსული.²⁰⁷ ქვეკომიტეტის ძირითადი მიზანი იყო რომ შეენარჩუნებინა 1999 წლის წესების ტექსტი და დამატებები თუ ცვლილებები შემოეთავაზებინა მხოლოდ იმ მიზნით რომ განახლებულ წესებს აესახა საარბიტრაჟო პროცედურის ფარგლებში არსებული მიღწევები და საუკეთესო პრაქტიკა.²⁰⁸

ქვეკომიტეტის მუშაობის შემდეგ, 2010 წელს მიღებულ იქნა განახლებული წესები. ამ წესების მთავარი მიზანი არის, რომ აღმოფხვრას, ერთი მხრივ, საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებული ის ბუნდოვანებები, რომელიც მომდინარეობს უმეტესი საარბიტრაჟო წესებით ტრიბუნალისა და მხარეთათვის მინიჭებული ფართო დისკრეციიდან და, მეორე მხრივ, ის განსხვავებები, რომლებიც არბიტრაჟში ჩართულ მხარეებს შორის არსებობს პროცედურულ წესებთან დაკავშირებით, რაც მომდინარეობს განსხვავებული სამართლებრივი ტრადიციებიდან (განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება საერთო სამართლის და რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებულ განსხვავებებს). შესაბამისად, IBA წესები, საუკეთესო პრაქტიკის გარკვევით და მათი წესებში ასახვით ცდილობს არსებული ხარვეზების შევსებას და მტკიცებულებების შესახებ განსხვავებული კონცეფციების ჰარმონიზაციას (დაახლოებას) კონტინენტური და საერთო სამართლის იურისდიქციებში.²⁰⁹

აღნიშნულის შემდგომ, 2019 წელს შეიქმნა სპეციალური დანაყოფი,²¹⁰ რომელსაც დაევალა 2010 წლის წესების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში რევიზია. ამ დანაყოფმა შეიმუშავა შესაბამისი ცვლილებები, რომლის გათვალისწინებით 2020 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა წესების ახალი ვერსია.²¹¹

ზოგადად, IBA წესები არეგულირებს დოკუმენტების მიღების საკითხს საერთაშორისო არბიტრაჟში. ის მოიცავს წესებს დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის, მოწმეთა ჩვენების, ექსპერტის ჩვენების, დათვალეირების და

²⁰⁷ Von Segesser G., The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, ASA Bulletin, Vol. 28, no. 4, 2010. p. 735.

²⁰⁸ Rivkin D. W., The Revised IBA Rules on the Taking Evidence, Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, 2011. p. 213.

²⁰⁹ Lüth F. Wagner P., Soft Law in International Arbitration-Some Thoughts on Legitimacy, StudZR, Vol. 3, 2012. p. 413.

²¹⁰ Review Task Force.

²¹¹ IBA-ს 2020 წლის წესები. იხ. წესების წინათქმა.

მტკიცებულებებთან დაკავშირებული მოსმენის შესახებ. ამასთან, წესები დეტალურად არეგულირებს მოწინააღმდეგე მხარისგან მტკიცებულებების გამოთხოვის პროცედურას, რაც მოიცავს მოთხოვნის დაყენების, მოწინააღმდეგე მხარისგან პროტესტის დაყენების, დოკუმენტების წარდგენის, წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგის და ხარჯების განაწილების შესახებ რეგულაციებს.²¹² აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ცვლილებების შემდგომ წესებში შევიდა რამდენიმე მცირე ცვლილება, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგს: (1) მოხდა კიბერუსაფრთხოების და პერსონალური მონაცემების შესახებ საკითხების გათვალისწინება; (2) წესებს დაემატა ე.წ. „დისტანციური“ სხდომის დეფინიცია და ამგვარი სხდომის გამართვის შესაძლებლობა; (3) წესებს დაემატა უფრო ცხადი რეგულაცია უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.²¹³ თუმცა, ეს წესები მაინც არ შეიცავს დეტალურ და ამომწურავ რეგულაციას ყველა ზემოთ მითითებულ ძველ თუ ახალ საკითხზე. ზოგიერთი წესი მოითხოვს განმარტებას, ხოლო ზოგიერთი - შევსებას (რადგან გარკვეული საკითხები დაურეგულირებელია). ამასთან, შესაძლოა ითქვას, რომ ზოგიერთი საკითხის წესების მიერ შემოთავაზებული მოწესრიგება არ არის ოპტიმალური და მისი დახვეწაა შესაძლებელი.

IBA-ს წესების გამოყენების დროს რამდენიმე საკითხს უნდა მიექცეს ყურადღება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წესები თავისთავად სავალდებულო ძალის მქონე არ არის საარბიტრაჟო პროცესის დროს. ხშირად, როდესაც გაკეთებულია მითითება IBA-ს წესებზე, იგი გაკეთებულია ამ ფორმით: „IBA წესები [...] შესაძლებელია მიღებულ იქნას მხედველობაში როგორც საარბიტრაჟო განხილვის სახელმძღვანელო პრინციპების დამდგენი გზამკვლევი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ, თუ ის მას მიიჩნევს შესატყვისად“²¹⁴ ამ მიდგომას, რომ მხარეები შეთანხმდნენ ამ წესების არამოქმედ გამოყენებაზე ან ტრიბუნალმა გამოიყენოს ის როგორც სახელმძღვანელო პრინციპები გააჩნია პროცედურული მოქნილობის გამართლება. მრავალი მიზეზის გამო წესების ზოგიერთი ასპექტის გამოყენება კონკრეტული დავის ფარგლებში შესაძლოა არ იყოს სასურველი.²¹⁵ ამასთან, თუმცა ამგვარი არასავალდებულო მითითების დროს IBA-ს წესების უბრალო გამოყენებლობამ არ შეიძლება გამოიწვიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, ამ წესებში გამოხატულმა სამართლიანობის და თანასწორი მოპყრობის პრინციპების უგულებელყოფამ შეიძლება გადაწყვეტილების გაუქმებამდე მიგვიყვანოს. შესაბამისად, მანამ სანამ ვინმე გადაწყვეტს, რომ იგნორირება გაუკეთოს ამ

²¹² Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. p. 50.

²¹³ *Commentary on the revised text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration*, 2021. p. 3

²¹⁴ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 8.

²¹⁵ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 8.

წესებს, უნდა გაითვალისწინოს მისი სამართლებრივი ღირებულება. ეს წესები არის სამართლიანობის, სათანადო პროცესის და თანასწორი მოპყრობის გამოხატულება, რომელიც ვრცელდება მტკიცებულების წარდგენის პროცედურებზე და რომლებსაც აქვთ დამკვიდრებული და აღიარებული ღირებულება როგორც ტრიბუნალებში, ისე შიდა სასამართლოებში. ხშირად იმ წესებს თუ პრინციპებს, რაც ამ წესებშია მოცემული ისედაც იყენებენ საერთაშორისო ტრიბუნალები იმისგან დამოუკიდებლად უთითებენ თუ არა ისინი კონკრეტულად IBA წესებზე.²¹⁶

თუმცა, თუ მხარეებს ასე სურთ, მათ შეუძლიათ IBA წესები სავალდებულოდ გამოსაყენებელი გახადონ. აღნიშნულისთვის, IBA მათ ურჩევთ, რომ თავიანთ შეთანხმებაში მიუთითონ შემდეგი „[გარდა მხარეთა მიერ არჩეული საარბიტრაჟო ინსტიტუციის, ad hoc თუ სხვა წესებისა] მხარეები თანხმდებიან რომ საარბიტრაჟო განხილვა უნდა გაიმართოს IBA წესების შესაბამისად, რომელიც მოქმედია [ამ შეთანხმების დადების/არბიტრაჟის დაწყების] დროს.“²¹⁷ აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუ მხარეები შეთანხმდნენ წესების ამგვარ გამოყენებაზე, მაშინ ტრიბუნალი ვალდებულია პატივი სცეს მას მხარეთა ავტონომიის გათვალისწინებით და არ გადაუხვიოს მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამან გამოიწვიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა.²¹⁸

IBA-ს წესების გამოყენების დროს ასევე გასათვალისწინებელია, რომ მისი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს პროცედურული კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.²¹⁹ აღნიშნული პირდაპირ არის მითითებული პრეამბულის მე-3 პარაგრაფში, რომელშიც ნათქვამია, რომ მტკიცებულებების მიღება უნდა განხორციელდეს იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. კეთილსინდისიერების პრინციპი ნიშნავს, რომ ტრიბუნალი მხარეთაგან უნდა ელოდებოდეს თანამშრომლობას IBA წესებით პროცესის წარმართვის დროს. მხარის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კი ტრიბუნალს შეუძლია სხვადასხვა ღონისძიებების მიღება, მათ შორის დამრღვევი მხარისთვის ხარჯების დაკისრება თუ ის მიიჩნევს, რომ მტკიცებულებების წარდგენის დროს ეს მხარე არაკეთილსინდისიერად იქცეოდა.²²⁰

IBA წესები ეხება დავების საკმაოდ ფართო წყებას, რომელიც თავსდება „საერთაშორისო არბიტრაჟის“ ცნების ქვეშ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, 1999 წლის წესები

²¹⁶ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 8.

²¹⁷ IBA წესების 2020 წლის რედაქციის წინათქმა.

²¹⁸ იხ. ნიუ იორკის კონვენციის მუხლი V (1) (d); UNCITRAL-ის მოდელური კანონის მუხლი 36 (1) (a) (iv).

²¹⁹ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 9

²²⁰ იხ. IBA წესების მუხლის 9.8.

ვრცელდებოდა მხოლოდ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებზე, თუმცა 2010 წელს სიტყვა კომერციული ამოღებულ იქნა და მის შემდეგ 2010 წლის თუ 2020 წლის წესები ვრცელდება ყველა საერთაშორისო არბიტრაჟზე, მათ შორის, როგორც კომერციულზე, ისე საინვესტიციო არბიტრაჟზე.²²¹

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ IBA წესები თავისი შინაარსით წარმოადგენს დამატებით წესებს და ავსებს იმ ხვრელებს, რომელიც არის საარბიტრაჟო წესებში თუ საარბიტრაჟო კანონებში, რომლებიც, როგორც წესი არ შეიცავენ კონკრეტულ და დეტალურ რეგულაციას მტკიცებულებების წარდგენის და მით უფრო დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების შესახებ. ამასთან, IBA-ს წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ წესებში მითითებული საკითხები რეგულირდება სავალდებულო ნორმებით, მაშინ ეს სავალდებულო ნორმები იქნებიან უპირატესი ძალის მქონე IBA-ს წესებთან შედარებით.²²² რაც შეეხება არასავალდებულო ნორმებთან წინააღმდეგობას (მაგ საარბიტრაჟო წესები), მაშინ მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ რომელს მიანიჭებენ უპირატესობას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ტრიბუნალი შეეცდება მიზანს მიაღწიოს ორივე მათგანის ერთობლივი განმარტებით და გამოყენებით.²²³ ამასთან, თუ საკითხი ეხება IBA წესების განმარტებას, მაშინ ისინი უნდა განიმარტოს მისი მიზნებიდან გამომდინარე ისე, რომ საუკეთესოდ მოემსახუროს განსახილველ საქმეს.²²⁴ ხოლო როდესაც კონკრეტული საკითხი არ არის მოცემული წესებში, მაშინ ეს საკითხი ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს IBA წესების ზოგადი პრინციპების შესაბამისად.²²⁵

IBA წესების გასაგებად მნიშვნელოვანია რამდენიმე პრინციპის გაგება, რომელიც მოცემულია ამ წესების ოფიციალურ კომენტარებში.²²⁶ პირველი პრინციპი არის ის, რომ ე.წ. მტკიცებულებების გამჟღავნების პროცედურა (discovery procedure), მისი ტრადიციული გაგებით როგორც ეს საერთო სამართლის ქვეყნებშია, საერთაშორისო არბიტრაჟში მიღებული არ არის.²²⁷ თუმცა, IBA წესების მიხედვით შეზღუდული ფორმით შიდა დოკუმენტების მოთხოვნა დასაშვებია.²²⁸ მესამე პრინციპის მიხედვით,

²²¹ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 9. მაგალითისთვის IBA წესები არაერთხელ ყოფილა გამოყენებული ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. იხ. *Noble Ventures Inc v Romania*, ICSID Case No. ARB/01/11, Final Award. p. 31 (12 October 2005).

²²² IBA წესების მუხლი 1 (1).

²²³ IBA წესების მუხლი 1 (3).

²²⁴ IBA წესების მუხლი 1 (4).

²²⁵ IBA წესების მუხლი 1 (5).

²²⁶ ამ ნაწილში გამოყენებულია 2010 წლის კომენტარები, ვინაიდან 2020 წლის კომენტარები არ ეხება აღნიშნულ საკითხს.

²²⁷ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 7.

²²⁸ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 7.

მოწინააღმდეგის მოთხოვნის შემთხვევაში მხარემ უნდა წარადგინოს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი გარდა იმისა, რომელზეც ის აყენებს პროტესტს. თუმცა, საბოლოოდ ტრიბუნალის გადასაწყვეტია თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე უარს ამბობს დოკუმენტების ნებაყოფლობით გამჟღავნებაზე.²²⁹ მეოთხე პრინციპი აცხადებს, რომ დოკუმენტების წარდგენის ფარგლები შეზღუდულია მოთხოვნისთვის წაყენებული პირობებით და პროტესტით. თუ ამგვარი პროტესტი დაყენებულია, მაშინ ტრიბუნალი იწვევს მხარეებს რათა გადაჭრან წარმოშობილი საკითხი თავად, სანამ ამაში ტრიბუნალი ჩაერევა.²³⁰ და ბოლო პრინციპის მიხედვით, თუ მხარეთა შორის პროტესტები და სხვა საკითხები ვერ გადაწყდება, მაშინ ტრიბუნალი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთანავე, ტრიბუნალი მხარეს მოსთხოვს დოკუმენტების წარმოდგენას თუ ეს დოკუმენტები საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, გამოთხოვის პროცედურული მოთხოვნები დაცულია და მეორე მხარეს არ აქვს სამართლებრივად წონადი პროტესტი.²³¹

დღესდღეობით IBA წესები წარმოადგენს საერთაშორისო არბიტრაჟში ყველაზე გავლენიან ინსტრუმენტს მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესახებ. აღიარებულია, რომ ის ამჟამად წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილ წესებს, რომელიც ცდილობს შეაჯეროს მტკიცებულებებთან დაკავშირებით კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნების მიდგომები და შემოგვთავაზოს მტკიცებულებების მიღების საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნება ორივე ამ სამართლებრივი ტრადიციის მიმდევარი მხარეებისთვის. შესაბამისად, წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში არსებული დისკუსია ძირითადად ამ წესების გარშემო წარიმართება.

4.5.2. პრაღის წესები (Prague Rules)

მტკიცებულებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი რბილი სამართალი, რომელზე მითითებაც მხარეებს და გამოყენება ტრიბუნალს შეუძლია არის ე.წ. პრაღის წესები.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ განსაკუთრებით რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის იურისტები სკეპტიკურ დამოუკიდებულებას ავლენდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ სტატუს ქვოს მიმართ, რომელიც საერთაშორისო

²²⁹ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. pp. 7-8.

²³⁰ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 8.

²³¹ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 8.

არბიტრაჟში შეიქმნა მტკიცებულებებთან დაკავშირებით IBA წესების მიღების შემდეგ.²³² ამ უკმაყოფილების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ის, რომ შექმნილი იყო შთაბეჭდილება, რომ IBA წესები დამყარებული იყო საერთო სამართალში არსებულ დისპოზიციურ მიდგომებზე, რაც ხშირად აღიქმებოდა, როგორც მიზეზი პროცედურის გაჭიანურებისა და დამატებითი ხარჯების წარმოშობისა.²³³

აღნიშნული დისკუსიის ეპიცენტრი გახდა მოსკოვი, სადაც ეს საკითხი დებატების საგანი გახდა 2017 წლის 20 აპრილს რუსეთის არბიტრაჟის ასოციაციის IV ყოველწლიურ კონფერენციაზე.²³⁴ მალევე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა 30 პროფესიონალი უმეტესად კონტინენტური სამართლის იურისდიქციებიდან. ამ ჯგუფის უმთავრესი მიზანი იყო შეესრულებინა მოსამზადებელი სამუშაოები და ეწარმოებინა სხვადასხვა იურისდიქციაში საქმის მენეჯმენტის ტექნიკების შესახებ არსებული გამოცდილების შედარებითი ანალიზი.²³⁵ მას შემდეგ რაც ჯგუფმა შეაგროვა შესაბამისი ინფორმაცია 29 ქვეყნიდან, 2018 წლის იანვარში გამოქვეყნდა პრალის წესების პირველადი სამუშაო ვერსია, რომელზეც შემდგომში წარიმართა დისკუსია პრაქტიკოსებს შორის.²³⁶ სამუშაო ვერსიების არაერთხელ განხილვის და მასზე კომენტარების გაკეთების შემდგომ პრალის წესების საბოლოო ვერსიამ მოქმედება დაიწყო 2018 წლის 14 დეკემბერს.²³⁷ სამუშაო ჯგუფის შენიშვნაში, რომლითაც იწყება პრალის წესების ოფიციალური ტექსტი, პირდაპირ არის მითითებული, რომ კონტინენტური სამართლის პერსპექტივიდან IBA წესები უფრო ახლოსაა საერთო სამართლის ქვეყნების ტრადიციებთან, რადგან იგი მიყვება დოკუმენტური მტკიცებულებების, ფაქტის მოწმეების და მხარის მიერ დანიშნული ექსპერტის შესახებ შეჯიბრებით მიდგომას. ამავდროულად, ამ წესებში მითითებული ბევრი მახასიათებელი ცნობილი არ არის რომანულ-გერმანული სისტემებში მოღვაწე პროფესიონალებისთვის. სწორედ ამიტომ წესების შედგენაში მონაწილე პირებს მიაჩნიათ, რომ მტკიცებულებებთან დაკავშირებით იმგვარი წესების შექმნა, რომელიც მთლიანად დაფუძნებული იქნება ინკვიზიციურ მოდელზე წვლილს შეიტანს საერთაშორისო არბიტრაჟის ეფექტიანობის გაზრდაში.²³⁸ შესაბამისად, პრალის წესებში სამუშაო ჯგუფი შეეცადა ჩამოეყალიბებინა ალტერნატიული ტექნიკა რათა

²³² Duggal K. and Rangachari R., A Challenger Approaches: An Assessment of the Prague Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration, *Journal of International Arbitration*, Vol 37:1, 2020. p. 27.

²³³ Duggal K. and Rangachari R., A Challenger Approaches: An Assessment of the Prague Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration, *Journal of International Arbitration*, Vol 37:1, 2020. pp. 27-28.

²³⁴ Stampa G., *The Prague rules*, *Arbitration International*, Vol. 35. 2019. p. 222.

²³⁵ Stampa G., *The Prague rules*, *Arbitration International*, Vol. 35. 2019. p. 222.

²³⁶ Stampa G., *The Prague rules*, *Arbitration International*, Vol. 35. 2019. pp. 222-223.

²³⁷ Sessler A. and Stein M., *The Prague Rules: Problem Detected, but Imperfectly Solved*, *Alternatives to the High Cost of Litigation*, Vol. 37:5, 2019. p. 67.

²³⁸ იხ. პრალის წესების სამუშაო ჯგუფის შენიშვნები.

აემალეზბინა პროცესის მოქნილობა და ეფექტიანობა, ხოლო არბიტრებისთვის მიენიჭებინა პროცესის წარმართვის მძლავრი უფლებამოსილებები (დისკრეციები) რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ე.წ. სათანადო პროცესის შიში (due process paranoia).²³⁹

პრადის წესების პრეამბულა პირდაპირ მიუთითებს რომ ეს წესები გამიზნული არ არის იმისთვის, რომ ჩანაცვლოს საარბიტრაჟო ინსტიტუციების მიერ მიღებული საარბიტრაჟო წესები, არამედ შექმნილია, რათა წარმოადგენდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ პროცედურაზე დანამატს და ასევე, რათა მხარეებმა და საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა შეიძლება გადაწყვიტონ მისი, როგორც მხოლოდ დოკუმენტის ან როგორც გზამკვლევის გამოყენება მთლიან საარბიტრაჟო პროცესში ან მის რომელიმე ნაწილში.²⁴⁰

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პრადის წესები აღიარებენ მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს.²⁴¹ ამასთან, არბიტრებს შეუძლიათ ამ წესების გამოყენება მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში თუმცა, ტრიბუნალი აქაც შეზღუდულია იმით, რომ მან ჯერ მხარეებთან უნდა გაიაროს კონსულტაცია, უნდა მოუსმინოს მათ.²⁴² მხარეთა თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, ტრიბუნალის მიერ მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ამ წესების გამოყენება იქნება საკმაოდ უხეში გადაწყვეტილება, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შედეგი.²⁴³

პრადის წესები შეიცავს 12 მუხლს, რომლებიც შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად პროცედურული საკითხების მიხედვით: (1) საქმის მენეჯმენტი; (2) მტკიცებულებების მიღება; (3) გადაწყვეტილება.²⁴⁴

მოკლედ რომ ითქვას, პრადის წესების მიხედვით, ტრიბუნალი თამაშობს აქტიურ როლს სამი მნიშვნელოვანი ასპექტის მიმართულებით: (1) ტრიბუნალს აქვს ფართო და ინკვიზიციური უფლებამოსილება წარმართოს პროცედურა, რაც მოიცავს მის შესაძლებლობას პროაქტიულად განახორციელოს მოკვლევა იმ ფაქტთან ან მოწმესთან დაკავშირებით, რომელსაც ის საქმისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს და გამოთქვას წინასწარი მოსაზრებები დავის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით; (2) ტრიბუნალსვე აქვს უფლებამოსილება, მისი შეხედულების შესაბამისად

²³⁹ The Prague Rules and the IBA Rules on Taking of Evidence in International Arbitration: Friends or Foes?, Transnational Notes, 2019.

²⁴⁰ Jun J. W., A Critical Look at the Prague Rules: Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration, Journal of Arbitration Studies, Vol. 29:3, 2019. p. 54.

²⁴¹ პრადის წესების მუხლი 1.1.

²⁴² პრადის წესების მუხლი 1.2.

²⁴³ Stampa G., The Prague rules, Arbitration International, Vol. 35. 2019. p. 226.

²⁴⁴ Stampa G., The Prague rules, Arbitration International, Vol. 35. 2019. p. 227.

იხელმძღვანელოს გამოსაყენებელი სამართლით იმ შემთხვევაშიც კი თუ ამაზე მხარეებს არ მიუთითებიათ ან არ გაუკეთებიათ შედავა (iura novit curia); და ტრიბუნალს აქვს ძალაუფლება ხელი შეუწყოს მორიგებას.²⁴⁵

პრადის წესები ხშირად გაკრიტიკებულია ზედმეტად ინკვიზიციური მიდგომის და ტრიბუნალისთვის გადაჭარბებული დისკრეციის მინიჭების გამო, რაც ზოგჯერ საფრთხეს უქმნის საარბიტრაჟო პროცესს და მის ფარგლებში მხარეთა თანასწორობას და ნების ავტონომიის პრინციპს. მაგალითისთვის, ტრიბუნალი უარს ამბობს დოკუმენტების გამოთხოვაზე, როდესაც მითითებულია დოკუმენტების კატეგორია და არა კონკრეტულად იდენტიფიცირებული დოკუმენტი (მუხლი 4.5). ეს პრობლემური შეიძლება იყოს, რადგან მხარეს ძალიან ხშირად არ შეუძლია დოკუმენტის იდენტიფიკაცია, რადგან მას არა იგი, არამედ მოწინააღმდეგე მხარე ფლობს. ასევე, ტრიბუნალის მიერ წინასწარ შეხედულებების გამოთქმამ (რაც შეიძლება ჩვეულებრივი ამბავი იყოს გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და ა.შ.) შეიძლება დააზიანოს პროცესი²⁴⁶ და ხელი შეუშალოს პროცესის ეფექტიანად წარმართვას.

წინამდებარე დისერტაციის მიზნებისთვის, პრადის წესები გამოყენებული აქტიურად არ იქნება, ვინაიდან, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ინკვიზიციური მართლმსაჯულება, მით უფრო საერთაშორისო არბიტრაჟში, რომელიც, როგორც სფერო, მხარეთა ნების ავტონომიის პირმშოა. შესაბამისად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შეჯიბრებით პროცესს, სადაც მხარეები თამაშობენ აქტიურ როლს, ხოლო ტრიბუნალს უფრო დამკვირვებლის და თამაშის სამართლიანი წესების დამდგენი პირის როლი ენიჭება. ეს მიდგომა უფრო მიმზიდველია და ზედმეტად არ ზღუდავს მხარეთა ნების ავტონომიას, მხარეთა თანასწორობასა და ტრიბუნალის დისკრეციას. ამასთან, მიმაჩნია, რომ საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანად წარმართვა და გაჭიანურების თუ ზედმეტი ხარჯების თავიდან არიდება სწორი მენეჯმენტის პირობებში, შეჯიბრებითი პროცესის დროსაცაა შესაძლებელი.

4.5.3. CPR-ის პროტოკოლი

მიუხედავად იმისა, რომ IBA და პრადის წესები ამ მიმართულებით ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ წესებს წარმოადგენენ, რომლებზეც არბიტრაჟის მკვლევარებსა და პრაქტიკოსებს შორის მუდმივად მიდის მსჯელობა, არსებობს სხვა რბილი სამართლის წესები, რომლებიც ნაკლებად ცნობილი არიან. ერთ-ერთ ამგვარ რბილ სამართალს წარმოადგენს კონფლიქტის პრევენციის და მოგვარების

²⁴⁵ Duggal K. and Rangachari R., A Challenger Approaches: An Assessment of the Prague Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration, *Journal of International Arbitration*, Vol 37:1, 2020. p. 34.

²⁴⁶ Peter N., *The Prague Rules as Choice Architecture*. GIDE, 2019. p. 81.

საერთაშორისო ინსტიტუტის²⁴⁷ მიერ შემუშავებული 2007 წლის პროტოკოლი საერთაშორისო არბიტრაჟში დოკუმენტების გამჟღავნების და მოწმეთა წარდგენის შესახებ.

CPR-ის პროტოკოლის შესავალი ნაწილის მიხედვით, პროტოკოლი მიემართება იმ წუხილებს, რომელიც აქვთ არბიტრაჟის მომხმარებლებს, კერძოდ, საარბიტრაჟო პროცესის განჭვრეტადობის ნაკლებობა და ის, რომ არბიტრაჟი ხდება უფრო და უფრო კომპლექსური, ხარჯიანი და დროში გაწელილი პროცესი. პროტოკოლი ცდილობს მოაგვაროს აღნიშნული წუხილები რეკომენდაციების სახით შემოთავაზებული გზამკვლევის მეშვეობით, რომელიც უნდა გაითვალისწინონ ტრიბუნალებმა საარბიტრაჟო პროცესის წარმართვის დროს, იქნება ეს პროცესი ad hoc თუ ინსტიტუციური წესების შესაბამისად.²⁴⁸

მითითებული პროტოკოლი მხარეებს და ტრიბუნალს სთავაზობს განსხვავებულ რეჟიმებს დოკუმენტური მტკიცებულებების და ელექტრონული დოკუმენტების წარდგენისთვის. ამასთან, პროტოკოლის მიერ მხარეებისთვის, მათი ადვოკატებისთვის და ტრიბუნალისთვის შემოთავაზებულია დოკუმენტების მოპოვების და მოწმეთა წარდგენის რამდენიმე რეჟიმი, დაწყებული მინიმალურით დამთავრებული ინტენსიური რეჟიმით. მხარეებს საარბიტრაჟო დათქმაში ან შემდგომ შეუძლიათ შეთანხმდნენ თუ რომელი რეჟიმით სურთ მათ თავიანთი საარბიტრაჟო პროცესის წარმართვა.²⁴⁹ არსებობს 4 ამგვარი რეჟიმი, რომლის არჩევაც მხარეებს შეუძლიათ.

მაგალითისთვის, რეჟიმი „ა“ წარმოადგენს ყველაზე ვიწრო რეჟიმს, რომლის მიხედვით, დოკუმენტების გამჟღავნება არ მოხდება, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებსაც მხარეები საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად წარადგენენ მოსმენის გამართვამდე. რეჟიმი „დ“ კი წარმოადგენს ყველაზე ფართოს და იგი ითვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენის ფართო შესაძლებლობას მხარეებისთვის.²⁵⁰

CPR პროტოკოლის სახელმძღვანელო პრინციპებია, ერთი მხრივ, ეფექტიანობა დროის და ხარჯების კუთხით, ხოლო - სამართლიანობა მეორე მხრივ. აღნიშნულთან დაკავშირებით პროტოკოლი უთითებს, რომ კარგი იქნება, თუ მხარეები და მათი იურისტები გაითვალისწინებენ, რომ არბიტრაჟი არ არის ადგილი სადაც ყველაფერი უნდა გააკეთო

²⁴⁷ ეს არის ნიუ იორკში არსებული ინსტიტუტი, რომელიც 2013 წლიდან ახორციელებს არბიტრაჟების ადმინისტრირებას.

²⁴⁸ CPR-ის პროტოკოლის შესავალი ნაწილი.

²⁴⁹ CPR-ის პროტოკოლის შესავალი ნაწილი.

²⁵⁰ CPR-ის პროტოკოლის ცხრილი 1. იხ. აგრეთვე Salomon C.T. and Friedrich S., Obtaining and Submitting Evidence in International Arbitration in the United States, *The American Review of International Arbitration*, Vol. 24:4, 2013. pp. 576-577.

შედეგის მისაღწევად,²⁵¹ და მგზნებარე ადვოკატირება არბიტრაჟის ფარგლებში უნდა შეიზღუდოს დროის და ეფექტიანობის საჭიროებებით.²⁵²

როგორც აღინიშნა, CPR-ის პროტოკოლით განსხვავებული რეჟიმი არის გათვალისწინებული ელექტრონული დოკუმენტების წარდგენაზე, რომლის ფარგლებში ასევე გამოყოფილია რამდენიმე რეჟიმი. აღნიშნული სპეციალური წესები მორგებულია კონკრეტულად ელექტრონულ დოკუმენტებზე და ითვალისწინებს მტკიცებულებათა ამ სახის განსხვავებულ ბუნებას, მათ შორის და არა მხოლოდ, წაშლილ დოკუმენტებსა და მათ აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.შ.

4.5.4. ICDR-ის გზამკვლევი

კიდევ ერთი რბილი სამართლის წესების კრებული, რომელიც ეხება დოკუმენტური მტკიცებულებების საკითხს არის დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის გზამკვლევი არბიტრებისთვის ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით. დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი არის ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის (American Arbitration Association (AAA)) საერთაშორისო დანაყოფი.

2006 წელს ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციამ ჩაატარა მიმოხილვა, რომლის მიზანიც იყო იმაში დარწმუნება, რომ აღნიშნული ასოციაციის პრაქტიკა და პროცედურები პასუხობდნენ მოთხოვნას, რომ არბიტრაჟი შენარჩუნებულიყო როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტიანი გზა.²⁵³ მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს უკვე მიღებული იყო IBA-ს 1999 წლის წესები, ასოციაციამ დაასკვნა, რომ არსებობდა შემდგომი მოწესრიგების საჭიროება, მათ შორის იმის გამო, რომ ნელ-ნელა უფრო და უფრო იზრდებოდა ელექტრონული დოკუმენტების მნიშვნელობა და გავლენა. შესაბამისად, ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციამ გადაწყვიტა ამ საკითხზე მუშაობა.²⁵⁴ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის პირველადი დანიშნულება იყო არსებული საარბიტრაჟო წესების და პრაქტიკის განხილვა იმ დაშვებით, რომ ისინი შეეხებოდა დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებას და შეგროვებას და ამის შემდეგ რეკომენდაციების მომზადება, რომელშიც აისახებოდა სამუშაო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული საუკეთესო პრაქტიკა.²⁵⁵

²⁵¹ “leave no stone unturned”.

²⁵² CPR-ის პროტოკოლის, ნაწილი 1.

²⁵³ Beechey J., The ICDR Guidelines for Information Exchanges in International Arbitration: An Important Addition to the Arbitral Toolkit, *Dispute Resolution Journal*, Vol. 63:3, 2008. p. 85.

²⁵⁴ Beechey J., The ICDR Guidelines for Information Exchanges in International Arbitration: An Important Addition to the Arbitral Toolkit, *Dispute Resolution Journal*, Vol. 63:3, 2008. pp. 85-86.

²⁵⁵ Beechey J., The ICDR Guidelines for Information Exchanges in International Arbitration: An Important Addition to the Arbitral Toolkit, *Dispute Resolution Journal*, Vol. 63:3, 2008. pp. 85-86.

სამუშაო ჯგუფმა საბოლოოდ შეიმუშავა გზამკვლევი, რომელიც 2008 წელს დაამტკიცა ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის გენერალურმა ყრილობამ. საბოლოოდ, ამ გზამკვლევში არსებული წესების შეტანა მოხდა ICDR-ის საარბიტრაჟო წესებში 2014 წელს,²⁵⁶ თუმცა გზამკვლევი ისევ არსებობს და შეიძლება გამოყენებული იყოს მხარეთა ან ტრიბუნალის მიერ სხვა წესებით წარმართული არბიტრაჟების დროსაც.²⁵⁷

ICDR გზამკვლევის შესავალში ავტორები გამოთქვამენ წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი გახდა ნაკლებად მიმზიდველი ეროვნულ სასამართლოებთან შედარებით, რადგან ხდება სასამართლოების შიდა პროცედურული წესების არბიტრაჟში გადმოტანა. ამ გზამკვლევია მიზანი კი არის ის, რომ შეჩერდეს ეროვნული სასამართლოების სამართლებრივი ტრადიციების მიერ არბიტრაჟზე გავლენის მოხდება. ამ მხრივ პირველ რიგში გაკრიტიკებულია დოკუმენტების გამჟღავნების ე.წ. ამერიკული სტილი.²⁵⁸ შედეგად გზამკვლევში პირდაპირ არის მითითებული, რომ ჩვენებების წარდგენა (depositions), დაკითხვები (interrogatories) და დაშვების მოთხოვნები (requests to admit), როგორც ეს გათვალისწინებულია აშშ-ს სასამართლო სისტემაში ზოგადად არ არის შესატყვისი საერთაშორისო არბიტრაჟისთვის.²⁵⁹ გზამკვლევი, დოკუმენტების გამჟღავნებას, ზღუდავს დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის რეგულირებით, რაც ძალიან ახლოსაა IBA წესების მიდგომასთან.²⁶⁰

გზამკვლევი ასევე ცალკე მუხლს უთმობს ელექტრონული დოკუმენტების შეგროვების საკითხს, რომელიც განსხვავებულად რეგულირდება.²⁶¹

ამასთან, როგორც აღინიშნა, გზამკვლევი აღიარებს როგორც მხარეთა ავტონომიის პრინციპს, ისე ტრიბუნალის უფლებამოსილებას, გააკონტროლოს საარბიტრაჟო პროცესი, ხოლო აღნიშნულისთვის მან მხარეებს უნდა მისცეს აზრის გამოთქმის საშუალება.²⁶² შესაბამისად, გზამკვლევის გამოყენება შესაძლებელია როგორც მხარეთა შეთანხმების

²⁵⁶ იხ. ICDR საარბიტრაჟო წესები.

²⁵⁷ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 60.

²⁵⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 60.

²⁵⁹ ICDR-ის გზამკვლევი, მუხლი 6.

²⁶⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 61.

²⁶¹ ICDR-ის გზამკვლევი, მუხლი 4. აღნიშნულ საკითხი დეტალური მსჯელობისთვის იხ. Beechey J., The ICDR Guidelines for Information Exchanges in International Arbitration: An Important Addition to the Arbitral Toolkit, Dispute Resolution Journal, Vol. 63:3, 2008. p. 88.

²⁶² ICDR-ის გზამკვლევი, მუხლი 6.

შემთხვევაში, ისე ტრიბუნალის მიერ, თუ ის ამას პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებლად მიიჩნევს.

4.5.5. ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესახებ არსებული რბილი სამართალი

ბოლო პერიოდში ელექტრონული დოკუმენტები გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულების სახე საერთაშორისო არბიტრაჟებში.²⁶³ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ბოლო დროს კომპანიებს შორის შეიცვალა კომუნიკაციების საშუალებები და ამჟამად დოკუმენტები კომპანიებში შენახულია არაერთი ფორმით, ვერსიებით, ასლებით, სხვადასხვა პლატფორმაზე, იქნება ეს სერვერები, ჰარდ დრაივები, კომპიუტერული ტექნიკა თუ მობილური ტელეფონები. ამასთან, კომპანიები თავიანთი ბიზნესის უდიდეს ნაწილს ელექტრონულად მართავენ.²⁶⁴

მთავარი სირთულე, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული დოკუმენტების შეგროვებასთან არის მისი ჩვეულებრივი, ფურცელზე არსებული დოკუმენტებისგან განსხვავებული ბუნება, რამაც შეიძლება წარმოშვას არაერთი პრაქტიკული საკითხი, როდესაც საქმე მიდგება მათ წარდგენაზე.²⁶⁵ ამის უპირველესი მიზეზი კი არის ის, რომ, როგორც წესი, ელექტრონული დოკუმენტები უფრო დიდი მოცულობისაა, მათი შექმნაც უფრო მარტივია, მათი გადაგზავნა შეიძლება მოხდეს მრავალჯერადად. შედეგად კი, მაგალითისთვის, მხარეთა შორის კომუნიკაცია, რომელიც ხშირად ნებისმიერ საქმეში მნიშვნელოვან მტკიცებულებას შეადგენს, უმეტესად ელ. ფოსტის სახით მიმდინარეობს.²⁶⁶

იმისათვის, რომ კარგად იქნას აღქმული ჩვეულებრივ დოკუმენტებთან შედარებით თუ რამდენად დიდ ინფორმაციაზე გვაქვს საუბარი, როდესაც ვსაუბრობთ ელექტრონული სახით შენახულ დოკუმენტებზე, შეიძლება მაგალითის მოყვანაც. ერთი გიგაბაიტი ელექტრონული ინფორმაცია უდრის დაახლოებით 500 000 გვერდ ტექსტურ დოკუმენტს.²⁶⁷

²⁶³ Sattar S., International Arbitration Law Review Document Production and the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: a Commentary, International Arbitration Law Review, 2011. p. 4.

²⁶⁴ Sutcliffe J. and Hill R., Arbitration and New Technologies: Electronic Disclosure in International Arbitration, CDR, 2009. იხ. აგრეთვე ICC, ICC Commission Report: Managing E-Document Production. 2016. p. 5.

²⁶⁵ Sattar S., International Arbitration Law Review Document Production and the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: a Commentary, International Arbitration Law Review, 2011. p. 4.

²⁶⁶ Sattar S., International Arbitration Law Review Document Production and the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: a Commentary, International Arbitration Law Review, 2011. p. 4.

²⁶⁷ Sutcliffe J. and Hill R., Arbitration and New Technologies: Electronic Disclosure in International Arbitration, CDR, 2009.

ამასთან, როგორც აღინიშნა, ეს ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს სხვადასხვა ადგილას, რაც კომპანიებისთვის რთულს ხდის კონკრეტული დოკუმენტის თუ დოკუმენტების მოძიებას და მას წარმოუშობს დამატებით ხარჯებს.²⁶⁸

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით კომპანიები უფრო და უფრო სწავლობენ თუ როგორ უნდა გაუკეთონ ორგანიზება ელექტრონულ დოკუმენტებს იმგვარად რომ მათი მოძიება დავის წარმოშობის შემთხვევაში არც ისე რთული იყოს,²⁶⁹ არაერთმა ინსტიტუტმა თუ ორგანიზაციამ იმუშავა ამ საკითხზე და შეიმუშავა რბილი სამართლის წესები თუ გზამკვლევები ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

ერთ-ერთი ამგვარი რბილი სამართალი არის CIArb-ის პროტოკოლი არბიტრაჟში ელექტრონული დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული პროტოკოლი გამოვიდა 2008 წლის ოქტომბერში. როგორც პროტოკოლის შესავალშია ნათქვამი, მისი შემუშავების მიზანი არ იყო ის, რომ მომხდარიყო მისი გამოყენება ყველა არბიტრაჟში, არამედ მხოლოდ მათში, რომლებშიც შეიძლება წარმოიშვას ელექტრონული დოკუმენტების გამჟღავნებასთან დაკავშირებული დამატებითი დროის და ხარჯების საკითხი. ასევე, არ არის განზრახული, რომ ეს წესები იყოს ამომწურავი, არამედ მხარეები თავისუფალნი არიან შეცვალონ ისინი. ამრიგად, ეს წესები პირველ რიგში უნდა იყოს ერთგვარი გზამკვლევი მხარეთა ადვოკატებისა და ტრიბუნალისთვის, რომლებსაც ელექტრონულ დოკუმენტებზე ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვთ.²⁷⁰

CIArb-ის პროტოკოლი ითვალისწინებს ტრიბუნალის და მხარეთა მიერ კონკრეტული ხერხების ადრეულ ეტაპებზე გამოყენებას რათა შემცირდეს ელექტრონული მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი იმ საქმეებში, სადაც ეს საკითხი შეიძლება წარმოიშვას.²⁷¹ აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი პროტოკოლში მითითებულია კონკრეტული საკითხების ჩამონათვალი, რომელიც მხარეთა და ტრიბუნალის მიერ უნდა იქნას განხილული პირველივე შესაძლებლობისთანავე, რათა უზრუნველყოფილი იყოს არბიტრაჟის უფრო ეფექტიანად ჩატარება.²⁷²

²⁶⁸ ზოგჯერ დოკუმენტების მოძიების ხარჯებმა შეიძლება გადააჭარბოს კონკრეტული, მცირე საქმის ფარგლებში არსებულ სადავო თანხას. იხ. Range J.J. and Wilan J. M., *Techniques for Obtaining Efficient and Economical E-disclosure Despite Arbitral Resistance to U.S.-Style Discovery*, Hunton & Willams, 2010. p. 5.

²⁶⁹ Hill R.D., *The New Reality of Electronic Document Production in International Arbitration: A Catalyst for Convergence?*, *Arbitration International*, Vol. 25:1, 2009. p. 91.

²⁷⁰ Howell D., *Developments in Electronic Disclosure in International Arbitration*, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 153.

²⁷¹ Howell D., *Developments in Electronic Disclosure in International Arbitration*, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 153.

²⁷² იხ. CIArb-ის პროტოკოლი.

უფრო კონკრეტულად, CIArb-ის პროტოკოლი ფოკუსირებულია ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის პრობლემებზე. მაგალითისთვის, მასში მიმოხილულია ელექტრონული დოკუმენტების პირველადი და მეორადი წყაროების საკითხი და ნათქვამია, რომ დოკუმენტები უნდა იქნას წარდგენილი იმ მონაცემიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ჩარევის გარეშე, და დოკუმენტის წარმოდგენა აღდგენილი მონაცემებიდან ან ფრაგმენტულად ან წაშლილი სახით (მეორადი წყარო) შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური საჭიროების გამო. ამასთან ერთად, სპეციფიკური ელექტრონული დოკუმენტების მახასიათებლები, მაგალითად მეტადატა ან ძებნის საშუალებები ასევე არის განხილული პროტოკოლში. დაბოლოს, პროტოკოლი ასევე ეხება ხარჯების განაწილების და მხარის მიერ ტრიბუნალის მითითების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებსაც.²⁷³

კიდევ ერთი რბილი სამართალი, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს, როგორც უკვე აღინიშნა, არის CPR-ის პროტოკოლი, რომელიც შეიქმნა 2008 წელს. ისევე, როგორც ჩვეულებრივი მტკიცებულებების შემთხვევაში, პროტოკოლი მხარეებს და ტრიბუნალს სთავაზობს ელექტრონული დოკუმენტების გამჟღავნების მარეგულირებელ სხვადასხვა რეჟიმებს, რომელთაგანაც ერთ-ერთის არჩევა და გამოყენება მათ შეუძლიათ. ეს რეჟიმები იწყება მინიმალური გახსნილობით და სრულდება ინტენსიურით. კერძოდ, ჩამოთვლილი რეჟიმები იწყება რეჟიმით „ა“, რომელიც შემოფარგლავს მხარეების მიერ ელექტრონული ინფორმაციის წარდგენას იმ დოკუმენტებით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მხარეს სჭირდება საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად. რეჟიმი „დ“ კი მოიცავს საკმაოდ ფართო წარდგენის ვალდებულებას, რომელიც მოიცავს მათ შორის ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს რომელიმე მხარის სარჩელისთვის ან შესაგებლისთვის.²⁷⁴

ელექტრონული ინფორმაციის განხილვის დროს პროტოკოლი მიუთითებს, რომ ელექტრონული დოკუმენტების წარდგენა, როგორც წესი არის რთული და ძვირი მხარისთვის და ისინი იმ შემთხვევაში უნდა იქნას წარდგენილი, როდესაც ნაჩვენებია განსაკუთრებული საჭიროება.²⁷⁵ განსაკუთრებული საჭიროება განმარტებული არ არის. ელექტრონული ინფორმაციის შენახვის მეთოდების, სისწრაფის და ღირებულების მიმართულებით არსებული პროგრესის გათვალისწინებით, აღნიშნული შეიძლება

²⁷³ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. p. 58; ამ საკითხზე დეტალურად იხ. Smit R. H. and Tyler B. R., *E-Disclosure in International Arbitration*, Arbitration International, Vol. 24:1, 2009. pp. 7-10.

²⁷⁴ Howell D., *Developments in Electronic Disclosure in International Arbitration*, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 154. იხ. აგრეთვე Range J.J. and Wilan J. M., *Techniques for Obtaining Efficient and Economical E-disclosure Despite Arbitral Resistance to U.S.-Style Discovery*, Hunton & Willams, 2010. pp. 10-13.

²⁷⁵ CPR-ის პროტოკოლი, მუხლი 1(d)(1).

სახეზე იყოს მაშინ, როდესაც დიდი მოცულობის ინფორმაციის წარდგენა არ იქნება ძვირი და რთული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმის გარემოებები შესაძლოა იმგვარი იყოს, რომ მტკიცებულებების წარდგენა მხარეს მაშინაც მოეთხოვოს, როდესაც დოკუმენტების შეგროვება საკმაოდ ძვირი ჯდება და მძიმე ტვირთად აწვება მას.²⁷⁶

პროტოკოლი ასევე ითვალისწინებს, რომ ფარგლები მხარეთა ვალდებულებისა, შეინახონ დოკუმენტები შესაძლო გამჟღავნებით მიზნით, არბიტრაჟის მიერ პროცესის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა იქნას განხილული.²⁷⁷ ამის მიზეზი არის ის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გაუგებრობები თუ გართულებები ამ მიმართულებით და ტრიბუნალს არ მოუწიოს იმ მხარის მიმართ უარყოფითი ზომების გამოყენება, რომელიც არ შეინახავს ელექტრონულ დოკუმენტებს.²⁷⁸

კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელზე მითითებაც მხარეებს და ტრიბუნალს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვამდე ან განხილვის დროს არის ICDR-ის გზამკვლევი. აღნიშნული გზამკვლევი, როგორც აღინიშნა, მიღებულ იქნა 2008 წელს. სამუშაო ჯგუფის მუშაობის დაწყების ერთ-ერთი მიზანი იყო ეპასუხა ფედერალურ სამოქალაქო საპროცესო წესებში²⁷⁹ განხორციელებული ცვლილებებისთვის, რომელმაც დაუშვა აშშ-ს სასამართლო განხილვებში ელექტრონულად შენახული ინფორმაციის გამჟღავნება.²⁸⁰

გზამკვლევი გამიზნული იყო ICDR-ის ადმინისტრირებით 2008 წლის 31 მაისის შემდეგ დაწყებულ არბიტრაჟებში გამოსაყენებლად, თუ მხარეები მის გამოყენებას პირდაპირ არ გამოირიცხავდნენ.²⁸¹ გზამკვლევი ელექტრონული დოკუმენტის წარდგენის საკითხს ძალიან მინიმალისტურად ეხება, რადგან ეს საკითხი განხილულია მხოლოდ ერთ პარაგრაფში.²⁸² ამ პარაგრაფის მიხედვით, როდესაც გასაცვლელი დოკუმენტები ინახება ელექტრონული ფორმით, მხარემ, რომელთანაც იმყოფება ეს დოკუმენტები, მისთვის

²⁷⁶ Howell D., Developments in Electronic Disclosure in International Arbitration, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 154.

²⁷⁷ CPR-ის პროტოკოლი, მუხლი 1 (d) (3).

²⁷⁸ Howell D., Developments in Electronic Disclosure in International Arbitration, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 154.

²⁷⁹ The Federal Rules of Civil Procedure.

²⁸⁰ Guys M.F. and Illmer M. H., The ICDR Guidelines for Arbitrators Concerning Exchanges of Information – A German/American Introduction in Light of International Practice, *International Arbitration Law Review*, Vol. 11:6, 2008. pp. 197. დეტალურად ამ საკითხზე იხ. აგრეთვე. The Sedona Conference, *The Sedona Principles, Third Edition: Best Practices, Recommendations & Principles for Addressing Electronic Document Production*. The Sedona Conference, 2018.

²⁸¹ Howell D., Developments in Electronic Disclosure in International Arbitration, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 152.

²⁸² პარაგრაფი 4.

მოსახერხებელი და ეკონომიური ფორმით უნდა გახადოს ისინი ხელმისაწვდომი. ელექტრონული ფორმით შენახული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული რაც შეიძლება ვიწროდ, რათა მათი მოძებნა იყოს რაც შეიძლება ეკონომიური.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მინიმალისტური მიდგომა განზრახ იყო არჩეული გზამკვლევაზე მომუშავე ჯგუფის მიერ. ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ ელექტრონულ დოკუმენტებთან დაკავშირებით არ მომხდარიყო ჩვეულებრივი მტკიცებულებებისაგან რადიკალურად განსხვავებული რეგულირების შემოტანა.²⁸³

ელექტრონული დოკუმენტების წარდგენას მოკრძალებულ, მაგრამ ცალკე ადგილს უთმობს IBA წესებიც. ელექტრონული დოკუმენტებს მოიცავს ტერმინი “დოკუმენტები” და ნაკლებად შეიცავს ჩვეულებრივი დოკუმენტებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ რეგულირებას. IBA-ს კომენტარები მიუთითებს, რომ წესები ნეიტრალურია საკითხის მიმართ უნდა იქნას თუ არა გამჟღავნებული ელექტრონული დოკუმენტები და რომ წესები შეიცავს ჩარჩოს იმ შემთხვევისთვის თუ მხარეები გადაწყვეტენ, რომ ელექტრონული ფორმით შენახული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იყოს.²⁸⁴

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ICC მხარს უჭერს იდეას, რომ ელექტრონულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ცალკე რეგულაცია არ არის საჭირო,²⁸⁵ მან 2012 წელს მიიღო ICC-ის კომისიის ანგარიში ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის მართვის შესახებ.²⁸⁶ ეს ანგარიში ემსახურება ელექტრონული დოკუმენტების იმ სპეციფიკური მახასიათებლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რომლებიც წარმოშობენ ჩვეულებრივი დოკუმენტებისგან განსხვავებულ შეკითხვებს.²⁸⁷ ასევე, მისი მიზანია დაეხმაროს არბიტრებს განხილვები ჩაატარონ სამართლიანად და ეფექტიანად.²⁸⁸ ანგარიში ასევე შეიცავს მითითებას IBA წესებზე, რომელიც როგორც ელექტრონული, ისე ჩვეულებრივი მტკიცებულებების წარდგენისთვის გზამკვლევს წარმოადგენს და ხაზს უსვამს იმას, რომ ამ წესებით შემოთავაზებული მიდგომა საერთაშორისო არბიტრაჟში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

²⁸³ Howell D., *Developments in Electronic Disclosure in International Arbitration*, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 153.

²⁸⁴ *Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration*. p. 9.

²⁸⁵ ICC, *ICC Commission Report: Managing E-Document Production*. 2016. პარაგრაფი 2.2.

²⁸⁶ ICC, *ICC Commission Report: Managing E-Document Production*. 2016.

²⁸⁷ ICC, *ICC Commission Report: Managing E-Document Production*. 2016. პარაგრაფი 2.4–2.5.

²⁸⁸ ICC, *ICC Commission Report: Managing E-Document Production*. 2016. წინათქმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად ანგარიში არ არის რბილი სამართალი, არამედ ის უფრო არის არსებული პრაქტიკის ანალიზი. მეტიც, ის იმასაც კი მიუთითებს, რომ ის რეკომენდაციასაც არ უწევს რომელიმე პრაქტიკის გამოყენებას, არამედ აანალიზებს ზოგიერთ იმ მიდგომას, რომელიც ტრიბუნალმა და მხარეებმა შეიძლება მხედველობაში მიიღონ. შესაბამისად, ამ ანგარიშის მიზანი უფრო არის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საბოლოოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული დოკუმენტების შესახებ წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად.²⁸⁹

ანგარიში შედგება არსებული საარბიტრაჟო წესების ანალიზის, ელექტრონული დოკუმენტების მახასიათებლების, ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის პროცესის მართვის ტექნიკების და ორი დანართისგან.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რბილი სამართალი კონკრეტულად დოკუმენტური მტკიცებულებების შეგროვების საკითხზე, ჯერაც აქტიურად მიდის დისკუსია იმის შესახებ საჭიროა თუ არა ამ საკითხის ცალკე რეგულირება, თუ საერთო ჩარჩო (როგორც ეს IBA-ს შემთხვევაშია) საკმარისია საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანად წარმართვისთვის. ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესახებ თუ როგორი წესები და მიდგომები უნდა იქნას გამოყენებული იმ მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც ელექტრონულ დოკუმენტებს ჩვეულებრივი დოკუმენტებისგან განსხვავებით გააჩნიათ.

5. მტკიცების ტვირთი და სტანდარტი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

5.1. შესავალი

საარბიტრაჟო პროცესი და ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ კომპლექსური და რთული პროცესია. თავისთავად, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მხარემ წარადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები რათა დაადასტუროს მათ საარბიტრაჟო სარჩელში თუ შესაგებელში მითითებული ფაქტები.²⁹⁰ ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის საქმეების 60-70% წყდება ფაქტების დადგენის და არა სამართლებრივი საკითხების შედეგად.²⁹¹ მიუხედავად იმისა, თუ როგორი პროცენტული განაწილება

²⁸⁹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. p. 57.

²⁹⁰ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, Hastings International and Comparative Law Review, Vol. 39:1, 2016. p. 43.

²⁹¹ Amaral G. R., Burden of Proof and Adverse Inferences in International Arbitration: Proposal for an Inference Chart, Journal of International Arbitration, Vol. 35:1, 2018. p. 1.

უნდა იყოს, მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები საერთაშორისო არბიტრაჟში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სასამართლო წარმოების დროს.²⁹²

მტკიცების ტვირთის ცნება მტკიცებულებების მოპოვება-წარდგენის პროცესში ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს, განსაკუთრებით იმ ფაქტების დადგენის პროცესში, რომელზეც მხარეები დავობენ და ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ ფაქტებთან დაკავშირებით დამოკიდებული იქნება მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე.²⁹³ შესაბამისად, ნათელია, რომ ეს საკითხი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას შეჯიბრებითი პროცესის დროს, როდესაც ერთმა და მეორე მხარემაც უნდა დაადასტუროს საკუთარი პოზიცია. ამასთანავე, მტკიცების ტვირთი და სტანდარტი გადაწყვეტი მნიშვნელობის შეიძლება იყოს, ვინაიდან თუ მხარე ვერ დაძლევეს მის მტკიცების ტვირთს შესაბამისი სტანდარტით, ამან შეიძლება გამოიწვიოს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.²⁹⁴ როგორც ამბობენ „მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ხშირად კრიტიკულია საბოლოო შედეგისთვის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნებისა და სამართალზე წვდომის კუთხით [...]“.²⁹⁵

მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა, სამწუხაროდ, ლიტერატურა ამ საკითხზე ნაკლებია. ასევე საარბიტრაჟო წესების უმეტესობა არაფერს ამბობს ამ თვალსაზრისით. ქვემოთ მიმოხილული იქნება მტკიცების ტვირთსა და სტანდარტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

5.2. მტკიცების ტვირთის დეფინიცია

„მტკიცების ტვირთი“ არის კომპლექსური სამართლებრივი ტერმინი, რომელიც ერთგვაროვნად არ განიმარტება სხვადასხვა იურისდიქციაში. საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟის კონტექსტში მისი განმარტება, შესაბამისად, წარმოადგენს გამოწვევას, ვინაიდან თავად საერთაშორისო არბიტრაჟი წარმოადგენს ჰიბრიდულ

²⁹² Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. იხ. აგრეთვე Born G.B., *International Arbitration: Cases and Materials (Second Edition)*, International; Kluwer Law International, 2015. p. 830.

²⁹³ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. pp. 43-44. იხ. აგრეთვე Marossi A., *Shifting the Burden of Proof in the Practice of the Iran-United States Claims Tribunal*, *Journal of International Arbitration*, Vol. 28. 2011. p. 427.

²⁹⁴ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 44.

²⁹⁵ Kurkela M. S. and Turunen S., *Due Process in International Commercial Arbitration, Second Addition*, 2010. p. 147.

პროცესს, რომელიც შედეგია სხვადასხვა სამართლებრივი კულტურის და სისტემების დელიკატური ბალანსისა.²⁹⁶

მიუხედავად მტკიცების ტვირთის სხვადასხვა განმარტებისა, ეს ცნება როგორც წესი გაგებულია, როგორც საქმისწარმოების პროცესში რისკის განაწილების მექანიზმი, რომელიც ტრიბუნალს აძლევს შესაძლებლობას გადაწყვეტილება მიიღოს წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და მხარეებს აძლევს განჭვრეტადობის საშუალებას პროცესში თავიანთი მტკიცებითი ვალდებულებების შესახებ.²⁹⁷ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მტკიცების ტვირთი შეიძლება დახასიათდეს როგორც „სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ანაწილებს ფაქტების დადგენის ვალდებულებას მხარეებს შორის იმის განსაზღვრით, თუ რომელი მათგანი ატარებს რისკს იმის შესახებ, რომ თუ მისი მტკიცება არ დადასტურდება და მოთხოვნა რომელიც ამ მტკიცებას ემყარება არ დაკმაყოფილდება.“²⁹⁸

შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მიუთითებს წესზე, რომელიც უფლებას აძლევს საარბიტრაჟო ტრიბუნალს მხარეებს შორის არსებული დავა გადაწყვეტოს იმ მხარის სასარგებლოდ, რომელიც არ ატარებს ამგვარ ტვირთს, თუ წარდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგენილად იქნას მიჩნეული კონკრეტული ფაქტი.²⁹⁹ აღნიშნული წესები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რათა დაძლეულ იქნას ის გამოწვევები, რომლის წინაშეც სასამართლოები და ტრიბუნალები დგებიან საქმეთა გადაწყვეტის დროს.³⁰⁰

აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სისტემაში მოდავე მხარეებს შორის არსებული დავის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, აკმაყოფილებს თუ არა წარდგენილი მტკიცებულება წინასწარ განსაზღვრულ მტკიცების ტვირთს და სტანდარტს.³⁰¹ ამგვარი წესების არსებობა

²⁹⁶ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 45.

²⁹⁷ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 45.

²⁹⁸ Makarius V., The Nature of the Burden and Standard of Proof in International Commercial Arbitration, *Czech & Central European Yearbook of Arbitration*, 2013. p. 54.

²⁹⁹ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. pp. 45-46.

³⁰⁰ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 46.

³⁰¹ Forchheimer J., Sonia J. and others, Burden of Proof, *The Yale Law Journal*, Vol. 121, 2012. p. 741.

მნიშვნელოვანია რომ გადაწყვეტილება დაფუძნებული იყოს ობიექტურ სტანდარტზე და ის იყოს რაციონალური.³⁰²

5.3. მტკიცების ტვირთი

მოსამართლეების მსგავსად არბიტრებსაც არ შეუძლიათ უარი თქვან საქმის გადაწყვეტაზე იმის გამო, რომ არსებობს ბუნდოვანებები სამართლებრივ თუ მტკიცებით ნაწილში.³⁰³ შესაბამისად, სასამართლომ და ტრიბუნალმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს საქმე მასში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

იმის გამო, რომ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მტკიცების ტვირთის სხვადასხვა გაგება არსებობს, ამ საკითხზე საერთაშორისო არბიტრაჟის კონტექსტშიც არ არის კონსენსუსი. თუმცა, ზოგადად მიღებულია, რომ მხარე, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტს, ვალდებულია დაადასტუროს იგი. აღნიშნული არის რომის სამართალში არსებული პრინციპის *ei qui affirmat non ei qui negat incumbit probatio* თანამედროვე გამოხატულება.³⁰⁴ აღნიშნული პრინციპი აცხადებს, რომ მტკიცების ტვირთი აწევს მას, ვინც ადასტურებს და არა იმას - ვინც უარყოფს. ამასთანავე, პრინციპი *actori incumbit probatio* (ან *onus probandi actori incumbit*)³⁰⁵ ასევე მიღებული და გავრცელებულია საერთაშორისო თუ შიდა საარბიტრაჟო განხილვების დროს.³⁰⁶ შესაბამისად, საერთაშორისო არბიტრაჟში მიღებულია პრინციპი, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ფაქტები, რომლებზეც ის ამყარებს მის პოზიციას.³⁰⁷

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში შეიძლება დახასიათდეს როგორც მხარეთა ვალდებულება, ტრიბუნალის წინაშე დაამტკიცონ თავიანთი პოზიციები.³⁰⁸

³⁰² Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 46.

³⁰³ Carretero, M. A., Burden and Standard of Proof in International Arbitration: Proposed Guidelines For Promoting Predictability, *Revista Brasileira de Arbitragem*, Ano XIII – № 49, 2016. p. 91. იხ. აგრეთვე ICSID Convention, მუხლი 42(2).

³⁰⁴ აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პრინციპს აღიარებს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაც. კერძოდ, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“

³⁰⁵ ნიშნავს „მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს“.

³⁰⁶ Amaral G. R., Burden of Proof and Adverse Inferences in International Arbitration: Proposal for an Inference Chart, *Journal of International Arbitration*, Vol. 35:1, 2018. p. 2.

³⁰⁷ Brower C. N., Evidence before International Tribunals: The Need for Some Standard Rules, *The International Lawyer*, Vol. 28:1, 1994. p. 49.

³⁰⁸ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 47.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე ნაკლები რეგულაცია არსებობს, ეს მიდგომა ასახულია როგორც ზოგიერთ საარბიტრაჟო წესში, ისე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.

კერძოდ, UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების 27-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ თითოეულ მხარეს აქვს ტვირთი დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებსაც აყრდნობს მის მოთხოვნას თუ შესაგებელს. აღნიშნულთან დაკავშირებით მითითებულია, რომ თოთქმის ყველა საერთაშორისო ტრიბუნალი ითხოვს თითოეული მხარისგან დაამტკიცოს ფაქტები, რომლებზეც ისინი აფუძნებენ თავიანთ პოზიციას. ერთადერთი გამონაკლისი არსებობს მაშინ, როდესაც კონკრეტული ფაქტი არ მოითხოვს მტკიცებას.³⁰⁹

სამართლის მკვლევარები მიუთითებენ, რომ ეს ზოგადი პრინციპი ასევე გათვალისწინებულია თითქმის ყველა საერთაშორისო კომერციულ თუ საინვესტიციო არბიტრაჟის პრაქტიკაში. მაგალითად, საქმეში *Asian Agricultural Products Ltd. v. Sri Lanka*,³¹⁰ ტრიბუნალმა მიუთითა, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალმა გამოიყენა სიტყვა მოსარჩელე, მან იქვე განმარტა, რომ კონკრეტული განცხადებების კონტექსტში, მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელიც აღნიშნულ განცხადებას (მითითებას) აკეთებს. მსგავსად ამისა, საქმეში *Tokios Tokelés v. Ukraine* ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ჰქონდა.³¹¹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) ერთ-ერთ საქმეზე ასევე განმარტა, რომ მხარეს, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს ფაქტი, აქვს აღნიშნულის მტკიცების ტვირთი.³¹²

დოკუმენტების წარდგენა მხარეებს ეხმარებათ დაძლიონ მათი მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, შესაძლებელია ტვირთი ჰქონდეს ერთ მხარეს, თუმცა, მეორე მხარემაც უნდა წარადგინოს მტკიცებულებები რათა გააქარწყლოს მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებები. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ბრუნდება, არამედ

³⁰⁹ Blavi F. and Vial G., *The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales*, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. pp. 48-49.

³¹⁰ ICSID Case n° ARB/87/3, Award dated of June 27, 1990, 56.

³¹¹ იხ. ICSID Case n° ARB/02/18, Award dated of July 26, 2007, 121. მსგავსი პრაქტიკა არის ასევე გატარებული სხვა საქმეებზეც. იხ. ICSID Case n° ARB/02/13, Award dated of January 31, 2006, 70; *Hussein Nuaman Soufraki v. The United Arab Emirates*, ICSID Case n° ARB/02/7, Award dated of July 7, 2004, 58, 81; *Saipem S.p.A. v. Bangladesh*, ICSID Case n° ARB/05/7, Decision on Jurisdiction dated of March 21, 2007, 83.

³¹² *Nicaragua v. United States*, 1984 I.C.J. 437 para. 101 (November 26).

ბრუნდება მხოლოდ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი.³¹³ მაგალითად, მოსარჩელე ვალდებულია წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ის ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, დაიდო. თუ მოსარჩელე ამგვარ მტკიცებულებას წარმოადგენს, მაშინ მოპასუხეს ევალება ეჭვქვეშ დააყენოს ეს მტკიცებულება საპირისპირო დოკუმენტის წარდგენით (მაგ. საექსპერტო დასკვნა, რომელშიც ეწერება, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მას არ ეკუთვნის).

საერთაშორისო არბიტრაჟში გამოყოფენ ორი სახის მტკიცების ტვირთს, (1) მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი,³¹⁴ და (2) ტრიბუნალის დარწმუნების ტვირთი.³¹⁵

ვინაიდან მტკიცების ტვირთის კონცეფცია ფართოდ არის აღიარებული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში, არბიტრებმა ის უნდა განიხილონ როგორც სამართლის ზოგადი პრინციპი და ასე გამოიყენონ იგი შიდა კანონმდებლობაზე მიუთითებლად.³¹⁶ ამასთანავე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა დარწმუნდეს, რომ მხარეებს ექნებათ ინფორმაცია მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ადრეულ ეტაპზე. ამრიგად, მხარეებს ტრიბუნალმა არ უნდა მოუწყოს სიურპრიზი და ბოლო წუთზე არ უნდა განაცხადოს თუ ვის აქვს მტკიცების ტვირთი. აღნიშნული მნიშვნელოვანია მხარეებისთვის სამართლიანი მოლოდინების შექმნის კუთხით.³¹⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით როგორც საარბიტრაჟო დათქმაში, ისე საარბიტრაჟო განხილვის დროს იმ პირობით, რომ აღნიშნული შეთანხმება არ იქნება უსამართლო, ცალმხრივი, არ გამოიწვევს მხარეთა მიმართ უთანასწორო მოპყრობას, არ დაარღვევს საჯარო წესრიგს და სავალდებულო ხასიათის ნორმებს და იქნება კეთილსინდისიერი.³¹⁸ შესაბამისად, მხარეთა კერძო ავტონომიის ფარგლებში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა გააფართოონ, შეზღუდონ, ან უარი თქვან მტკიცების ტვირთის კონკრეტულ საკითხზე ისე, როგორც

³¹³ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents From the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. p. 37.

³¹⁴ *Burden of Going Forward*.

³¹⁵ *The Burden of Persuasion*. დეტალურად ამ საკითხზე იხ. Von Mehren R., *Burden of Proof in International Arbitration* in Albert Jan van den Berg (ed), *Planning Efficient Arbitration Proceedings: The Law Applicable in International Arbitration*, ICCA Congress Series, Volume 7, Kluwer Law International, 1996.

³¹⁶ Carretero, M. A., *Burden and Standard of Proof in International Arbitration: Proposed Guidelines for Promoting Predictability*, *Revista Brasileira de Arbitragem*, Ano XIII – Nº 49, 2016. p. 93.

³¹⁷ Amaral G. R., *Burden of Proof and Adverse Inferences in International Arbitration: Proposal for an Inference Chart*, *Journal of International Arbitration*, Vol. 35:1, 2018. p. 3.

³¹⁸ Amaral G. R., *Burden of Proof and Adverse Inferences in International Arbitration: Proposal for an Inference Chart*, *Journal of International Arbitration*, Vol. 35:1, 2018. p. 3.

ისინი ამას სათანადოდ მიიჩნევენ (ზემოთ მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით).³¹⁹

აღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად შესაძლებელია ტრიბუნალმა შეცვალოს მტკიცების ტვირთი. ზოგადად აღიარებულია, რომ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში ტრიბუნალს აქვს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება, განსაზღვროს თუ რომელ მხარეს აქვს კონკრეტული ფაქტის მტკიცების ტვირთი, მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობს ამასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლის ნორმები.³²⁰ ამგვარი ფართო დისკრეცია დადასტურებულია UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ამბობს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, განსაზღვროს ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობა, მნიშვნელობა და წონა. მსგავსი წესი გვხვდება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების 17-ე მუხლში, IBA წესების მე-9 მუხლში, HKIAC-ის საარბიტრაჟო წესების 22-ე მუხლში, და ა.შ. ტრიბუნალის უფლებამოსილება, განსაზღვროს ან შეცვალოს მტკიცების ტვირთი, ასევე განმტკიცებულია ICC-ს გადაწყვეტილებების კომენტარებშიც.³²¹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხარეები პირდაპირ არიან შეთანხმებულნი მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, ტრიბუნალს არ შეუძლია მისგან გადახვევა და უნდა აღასრულოს ეს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის დროს.³²²

5.4. მტკიცების სტანდარტი

მტკიცების ტვირთისგან განსხვავებულ საკითხს წარმოადგენს მტკიცების სტანდარტი. ეს უკანასკნელი არის მტკიცების ის ხარისხი, რომლითაც მხარეს ესაჭიროება დაამტკიცოს მისი პოზიციის უპირატესობა.³²³

უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო კონვენციები, შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობები, თუ საარბიტრაჟო წესები დუმს საერთაშორისო არბიტრაჟში კონკრეტულად მტკიცების სტანდარტის საკითხთან დაკავშირებით,³²⁴ თუმცა მხოლოდ

³¹⁹ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 53.

³²⁰ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 73.

³²¹ Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. p. 73-74.

³²² დაწვრილებით იხ. Blavi F. and Vial G., The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. pp. 75-76.

³²³ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 378.

³²⁴ Carreteiro, M. A., Burden and Standard of Proof in International Arbitration: Proposed Guidelines For Promoting Predictability, *Revista Brasileira de Arbitragem*, Ano XIII – Nº 49, 2016. p. 94.

მიუთითებენ იმაზე, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობა, მნიშვნელობა და წონა.³²⁵

საარბიტრაჟო სფეროში მოღვაწე მკვლევარები ხშირად მიუთითებენ, რომ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მოქმედებს ე.წ. „მტკიცებულებების უპირატესობის“ (“preponderance of the evidence”) იგივე „ალბათობების ბალანსის“ (“balance of probabilities”) პრინციპი („უფრო შესაძლებელია, ვიდრე არა).³²⁶ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დავის გადაწყვეტ პირს დაარწმუნებს, რომ ერთი მხარის პოზიცია უპირატესია (უფრო დამაჯერებელია) მეორე მხარის პოზიციაზე.³²⁷

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში³²⁸ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ის მხარეს ვერ დააკისრებდა უფრო მაღალ მტკიცების სტანდარტს, ვიდრე ეს იყო „ალბათობების ბალანსის“ სტანდარტი. სხვა გადაწყვეტილებებში ასევე ნათქვამია, რომ საბოლოოდ შეფასება დადის იქამდე თუ რას მიიჩნევს ტრიბუნალი, რომელი მხარის პოზიციას უჭერს მხარს უფრო კარგად კონკრეტული მტკიცებულება.³²⁹

აღნიშნული სტანდარტი უნდა განვასხვავოთ „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისგან“, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებში. არამედ, ეს სტანდარტი არის სამოქალაქო საქმეების შეფასების სტანდარტი და შესაბამისად, წარმოადგენს სისხლის სამართალში არსებულ მითითებულ სტანდარტზე დაბალ სტანდარტს.³³⁰

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ გამოყენებული უნდა იქნას ფრანგული ძირის მქონე სტანდარტი, რომელსაც შინაგანი რწმენა ჰქვია³³¹ ან გერმანული მტკიცებულებების თავისუფალი შეფასება.³³² ორივე აღნიშნული სტანდარტი, ალბათობის ბალანსის სტანდარტისგან განსხვავებით (რომელიც შეფასების ობიექტურ

³²⁵ იხ. მაგ. UNICTRAL -ის მოდელური კანონი, მუხლი 19(2), UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 27(4), შვეიცარიის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 26 (2).

³²⁶ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2313; Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 378.

³²⁷ Carretero, M. A., *Burden and Standard of Proof in International Arbitration: Proposed Guidelines For Promoting Predictability*, *Revista Brasileira de Arbitragem*, Ano XIII – Nº 49, 2016. p. 94. აშშ-ში ზოგჯერ ამ სტანდარტის გამოსახატავად სვამენ კითხვას არის თუ არა კონკრეტული ფაქტი 50%-ზე მეტი ხარისხით დამაჯერებელი.

³²⁸ *Ron Fuchs v. The Republic of Georgia*, ICSID Case No. ARB/07/15.

³²⁹ *Gold Reserve Inc. v. Venezuela*, ICSID Case n° ARB(AF)/09/1, Award dated of September 22, 2014.

³³⁰ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 379.

³³¹ “Intime conviction“.

³³² “Freie Beweiswürdigung“. იხ. Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, *Unigrafia Helsinki*, 2016. pp. 38-39.

სტანდარტს წარმოადგენს) არის შეფასების სუბიექტური სტანდარტი. ორივე ეს სტანდარტი მოსამართლეს უფრო დიდ დისკრეციას აძლევს, ვინაიდან მიჩნეულია, რომ მოსამართლე მტკიცებულებებს აფასებს საკუთარი (კარგი) ცოდნისა და ექსპერტიზის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვსაუბრობთ ამ სტანდარტებზე, ბუნებრივია, არაფერი ზღუდავს ტრიბუნალს გამოიყენოს აღნიშნულიდან რომელიმე სტანდარტი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, საერთაშორისო არბიტრაჟში უფრო გამოყენებულია „ალბათობების ბალანსის“ სტანდარტი, რაც, როგორც აღინიშნა, აისახება საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებებშიც კი.

თუმცა, გავრცელებულია მოსაზრება, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით თუ რომელი სტანდარტი იქნება გამოყენებული, მნიშვნელობა არ აქვს.³³³ როდესაც ტრიბუნალი გადაწყვეტილებას იღებს „მტკიცებულებათა უპირატესობის“ სტანდარტით, მან საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა, „რომელი მხარის მტკიცებულებებია უფრო დამაჯერებელი?“, მაშინ, როდესაც თუ ხდება შინაგანი რწმენის სტანდარტის გამოყენება, ტრიბუნალი პასუხობს კითხვას „იყო მტკიცებულებები საკმარისი ჩემს დასარწმუნებლად?“. ერთ შემთხვევაში არბიტრმა უნდა გადაწყვიტოს, იყო თუ არა მტკიცებულებების დამარწმუნებელი გონიერი ადამიანის გადმოსახედიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში - არბიტრის გადმოსახედიდან. საბოლოოდ, განსხვავება უჩინარდება.³³⁴

6. სამოქალაქო საქმისწარმოების ფარგლებში მტკიცებულებების შეგროვების სხვადასხვა მოდელი და შესაფერისი ვარიანტი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟისთვის

როგორც ზემოთ აღინიშნა, ისევე როგორც ბევრ სამართლებრივ საკითხზე, განსხვავება მტკიცებულებების წარდგენის საკითხზე საერთო სამართლის და კონტინენტური სამართლის ტრადიციებს შორის ნათელია. შესაბამისად, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟის ფარგლებში მტკიცებულებების წარდგენის საკითხი დიდი დავის საგანი შეიძლება გახდეს, რადგან, ამ პროცესში, როგორც წესი, სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციების წარმომადგენელი მხარეები და მათი იურისტები არიან. შესაბამისად, საერთაშორისო საარბიტრაჟო დავის განმხილველი ტრიბუნალები ვალდებული არიან

³³³ იხ. Van Houtte V., Adverse Inferences in International Arbitration, In: Teresa Giovannini and Alexis Mourre (eds.), Written Evidence and Discovery in International Arbitration. New Issues and Tendencies, Dossier of the ICC Institute of World Business Law, 2009. p. 198.

³³⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia Helsinki, 2016. pp. 39-40.

გადაწყვიტონ არა მხოლოდ დავის არსებითი ნაწილი, არამედ მხარეებს შორის წარმოშობილი დავა მტკიცებულებების წარდგენის საკითხზეც.³³⁵

თუმცა, სანამ საუბარი იქნება თუ რა მიდგომების გამოყენებაა მიზანშეწონილი საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვების ფარგლებში, აუცილებელია იმის განხილვა, დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის რა სტანდარტები არსებობს საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ტრადიციებში და რა მთავარი განსხვავებებია მათ შორის.

6.1. საერთო სამართლის ტრადიციის მიდგომა

დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობს ე.წ. გამჟღავნების (disclosure) დოქტრინა, რომელიც, მიჩნეულია როგორც „სამართლის ძლევამოსილი ინსტუმენტი.“³³⁶ ტრადიციული გამჟღავნების პროცესი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ სასამართლოსთვის ყველა იმ დოკუმენტის წარდგენას, რომლებსაც დავისთვის მნიშვნელობა გააჩნიათ. კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს განხილვის პროცესის ეტაპს, რომლის ფარგლებში მხარეებს მოეთხოვებათ შეაგროვონ და მიმოიხილონ ყველა დოკუმენტი, რომელიც პოტენციურად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს დავისთვის და შემდგომ მეორე მხარეს წარუდგინონ გასამჟღავნებელი დოკუმენტები (როგორც წესი, დოკუმენტების სია). მეორე მხარეს აქვს უფლება, გააკეთოს გამჟღავნებული დოკუმენტის ასლი და გამოიყენოს იგი. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება დიდი ოდენობით დოკუმენტებს, აღნიშნულის მენეჯმენტს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ასევე, გამჟღავნების ეტაპთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც მხარემ გასწია, ექვემდებარება ანაზღაურებას დამარცხებული მხარის მიერ.³³⁷

პრაქტიკაში, მხარეები ერთმანეთს წარუდგენენ დოკუმენტების სიას გამჟღავნების განაცხადთან ერთად, რომელსაც ხელს აწერს მხარე (და არა მისი წარმომადგენელი).³³⁸

გამჟღავნების პროცესის სანდობას საერთო სამართლის ქვეყნებში განამტკიცებს ორი გარემოება. პირველი, იურისტებს სასამართლოს წინაშე აკისრიათ იმის უზრუნველყოფის

³³⁵ Trittman R. and Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 31 (1), 2008. p. 330.

³³⁶ Trittman R. and Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 31 (1), 2008. p. 330.

³³⁷ Hogan Lovells, Disclosure of documents in civil proceedings in England and Wales, 2020. p. 1.

³³⁸ Trittman R. and Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 31 (1), 2008. p. 335.

სამართლებრივი ვალდებულება, რომ რელევანტური დოკუმენტები არ დარჩება გაუმჟღავნებელი და მეორე, პირები, რომლებიც გააკეთებენ არასწორ გამჟღავნების განაცხადს, იმის რწმენის გარეშე რომ ის სამართლეს შეესაბამება, შეიძლება გასამართლდნენ.³³⁹

აღნიშნული წესის მთავარ სარგებლად მიჩნეულია ის, რომ გამჟღავნების შემდეგ, მხარეთა ადვოკატებს, გამჟღავნებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უკვე განხილვის ადრეულ ეტაპზევე შეუძლიათ განჭვრიტონ დავის შედეგი და ამან შესაძლოა მხარეს უზიძვოს მორიგებისკენ. ამიტომ ხშირია შემთხვევები როდესაც გამჟღავნების ეტაპის შემდეგ საქმეები მორიგებით სრულდება.³⁴⁰

6.2. კონტინენტური სამართლის ტრადიციის მიდგომა

კონტინენტური სამართლის ტრადიციაში არ არსებობს გამჟღავნების დოქტრინის მსგავსი მიდგომა. არამედ სისტემა ეფუძნება დისპოზიციურობის³⁴¹ და შეჯიბრებითობის პრინციპებს,³⁴² რომელთა მიხედვითაც მხარეები განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ, ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.³⁴³

შესაბამისად, კონტინენტური სამართლის ტრადიციაში მხარეები წარადგენენ იმ დოკუმენტებს, რომლებზეც ისინი ამყარებენ მათ მოთხოვნებსა თუ შესაგებლებს. რაც შეეხება დოკუმენტებს, რომლებზეც მხარეებს ხელი არ მიუწვდებათ და ისინი მეორე მხარის ან მესამე პირის მფლობელობაში არიან, მათი გამოთხოვის შესაძლებლობა მხარეებს აქვთ,³⁴⁴ თუმცა კონტინენტური სამართლის ქვეყნების სასამართლოები ასეთ

³³⁹ Trittmann R. and Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 31 (1), 2008. p. 335.

³⁴⁰ Hogan Lovells, Disclosure of documents in civil proceedings in England and Wales, 2020. p. 1.

³⁴¹ გერმანულ ენაზე Dispositionsmaxime, ხოლო ფრანგულ ენაზე Principe dispositif.

³⁴² გერმანულ ენაზე Beibringungsgrundsatz (ინგ. principle of party presentation).

³⁴³ დაწვერილებით აღნიშნული პრინციპების გერმანიაში მოქმედების შესახებ იხ. Wolf C. and Zeibig N., Evidence in Civil Law – Germany, lex localis, 2013. p. 1-19. დაწვერილებით აღნიშნული პრინციპების საფრანგეთში მოქმედების შესახებ იხ. Oudin M., Evidence in Civil Law – France, lex localis, 2015. pp. 1-9. იხ. აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 3, 4 და 103.

³⁴⁴ იხ. გსსკ § 142, სსსკ-ის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დროს, როგორც წესი საკმაოდ მკაცრები არიან. მაგალითისთვის, გერმანიაში სასამართლოები ნაკლებად აკმაყოფილებენ მხარეთა მოთხოვნებს გამოთხოვის შესახებ.³⁴⁵

შესაბამისად, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს არ წარუდგინონ ის დოკუმენტები, რომლებიც მათ მათი პოზიციისთვის არახელსაყრელად მიაჩნიათ. ამგვარი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუჩნდებათ, თუ ამას მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მათ სასამართლო უბრძანებთ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემის ქვეყნებში, როგორც წესი, არსებობს განხილვის ე.წ. მოსამზადებელი (ან წინასწარი განხილვის) ეტაპი, რომლის დროსაც მხარეებმა უნდა წარადგინონ მათთვის ხელსაყრელი დოკუმენტები და დააყენონ დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).³⁴⁶

6.3. საერთაშორისო არბიტრაჟისთვის შესაფერისი მიდგომა

აღსანიშნავია, რომ ამგვარი განსხვავების პირობებში, მხარეთა შეთანხმების არარსებობის დროს, ტრიბუნალის მიერ რომელიმე კონკრეტული მიდგომის არჩევა და პირდაპირი კოპირება საერთაშორისო არბიტრაჟში მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული. არამედ, დღესდღეობით ტრიბუნალებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მხარეთა მოლოდინები, მათი “ბექგრაუნდი”, საქმის ბუნება და დავის საგნის ოდენობა.³⁴⁷ შესაბამისად, ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ჰიბრიდული სტანდარტი, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებასაც IBA-ს წესები წარმოადგენს. თუ რა გარემოებები უნდა მიიღოს მხედველობაში ტრიბუნალმა საკითხის გადაწყვეტის დროს, შემდეგ თავებში დაწვრილებით არის მიმოხილული.

7. დოკუმენტების წარდგენა: მხარის მფლობელობაში არსებული დოკუმენტების გამჟღავნება

სხვადასხვა საარბიტრაჟო ინსტიტუციების საარბიტრაჟო წესები შეიცავს ზოგად მუხლებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი მტკიცებულებები და როგორ უნდა დაადგინოს ტრიბუნალმა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები (გარემოებები). თუმცა ეს

³⁴⁵ იხ. Trittman R. and Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 31 (1), 2008. p. 336.

³⁴⁶ იხ. სსკ-ის 203-ე მუხლი.

³⁴⁷ Trittman R. and Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 31 (1), 2008. p. 337.

წესები, როგორც წესი, ფოკუსირებულია იმაზე, რომ ტრიბუნალებს აქვთ ფართო დისკრეტია ჩაატარონ საარბიტრაჟო პროცესი თავისი შეხედულებისამებრ და დაადგინონ ცხადი გზამკვლევი მტკიცებულებების წარდგენის მიმართულებით.³⁴⁸ აღნიშნული კი ნიშნავს, რომ მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, დაადგინოს პრაქტიკული ასპექტები წერილობითი წარდგინებების თუ მტკიცებულებების წარდგენის მხრივ (მათ შორის ასლების, დოკუმენტების დანომვრის, დოკუმენტებზე მითითების და ა.შ. შესახებ), ამ წარდგენის ვადები, დაგვიანების სამართლებრივი შედეგები, დოკუმენტების სისწორის პრეზუმცია, დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის ფორმა, ექსპერტების არჩევა, მათ მიერ ჩვენებების წარდგენის ფორმა, მოსმენების ჩატარების საკითხი, მათი რაოდენობა და ხანგრძლივობა და ა.შ.³⁴⁹

თუმცა, როგორც არ უნდა იქნას გადაწყვეტილი პროცედურული საკითხები, მხარეს ვერ ჩამოერთმევა უფლება წარადგინოს ის მტკიცებულებები, რომლებიც მას მიაჩნია აუცილებლად საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრიბუნალს, საარბიტრაჟო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შეუძლია მხარეებს გარკვეული ჩარჩო დაუწესოს მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის მიმართულებით, თუმცა იგი არ არის უფლებამოსილი, მხარეებს ჩამოართვას მტკიცებულების წარდგენის კონსტიტუციური უფლება.

შესაბამისად, საერთაშორისო არბიტრაჟში მიღებული მიდგომაა, რომ თითოეულმა მხარემ უნდა წარადგინოს ის მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობაც მას აქვს განზრახული.³⁵⁰ აღნიშნული, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია, ვინაიდან

³⁴⁸ იხ. AAA-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლები 16-22; ICC-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლები 20, 21, 36. ICSID-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლები 33-37; LCIA-ს საარბიტრაჟო წესები მუხლები 19-22; ავსტრიის ფედერალური ეკონომიკური პალატის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 14. იხ. Von Mehren G. and others, Submitting Evidence in an International Arbitration: The Common Lawyer's Guide, Journal of International Arbitration 20 (3): 2003, p. 286.

³⁴⁹ Von Mehren G. and others, Submitting Evidence in an International Arbitration: The Common Lawyer's Guide, Journal of International Arbitration 20 (3): 2003, p. 286.

³⁵⁰ იხ. Bantekas I., An Introduction to International Arbitration, Cambridge University Press, 2015. p. 175.

იხ. ასევე ICC საქმე No. 9078, Final Award, ICC Bulletin, 2005 Special Supplement: UNIDROIT Principles: New Developments and Applications, p. 73, პარაგრაფი 8.5.2: *“მოსარჩელე ატარებს მტკიცების ტვირთს წარადგინოს დასაბუთებული ბრალდება და დაადასტუროს [ზიანის] ყველა ზემოაღნიშნული ელემენტი. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში არის შესაძლებელი იმაზე დათანხმება, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირის და ბრალის დადასტურების მტკიცების ტვირთი გადავიდეს მოპასუხეზე. მოსარჩელე ატარებს ტვირთს დაადასტუროს მისი ბრალდება კონკრეტული გზით და დაამტკიცოს, არამხოლოდ ზიანის დადგომის ფაქტი, არამედ ზიანის რეალური ოდენობა.”* იხ. აგრეთვე ICC საქმე No. 6896, Final Award, ICC Bulletin, Vol. 15, No. 1, 2004, p. 6: საქმეში ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ სწორედ მოსარჩელეს ეკისრებოდა ტვირთი დაემტკიცებინა ბანკთან დადებული ხელშეკრულების შინაარსი და მისი ვალდებულების მოცულობა.

მხარეებმა უნდა დაადასტურონ თავიანთი განცხადებები მტკიცებულებებით, რათა ასწიონ სამართლის ნორმების თუ ტრიბუნალების მიერ განაწილებული/დადგენილი მტკიცების ტვირთი.³⁵¹

ეს პრინციპი გვხვდება ფაქტობრივად ყველა ძირითად საარბიტრაჟო წესებში. მაგალითისთვის, UNCITRAL-ის მოდელური კანონის 23 მუხლის, HKIAC-ის საარბიტრაჟო წესების 16.3 მუხლი, ICC-ს საარბიტრაჟო წესების 25.1 მუხლი, LCIA-ს საარბიტრაჟო წესების 15.2 და 15.4 მუხლები, SCC-ს საარბიტრაჟო წესების 29-ე მუხლი, WIPO-ს საარბიტრაჟო წესების მუხლები 41 და 42 პირდაპირ აცხადებენ, რომ საარბიტრაჟო განაცხადს/სარჩელს მოსარჩელემ, ხოლო საარბიტრაჟო შესაგებელს, მოპასუხემ უნდა დაურთოს ის მტკიცებულებები, რომლებზეც ის ამყარებს მოთხოვნას ან შესაბამისად, შესაგებელს, გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მეორე მხარეს უკვე წარდგენილი აქვს ის დოკუმენტი, რომლის გამოყენებასაც მეორე მხარე განიზრახავს.³⁵²

აღნიშნული პრინციპი ასევე გადმოცემულია რბილი სამართლის წესებში, რომლებიც ეხება მტკიცებულების წარდგენის საკითხს. კერძოდ, IBA-ს წესების 3.1 მუხლი მიუთითებს შემდეგს: ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ დროში, თითოეულმა მხარემ საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მეორე მხარეს უნდა წარუდგინოს ყველა დოკუმენტი, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომია და რომლებსაც ის ეყრდნობა, მათ შორის ის დოკუმენტები, რომლებიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, გარდა ნებისმიერი დოკუმენტისა, რომელიც მეორე მხარემ უკვე წარადგინა.“

პრადის წესების 4.1. მუხლი კი აცხადებს შემდეგს: „თითოეულმა მხარემ, პროცესის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა წარადგინოს დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობასაც ის განიზრახავს საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად.“

შესაბამისად, როდესაც მხარეებს შეაქვთ საარბიტრაჟო სარჩელი, შესაგებელი თუ დამატებითი წარდგინებები, აქვთ შესაძლებლობა მათ დანართების სახით დაურთონ საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერი დოკუმენტები და მტკიცებულებები ისე, რომ მათი წარდგენის დროს არ იქნება განხილული მათი დასაშვებობის საკითხი, არამედ ისინი დაერთვება საქმეს.³⁵³ თუმცა, მხარის მფლობელობაში არსებული დოკუმენტების შემდგომში, საარბიტრაჟო პროცესის დროს წარდგენა არ უნდა მოხდეს უკონტროლოდ და ყოველგვარი ჩარჩოს გარეშე. როგორც აღინიშნა, აღიარებულია, რომ ეს პროცესი უნდა

³⁵¹ იხ. მაგალითად ICC საქმე No. 11209, Final Award, ICC Bulletin, Vol. 16, No. 2, 2005, p. 102.

³⁵² O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, 26. ასეთ დროს, საქმის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეს უფლება აქვს მითითება გააკეთოს მეორე მხარის მიერ წარდგენილ დოკუმენტზე და ხელმეორედ აღარ წარადგინოს იგივე დოკუმენტი.

³⁵³ Von Mehren G. and others, Submitting Evidence in an International Arbitration: The Common Lawyer's Guide, Journal of International Arbitration 20 (3): 2003, p. 286.

მართოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. პროცესის მართვა კი ტრიბუნალის მიერ იწყება პირველივე სხდომაზე და გრძელდება პროცესის განმავლობაში მიღებული პროცედურული დადგენილებებით, რომელთა გამოყენებითაც ხდება განხილვის მენეჯმენტი.

ტრიბუნალის ეს ვალდებულება კარგად არის გამოხატული IBA-ს წესებში. კერძოდ, აღნიშნული წესების 3.1 მუხლი მიუთითებს, რომ მხარემ მისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულება უნდა წარადგინოს ტრიბუნალის მიერ „განსაზღვრულ ვადაში“. საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ ტრიბუნალებმა დაუშვებლად ცნეს მხარის მიერ ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ვადის დარღვევით წარდგენილი მტკიცებულებები სწორედ მათი გვიან წარდგენის მოტივით.³⁵⁴ მაგალითად, საქმეში *International Military Services Ltd v. Ministry of Defence and Support for Armed Forces of Iran*,³⁵⁵ ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ICC-ს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომლითაც ტრიბუნალმა უარი უთხრა მხარეს იმ დოკუმენტების მიღებაზე, რომელიც წარდგენილი იყო მტკიცებულებების წარდგენისთვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული მიდგომა ბუნებრივად გამოიყურება ვინაიდან, როგორც ქვეყნების შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობებით, ისე საარბიტრაჟო წესებით თუ რბილი სამართლით, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს აქვთ უფლებაც და ვალდებულებაც³⁵⁶ საარბიტრაჟო განხილვა ჩაატარონ ეფექტიანად და ეკონომიურად, რაც მოიცავს ტრიბუნალის შესაძლებლობას მხარეებს დაუდგინოს კონკრეტული ვადები.³⁵⁷ აღნიშნული ვადების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს განხილვის გაჭიანურება. ამასთან, ტრიბუნალს შეუძლია მიიღოს დაგვიანებით წარმოდგენილი მტკიცებულებები, თუმცა ასეთ შემთხვევაში მან მეორე მხარესაც უნდა მისცეს დრო რათა კომენტარი გააკეთოს ამ მტკიცებულებებზე, და

³⁵⁴ მსგავსად ამისა, აშშ-ს მესამე ოლქის სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ფაქტი, რომ ტრიბუნალმა, რომელიც საქმეს შვეიცარიაში განიხილავდა UNCITRAL-ის წესების მიხედვით, მხარეებს პროცედურული დადგენილებით დაუწესა კონკრეტული ვადები მტკიცებულებების წარმოსადგენად. კერძოდ, ტრიბუნალის პროცედურული დადგენილებით, დოკუმენტები მხარეებს უნდა დაერთოთ მათი პირველი წარდგინებისთვის და ახალი დოკუმენტების დაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, როდესაც აუცილებელია მხარემ უპასუხოს მეორე მხარის არგუმენტს ან ბრალდებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა, დახმარებოდა მას მტკიცებულების შეგროვებაში, იყო უსაფუძვლო, რადგან ტრიბუნალის მიერ მხარისთვის მიცემული ვადა უკვე გასული იყო. იხ. *Comisión Ejecutiva Hidroeléctrica del Río Lempa v Nejapa Power Co, LLC*, 341 Fed Appx 821, (3d Cir. 2009), p. 827.

იხ. აგრეთვე 23. O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 26.

³⁵⁵ *International Military Services Ltd v Ministry of Defence and Support for Armed Forces of Iran*, Hoge Raad 24 April 2009, NJ 2010/171.

³⁵⁶ იხ. IBA წესები, მუხლი 9.

³⁵⁷ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, 26.

საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს საპირისპირო მტკიცებულებები.³⁵⁸ ტრიბუნალმა უნდა აწონ-დაწონოს დაგვიანებული მტკიცებულების მიღების გავლენა პროცესზე დროის და ხარჯების, ასევე ეფექტიანობის კუთხით და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება დაუშვებს დაგვიანებით წარმოდგენილ მტკიცებულებებს თუ არა.³⁵⁹ თუმცა, ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ტრიბუნალი ვალდებულია დაუშვას დაგვიანებული წარდგინებები, როდესაც მხარეს მისთვის არ წარუდგენია დაგვიანების გონივრული მიზეზი. პირიქით, უმეტესად ამგვარი დაგვიანებული წარდგინებები ტრიბუნალის მიერ არ მიიღება.³⁶⁰

ამრიგად, ტრიბუნალმა უნდა მიიღოს დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტები, როდესაც მხარე დაასაბუთებს, რომ მას მანამდე ამ დოკუმენტების წარმოდგენა არ შეეძლო.³⁶¹ თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში სწორედ აღნიშნულ მიდგომას იზიარებს.³⁶² კიდევ ერთი გამონაკლისია, როდესაც მეორე მხარე არ აპროტესტებს დოკუმენტების დაგვიანებით წარმოდგენას და თანახმაა ისინი დაერთოს საქმეს.³⁶³

7.1. მტკიცებულებების წარდგენის ვადა

საერთაშორისო არბიტრაჟში პრეზუმირებულია, რომ მხარე თავისი პოზიციის მხარდასაჭერ დოკუმენტებს წარადგენს მის მიერ პირველი წარდგინებების შეტანისთანავე. ხშირად ეს არის საარბიტრაჟო სარჩელი და საარბიტრაჟო შესაგებელი. 1992 წელს აშშ-გერმანიის პრეტენზიების ერთობლივი კომისიის მიერ მიღებულ პროცედურებში³⁶⁴ აღნიშნული იყო, რომ “სარჩელი ფორმალურად შეტანილად უნდა ჩაითვალოს როდესაც ის წარედგინება სამდივნოს მემორანდუმის, პეტიციის ან წერილობითი განაცხადის ფორმით, რომელიც შეიცავს ცხად მითითებას ფაქტებზე, რომლებსაც პრეტენზია ემყარება [...] თანდართული ყველა იმ დოკუმენტის ან სხვა მტკიცებულების ასლით, რომელიც მხარს უჭერს ამ პრეტენზიას [...]”.³⁶⁵

³⁵⁸ მაგ. იხ. Continental Transfert Technique Ltd v The Federal Government of Nigeria (Ad hoc), Final Award, para. 54 (2008); United States of America v The Netherlands (The Island of Palmas Case) (4 April 1928) 2 RIAA 842.

³⁵⁹ იხ. მაგ. Metalclad Corp v United Mexican States, ICSID Case No. ARB(AF)/97/1.

³⁶⁰ იხ. მაგ. ICC საქმე No. 6465, 121 JDI Clunet 1088, (1994), pp. 1093–1095.

³⁶¹ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 28.

³⁶² Eastern Sugar BV (Netherlands) v Czech Republic, UNCITRAL, SCC No 088/2004, Partial Award, WL 5366488, pp. 53 (2007): „პროცედურული ბრძანებით დადგენილი იყო, რომ ახალი დოკუმენტები არ დაიშვებოდა ზეპირ განხილვამდე დიდი ხნით ადრე დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა, დამატებით წარდგენილი დოკუმენტის დაშვება შესაძლებელია თუ მისი წარდგენა შეუძლებელი იყო მანამდე.“

³⁶³ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 28.

³⁶⁴ The United States-German Mixed Claims Commission.

³⁶⁵ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 28-29.

მსგავსი მიდგომა ეხმარება, როგორც მხარეებს, ისე ტრიბუნალს, ვინაიდან აღნიშნულის გათვალისწინებით მათ ეძლევათ შესაძლებლობა განხილვა წარმართონ ეფექტიანად, საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე. არბიტრებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გამოარკვიონ მნიშვნელოვანი საკითხები ადრეულ ეტაპზე.³⁶⁶

თუმცა, ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში მხარეებს დოკუმენტების წარდგენა მოგვიანებითაც შეუძლიათ, რადგან მეორე მხარის მიერ კონკრეტულ საკითხებზე შედავების შემდეგ, შესაძლოა წარმოიშვას იმ მტკიცებულებების წარდგენის აუცილებლობა, რომელიც მხარემ საარბიტრაჟო სარჩელს ან შესაგებელს არ დაურთო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებების ნებაყოფლობით წარდგენა მხარის მხოლოდ და მხოლოდ უფლებას და არა ვალდებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, მხარის მიერ ნებაყოფლობით (ტრიბუნალის მითითების არარსებობისას) დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, სწორედ ამ მხარის რისკს წარმოადგენს თუ მას უარყოფითი შედეგი დაუდგება იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის დადასტურება.

ამასთან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დაყენება იმ მხარის მიერ რომელიც შემდგომ აღმოაჩენს, რომ მისი სასარგებლო მტკიცებულება ინახებოდა მოწინააღმდეგე მხარესთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მოახდინა მისი ნებაყოფლობით წარდგენა, არ უნდა იყოს წარმატებული.³⁶⁷ აღნიშნულ საკითხზე ერთ-ერთმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „ზოგიერთი შეთანხმებული ან სტანდარტული პროცედურების (მაგ. IBA წესები) მიხედვით, მტკიცებულებების გამჟღავნება არის ნებაყოფლობითი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამჟღავნებაზე არსებობს [მხარეთა] შეთანხმება ან ტრიბუნალის დადგენილება“.³⁶⁸

7.2. მტკიცებულებების წარდგენის დასრულების ეტაპი

მტკიცებულებების ნებაყოფლობითი წარდგენის ეტაპი, როგორც წესი სრულდება ზეპირი მოსმენის დაწყებამდე.³⁶⁹ ვინაიდან წერილობით მტკიცებულებებს საერთაშორისო

³⁶⁶ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 29.

³⁶⁷ იხ. მაგ. Biotronik Mess- und Therapie GmbH & Co v Medford Medical Instrument Co, 415 F.Supp. (D. N. J. 1976), p. 138.

³⁶⁸ L. Brown & Sons Ltd v Crosby Homes (North West) Ltd [2008] EWHC 817. იხ. O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 29.

³⁶⁹ Bear Creek Mining Corporation v Republic of Peru, ICSID Case No. ARB/14/21, Procedural Order No. 1, §16.3. (2015): „არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები მათ მიერ

არბიტრაჟში ძალიან დიდი როლი ენიჭებათ, ტრიბუნალებს ყოველთვის უნდათ, რომ ჰქონდეთ მათი გაცნობის შესაძლებლობა მანამ, ვიდრე ზეპირი მოსმენები დაინიშნება და ისინი, მათ შორის, მოუსმენენ მოწმეებს. აღნიშნული ახსნილია გამოცდილი არბიტრებისგან შემდგარ ერთ-ერთი ტრიბუნალის მიერ UNCITRAL-ის წესებით გამართული ერთ-ერთი არბიტრაჟის ფარგლებში შემდეგნაირად: „ჩვენ ჯერ არ ვართ მზად გავმართოთ მტკიცებულებების შესახებ მოსმენა. ჩვენ პირველ რიგში, უნდა ვნახოთ მოსარჩელე მხარის მტკიცებულებების ბუნება და ფარგლები. [მხოლოდ ამის შემდეგ] გადავწყვეტთ, თუ როგორც განვაგრძოთ პროცესი. შესაძლოა, ჩვენ გამოვყოთ ერთი ან რამდენიმე გადამწყვეტი საკითხი, რომელთა შესახებაც ჩვენების მოსმენა ადრეულ ზეპირ მოსმენაზე იქნება სასურველი.“³⁷⁰

გამეორების სახით უნდა ითქვას, რომ უმეტეს საქმეებში მტკიცებულებები, რომლებიც ხელმისაწვდომია თითოეული მხარისთვის, როგორც წესი, ერთვის საარბიტრაჟო სარჩელს, შესაგებელს, შესაგებელის პასუხად მოსარჩელის მიერ შეტანილ წარდგინებას და წარდგინების პასუხს. ამის მიზანი კი არის ის, რომ დოკუმენტების წარდგენის ეტაპი დასრულდეს ზეპირ მოსმენამდე.³⁷¹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ზეპირი მოსმენა არ ხურავს მტკიცებულებების წარდგენის ეტაპს, არამედ, ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული ვადა ზეპირ მოსმენამდე, რომლის ფარგლებში მხარეებს ექნებათ მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

შესაბამისი წერილობითი წარდგინებების შეტანის შემდეგ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, რომელიც უნდა განხორციელდეს ტრიბუნალის დისკრეციით და მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის და მეორე მხარის პასუხის მოსმენის შემდეგ.“ იხ. აგრეთვე Standard Chartered Bank v United Republic of Tanzania, ICSID Case No. ARB/10/12, Procedural Order Nos. 1, 8, and 10 (2011); Dunkeld International Investment Ltd v The Government of Belize, PCA Case No. 2010-13/DUN-BZ, Order No. 7, §6 (2015): „*დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის დროს, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი მიზეზი*“. იხ. აგრეთვე British Caribbean Bank Ltd v The Government of Belize, PCA Case No. 2010-28/BCB-BZ, Order No. 6 (2014), §6.2: „*ვადის გასვლის შემდეგ, დამატებითი მტკიცებულებების მიღება დაიშვება მაშინ, როდესაც სახეზეა განსაკუთრებული გაფრთხილება და დადასტურებულია მნიშვნელოვანი მიზეზი*.“ იხ. აგრეთვე O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 29.

³⁷⁰იხ. Methanex Corp v United States of America, supra n. 7, First Partial Award, para. 168 (2002). იხ. ასევე O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 29.

³⁷¹ TCW Group Inc and Dominican Energy Holdings LP v The Dominican Republic, CAFTA/UNCITRAL, Procedural Order No. 2, para. 5.3 (2008): ახალი ფაქტობრივი გარემოების ან მტკიცებულების მითითება შესაგებელის წარდგენის შემდეგ, როგორც ეს მითითებულია ვადების ცხრილში, დაუშვებელია, გარდა მხარეთა მიერ საწინააღმდეგოზე შეთანხმებისა, ან ტრიბუნალის მიერ ცხადად ნების დართვისა. იხ. აგრეთვე ICDR Case No. 50T180, Procedural Order No. 2, para. 18 (2002), სადაც ტრიბუნალმა განმარტა, რომ არ მიიღება დოკუმენტური მტკიცებულებები იმ მხარისგან, რომელმაც არ წარადგინა დოკუმენტები შესაბამისი ფორმის დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამგვარი წარუდგენლობის პატივსაცემი მიზეზი. ასევე, ახალი მტკიცებულებები ზეპირი განხილვის დროს არ იქნება მიღებული. იხ. O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 29.

მტკიცებულების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ, მხარეებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული დრო ზეპირ მოსმენამდე. ამგვარი მიდგომის შემთხვევაში მხარეებსაც და ტრიბუნალსაც დარჩებათ დრო ზეპირ მოსმენამდე გაეცნონ საქმის მასალებს.

7.3. კეთილსინდისიერება დოკუმენტების ნებაყოფლობით წარდგენის შემთხვევაში

აღიარებულია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთა მონაწილეობის უმნიშვნელოვანეს სტანდარტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო კანონები თუ საარბიტრაჟო წესები ამაზე პირდაპირ არ მიუთითებენ, მხარეების მიერ პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულება საერთაშორისო არბიტრაჟოში, როგორც ნაგულისხმევი ვალდებულება, არსებობს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ვალდებულების დეკლარირება მოხდა როგორც IBA-ს წესების პრეამბულაში, ისე მე-3 მუხლში. წესები აცხადებს, რომ კეთილსინდისიერება მოიცავს იმას, რომ მხარეს, მტკიცებულებების შესახებ მოსმენის გამართვამდე გონივრული ვადით ადრე უნდა ეცნობოს ნებისმიერი ფაქტის ან მტკიცებულების შესახებ, რომელსაც მეორე მხარე იყენებს.³⁷²

მაგალითად, თუ მხარე დააყოვნებს მტკიცებულების წარდგენას რათა მეორე მხარეს დარჩეს რაც შეიძლება მცირე დრო ამ მტკიცებულების გასაცნობად და ამით შეეცდება პროცედურული უპირატესობის მოპოვებას, ეს შეიძლება განხილული იყოს, როგორც კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევა.³⁷³ ერთ-ერთი მკვლევარის მოსაზრებით, მხარის მიერ ყველა იმ მტკიცებულების წარუდგენლობა, რომელზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნას, იმ განზრახვით, რომ მეორე მხარეს ან მოწმეს მოუწყოს „სიურპრიზი“, შესაძლოა ჩაითვალოს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად IBA-ს წესების მიხედვით.³⁷⁴ საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, მსგავსი საქციელის მხედველობაში მიღება ხარჯების განაწილების დროს, ან აღარ მიიღოს მსგავსი მტკიცებულება, თუ ის ვადის გასვლის შემდეგაა წარდგენილი.³⁷⁵

³⁷² IBA წესები, პრეამბულა.

³⁷³ Klasener A., The Duty of Good Faith in the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, *International Arbitration Law Review*, Vol. 13, No. 5, 2010, p. 162.

³⁷⁴ Klasener A., The Duty of Good Faith in the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, *International Arbitration Law Review*, Vol. 13, No. 5, 2010, p. 162.

³⁷⁵ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 30 IBA-ს წესების ფარგლებში კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ იხ. Martinez-Fraga P., Good faith, bad faith, but not losing faith a commentary on the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, *Georgetown Journal of International Law*, Vol. 43, 2012, pp. 410-420; აგრეთვე Moses M., Is Good Faith in the IBA Evidence Rules Good? *Kluwer Arbitration Blog*, 2012.

7.4. დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენის ფორმა და ადრესატი

საერთაშორისო არბიტრაჟში საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს, რომ მხარე, რომელიც თავისი ნებით წარადგენს მისთვის ხელსაყრელ დოკუმენტებს, ეს დოკუმენტები უნდა წარუდგინოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მოწინააღმდეგე მხარეს. ეს უზრუნველყოფს, რომ მეორე მხარეს თავიდანვე ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს და საჭიროების შემთხვევაში უპასუხოს მათ (მოსაზრების ან მტკიცებულებების წარდგენით), მანამ, სანამ განხილვები გაიმართება, და ამით ხელი შეუწყოს სამართლიან პროცესს.³⁷⁶

როგორც წესი, საარბიტრაჟო განხილვის დროს ხდება დოკუმენტების ასლების (და არა ორიგინალების) წარდგენა. ბუნებრივია, წარდგენილი ასლები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ორიგინალებს. აღნიშნული პირდაპირ არის მითითებული IBA-ს წესების 3.11 მუხლში. ეს მუხლი წესებში აისახა იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც არაერთი არბიტრაჟის ფარგლებში არსებობდა. კერძოდ, ხშირად ხდებოდა, რომ მხარეები წარადგენდნენ არასრულ ან გაყალბებულ ასლებსაც კი.³⁷⁷

უფრო სიცხადისთვის, ასლი უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტს, როგორც ეს მისმა შემქმნელმა (ავტორმა) შექმნა. მაგალითისთვის, შესაძლოა წერილის მიმღებმა მასზე გააკეთოს საკუთარი მინაწერები. ასეთ დროს, მინაწერები არ მიეკუთვნება გამგზავნის (ავტორის) მიერ შექმნილ ორიგინალ დოკუმენტს. შესაბამისად, თუ მიმღებს სურს ამ წერილის წარდგენა საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში, მან წერილს უნდა მოაშოროს საკუთარი მინაწერები, რადგან ის ორიგინალ დოკუმენტს არ ეკუთვნის,³⁷⁸ ან, თუ მინაწერის მოშორება ვერ ხერხდება, ცხადად და ორაზროვნად მიუთითოს მხარეს და ტრიბუნალს იმის შესახებ რომ მინაწერები მისი გაკეთებულია.

განსხვავებულ შემთხვევასთან გვექნება საქმე თუ მიმღების მიერ გაკეთებული მინაწერი წარმოადგენს დოკუმენტისთვის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე დამატებას. მაგალითისთვის, თუ პირმა მიიღო ოფერტი და მას, ხელშეკრულების დასადებად მოაწერა ხელი, ეს ხელმოწერა (დამატება) ადასტურებს მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებას. შესაბამისად, ამგვარი დოკუმენტის არბიტრაჟის ფარგლებში წარდგენის შემთხვევაში მხარის მიერ გაკეთებული დამატება (ხელმოწერა) პირიქით უნდა ჩანდეს ასლზე. თუ მხარე ასეთ დროს დაფარავს ხელმოწერას ასლის გადაღების დროს და ამგვარი

³⁷⁶ Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration-A Commentary on Article 3 of the New IB A Rules of Evidence*, Arbitration International, Vol. No.4, 2002, pp. 412-413.

³⁷⁷ Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration-A Commentary on Article 3 of the New IB A Rules of Evidence*, Arbitration International, Vol. No.4, 2002, p. 413.

³⁷⁸ Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration-A Commentary on Article 3 of the New IB A Rules of Evidence*, Arbitration International, Vol. No.4, 2002, p. 413.

სახით წარადგენს დოკუმენტს არბიტრაჟის წინაშე, ეს ჩაითვლება გაყალბების მცდელობად ან გაყალბებად.³⁷⁹

შესაძლოა ტრიბუნალს გაუჩნდეს რაიმე მიზეზი ივარაუდოს, რომ წარდგენილი ასლები სრულად არ შეესაბამება ორიგინალებს. ასეთ შემთხვევაში, მას, მისი ფართო დისკრეციიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის წარმდგენ მხარეს მოსთხოვოს დედნების წარდგენა, მასსა და ასლებს შორის შესაბამისობის შესამოწმებლად. ამასთან, მეორე მხარესაც შეუძლია ტრიბუნალს სთხოვოს ამგვარი შემოწმების ჩატარება თუ მას გაუჩნდა გონივრული ეჭვი ასლების დედნებთან შეუსაბამობის შესახებ. წარმდგენი მხარის მიერ ტრიბუნალის მოთხოვნის შეუსრულებლობის (დედნების წარუდგენლობის) შემთხვევაში, თუ რა თქმა უნდა მას არ აქვს რაიმე გონივრული მიზეზი, ტრიბუნალი უფლებამოსილი იქნება მის მიმართ გამოიყენოს უარყოფითი ღონისძიებები³⁸⁰ (მაგ. ხარჯების განაწილების დროს,³⁸¹ ან მტკიცების ტვირთის განაწილება/შეფასების მიმართ).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო პროცესის დროს წარდგენილი დოკუმენტები ნებისმიერი პირის (მათ შორის მეორე მხარის და ტრიბუნალის) მიერ უნდა იყოს შენახული კონფიდენციალურად. ეს ნიშნავს, რომ არც მოწინააღმდეგე მხარეს და არც ტრიბუნალს არ აქვს უფლება გამოიყენოს მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტები სხვა მიზნით საარბიტრაჟო განხილვის გარეთ.³⁸²

8. მტკიცებულებების მოპოვება: მოთხოვნა დოკუმენტების გამჟღავნების შესახებ

8.1. შესავალი

როგორც წინა თავში აღინიშნა, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მიღებული და დამკვიდრებული პრინციპია, რომ მხარეებს აქვთ უფლება საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში წარადგინონ ის დოკუმენტები, რომლებსაც ისინი ფლობენ და რომლებიც მათი მოსაზრებით გამოდგება მათი პოზიციის ტრიბუნალისთვის დასამტკიცებლად.

³⁷⁹ Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration-A Commentary on Article 3 of the New IB A Rules of Evidence*, Arbitration International, Vol. No.4, 2002. p. 413-414.

³⁸⁰ Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration-A Commentary on Article 3 of the New IB A Rules of Evidence*, Arbitration International, Vol. No.4, 2002. p. 414.

³⁸¹ IBA წესები, მუხლი 9.7.

³⁸² Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration-A Commentary on Article 3 of the New IB A Rules of Evidence*, Arbitration International, Vol. No.4, 2002, pp. 414-415. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს საარბიტრაჟო კანონმდებლობის, საარბიტრაჟო წესების თუ რბილი სამართლის მიერ აღიარებული პრინციპიდან, რომ საარბიტრაჟო განხილვა მკაცრად კონფიდენციალურია. სწორედ კონფიდენციალურობა მიიჩნევა არბიტრაჟის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად სასამართლო განხილვასთან შედარებით.

თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეს ხელი არ მიუწვდება ისეთ მტკიცებულებაზე, ვინაიდან იგი მეორე მხარის ან სხვა მესამე პირის გამგებლობაშია. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო განხილვის დროს, ქვეყნების შიდა კანონმდებლობებში, მხარეებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, მიმართონ მოსამართლეს და იშუამდგომლონ მეორე მხარის თუ მესამე პირისგან მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ.³⁸³ თუმცა, ვინაიდან საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში ქვეყნების შიდა პროცედურული წესები არ გამოიყენება, საინტერესოა თუ რა უფლება-მოვალეობები აქვთ ამ მიმართულებით მხარეებს და საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

ზოგადად მიღებულია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებების გამოთხოვა შესაძლებელია, თუმცა საკითხი საკმაოდ კომპლექსური და არაერთმნიშვნელოვანია.³⁸⁴ შესაბამისად, წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება დოკუმენტური მტკიცებულების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურები, მათ შორის მოთხოვნის ფორმა, დრო, განხილვის ეტაპი, მხარის პროტესტი თუ დაუმორჩილებლობის სამართლებრივი შედეგები. აღნიშნული განხილული იქნება საერთაშორისო არბიტრაჟისათვის საუკეთესო პრაქტიკის პერსპექტივაში.

8.2. მხარეთა უფლება გამოითხოვონ მათთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი

ნიუ იორკის კონვენცია არაფერს ამბობს მხარის უფლების შესახებ გამოითხოვოს მტკიცებულებები მეორე მხარისგან ან სხვა მესამე პირისგან. აღნიშნულის მსგავსად, ქვეყნების საარბიტრაჟო აქტები და ინსტიტუციური თუ *ad hoc* საარბიტრაჟო წესები პირდაპირ არ ეხებიან ამ საკითხს. თუმცა, სადაც ეს პირდაპირ არ არის მითითებული, აღიარებულია, რომ ეს საარბიტრაჟო წესებიც განიმარტება ისე, რომ მხარეს აქვს ეს უფლება.

მიჩნეულია, რომ მხარის უფლება მოითხოვოს მტკიცებულებების გამოთხოვა, დაფუძნებულია შესაბამის საარბიტრაჟო კანონმდებლობაში თუ საარბიტრაჟო წესებში³⁸⁵ არსებულ დანაწესზე, რომელიც ტრიბუნალს ანიჭებს უფლებამოსილებას მხარეს მოსთხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა,³⁸⁶ რაც თავის მხრივ დაკავშირებულია

³⁸³ იხ. მაგ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილი: „2. წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი.“

³⁸⁴ იხ. O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 32.

³⁸⁵ იხ. მაგ. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი; ICC საარბიტრაჟო წესების მუხლი 25(1) და მუხლი 25(5).

³⁸⁶ აღნიშნულ საკითხზე დეტალურად საუბარი იქნება ქვემოთ.

საარბიტრაჟო პროცესში ფაქტების სწორად და ზუსტად დადგენასთან.³⁸⁷ გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მხარის უფლება, მოითხოვოს ოპონენტისგან ან მესამე პირისგან მტკიცებულებების გამოთხოვა, წარმოადგენს მხარის მიერ საკუთარი პოზიციის წარდგენის უფლების ნაწილს.³⁸⁸ კერძოდ, როდესაც შესაბამის საარბიტრაჟო აქტში ან წესებში არ არსებობს მუხლი და მხარეებს შეთანხმებაში ამაზე პირდაპირი მითითება არ გაუკეთებიათ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხარის უფლება, ოპონენტისგან მოითხოვოს დოკუმენტები, არის სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილი. თუ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა სათანადოდ ამტკიცოს მისი პოზიცია გამოსათხოვი მტკიცებულების გარეშე, მაშინ მას მომავალში შეეძლება გაასაჩივროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა სრულყოფილად წარედგინა საკუთარი პოზიცია ტრიბუნალის წინაშე.³⁸⁹

თუმცა არის საარბიტრაჟო წესები, რომლებიც მხარის ამ უფლებაზე პირდაპირ უთითებს. კერძოდ, LCIA-ს საარბიტრაჟო წესების 22-ე მუხლი აცხადებს, რომ ტრიბუნალს, მხარის განცხადების საფუძველზე შეუძლია, მეორე მხარეს მოსთხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა. მსგავსად ამისა, SCC-ს საარბიტრაჟო წესების 31 (3) მუხლი ასევე პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეს შეუძლია ტრიბუნალის წინაშე დააყენოს მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნა. იგივე შინაარსის მუხლს ასევე ითვალისწინებს ICDR-ის საარბიტრაჟო წესების 24 (4) მუხლი.

საინტერესოა ასევე, შესაძლებელია თუ არა მხარეთა შეთანხმებით ამ უფლების გამორიცხვა. მხარეთა ავტონომიის ფარგლებში ამგვარი გამორიცხვის შესაძლებლობა არსებობს. თუმცა სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა შეთანხმების თავისუფლებას გარკვეულწილად ზღუდავს. კერძოდ, დოკუმენტების გამოთხოვის უფლება, მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ერთ მხარეს აქვს ჩამორთმეული, მაშინ ეს შეთანხმება სავალდებულო ვერ იქნება ტრიბუნალისთვის, რომელმაც მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა უნდა უზრუნველყოს.³⁹⁰ შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში თანასწორობის და სათანადო პროცესის პრინციპი გადაწონის მხარეთა კერძო ავტონომიას.³⁹¹

³⁸⁷ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 68.

³⁸⁸ Waincymer J., Procedure and Evidence in International Arbitration, Kluwer Law International, 2012. p. 881.

³⁸⁹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 69.

³⁹⁰ ABB AG v Hochtief Airport GmbH [2006] EWHC 388 (Comm), para. 87.

³⁹¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 70.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარის მიერ მოთხოვნის წარდგენის უფლებას არ შეესატყვისება ტრიბუნალის ვალდებულება უპირობოდ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. შესაბამისად, დოკუმენტების გამოთხოვა ავტომატურად არ ხდება. ამრიგად, იმისათვის, რომ გამოთხოვა მოხდეს, ეს ტრიბუნალისგან მოითხოვს მხარის განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებას.³⁹²

8.3. საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება მხარეს დაავალოს დოკუმენტის წარდგენა

მხარე მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ მისი უფლების რეალიზებას ახდენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე. კერძოდ, მხარემ სწორედ საარბიტრაჟო ტრიბუნალს უნდა წარუდგინოს მოთხოვნა დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება დეკლარირებულია სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში თუ საარბიტრაჟო წესებში.

UNCITRAL-ის³⁹³ მოდელური კანონის მიხედვით, ტრიბუნალს მინიჭებული აქვს დისკრეტია მტკიცებულებების მიღებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.³⁹⁴ კონტინენტური სამართლის ზოგიერთი ქვეყნების კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ცხადია. მაგალითისთვის საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი³⁹⁵ პირდაპირ ანიჭებს უფლებას ტრიბუნალს, გასცეს ბრძანება მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ. მსგავს რეგულაციას შეიცავს კონტინენტური სამართლის მოდელის მქონე არაერთი ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობა,³⁹⁶ მათ შორის საქართველოც. კერძოდ, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული,

³⁹² Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2346.

³⁹³ United Nations Commission on International Trade Law (გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო კომისია).

³⁹⁴ მუხლი 19 (2): „თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო წარმოების წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დადგენილი წესით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში მოიცავს მტკიცებულებათა დასაშვებობის შემოწმებისა და მათი რელევანტურობის, მნიშვნელობისა და წონის შეფასების უფლებას“.

³⁹⁵ საფრანგეთში საარბიტრაჟო განხილვის შესახებ წესები ცალკე კანონის სახით არ არის კოდიფიცირებული (როგორც ეს მაგალითად საქართველოშია. იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი), არამედ ეს წესები საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცალკე თავადაა წარმოდგენილი.

³⁹⁶ ბელგიის სასამართლო კოდექსი §1700 (4): „თუ მხარე ფლობს მტკიცებულებას, ტრიბუნალმა უნდა მოსთხოვოს მას მისი გამჟღავნება“; იაპონიის არბიტრაჟის კანონი, მუხლი 32(3): „ტრიბუნალს შეუძლია ჩაატაროს] მოსმენები საქონლის, სხვა ნივთების ან დოკუმენტების დასათვალისწინებლად“; ნიდერლანდების არბიტრაჟის აქტი, მუხლი 1039: „ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება გამოსცეს ბრძანება დოკუმენტების წარდგენის შესახებ“; იხ. Gaillard E. Savage J.(eds), *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 1999, p. 956.

არბიტრაჟი უფლებამოსილია: ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება; ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს; გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.“

რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, მაგალითად, აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტი ტრიბუნალს აძლევს უფლებას, მხარეებს მოსთხოვოს დოკუმენტების წარდგენა.³⁹⁷ ინგლისის საარბიტრაჟო აქტი აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო ნათელია და მიუთითებს, რომ ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, განსაზღვროს უნდა იქნეს თუ არა დოკუმენტი ან დოკუმენტების კლასი წარდგენილი და თუ ასეა, რომელი მათგანი უნდა იქნას წარდგენილი და რა ეტაპზე.³⁹⁸ შესაბამისად, ეს დებულება ტრიბუნალს ანიჭებს ფართო დისკრეციას მხარეებს მოსთხოვოს დოკუმენტების გამჟღავნება.

როგორც წესი ტრიბუნალის უფლებამოსილებაზე ჩანაწერებს ვხვდებით საარბიტრაჟო წესებშიც. მაგალითისთვის, LCIA-ს საარბიტრაჟო წესების 22.1 მუხლი მიუთითებს, რომ ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება გამოსცეს ბრძანება, რომლითაც დაავალებს მხარეს დოკუმენტების წარმოდგენას. მსგავს ჩანაწერს შეიცავს SCC-ს საარბიტრაჟო წესების 31-ე მუხლიც.

თუმცა, ზოგიერთი საარბიტრაჟო წესი ნაკლებად ცხადია ამ საკითხზე.³⁹⁹ მაგალითისთვის ICC-ს საარბიტრაჟო წესები მიუთითებს,⁴⁰⁰ რომ ტრიბუნალს შეუძლია მიიღოს სათანადო ზომები საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად. იმავე წესების 25 (4) მუხლი კი აცხადებს, რომ ტრიბუნალს ნებისმიერ დროს პროცესის განმავლობაში შეუძლია მოსთხოვოს მხარეს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა. შესაბამისად, ეს მუხლი ოდნავ ბუნდოვანია, რადგან არ შეიცავს მითითებას მტკიცებულებების გამოთხოვაზე. თუმცა, მიჩნეულია, რომ ტრიბუნალის უფლებამოსილება ამ მუხლების ფარგლებში მოიცავს იმას, რომ მხარემ შეიძლება დააყენოს მოთხოვნა მეორე მხარისგან

³⁹⁷ იხ. მუხლი 7.

³⁹⁸ ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, მუხლი 34.

³⁹⁹ იხ. ICDR-ის, CPR-ის და GIAC-ის საარბიტრაჟო წესები. იხ. Salomon C.T. and Friedrich S., Obtaining and Submitting Evidence in International Arbitration in the United States, *The American Review of International Arbitration*, Vol. 24:4, 2013. pp. 565-567.

⁴⁰⁰ მუხლი 25 (1).

მტკიცებულებების გამოთხოვაზე და ტრიბუნალს აქვს უფლება ამ მოთხოვნის საფუძველზე, ბრძანებით, მეორე მხარეს მოსთხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა.⁴⁰¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრიბუნალის უფლებამოსილება გამოითხოვოს მტკიცებულებები როგორც წესი შემოიფარგლება საარბიტრაჟო განხილვის მხარეებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც წესი, ტრიბუნალს არ აქვს უფლებამოსილება დოკუმენტის წარმოდგენა მოსთხოვოს მესამე პირს, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის მხარე არ არის. აღნიშნულის მთავარი საფუძველი არის ის, რომ არბიტრაჟი არის მხარეთა ნების ავტონომიის შედეგი და საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებამოსილები ვრცელდება მხოლოდ იმ მხარეებზე, რომლებიც ამ შეთანხმების ხელმომწერი არიან.⁴⁰² შესაბამისად, ტრიბუნალი, ზოგადად მოკლებულია შესაძლებლობას მესამე პირებს უბრძანოს მტკიცებულებების წარმოდგენა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რეგულაცია ითვალისწინებს ტრიბუნალის დისკრეციას მესამე პირებისგან გამოითხოვოს დოკუმენტები. მაგალითისთვის, UNCITRAL-ის მოდელური კანონი, აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტი და შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი ამგვარი მიდგომის მაგალითებია. ამ აქტების მიხედვით, ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება მესამე პირებისგანაც გამოითხოვოს დოკუმენტები და თუ ადრესატები ტრიბუნალის ბრძანებას არ დაემორჩილებიან, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს დახმარებისთვის.⁴⁰³

8.4. მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა: ფორმალური ნაწილი

8.4.1. შესავალი

როგორც უკვე აღინიშნა, მხარეებს აქვთ უფლება მოითხოვონ დოკუმენტების გამოთხოვა მეორე მხარისგან, რასაც ბუნებრივია შეესატყვისება ტრიბუნალის უფლებამოსილება გამოსცეს ბრძანება, რომლითაც მხარეს დაავალებს წარმოადგინოს მტკიცებულებები. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა პროცედურით უნდა მოხდეს მხარის მიერ ტრიბუნალის წინაშე მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაყენება, მათ

⁴⁰¹ იხ. Born G., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. pp. 2332-2334. ბრძანება ICC-ის საქმე No. 5542-ში, Hascher D. (ed.), *Collection of Procedural Decisions in ICC Arbitration 1993-1996*, Kluwer Law International, 1997, pp. 62, 64-65.

⁴⁰² თუმცა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში არის შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო პროცესში შეიძლება ჩართულნი იყვნენ პირები, რომლებიც საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები არ არიან. ასეთ შემთხვევებს ამ სფეროში „არა-ხელმომწერთა“ (non-signatories) საკითხს უწოდებენ. დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. Born G. B., *International Arbitration: Cases and Materials*, Second Edition, Kluwer Law International, 2015. pp. 551-592.

⁴⁰³ Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012, pp. 182.

შორის, როდის, რა ფორმით, ვის მიმართ დგება ეს მოთხოვნა და რა მოთხოვნები წაყენება მას ტრიბუნალის მიერ განხილვის დროს.

8.4.2. რა ვადებში არის შესაძლებელი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა?

სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო აქტები თუ საარბიტრაჟო წესები არაფერს ამბობენ იმაზე თუ როდის უნდა იქნეს წარდგენილი მოთხოვნა მტკიცებულებების გამოხმობის შესახებ. მოთხოვნის წარდგენასთან დაკავშირებით კონკრეტულ დროზე მითითებას, როგორც წესი, არ შეიცავს არც რბილი სამართლის წესები. მაგალითისთვის, IBA-ს წესების მე-2 მუხლში მითითებულია, რომ მხარის მიერ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ დროში არის შესაძლებელი. შესაბამისად, აღნიშნული წესების მიხედვით, ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს მოთხოვნის დაყენების ეტაპი და ვადა. ამავდროულად, როგორც IBA-ს წესების ოფიციალური კომენტარებშია მითითებული, წესებზე მომუშავე ჯგუფის მიერ ეს საკითხი ღიად და ტრიბუნალის დისკრეციის ფარგლებში იქნა დატოვებული, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მეტი მოქნილობა საარბიტრაჟო პროცესის დროს. შესაბამისად, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს ტრიბუნალმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ.⁴⁰⁴ თუმცა, საინტერესო საკითხს წარმოადგენს, თუ რა მიდგომა უნდა აირჩიოს ტრიბუნალმა, როდესაც განსაზღვრავს ამ ვადებს.

ვადებთან დაკავშირებით, ნათელია, რომ ორი ასპექტი არის მნიშვნელოვანი. პირველი თუ როდიდან შეუძლია მხარეს მოთხოვნის შეტანა და მეორე, რა ვადაში შეიძლება მოთხოვნის წარდგენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი არბიტრები, როგორც წესი, დოკუმენტების წარდგენის და გამოთხოვის ვადებს განიხილავენ მხარეებთან წინასწარი მოსმენის დროს და მათი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ გამოაქვთ გადაწყვეტილება, რომელიც ისახება ტრიბუნალის პროცედურულ ბრძანებაში (როგორც წესი პროცედურულ ბრძანება #1-ში).⁴⁰⁵ ამასთან, ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განრიგი) უნდა იყოს

⁴⁰⁴ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 8. აღსანიშნავია, რომ მსგავს მიდგომას იზიარებს ასევე CPR-ის პროტოკოლი, რომელიც ვადების განსაზღვრის უფლებამოსილებას უტოვებს ტრიბუნალს, რომელმაც მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

⁴⁰⁵ Tercier P.D., Bersheda T., Document Production in Arbitration: A Civil Law Viewpoint in Search for Truth in Arbitration: Is Finding the Truth what Dispute Resolution is About?, ASA Special Series No. 35, 2011, p. 98.

ნათელი და ცხადად უთითებდეს როდიდან როდემდე აქვთ მხარეებს მოთხოვნების წარდგენის შესაძლებლობა.⁴⁰⁶

მოთხოვნის შეტანის დაწყების დროსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოება. პირველი, როგორც წინა თავში აღინიშნა, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები დაურთონ საარბიტრაჟო სარჩელს და საარბიტრაჟო შესაგებელს. საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში ერთგვარ პროცედურულ პრეზუმციად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოთხოვნა მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ შეტანილი უნდა იყოს ამ პროცესუალური დოკუმენტების (საარბიტრაჟო სარჩელი და შესაგებელი) და მხარეთა ხელთ არსებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.⁴⁰⁷ მხარეების მიერ გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის საარბიტრაჟო სარჩელში ან შესაგებელში გათვალისწინება (ან მასზე დართვა) პრობლემურია რამდენიმე მიმართულებით: (1) ეს მხარეებს წაახალისებს, თავიდანვე მოითხოვონ დოკუმენტები, რომლებიც შესაძლოა არ იყოს მნიშვნელოვანი საქმისთვის;⁴⁰⁸ (2) ტრიბუნალს შესაძლოა არ ჰქონდეს შესაძლებლობა ასე ადრეულ ეტაპზე განსაზღვროს დოკუმენტი არის თუ არა საქმისთვის მნიშვნელოვანი. ამ პოზიციის მხარდამჭერი არგუმენტი კარგად არის გადმოცემული ICSID-ის ერთ-ერთ საქმეში,⁴⁰⁹ სადაც ტრიბუნალმა განაცხადა: „იმ პირობებში, როდესაც [საქმეზე] მხოლოდ მოკლე საარბიტრაჟო განაცხადია შეტანილი მოსარჩელის მიერ, ტრიბუნალი არ არის მზად განსაზღვროს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფართო მოთხოვნის ფარგლებში, რომელი მტკიცებულება უნდა ჩაითვალოს საქმისთვის რელევანტურად და მნიშვნელოვნად“; და (3) შესაძლოა ადრეულ

⁴⁰⁶ Tercier P.D., Bersheda T., Document Production in Arbitration: A Civil Law Viewpoint in Search for Truth in Arbitration: Is Finding the Truth what Dispute Resolution is About?, ASA Special Series No. 35, 2011, p. 98.

⁴⁰⁷ Born G. B., International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2009, p. 1900: *“ტრიბუნალები, როგორც წესი, ბრძანებენ დოკუმენტების გამჟღავნებას ადრეულ ეტაპზე მას შემდეგ, რაც მხარეები განმარტავენ თავიანთ მოთხოვნას და შესაგებელს. ეს ხშირად ხდება საარბიტრაჟო სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენის შემდეგ, რაც იძლევა საფუძველს გამჟღავნება მოთხოვნილი იქნას მხარეთა პოზიციების საფუძველზე ...”*. O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 33. იხ. აგრეთვე World Trade Organization, Argentina – Measures Affecting Imports of Footwear, Textiles, Apparel and Other Items, Report of the Panel, WT/DS56/R, 1997, p. 92.

⁴⁰⁸ Born G. B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014, pp. 2365–2366.

⁴⁰⁹ Noble Ventures Inc v Romania, ICSID Case No. ARB/01/11, Final Award, p. 32 (12 October 2005). იხ. აგრეთვე: გადაწყვეტილება საქმეში Ronald S. Lauder v The Czech Republic, UNCITRAL, Final Award, para. 19 (3 September 2001): *“საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოსცა პროცედურული ბრძანება N4, რომლითაც უარყო მოსარჩელის მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების გამჟღავნების შესახებ იმ საფუძველით, რომ ტრიბუნალს ჯერ უნდა მიეღო მოსარჩელის მემორიალი და მოპასუხის პასუხი”*.

ეტაპზე დაყენებულმა მოთხოვნამ გამოიწვიოს მტკიცებულებების გაორება, რადგან მოგვიანებით მხარე ისედაც აპირებდეს დოკუმენტის წარმოდგენას.⁴¹⁰

შესაბამისად, გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის/მოთხოვნის დაყენება ადრეულ ეტაპზე (საარბიტრაჟო სარჩელის და შესაგებლის წარდგენამდე), არაეფექტიანად უნდა ჩაითვალოს, რადგან ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, ტრიბუნალს მაინც მოუწევს ან განხილვის შემდეგი ეტაპებისთვის გადადოს ამ მოთხოვნის განხილვა, ან არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა.⁴¹¹

რომ შევაჯამოთ, ამჟამად უფრო გავრცელებული შეხედულებაა, რომ მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნა მას შემდეგ უნდა იქნას დაყენებული, რაც მხარეები პირველ ჯერზე გაცვლიან მათ პოზიციებს.⁴¹² ამრიგად, მოპასუხეს შეუძლია, მისი მოთხოვნა დაურთოს ყველაზე ადრე საარბიტრაჟო შესაგებელს, რადგან მოსარჩელეს უკვე წარდგენილი აქვს მისი პოზიციები და მტკიცებულებები საარბიტრაჟო სარჩელში, ხოლო მოსარჩელე უნდა დაელოდოს მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენას და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინოს მოთხოვნა.⁴¹³

მეორე საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, როგორც აღინიშნა, არის ის თუ როდემდე (რა ეტაპამდე) აქვს ან უნდა ჰქონდეს მხარეს დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნის დაყენების საშუალება. აღნიშნული, ე.წ. დედლაინის განსაზღვრაც, ტრიბუნალის დისკრეციაა მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, რადგან, როგორც წესი, არბიტრაჟის სახელმძღვანელო წესებში (იქნება ეს საარბიტრაჟო აქტი, წესები თუ რბილი სამართალი) ამ საკითხზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ტრიბუნალს აქვს მინიჭებული. თუმცა, მაგალითად, CPR-ის

⁴¹⁰ Europe Cement Investment & Trade SA v Republic of Turkey, ICSID Case No. ARB(AF)/07/2, Final Award, para. 19 (13 August 2009): ტრიბუნალმა უგულვებელყო მოპასუხის მოთხოვნა დოკუმენტების წარდგენის შესახებ და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ თურქეთში ინვესტიციის ფლობის საკითხი, რომელიც დოკუმენტების მოთხოვნის საგანს წარმოადგენდა, უნდა ყოფილიყო მითითებული მოსარჩელის მემორიალში. ტრიბუნალმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსარჩელე იცნობდა იმ დოკუმენტებს, რომლის ხილვაც მოპასუხეს სურდა, და მოსალოდნელი იყო, რომ მას ეს დოკუმენტები წარმოედგინა მის მემორიალთან ერთად. იხ. აგრეთვე O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 34

⁴¹¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 79.

⁴¹² იხ. Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014, p. 2366; Waincymer J., Procedure and Evidence in International Arbitration, Kluwer Law International, 2012, p. 843. იხ. აგრეთვე ICC, ICC Arbitration Commission Report on Techniques for Controlling Time and Costs in Arbitration, 2007, para. 51; Tercier P.D., Bersheda T., Document Production in Arbitration: A Civil Law Viewpoint in Search for Truth in Arbitration: Is Finding the Truth what Dispute Resolution is About?, ASA Special Series No. 35, 2011, p. 98.

⁴¹³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016. p. 80.

პროტოკოლი ამბობს, რომ გამჟღავნება უნდა მოხდეს ზეპირი მოსმენების გამართვამდე.⁴¹⁴ ეს ნიშნავს, რომ მხარეებმა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა წარადგინონ ზეპირი მოსმენის გამართვამდე, რათა მხარეს, რომლისგან გამოთხოვაცაა მოთხოვნილი, შეეძლოს მოთხოვნილი დოკუმენტის ნებაყოფლობით წარდგენა სხდომამდე.⁴¹⁵ ეს მიდგომა გონივრულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის იძლევა საშუალებას, ზეპირი მოსმენისთვის (საქმის არსებითი მხარის განხილვისთვის) მხარეებს უკვე ჰქონდეთ ყველა საჭირო და აუცილებელი მტკიცებულება, საქმე იყოს მომზადებული და ტრიბუნალსაც ჰქონდეს შესაძლებლობა სხდომამდე გაეცნოს საქმის მასალებს. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, თავიდან იქნება არიდებული მხარეების მიერ მუდმივ რეჟიმში ნებისმიერ დროს დოკუმენტების წარმოდგენა/გამოთხოვა და ტრიბუნალი შეძლებს მოსმენის დასრულებისთანავე დაიწყოს მუშაობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

თუმცა, შეიძლება არსებობდეს ალტერნატიული მიდგომაც, როდესაც ტრიბუნალი არ ადგენს ვადას მტკიცებულებების წარმოდგენის და გამოთხოვისათვის და მხარეებს აძლევს უფლებას ერთმანეთისგან გამოითხოვონ დოკუმენტები პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა მოქნილია, ეფექტიანობის თვალსაზრისით არც ისე გამართლებული შეიძლება გამოდგეს, რადგან მხარემ შესაძლოა მოთხოვნა წარადგინოს პროცესის გვიანდელ ეტაპზე, რამაც შესაძლოა პროცესის გაჭიანურება გამოიწვიოს.⁴¹⁶

თუმცა, ზემოთ მითითებული მიდგომები მაინც პირობითია, რადგან ტრიბუნალმა კონკრეტული საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მათ შორის, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს საქმის სირთულე, კომპლექსურობა, დროის ფაქტორი, რამდენი მოთხოვნის წარდგენა არის მოსალოდნელი მხარეების მიერ და ა.შ. ამის მიხედვით, ტრიბუნალმა შეიძლება განსაზღვროს ვადა შემდეგი ფორმატით: არაუგვიანეს კონკრეტული თარიღისა, არაუადრეს კონკრეტული თარიღისა, კონკრეტულ დღეს, კონკრეტულ დღეებში ან ნებისმიერ დროს.⁴¹⁷ თუმცა, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს, მოთხოვნის წარდგენისთვის კონკრეტული ვადის განსაზღვრისას, საარბიტრაჟო ტრიბუნალს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, ის, რომ, ერთი მხრივ, თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა

⁴¹⁴ სექცია 1(e)(1), CPR-ის პროტოკოლი.

⁴¹⁵ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016. p. 78.

⁴¹⁶ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016. p. 78.

⁴¹⁷ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016. pp. 78-79.

წარადგინოს საკუთარი პოზიცია, ხოლო მეორე მხრივ, პროცესი ეკონომიურად და ეფექტიანად ჩატარდეს.

საინტერესო საკითხს ასევე წარმოადგენს ის, არის თუ არა შესაძლებელი მოთხოვნების ერთდროულად წარდგენა მხარეთა მიერ. ამ კითხვაზე პასუხი დადებითი უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ტრიბუნალს შეუძლია განსაზღვროს კონკრეტული თარიღი, როდესაც მხარეებს შეუძლიათ მოთხოვნების წარდგენა.⁴¹⁸ ამგვარ მიდგომას იზიარებს IBA-ს წესები, რომლის 3 (2) მუხლი ამბობს, რომ „ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში [და არა ვადებში], ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა [...]“. როდესაც ტრიბუნალი ორივე მხარისთვის ერთ კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს, როცა მათ შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნები დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ, ეს გამართლებული მიდგომაა და არ ლახავს მხარეთა უფლებებს, რადგან, ეს თარიღი განსაზღვრული უნდა იყოს საარბიტრაჟო სარჩელის და შესაგებლის გაცვლის შემდეგ, როდესაც მათ უკვე იციან თუ რა პოზიცია აქვს მოწინააღმდეგეს და შესაბამისად შეუძლიათ იმის შეფასება თუ რა დოკუმენტების მოპოვება შეიძლება დასჭირდეთ მათ. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური გადმოსახედიდანაც შეიძლება უკეთესი იყოს თუ მხარეები დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნას წარადგენენ იმის გაგების გარეშე, თუ რას ითხოვს მეორე მხარე.⁴¹⁹

8.4.3. რა ფორმით უნდა იქნას წარდგენილი მოთხოვნა?

ტრიბუნალის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის კიდევ ერთ ფორმალურ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ იგი წარდგენილი იყოს სათანადო ფორმით. ხოლო თუ რას გულისხმობს სათანადო ფორმა, ეს განხილული უნდა იყოს დაწვრილებით.

პირველი, რაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას არის ის, რომ მოთხოვნა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო არბიტრაჟში დამკვიდრებულ ჩვეულებად, რომელიც საარბიტრაჟო წესებშიც კი არის დაფიქსირებული. მაგალითისთვის, UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნებისმიერი შეტყობინება, კომუნიკაცია ან შეთავაზება არბიტრაჟის ფარგლებში უნდა მოხდეს იმ ფორმით, რომლის ჩანაწერის სახით დაფიქსირება შესაძლებელია. SCC-ს საარბიტრაჟო წესების მე-5 მუხლის მეორე ნაწილი

⁴¹⁸ ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია მხარეებისთვის განსხვავებული ვადის დაწესება.

⁴¹⁹ იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 80-81: „მაგალითად, მხარე, რომელიც მოითხოვდა ერთი დოკუმენტის გამოთხოვას, შეიძლება გამოითხოვოს გაცილებით მეტი დოკუმენტი მას შემდეგ, რაც გაიგებს, რომ მოწინააღმდეგე მხარე ბევრ დოკუმენტს ითხოვს. დოკუმენტების მოთხოვნა უნდა იყოს გზა საჭირო დოკუმენტების მოსაპოვებლად და არა მოწინააღმდეგე მხარეზე წნეხის გასაზრდელად.“

ასევე მიუთითებს დოკუმენტების წარდგენის ისეთ ფორმაზე, რომელთა დაფიქსირება და შენახვა შესაძლებელია.⁴²⁰

მსგავსად ამისა, IBA-ს წესები მიუთითებს, რომ „გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა“ ნიშნავს მხარის წერილობით მოთხოვნას, მეორე მხარისგან გამოთხოვილ იქნას დოკუმენტები.⁴²¹ შესაბამისად, აშკარაა, რომ IBA-ს წესების მიხედვით, დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა მხარემ უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით. აღნიშნული მიდგომა ლოგიკურიცაა, რადგან საერთაშორისო საარბიტრაჟო დავები, როგორც წესი, კომპლექსურია და მოთხოვნილია დიდი მოცულობის დოკუმენტების გამოთხოვა. ამ დროს კი ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს რამდენად აკმაყოფილებს მოთხოვნა ყველა ფორმალურ წინაპირობას,⁴²² მათ შორის არის თუ არა მოთხოვნილი დოკუმენტები საქმისთვის რელევანტური და მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ამგვარი კომპლექსური მოთხოვნის და დასაბუთების წერილობით წარუდგენლობა ტრიბუნალის და მეორე მხარის ამოცანას (უპასუხოს მოთხოვნას) ძალიან გაართულებდა.

შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ, ან ტრიბუნალმა დაადგინოს, რომ მოთხოვნის წერილობით წარდგენის ფარგლებში იგი წარდგენილი იყოს განსაზღვრული ფორმით. მსგავსი შემთხვევებისთვის კი ხშირად ტრიბუნალის ანდა მხარეების მიერ გამოყენებულია ე.წ. რედფერნის ცხრილი.⁴²³ ამ ცხრილის (რომელიც ალან რედფერნის სახელს ატარებს)⁴²⁴ მოდელი შეიძლება შემდეგნაირად იქნას წარმოდგენილი:⁴²⁵

No.	მოთხოვნილი დოკუმენტი ან დოკუმენტების კატეგორია	მხარის მიერ მითითებული რელევანტურობა და მნიშვნელობა		პროტესტი დოკუმენტების გამოთხოვაზე	ტრიბუნალის გადაწყვეტილება
		მითითება წარდგინებებზე	კომენტარები		

⁴²⁰ იხ. აგრეთვე ICC-ს საარბიტრაჟო წესების მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, LCIA-ს საარბიტრაჟო წესების 4.1 მუხლი.

⁴²¹ იხ. IBA-ს წესები: „განმარტებები“.

⁴²² დაწვრილებით ამ წინაპირობებზე საუბარი იქნება ქვემოთ.

⁴²³ 2012 წლის საერთაშორისო კვლევა აჩვენებს, რომ რედფერნის ცხრილი გამოიყენება საარბიტრაჟო განხილვების 37%-ის შემთხვევაში. იხ. Queen Mary University of London, 2012 Current and Preferred Practices in the Arbitral Process. 2012. p. 22.

⁴²⁴ რედფერნის ცხრილთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. Luttrell S., Harris P., Reinventing The Redfern, Journal of International Arbitration, Vol. 33, Issue 4, 2016. pp. 353 – 364.

⁴²⁵ Tercier P.D., Bersheda T., Document Production in Arbitration: A Civil Law Viewpoint in Search for Truth in Arbitration: Is Finding the Truth what Dispute Resolution is About?, ASA Special Series No. 35, 2011, p. 93.

მხარეებს და ტრიბუნალს პროცესის ფარგლებში თავადაც შეუძლიათ შეიმუშაონ მსგავსი ცხრილი იმგვარად, როგორც ეს მათ მიაჩნიათ მოსახერხებლად. ამგვარი ცხრილების მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადია ისეთ განხილვებში, სადაც მრავალი მოთხოვნა დაყენებული და ამ მოთხოვნების მენეჯმენტი, მათი გარკვეულ სისტემაში მოყვანის გარეშე, ტრიბუნალისთვის რთული იქნება. ამასთან, აღიარებულია, რომ ამგვარი ცხრილების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი გამოყენებით ტრიბუნალს ეძლევა შესაძლებლობა ეფექტიანად გადაწყვიტოს, რომელი დოკუმენტი უნდა იქნეს გამოთხოვილი და რომელი არა, ანუ ტრიბუნალს ამის საშუალება აქვს მხარეებსა და მათ ადვოკატებთან შეხვედრის გარეშეც კი, ვინაიდან ამ ცხრილში სრულადაა წარმოდგენილი მათი პოზიციები.⁴²⁶

8.4.4. ვის უნდა წარედგინოს მოთხოვნა?

იმისათვის, რომ მხარის მოთხოვნა განხილული იყოს, აუცილებელია, რომ მან ეს მოთხოვნა დააყენოს სწორი ადრესატის წინაშე. ეს შეიძლება იყოს საარბიტრაჟო ტრიბუნალი, მოწინააღმდეგე მხარე ან ორივე ერთად.

იმის გათვალისწინებით, თუ რა არის მოცემული გამოსაყენებლ საარბიტრაჟო წესში თუ მხარეთა შეთანხმებაში, ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს, ვის უნდა წარუდგინონ მხარეებმა მოთხოვნა, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს რამდენიმე გარემოება.

მიდგომა, რომლის მიხედვით, მოთხოვნა პირდაპირ მოწინააღმდეგე მხარეს წარედგინება და ამ დროს არ არის გათვალისწინებული ტრიბუნალის ჩართულობა, შეიძლება იყოს პრობლემური, რადგან თუ მეორე მხარე უარს იტყვის დოკუმენტების გადმოცემაზე, მხარეს მაინც მოუწევს ტრიბუნალისთვის მიმართვა. ამასთან, რადგან, ამ მიდგომით, მხარეები მოთხოვნას ტრიბუნალს არ უგზავნიან, შესაძლოა მხარეებმა მოწინააღმდეგეს წარუდგინონ ძალიან ფართო და მოცულობითი მოთხოვნა და ამით შეეცადონ დროის გაჭიანურებას და მხარისთვის დისკომფორტის შექმნას.⁴²⁷

მოთხოვნის მხოლოდ ტრიბუნალისთვის წარდგენა ასევე ვერ იქნება სრულად უპრობლემო გადაწყვეტა, რადგან ეს შესაძლოა პირდაპირ შეეწინააღმდეგოს კონკრეტულ

⁴²⁶ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki, 2016. p. 82.

⁴²⁷ იბ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016. p. 83.

საარბიტრაჟო წესებს, რომელიც ტრიბუნალისთვის სავალდებულოა.⁴²⁸ ასევე, მოთხოვნის ადრესატი მხარე შეიძლება თანახმა იყოს კონკრეტული დოკუმენტების ნებაყოფლობით გადაცემაზე და თუ მას გამოთხოვის შესახებ დოკუმენტები არ წარედგინება, მაშინ ის მოკლებული იქნება შესაძლებლობას ნებაყოფლობით მიაწოდოს მხარეს ისინი, ხოლო ტრიბუნალს მოუწევს იმ საკითხზე მსჯელობა და შესაბამისად, დროის და რესურსების ხარჯვა, რაც შესაძლოა საერთოდ არ იყოს განსახილველი.

ამგვარად, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად ითვლება, რომ მხარემ დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობა წარუდგინოს როგორც მოწინააღმდეგეს, ისე ტრიბუნალს. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს IBA-ს წესების ამჟამად მოქმედი რედაქცია.⁴²⁹ წესების მიერ ამ მიდგომის არჩევა განპირობებული იყო იმით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც მიუვა მოთხოვნა, მიეცეს შესაძლებლობა, ნებაყოფლობით წარადგინოს დოკუმენტები და ტრიბუნალის ჩართულობა საჭირო გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე ნებაყოფლობით არ გადასცემს მომთხოვნ მხარეს დოკუმენტებს.⁴³⁰ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მიდგომით, ტრიბუნალის მიერ ბრძანების მიღება არ იქნება აუცილებელი, თუ მოწინააღმდეგე მხარე თავისი ნებით წარადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს. შესაბამისად, საკითხის ამგვარი რეგულირება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ყველაზე ახლო ეფექტიანობის პრინციპთან, რადგან ცდილობს თავიდან აიცილოს საქმის გაჭიანურება, ზედმეტი ხარჯები და დაზოგოს ტრიბუნალის დრო და რესურსი.

8.5. მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენა: შინაარსობრივი ნაწილი

8.5.1. შესავალი

დოკუმენტების გამოთხოვა საერთაშორისო არბიტრაჟში საკმაოდ ხშირია. შესაბამისად, საარბიტრაჟო პრაქტიკით⁴³¹ თუ რბილი სამართლით განვითარდა ის შინაარსობრივი

⁴²⁸ იხ. მაგ. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 17 (4); ICC-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 3 (1); LCIA-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 13; ICDR-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 24. ეს წესები მოითხოვს კომუნიკაციაში მხარის ჩართვას.

⁴²⁹ აღსანიშნავია, რომ IBA-ს წესების 1999 წლის რედაქცია ითვალისწინებდა მოთხოვნის მხოლოდ ტრიბუნალისთვის წარდგენას, რაც 2010 წლის რედაქციაში შეიცვალა.

⁴³⁰ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021. p. 10.

⁴³¹ იხ. მაგალითად Aguas del Tunari SA v Republic of Bolivia, ICSID Case No. ARB/02/3, Procedural Order No. 1 (2003): ტრიბუნალს მხედველობაში აქვს არაერთი გარემოება, იმის შესაფასებლად უნდა იქნეს თუ არა დაკმაყოფილებული დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა. ეს გარემოებები მოიცავს: საჭიროება, იმასთან მიმართებით თუ რის დადასტურებასაც მომთხოვნი მხარე ისახავს მიზნად, მხარის მიერ დასამტკიცებელი

კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ ტრიბუნალმა დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა დოკუმენტების გამოთხოვაზე. აღნიშნული კრიტერიუმები გათვალისწინებულია IBA-ს წესების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილში. ეს კრიტერიუმები შემდეგნაირად შეიძლება შევჯავამოთ: (ა) დოკუმენტების მოთხოვნა უნდა იყოს „ვიწრო და კონკრეტული“; (ბ) მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა იყოს საქმისთვის „რელევანტური და არსებითი“; (გ) მოთხოვნის ავტორმა უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტები არ არის მომთხოვნი მხარის მფლობელობაში და მათზე ხელი არ მიუწვდება მას; და (დ) დოკუმენტები უნდა იყოს იმ მხარის კონტროლს ქვეშ, რომლისგანაც მოთხოვნილია მათი წარდგენა.⁴³²

თითოეული ეს კრიტერიუმი საკმაოდ რთულია და ტრიბუნალს მათი შეფასების დროს საკმაოდ ბევრ საკითხზე უწევს ყურადღების გამახვილება. ამ კრიტერიუმების სწორად განმარტება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ტრიბუნალის მიერ დაშვებულმა შეცდომამ შესაძლოა შელახოს რომელიმე მხარის ინტერესი, მაგალითად, წაართვას უფლება მხარეს წარადგინოს საკუთარი პოზიცია, ან პირიქით, აიძულოს მას გასწიოს არაგონივრულად დიდი ხარჯები.

8.5.2. დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა იყოს “ვიწრო და კონკრეტული”

ზოგადად მიღებულია, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესში მხარის მიერ წარდგენილი მოთხოვნა უნდა იყოს მეტად ვიწრო და კონკრეტული (narrow and specific).⁴³³ ეს კრიტერიუმი რელევანტურობის და არსებითობის კრიტერიუმთან ერთად ახდენს საარბიტრაჟო პროცესში ე.წ. „სათევზაო ექსპედიციის“ პრევენციას.⁴³⁴ ამასთან, როგორც ეს IBA-ს წესების კომენტარებშია მითითებული, ეს პრინციპი ასრულებს პრაქტიკულ ფუნქციასაც - მოთხოვნის მიმღებ მხარეს ის აძლევს საშუალებას მოიძიოს დოკუმენტი და

გარემოების მიმართ რელევანტურობა, მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები და მეორე მხარისთვის დასაკისრებელი ტვირთი, და პროცესის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება.

⁴³² O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 38

⁴³³ იხ. მაგ. Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014, pp. 2360–2361; Hamilton V., *Document Production in ICC Arbitration*, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006, pp. 71-72; O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, pp. 41-42.

⁴³⁴ Hanotiau B., *Document Production in International Arbitration: A Tentative Definition of 'Best Practices'*, ICC Bulletin, Special Supplement: Document Production in International Arbitration, 2006, p. 117. იხ. აგრეთვე *Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration*, 2021, p. 10. ე.წ. „სათევზაო ექსპედიცია“-ს (fishing expedition) უწოდებენ შემთხვევას, როდესაც მხარე მეორე მხარისგან ითხოვს რაც შეიძლება მეტ დოკუმენტს, იმ იმედით, რომ მოწოდებულ დოკუმენტებში ის წააწყდება მისთვის ხელსაყრელ დოკუმენტს, რომელსაც შემდეგ გამოიყენებს მიმდინარე ან რაიმე მომავალ დავაში.

თუ საჭიროდ თვლის, ნებაყოფლობით წარადგინოს იგი.⁴³⁵ გარდა ამისა, ასეთი ფორმით დაყენებული მოთხოვნა დახმარებას უწევს საარბიტრაჟო ტრიბუნალს, გადაწყვიტოს დააკმაყოფილებს მოთხოვნას და მოსთხოვს მხარეს დოკუმენტების წარმოდგენას თუ უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე.⁴³⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნას ითვალისწინებს ფაქტობრივად ყველა რბილი სამართლის წესი, რომელიც ეხება მტკიცებულებების წარდგენას და ზოგიერთი საარბიტრაჟო წესიც კი.

ICDR-ის საარბიტრაჟო წესების 24-ე მუხლის მიხედვით მტკიცებულებების გამჟღავნების შესახებ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დოკუმენტებზე ან დოკუმენტთა კლასზე. პრადის წესების 4.5 მუხლი კი ამბობს, რომ მხარეს შეუძლია ტრიბუნალს მოსთხოვოს „კონკრეტული“ დოკუმენტის გამოთხოვა. მსგავს ჩანაწერს შეიცავს ასევე CIArb-ის პროტოკოლი.⁴³⁷ ICC-ს ტექნიკები დროის და ხარჯების კონტროლის შესახებ ასეთი ცხადი არ არის, თუმცა ის უთითებს ე.წ. რედფერნის ცხრილზე, რომელშიც კონკრეტულად უნდა მიეთითოს დოკუმენტი ან დოკუმენტთა კატეგორია. შესაბამისად კონკრეტულობის კრიტერიუმი აქაც გვხვდება.⁴³⁸

რაც შეეხება IBA-ს წესებს, მისი 3 (3) (a) (i) და (ii) მუხლები პირდაპირ უთითებენ, რომ მხარემ უნდა აღწეროს დოკუმენტები ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი იდენტიფიკაცია და მოთხოვნილი დოკუმენტები (დოკუმენტების კატეგორია) უნდა იყოს ვიწრო და კონკრეტული.

შესაბამისად, ნათელია, რომ IBA-ს წესებმა დაუშვა შესაძლებლობა გამოთხოვილ იქნეს არა მხოლოდ კონკრეტული დოკუმენტები, არამედ დოკუმენტების კატეგორია, თუ მხარეს მასში შემავალი კონკრეტული დოკუმენტების იდენტიფიკაცია არ შეუძლია.⁴³⁹ აქვე უნდა განიმარტოს, რომ დოკუმენტები ქმნიან კატეგორიას, როდესაც ისინი არიან ერთნაირი ან მსგავსი და დაკავშირებულია ერთ და იმავე საკითხთან, რომლის დადასტურებასაც მხარე ისახავს მიზნად. როგორც წესი, ამგვარი დოკუმენტები არის ე.წ. შიდა დოკუმენტები, მაგალითად კრებების ოქმები, შიდა მემორანდუმები და ანგარიშები. იმის გამო, რომ ისინი შიდა (კორპორაციული) მოხმარებისთვის არიან განკუთვნილი,

⁴³⁵ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 9-10.

⁴³⁶ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 10.

⁴³⁷ მუხლი 4 (i), რომელიც ამბობს, რომ მოთხოვნა უნდა მოიცავდეს „დოკუმენტის ან ვიწროდ და კონკრეტულად ჩამოყალიბებული დოკუმენტების კატეგორიების შესახებ აღწერას“.

⁴³⁸ იხ. para. 59.

⁴³⁹ Commentary on the 1999 IBA Rules of Evidence in International Commercial Arbitration, 2000, p. 22.

შესაძლოა მომთხოვნმა მხარემ ზუსტად არ იცოდეს, რომ ისინი არსებობს, მაგრამ ვარაუდობდეს მათ არსებობას გარკვეული გარემოებების გამო.⁴⁴⁰

მიუხედავად წესებში არსებული ცხადი მითითებებისა, რომ მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნა უნდა იყოს „ვიწრო და კონკრეტული“, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რას გულისხმობს ეს კრიტერიუმი და როგორ უნდა განიმარტოს იგი.

„სივიწროვის და კონკრეტულობის“ მოთხოვნა, ტრიბუნალების თანახმად, ნიშნავს რომ მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული ვიწროდ ე.ი. უნდა იყოს გონივრულად შემოფარგლული დროით და დავის საგნით, წარდგენილი სარჩელის და შესაგებლის შინაარსის მხედველობაში მიღებით.⁴⁴¹

მაშასადამე „სივიწროვე“ და „კონკრეტულობა“ არ არის სინონიმები და ის სხვადასხვა საკითხს მიემართება - ერთი მიემართება მოთხოვნის სიდიდეს, ხოლო მეორე - საგანს. კერძოდ, „სივიწროვე“ მოითხოვს, რომ დოკუმენტების კატეგორია არ მოიცავდეს დროის ძალიან დიდ შუალედს, ძალიან ბევრ ავტორს ან ძალიან ბევრი ტიპის დოკუმენტს, მაშინ როდესაც „კონკრეტულობის“ სტანდარტი მოითხოვს, რომ დოკუმენტი ან დოკუმენტების კატეგორია აღწერილი იყოს რაც შეიძლება კონკრეტულად.⁴⁴²

მითითებული ფორმულის მიხედვით, გამოთხოვის მოთხოვნა უნდა ეხებოდეს დოკუმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია საარბიტრაჟო განხილვის დროს კარგად ცნობილ საკითხებთან და არა სარჩელში გადმოცემულ ზოგად სადავო საკითხთან ან ფართო აღწერასთან.⁴⁴³ ამასთან, ეს არ ნიშნავს, რომ არბიტრები მხარეებს სთხოვენ დოკუმენტის ფორმალური სახელის მითითებას, არამედ, ისინი ითხოვენ დოკუმენტის ტექნიკური ან კომერციული ფუნქციის აღწერას (მაგ. ბიზნეს გეგმა, შეხვედრის ოქმი) ან მოითხოვენ, მხარემ მიუთითოს დოკუმენტის ავტორი (შემქმნელი) ან მიმღები. მოთხოვნაში ასევე აღნიშნული უნდა იყოს დოკუმენტების კატეგორია დროის შუალედის მითითებით, რაც, თავის მხრივ, საქმეში არსებული ფაქტების ქრონოლოგიასთან უნდა იყოს კავშირში. როდესაც მოთხოვნაში მითითებულია, რომ მხარეს სურს მოიპოვოს

⁴⁴⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 87.

⁴⁴¹ International Thunderbird Gaming Corp (United States of America) v United Mexican States, NAFTA/UNCITRAL, Procedural Order No. 2, p. 3 (2003).

⁴⁴² Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 88.

⁴⁴³ *ob.* Azurix Corp v Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/02, Decision on the Application for Annulment of the Argentine Republic, para. 197 (2009). ამ საქმეში ტრიბუნალმა დაადასტურა IBA-ს წესებში მითითებული ზოგადი პრინციპი, რომ დოკუმენტების გამჟღავნების შესახებ ზოგადი მოთხოვნა არ არის ადეკვატური, უარი განაცხადა რა გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დასაბუთებით, რომ მოთხოვნას ჰქონდა ზოგადი ხასიათი და მითითებული არ იყო მიზეზების გამართლება.

„ყველა დოკუმენტი“ ბუნდოვანი დროის შუალედით, „დაკავშირებული“ რომელიმე ფართო თემასთან, მსგავსი მოთხოვნა, როგორც წესი, ტრიბუნალების მიერ ჩაითვლება როგორც ფართო და შეუსაბამო „სივიწროვის და კონკრეტულობის“ სტანდარტთან.⁴⁴⁴

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სტანდარტის განმარტება უფრო პრობლემურია, როდესაც მოთხოვნა შეიცავს მტკიცებულებების კატეგორიაზე მითითებას, ვინაიდან თუ მოთხოვნილია კონკრეტული დოკუმენტი, მაშინ გაცილებით მარტივია იმის განსაზღვრა თუ რამდენად არის იდენტიფიცირებადი ეს დოკუმენტი.⁴⁴⁵ რაც შეეხება დოკუმენტების კატეგორიების მოთხოვნას, სწორედ ამ დროს ჩნდება ე.წ. „სათევზაო ექსპედიციის“ რისკი, ვინაიდან მხარეს შეიძლება სურდეს, გამოითხოვოს რაც შეიძლება დიდი ოდენობით მასალა, რათა მასში რაიმე მისთვის სასურველი და ხელსაყრელი დოკუმენტი აღმოაჩინოს. ვინაიდან ეს ე.წ. „სათევზაო ექსპედიცია“ საერთაშორისო არბიტრაჟში არ არის მიღებული, ტრიბუნალმა უნდა აღკვეთოს ეს, თუმცა სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ე.წ. „სათევზაო ექსპედიციის“ აღკვეთის მიზნით ტრიბუნალმა შეცდომით არ უნდა შეუზღუდოს მხარეს უფლება წარადგინოს მისი პოზიცია და შესაბამისი მტკიცებულებები ტრიბუნალის წინაშე.

ზემოთ მითითებულ სტანდარტს კონკრეტულად დოკუმენტების კატეგორიას თუ მივუსადაგებთ, დოკუმენტების კატეგორიის მოთხოვნაში უნდა იყოს მითითებული დოკუმენტის ბუნება (რა სახის დოკუმენტს წარმოადგენს იგი) და დრო (პერიოდი), რომელშიც ის უნდა შექმნილიყო.⁴⁴⁶

თუ როგორ განიმარტება ეს სტანდარტი, ამისთვის განხილული იქნება სხვადასხვა წყაროები, რომლებიც ამგვარ განმარტებას შეიცავენ. მაგალითად, IBA-ს წესების ოფიციალური კომენტარი შეიცავს მაგალითს. კომენტარი უთითებს შემდეგს: „თუ არბიტრაჟის განხილვის საგანია ერთი მხარის მიერ ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ხელშეკრულების (Joint Venture Agreement) შეწყვეტა, მეორე მხარემ შეიძლება იცოდეს, რომ შეწყვეტის შესახებ შეტყობინება მას მიეცა კონკრეტულ დღეს; მეორე მხარის დირექტორთა საბჭო შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნამდე ცოტა ხნით ადრე მიიღებდა შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას; გარკვეული დოკუმენტები მომზადდებოდა დირექტორთა საბჭოს განსახილველად და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შედგებოდა ოქმი.“ შესაძლოა მხარე ვერ ახდენდეს ამ დოკუმენტების

⁴⁴⁴ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 42.

⁴⁴⁵ CME Czech Republic BV v The Czech Republic, UNCITRAL, Partial Award, pp. 16, 17 (13 September 2001). ამ საქმეში ტრიბუნალმა დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა დოკუმენტების გამოთხოვაზე, რადგან მხარე უთითებდა დოკუმენტების თარიღებს, მათ აღწერას, ფაილის ნომრებს და ა.შ. შესაბამისად, მისი მოთხოვნა კონკრეტული და ვიწრო იყო.

⁴⁴⁶ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 10.

თარიღის ან ავტორების იდენტიფიცირებას, თუმცა მას შეუძლია დოკუმენტების სახის და იმ ზოგადი ვადების მითითება, როცა ეს დოკუმენტები უნდა მომზადებულიყო. ამგვარი მოთხოვნა, კომენტარების მიხედვით, შეფასდება, როგორც „ვიწრო და კონკრეტული“.⁴⁴⁷

ერთ-ერთი საქმე, სადაც დიდი ხნის ბჭობის და განხილვის შემდეგ LCIA-ს ტრიბუნალმა დაადგინა, რომ დაკმაყოფილებული იყო განსახილველი სტანდარტი და დააკმაყოფილა გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა, იყო საქმე *Elektrim SA v Vivendi Universal SA*,⁴⁴⁸ სადაც მხარის მიერ დაყენებული იყო დოკუმენტების გამოთხოვის შემდეგი მოთხოვნა: „დღის წესრიგები, პრეზენტაციები, წარდგინებები, მემორანდუმები, ანგარიშები და სხვა დოკუმენტები (კონკრეტულად ბატონი G-ს ან/და H-ის მომზადებული დასკვნები), რომლებიც მომზადდა V-ს სამეთვალყურეო საბჭოში ან/და მენეჯმენტის საბჭოში ან/და დირექტორთა საბჭოში წარსადგენად [...] 2001 წლის 24 აგვისტოდან 2001 წლის 10 სექტემბრის შუალედში, რომლებიც დაკავშირებულია: (i) ტექნოლოგიური საინვესტიციო შეთანხმების დადების შედეგად T-ში V-ს პოზიციასთან; (ii) V-ს მიერ ტექნოლოგიური საინვესტიციო შეთანხმებით მოთხოვნილი მთავრობის თანხმობის მისაღებად მიმართვის გაკეთების განზრახულ დროსთან; (iii) V-ს მიერ T-ს წინასწარი საჯარო შეთავაზების გაკეთების ვალდებულებების შესრულების განზრახულ დროსთან.“ მითითებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოთხოვნა „ვიწროდ და კონკრეტულად“ ჩაითვალა, ვინაიდან მოცემული იყო კონკრეტული, საკმაოდ მცირე დროის შუალედი, დასახელდნენ კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც ამ დოკუმენტებთან იყვნენ დაკავშირებულნი, აგრეთვე მოხდა დოკუმენტების ფუნქციური დანიშნულება და დოკუმენტების შინაარსზე მითითება.⁴⁴⁹

გარდა ამისა, ICC-ს ერთ-ერთ საქმეში მოთხოვნის შემდეგი ფორმულირებები ჩაითვალა საკმარისად ვიწროდ და კონკრეტულად: (ა) „ნებისმიერი განზრახულობის წერილი, რომელიც კომპანია A-ს პოტენციური მყიდველებისგან მიიღო მოპასუხემ დიუ დილიჯენსის დროს, X-Y (ერთი წელი) დროის შუალედში“; (ბ) „ყველა შესაძლო მბოჭავი ოფერტი, რომელიც მოპასუხემ მიიღო კომპანია A-ს ნებისმიერი პოტენციური მყიდველისგან გარდა მოსარჩელისა და D-სა, დიუ დილიჯენსის პროცესში X-Y (ერთი

⁴⁴⁷ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 10.

⁴⁴⁸ *Elektrim SA v Vivendi Universal SA* [2007] EWHC 11 (Comm), para. 32 (19 January 2007).

⁴⁴⁹ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 44. მსგავსად ამისა, მოთხოვნა დაკმაყოფილდა საქმეში *ABB Ag v Hochtief Airport GmbH & Anor* [2006] EWHC 388 (სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა იწყებოდა სიტყვებით „ნებისმიერი და ყველა დოკუმენტი“ ასევე მითითებული იყო კონკრეტული დროის შუალედი, რომელიც საერთო ჯამში არ იყო დიდი, და პიროვნებები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კომუნიკაციაში.

წელი) დროის შუალედში“. აქაც, მოთხოვნაში მითითებული იყო დოკუმენტების სახე და მასთან დაკავშირებული პირები, ისევე როგორც დროის შუალედი.⁴⁵⁰

თუმცა, რა თქმა უნდა არსებობს არაერთი გადაწყვეტილება, სადაც ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ მოთხოვნა იყო ფართო და მას აკლდა კონკრეტიკა. ერთ-ერთ ასეთ საქმეში, ICC-ს ტრიბუნალმა მიიღო პროცედურული დადგენილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. ტრიბუნალმა მიუთითა, რომ აღწერა, „[ყველა დოკუმენტი], რომელიც აფასებს კომპანიის ქონებას ან დაკავშირებულია ქონების შეფასებასთან“ ავტომატურად არ მიანიშნებდა თუ რა დოკუმენტის ან დოკუმენტების კატეგორიის გამოთხოვა იყო მოთხოვნილი. სათანადოდ დეტალური გამოთხოვის მოთხოვნა კი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ პარამეტრებს, როგორცაა: ავტორები, მიმღებები, კონკრეტული შინაარსი, და დოკუმენტის კონკრეტული მახასიათებლები. ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში პოტენციურად ყველა დოკუმენტი შეიძლება ჩათვლილიყო დოკუმენტად, რომელიც „დაკავშირებულია“ კონკრეტული კომპანიის ქონების შეფასებასთან.⁴⁵¹

მსგავსად ამისა, ICC-ს სხვა საქმეში მოპასუხემ მოითხოვა „ნებისმიერი და ყველა ინვოის(ებ)ი, რომელიც გაცემული იქნა მოსარჩლეების ან ნებისმიერი მასთან დაკავშირებული პირის მიერ ან მათი სახელით და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც მითითებულია [ხელშეკრულების შეწყვეტის დროიდან] გაყიდული პროდუქტები და მათი ფასები“. ტრიბუნალმა არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალს არ მიუთითებია მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივაცია, შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნას აკლდა კონკრეტულობა, რადგან მოთხოვნილი დოკუმენტების კატეგორია ასეთი არ იყო.⁴⁵²

ზემოაღნიშნული მაგალითები გამოდგება იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოთხოვნებს მიიჩნევენ ტრიბუნალები „ვიწროდ და კონკრეტულად“, ხოლო რომლებს არა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტრიბუნალი საკითხს შეიძლება სხვადასხვანაირად უყურებდეს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტების კატეგორიის გამოთხოვის შემთხვევაში თუ მითითებულია დოკუმენტის სახე (ტიპი), ჩართული მხარეები (ავტორი ან/და მიმღები), კონკრეტული დრო ან დროის შუალედი, იგი ჩაითვლება ვიწროდ და კონკრეტულად, ხოლო მითითება „ყველა ან/და ნებისმიერი დოკუმენტი“ სხვა

⁴⁵⁰ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 90-91.

⁴⁵¹ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 42, სქოლიო 65.

⁴⁵² Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 91-92.

იდენტიფიკაციის საშუალებების გარეშე, დიდი ალბათობით არ ჩაითვლება სათანადოდ „ვიწროდ და კონკრეტულად“.

ასევე უნდა ითქვას, რომ ამ კრიტერიუმის შეფასების დროს არ აქვს მნიშვნელობა მოსაპოვებელი დოკუმენტების მოცულობით სიდიდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს ათიათასობით გვერდი დოკუმენტი, თუმცა ამგვარი მოთხოვნა მაინც ჩაითვალოს „ვიწროდ და კონკრეტულად“. მაგალითისთვის, შვეიცარიელი არბიტრის მიერ გამოთხოვილი იყო 15 000 გვერდზე მეტი მოცულობის დოკუმენტები, ასევე ICDR-ის საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში გამოთხოვილი იყო 150 000 გვერდზე მეტი დოკუმენტები.⁴⁵³

მათი მახასიათებლების გათვალისწინებით, განსხვავებულ შინაარსს ატარებს „სივიწროვისა და კონკრეტულობის“ კრიტერიუმი ელექტრონული დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევაში. შესაბამისად, საინტერესოა შეკითხვა თუ რას გულისხმობს ეს სტანდარტი ელექტრონული დოკუმენტების გამოთხოვის დროს.

უდავოა, რომ მოთხოვნა ელექტრონული დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევაში ასევე უნდა პასუხობდეს „სივიწროვისა და კონკრეტულობის“ სტანდარტს. თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი მოთხოვნა, ამის შესახებ გარკვეულ მითითებებს შეიცავს ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესახებ არსებული რბილი სამართლის წესები.

ICDR-ის საარბიტრაჟო წესები და ICDR-ის გზამკვლევი მიუთითებს, რომ ელექტრონული ფორმით შენახული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული ვიწროდ, რათა მოხდეს მათი მოძებნა/მოძიება რაც შეიძლება ეკონომიურად. ტრიბუნალმა შეიძლება მიუთითოს ძებნის შემზღუდავ სხვადასხვა მექანიზმზე.⁴⁵⁴ შესაბამისად, მოცემული მუხლის მიზანია ელექტრონული დოკუმენტების კატეგორიის მოთხოვნას დაუწესოს უფრო მკაცრი მოთხოვნები და ამ მიზნით, ტრიბუნალს შეუძლია მხარეებს შესთავაზოს ე.წ. „სამძიებო სიტყვაც“ რათა უფრო მარტივად მოხდეს გამოთხოვილი დოკუმენტების მოძიება.⁴⁵⁵ ამის მთავარი მოტივი კი არის ის, რომ დაცული იყოს ბალანსი - ერთი მხრივ მომთხოვნ მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს მისთვის საჭირო ელექტრონული დოკუმენტები, ხოლო მეორე

⁴⁵³ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 44. იხ. აგრეთვე *Mofet Etzion Ltd v General Dynamics Land Systems Inc*, US Dist Ct, Lexis 11362 (SDNY February 2008).

⁴⁵⁴ ICDR-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 24 (6) და ICDR-ის გზამკვლევი, მუხლი 4.

⁴⁵⁵ Gardiner J. I., Kuck H. L., Bédard J., *International Commercial Arbitration in New York*, Arbitration International, Volume 27, Issue 4, 2011, p. 282; Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 95.

მხრივ, მოთხოვნის ადრესატს ელექტრონული დოკუმენტის მოძიების გამო არ დაეკისროს არაგონივრულად დიდი დროითი თუ ფინანსური ტვირთი.⁴⁵⁶

CPR-ის პროტოკოლის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტები გამჟღავნებული შეიძლება განხორციელდეს ჩვეულებრივი დოკუმენტების გამჟღავნებაზე უფრო ეფექტიანად დროის და ხარჯების კუთხით, თუ მოთხოვნა წარდგენილია საკმარისად კონკრეტულად.⁴⁵⁷ პროტოკოლი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს შეუსაბამო ტვირთის დაკისრების საკითხზე და მიუთითებს, რომ ელექტრონული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მოთხოვნა არ უნდა იყოს არაგონივრულად დიდი ტვირთის დამკისრებელი მოთხოვნის ადრესატისთვის.⁴⁵⁸ ამის გათვალისწინებით, პროტოკოლი მოიცავს ოთხ სხვადასხვა რეჟიმს, რომლებიდანაც მხარეებს ან/და ტრიბუნალს შეუძლიათ აირჩიონ რომელიმე. პროტოკოლი იწყება რეჟიმით, რომელიც მოიცავს მოთხოვნის ძალიან კონკრეტული მახასიათებლებით წარდგენას და სრულდება რეჟიმით, რომელიც აწესებს ფართო ფარგლებს.⁴⁵⁹

CIArb - ის პროტოკოლი ურჩევს მხარეებს განიხილონ ის გზები, რომლებითაც ელექტრონული დოკუმენტების მოთხოვნები იქნება უფრო კონკრეტული, საძიებო ტერმინის თუ შენახვის ობიექტის მითითებით.⁴⁶⁰

ICC-ს ტექნიკები, სხვა რბილი სამართლის წესების მსგავსად, ხაზს უსვამს ელექტრონული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის კონკრეტულობას. ამისთვის, ის მიუთითებს გზებს, თუ რის მითითებით შეუძლიათ მხარეებს უზრუნველყონ მათი მოთხოვნის ამ კრიტერიუმთან შესაბამისობა.

IBA-ს წესები, რომელიც, როგორც აღინიშნა, ყველაზე ხშირად გამოყენებული წყაროა, პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ელექტრონული სახით დაცული დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევაში, მომთხოვნ მხარეს შეუძლია, ან ტრიბუნალს უფლება აქვს უბრძანოს მას, რომ მიუთითოს კონკრეტული ფაილი, საძიებო ტერმინი, ადამიანები ან ამგვარი დოკუმენტების ეფექტიანად და ეკონომიურად მოძიების სხვა ხერხები.⁴⁶¹ წესების ოფიციალური კომენტარების მიხედვით, შემდეგი ინფორმაცია შეიძლება იყოს სასარგებლო: ფაილის სახელი, კონკრეტული საძიებო ტერმინი, შემნახველი პირი,

⁴⁵⁶ Howell D., *Developments in Electronic Disclosure in International Arbitration*, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. p. 160; 97. Smit R. H. and Tyler B. R., *E-Disclosure in International Arbitration*, *Arbitration International*, Vol. 24:1, 2009. p. 125.

⁴⁵⁷ CPR-ის პროტოკოლი, მუხლი 1(d)(1).

⁴⁵⁸ CPR-ის პროტოკოლი, მუხლი 1(d)(1).

⁴⁵⁹ CPR-ის პროტოკოლი, სექცია: ელექტრონული ინფორმაციის გამჟღავნების რეჟიმები.

⁴⁶⁰ CIArb-ის პროტოკოლი, მუხლი 3(vi).

⁴⁶¹ მუხლი 3(3)(a)(ii).

ავტორი და ა.შ.⁴⁶² თუმცა, აღნიშნული კომენტარი კარგად ვერ ჰფენს ნათელს საკითხს, ვინაიდან, მაგალითისთვის, შესაძლოა მხარე უთითებდეს საძიებო ტერმინს (სიტყვას), თუმცა ამ საძიებო სიტყვით კონკრეტულ სისტემაში ასევე მოიძებნოს უამრავი დოკუმენტი, რომელიც საერთოდ არ იქნება კავშირში საქმესთან. შესაბამისად, საჭირო შეიძლება გახდეს უფრო კონკრეტული მითითება.

მოთხოვნის ვიწროდ და კონკრეტულად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, დამატებით, ელექტრონულ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფენ ხუთი კატეგორიის ელექტრონულ მონაცემებს, ესენია: (1) „აქტიური ონლაინ მონაცემები“ (“active on-line data”);⁴⁶³ (2) „გვერდითი მონაცემები“ (“near-line data”);⁴⁶⁴ რომელიც ხელმისაწვდომად მზადაა თუმცა ინახება ოფლაინ; (3) ოფლაინ მეხსიერების არქივი (“off-line storage archives”), რომელიც ინახება დისკებზე, რომლებიც არ არის მარტივად და გამზადებულად ხელმისაწვდომი; (4) აღდგენადი მონაცემები (“back-up tapes”), რომელიც არ არის ორგანიზებული და შესაბამისად ადვილად მოსაძებნი; (5) წაშლილი ან ფრაგმენტირებული მონაცემები (“erased or fragmented data”), რომლის აღდგენა მოითხოვს ტექნოლოგიური ექსპერტიზის ჩართვას.⁴⁶⁵

როგორც წესი, კომპანიებში ინფორმაცია ახლად მომხდარი ფაქტის შესახებ ინახება პირველ კატეგორიაში და შესაბამისად, ყველაზე რელევანტური (ახალი) ინფორმაცია შეიძლება იყოს განთავსებული სწორედ ამგვარი ფორმით, რადგან ჯერ არ იყოს დაარქივებული. თუ დაარქივება დაწყებულია, მაშინ მეორე კატეგორიაში გადასვლა და იქ მოძებნა გახდება საჭირო. თუმცა, თუ დავა ეხება ისეთ ურთიერთობას, რომელიც მხარეებს შორის დიდი ხნის წინ წარმოიშვა და მომხდარი ფაქტებიდან დიდი დროა გასული, მაშინ დაარქივებული ფაილების მესამე და მეოთხე კატეგორიებიდან დოკუმენტების ამოღება გახდება საჭირო. უნდა აღინიშნოს, რომ მე-5 კატეგორიის დოკუმენტების მოპოვება, როგორც ზემოთ იქნა მითითებული, მოითხოვს სპეციალისტების ჩართულობას.⁴⁶⁶ როდესაც მხარეს ელექტრონული დოკუმენტები შენახული არ აქვს პირველ სამ კატეგორიაში, მაშინ მოსალოდნელია, რომ ტრიბუნალები არ დააკმაყოფილებენ მოთხოვნას, ვინაიდან ეს წარმოშობს წაშლილი, დაკარგული ან ფრაგმენტირებული დოკუმენტების თანმიმდევრული და რთული ძიების პროცესს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს განსაკუთრებული გარემოება, რომელიც

⁴⁶² Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 10.

⁴⁶³ მაგ. კომპიუტერის მყარი დისკი.

⁴⁶⁴ „გვერდითი მონაცემები“-ს შესახებ იხ. <https://www.techopedia.com/definition/1100/near-line-storage>

⁴⁶⁵ იხ. დეტალურად ამ საკითხზე Smit R. H. and Tyler B. R., E-Disclosure in International Arbitration, Arbitration International, Vol. 24:1, 2009.

⁴⁶⁶ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 45.

მოითხოვს ამგვარი დოკუმენტების ნებისმიერ შემთხვევაში მოძიებას. სადი აზრი და კონკრეტული ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი დოკუმენტების შენახვის წესი ხშირად კარნახობს ტრიბუნალს და მხარეებს განსაზღვრონ, რომელი ფაილები შეიძლება მოიძებნოს საერთაშორისო არბიტრაჟში არსებული დოკუმენტების გამოთხოვის შეზღუდული წესის გათვალისწინებით და რომელი არა.⁴⁶⁷

8.5.3. მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა იყოს საქმისთვის „რელევანტური და არსებითი“ (relevant and material)

მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელიც დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნას ზღუდავს, არის „რელევანტურობის და არსებითობის“ სტანდარტი.⁴⁶⁸ სწორედ ეს სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს დოკუმენტების მოთხოვნამ იმისათვის, რომ იგი დაკმაყოფილდეს. აღნიშნული ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს გამოითხოვოს მხოლოდ და მხოლოდ რელევანტური და არსებითი და არა ნებისმიერი სახის დოკუმენტები. ეს სტანდარტიც, „სივიწროვის და კონკრეტულობის“ სტანდარტთან ერთად, იცავს საარბიტრაჟო პროცესს ე.წ. „სათევზაო ექსპედიციებისგან“, რათა მხარეებმა არ გამოითხოვონ ძალიან დიდი მოცულობის, მათ შორის არასაჭირო ინფორმაცია და ამით არ შეზღუდონ მეორე მხარის უფლებები და არ გააჭიანურონ საქმის განხილვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტანდარტი უკავშირდება საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა წარადგინონ მათი პოზიციები. მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციის წარდგენა და მათი მტკიცების ტვირთის ფარგლებში ამ პოზიციის დაცვა-დადასტურება ვერ მოხდება ნებისმიერი მტკიცებულებით, არამედ უნდა მოხდეს რელევანტური და საქმისთვის არსებითი მტკიცებულებებით.

მითითებული სტანდარტი იმდენად მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია მტკიცებულებების გამოთხოვის კონტექსტში, მასზე მითითებას შეიცავს მრავალი საარბიტრაჟო წესი და ყველა რბილი სამართალი, რომელიც დოკუმენტების გამოთხოვის რეგულირებას ცდილობს. კერძოდ, SCC-ს საარბიტრაჟო წესების 31 (3) მუხლის მიხედვით, „მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში თავისი ინიციატივით, ტრიბუნალი უფლებამოსილია, დაავალოს მხარეს წარმოადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა მტკიცებულება, რომელიც შეიძლება იყოს საქმისთვის რელევანტური და საქმის შედეგისთვის არსებითი.“ ფაქტობრივად იდენტურ ჩანაწერს ითვალისწინებს HKIAC-ის საარბიტრაჟო წესების 22.3 მუხლი. LCIA-ს საარბიტრაჟო

⁴⁶⁷ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 46.

⁴⁶⁸ Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015, p. 382.

წესების 22(1)(v) მუხლის თანახმადაც, ტრიბუნალი აღჭურვილია უფლებამოსილებით მხარეებს მოსთხოვოს იმ დოკუმენტების წარმოდგენა, რომელიც ტრიბუნალს რელევანტურად მიაჩნია. ICC-ს საქმის მენეჯმენტის ტექნიკების მიხედვით, დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევაში, ეს მოთხოვნა შემოფარგლული უნდა იყოს იმ დოკუმენტებით, რომლებიც საქმის შედეგისთვის რელევანტური და არსებითია.⁴⁶⁹

რაც შეეხება რბილი სამართლის წესებს, პრადის წესების 4.5 (a) მუხლის მიხედვით, ტრიბუნალი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მეორე მხარეს მოსთხოვოს კონკრეტული დოკუმენტის წარდგენა, რომელიც არის საქმის შედეგისთვის არსებითი და რელევანტური. ICDR-ის გზამკვლევის 3 (a) მუხლი, ICDR-ის საარბიტრაჟო წესების⁴⁷⁰ მსგავსად, აცხადებს, რომ ტრიბუნალი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოსთხოვს მხარეს დოკუმენტების წარმოდგენას, თუ ეს დოკუმენტები საქმის შედეგისთვის რელევანტური და არსებითია. CPR-ის პროტოკოლი თავის შესავალ ნაწილში (მუხლი 1 (a)) ითვალისწინებს, რომ დოკუმენტების გამჟღავნების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე აჩვენებს, რომ დოკუმენტები, რომლებიც უნდა იყოს რელევანტური და არსებითი, საჭიროა მისი პოზიციის წარსადგენად. ICC-ს ტექნიკები პირდაპირ არ უთითებს, რომ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომ ეს დოკუმენტი საქმისთვის რელევანტური და არსებითია, თუმცა მიუთითებს, თავიდან აირიდონ დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტები საქმის შედეგისათვის არსებითი და რელევანტურია.⁴⁷¹ დაბოლოს, IBA-ს წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს განმარტებას იმის თაობაზე, თუ მოთხოვნილი დოკუმენტები რატომ არის რელევანტური და არსებითი საქმის შედეგისთვის.⁴⁷²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ფარგლებში დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნას წაეყენება „რელევანტურობის და არსებითობის“ კრიტერიუმი. თუმცა, ეს კრიტერიუმი ერთმანეთში აერთიანებს ორ ტერმინს - „რელევანტურობა“ და „არსებითობა“, რომლებიც ერთმანეთის სინონიმები არ არიან. შესაბამისად, ტრიბუნალმა სწორად უნდა განმარტოს ისინი, იმისათვის, რომ სწორად გადაწყვიტოს დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნას.

⁴⁶⁹ ICC Case Management Techniques: (d) (iii).

⁴⁷⁰ მუხლი 2 (4).

⁴⁷¹ იხ. ICC, ICC Arbitration Commission Report on Techniques for Controlling Time and Costs in Arbitration, 2007, para. 50. იხ. აგრეთვე para. 52-ე, რომელიც უთითებს, რომ კარგი იქნება თუ მხარეები თავიანთ მოთხოვნას შემოსაზღვრავენ იმ დოკუმენტებით, რომლებიც საქმისთვის რელევანტური და არსებითია.

⁴⁷² IBA-ს წესები მუხლი 3 (3) (b).

8.5.3.1. „საქმისთვის რელევანტურობა“

მხარეს, რომელიც ითხოვს მტკიცებულებების გამოთხოვას, აკისრია დოკუმენტების საქმისთვის რელევანტურობის მტკიცების ტვირთი.⁴⁷³ ტრიბუნალი ამ შემთხვევაში ზოგადად ანალიზებს, წარმოადგინა თუ არა მხარემ სანდო არგუმენტები მოთხოვნილი დოკუმენტების სავარაუდო ან *prima facie* რელევანტურობის შესახებ.⁴⁷⁴ შესაბამისად, ამ შემთხვევაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ დოკუმენტები სავარაუდოდ, პირველადი დაკვირვებით რელევანტური იქნება.⁴⁷⁵

ICC-ს ერთ-ერთი ტრიბუნალის განმარტებით, მოთხოვნის ავტორმა უნდა აჩვენოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მას ესაჭიროება იმისათვის, რომ აწიოს მისი მტკიცების ტვირთი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, როგორც ტრიბუნალისთვის ცნობილი ფაქტები, ასევე მხარეთა წარმომადგენლების განცხადებები. შესაბამისად, მომთხოვნმა მხარემ უნდა წარმოადგინოს არგუმენტები, რატომ სჯერა მას, რომ კონკრეტული დოკუმენტი მის კონკრეტულ პოზიციას დაადასტურებს.⁴⁷⁶

IBA-ს წესების ოფიციალურ კომენტარებში ასევე მითითებულია, რომ მოთხოვნილი დოკუმენტების შინაარსი დაკავშირებული უნდა იყოს საქმეში არსებულ საკითხებთან.⁴⁷⁷

ქვემოთ მოცემული ამონარიდი UNCITRAL-ის წესებით მოქმედი არბიტრაჟის პროცედურული ბრძანებიდან წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ აფასებს ტრიბუნალი რელევანტურობის და მტკიცების ტვირთის კავშირს. ამ საქმეში მხარეები (არბიტრაჟში მონაწილეობდა მრავალი მხარე (ე.წ. multiparty arbitration)) ცდილობდნენ მიეღოთ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ლიცენზიის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ გაყიდვებთან. ტრიბუნალმა აღნიშნა შემდეგი: „ვერც ერთი მხარე ვერ გამოხატავს რიცხვებში მის მოთხოვნას თუ შეგებებულ მოთხოვნას, მეორე მხარის მიერ მიღებული გადახდების დეტალების გაგების გარეშე. მოსარჩელის და პირველი მოპასუხის მოთხოვნები ერთი და იმავე ხასიათისაა და მოთხოვნის მიზანი ძირითადად არის, რომ მათ მიეცეთ საშუალება დაადგინონ თანხის ის ოდენობა, რომელსაც ისინი

⁴⁷³ იხ. IBA-ს წესები მუხლი 3 (3) (b).

⁴⁷⁴ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 60.

⁴⁷⁵ Tidewater Inc et al. v The Bolivarian Republic of Venezuela, ICSID ARB/10/5, Procedural Order No. 1, p. 19 (29 March 2011). იხ. Hanotiau B., Document Production in International Arbitration: A Tentative Definition of 'Best Practices', ICC Bulletin, Special Supplement: Document Production in International Arbitration, 2006, p. 117.

⁴⁷⁶ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 60. იხ. აგრეთვე Sarah A. [Spain] v. Moussa R. [Lebanon] (26 November 2009), Cour d'appel [CA] [regional court of appeal], Paris, pôle 1, ch. 1, 26 Nov. 2009, case no. 08/11583 საქმის აღწერა მოცემულია Kirby J., Bensaude D., Commentary, Mealey's International Arbitration Report, Vol. 25, No. 3, 2010, p. 8.

⁴⁷⁷ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 100

მიიჩნევენ ვადამოსულად მათი თანამშრომლობის ფარგლებში. მოსარჩელეს, სახელშეკრულებო და ფინანსური დოკუმენტები მისცემს საშუალებას შეაფასოს ხელშეკრულების ფარგლებში პირველი მოპასუხის მიერ მიღებული თანხები. ამ დავის ეფექტიანად და დროულად გადაწყვეტისათვის, მხარეებმა უნდა შეძლონ, დაიანგარიშონ მათი მოთხოვნები და შეგებებული მოთხოვნები, და უმჯობესია ეს მოხდეს მოწმეთა დაკითხვისთვის გამოყოფილ მოსმენებამდე, რათა ამგვარი მოსმენები შეეხოს თანხის ოდენობის საკითხებსაც.“ ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ტრიბუნალმა ცხადად გაავლო ძაფი მხარეებს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებსა და მათ მიერ დასამტკიცებელ გარემოებებს შორის.⁴⁷⁸

არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებშიც მხარე ითხოვდა იმ მტკიცებულებების გამოთხოვას, რომლებიც მეორე მხარის მტკიცების ტვირთში შედიოდა, რის გამოც ტრიბუნალმა უარი განაცხადა მის დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, საქმეში *United Parcel Service of America v Government of Canada*,⁴⁷⁹ მოპასუხემ დააყენა რამდენიმე მოთხოვნა მოსარჩელისგან დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ, რაც ტრიბუნალის მიერ არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მიიჩნია, რომ NAFTA-ს⁴⁸⁰ მუხლების დარღვევის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. აგრეთვე, ერთ-ერთ საქმეში⁴⁸¹ SCC-ს ტრიბუნალმა ასევე შეაფასა რა დოკუმენტების გამოთხოვასთან დაკავშირებული შესაძლო სიკეთეები და უარყოფითი მხარეები, დოკუმენტების გამოთხოვა დაუკავშირა მხარეების მტკიცების ტვირთს და მათ უფლებას წარადგინონ საკუთარი პოზიცია ტრიბუნალის წინაშე.

თუმცა, მიუხედავად პრაქტიკისა, ეს საკითხი არის აზრთა სხვადასხვაობის საგანი, ვინაიდან ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რელევანტურების დაკავშირება მარტოოდენ მტკიცების ტვირთთან არ უნდა მოხდეს, არამედ მას აქვს უფრო ფართო გაგება და რელევანტური შეიძლება იყოს დოკუმენტი, რომელსაც არ აქვს პირდაპირი კავშირი მომთხოვნი მხარის განცხადებებთან და შესაგებლებთან. თუმცა, ამგვარი ფართო მიდგომა შეიძლება ითქვას, რომ ხსნის შესაძლებლობას ე.წ. „სათევზაო ექსპედიციისთვის“, რომლის ფარგლებში მხარეები შეეცდებიან აღმოაჩინონ თავიანთი პოზიციები, არათუ დაასაბუთონ ისინი.⁴⁸²

⁴⁷⁸ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 61.

⁴⁷⁹ *United Parcel Service of America v Government of Canada*, NAFTA/UNCITRAL, Decisions relating to Document Production and Interrogatories, paras 7, 8 (21 June 2004).

⁴⁸⁰ North American Free Trade Agreement (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება).

⁴⁸¹ *Stati v Republic of Kazakhstan (Award)*, SCC Case No. V (116/2010), 19 December 2013, p. 29. O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 61-62.

⁴⁸² O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 61. აღნიშნულ საკითხზე დისკუსიის შესახებ იხ. Dulani J.T., Evan M. J., *Burden of Proof as a Prerequisite to Document Production Under the 2010 IBA Rules: An Obituary*, *Transnational Dispute Management*, 2016.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად მხარეებისთვის წინასწარი განხილვების ეტაპზე რთულია განსაზღვრონ თუ ვის აკისრია კონკრეტული გარემოების მტკიცების ტვირთი. მაგალითად ხელშეკრულების ინტერპრეტაცია შეიძლება მოითხოვდეს არაერთი „ქვე-ფაქტის“ დადასტურებას, რაც თავის მხრივ შეიძლება ქმნიდეს სარჩელის და შესაგებლის ფაქტობრივ ან სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, ადვილი არ არის, მხარეებმა განსაზღვრონ თუ რომელს, რომელი ამგვარი ფაქტის თუ ქვე-ფაქტის მტკიცების ტვირთი აქვს და ამის მიხედვით წარადგინონ დოკუმენტები. შესაბამისად, მხარეების და მათი ადვოკატებისთვის უფრო მოსახერხებელი და ეფექტიანი იქნება (მიუხედავად იმისა, თუ ვის მტკიცების საგანში შედის ესა თუ ის ფაქტი თუ ქვე-ფაქტი) თუ ისინი წარადგენენ ყველა ფაქტზე და ქვე-ფაქტზე მათთვის ხელმისაწვდომ დოკუმენტებს. ამასთანავე, საქმის წინასწარი განხილვის ეტაპზე ტრიბუნალის დავალდებულება, რომ განსაზღვროს ყველა ფაქტის თუ ქვე-ფაქტის მიმართებით მტკიცების ტვირთი, ირაციონალური იქნება.⁴⁸³ შესაბამისად, ტრიბუნალს ბუნებრივია მხედველობაში უნდა ჰქონდეს, თუ რას ამტკიცებს თითოეული მხარე და როგორია მათი მტკიცების ტვირთი და ისე გადაწყვიტოს დოკუმენტების გამოთხოვის საკითხი, თუმცა, მას აქვს მოქნილობა და დისკრეტია მისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს საკითხი. მთავარია, მხარეებს მიეცეთ საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა და პროცესიც ეფექტიანად და მოკლე ვადებში ჩატარდეს.

აქვე მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს საკითხი, მხარეს შეუძლია მხოლოდ იმ დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც რელევანტურია მხოლოდ მის მიერ უკვე მითითებული განცხადებებისა თუ ფაქტებისთვის, თუ ასევე სამომავლო განცხადებების თუ მოთხოვნებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნა, რომელიც მიზნად ისახავს იმ დოკუმენტების გამოთხოვას, რომელიც მხარს უჭერს მხარის სამომავლო (შესაძლო) მოთხოვნებს და განცხადებებს და მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვას, ნაკლებად უკავშირდება უნდა ჩაითვალოს ე.წ. „სათევზაო ექსპედიციად“ და არ უნდა დაკმაყოფილდეს ტრიბუნალის მიერ.⁴⁸⁴ მსგავსი ფართო შესაძლებლობის მიცემას შეიძლება გამოეწვია საარბიტრაჟო განხილვის ძალიან გაჭიანურება და უფრო მეტიც, მხარეებს შორის ახალ-ახალი დავების წარმოშობა.

8.5.3.2. „საქმის შედეგისთვის (გადაწყვეტილებისთვის) არსებითობა“

საქმის შედეგისათვის არსებითობის სტანდარტი მიუთითებს ტრიბუნალის უფლებაზე, შეაფასოს მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნა იმის მიხედვით, რამდენად შეიძლება

⁴⁸³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 101.

⁴⁸⁴ ib. Marghitola R., Document Production in International Arbitration, Kluwer Law International, 2015. p. 63

მოთხოვნილი დოკუმენტების გამოყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის ან საქმის არსებითი მხარის იმ საკითხისთვის, რომლის დამტკიცებასაც მომთხოვნი მხარე ისახავს მიზნად.⁴⁸⁵

შესაბამისად, არსებითობა რელევანტურობაზე მკაცრი მოთხოვნაა. ყველა საქმის შედეგისთვის არსებითი დოკუმენტი ამავედროულად რელევანტურიცაა, ხოლო ყველა რელევანტური დოკუმენტი შეიძლება არ იყოს შედეგისთვის არსებითი.⁴⁸⁶ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლოა სახეზე იყოს ისეთი შემთხვევა, რომ მომთხოვნმა მხარემ შეძლოს იმის ჩვენება, რომ არსებობს კავშირი მოთხოვნილ დოკუმენტსა და რომელიმე სადავო საკითხს შორის, რომლის დამტკიცებასაც ის ცდილობს, თუმცა ტრიბუნალმა შეიძლება მაინც დაადგინოს, რომ თავად ეს სადავო საკითხი (და მასთან დაკავშირებით რომელიმე მხარის მტკიცების გაზიარება) საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. მაგალითად, საქმეში *Glamis Gold, Ltd. v. The United States of America*⁴⁸⁷ ტრიბუნალმა აღიარა, რომ მოთხოვნილ დოკუმენტებს შესაძლოა ჰქონოდა რელევანტური კავშირი მოპასუხის არგუმენტებთან, თუმცა, მას ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს დოკუმენტები საბოლოო გადაწყვეტილებისთვის არსებითი იქნებოდა.

მსგავსი მიდგომის კარგი ილუსტრაციაა კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომლის ფარგლებში ინგლისის სასამართლო მსჯელობდა LCIA-ს ტრიბუნალის მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე. მხარე ამტკიცებდა, რომ ტრიბუნალმა არ დააკმაყოფილა მის მიერ დაყენებული რამდენიმე მოთხოვნა მტკიცებულებების გამოთხოვის შეესახებ, რის გამოც მან განიცადა უსამართლო დისკრიმინაცია საარბიტრაჟო განხილვის დროს. მხარის მითითებით, მან ტრიბუნალს აჩვენა, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მისი არგუმენტებისთვის რელევანტური იყო. სასამართლომ ამ საკითხზე ტრიბუნალის გადაწყვეტილების შეფასების დროს მიუთითა, რომ იგი ხედავდა მხარის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტებსა და მის არგუმენტებს შორის რელევანტურ კავშირს, თუმცა, ტრიბუნალის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა სათანადო გადაწყვეტილება იყო, რადგან, როგორც საქმის მასალებიდან ჩანდა, ტრიბუნალმა თავად ის არგუმენტი, რომელსაც ეს მტკიცებულება უკავშირდებოდა, არ მიიჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის არსებითად. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, არბიტრებმა განახორციელეს მათი უფლებამოსილება (IBA-ს წესების ფარგლებში), არ გამოეთხოვათ ის დოკუმენტები, რომლებიც, მათი შეფასებით, არ იყო

⁴⁸⁵ *Aguas del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia*, ICSID Case No. ARB/02/3, Procedural Order No. 1; *Glamis Gold, Ltd. v. The United States of America*, UNCITRAL, Final Award, para. 208 (e) (8 June 2009).

⁴⁸⁶ Zuberbühler T., Hofmann D. and others, *IBA Rules of Evidence. Commentary on the IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration*, Schulthess, 2012, p. 57.

⁴⁸⁷ *Glamis Gold, Ltd. v. The United States of America*, UNCITRAL, Final Award, para. 208 (e) (8 June 2009).

არსებითი.⁴⁸⁸ მსგავსი გადაწყვეტილება ასევე მიღებული აქვს შვედეთის უზენაეს სასამართლოს.⁴⁸⁹

გარდა ამისა, ტრიბუნალმა შესაძლოა გამოთხოვაზე უარი თქვას, თუ საქმეში წარმოდგენილია რელევანტური დოკუმენტები კონკრეტულ სადავო საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ასეთ დროს მოთხოვნილი დოკუმენტები შესაძლოა საქმის შედეგისთვის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის არაარსებითად ჩაითვალოს, რადგან მას არ შეუძლია არსებულ მტკიცებულებებზე მეტის მიცემა საქმისთვის. კერძოდ, შვედეთის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „იმისათვის, რომ დოკუმენტი მიჩნეული იყოს როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულება, ის არსებულ მტკიცებულებებს უნდა მატებდეს რაიმეს. საარბიტრაჟო ტრიბუნალს [...] შეუძლია არ დააკმაყოფილოს ამგვარი შუამდგომლობა [დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ] თუ მტკიცებულება უკავშირდება არარელევანტურ გარემოებებს ან თუ საკითხი უკვე არსებული მტკიცებულებებით საკმარისად იქნა განმარტებული.“⁴⁹⁰

რელევანტურობის მსგავსად, საქმის შედეგისთვის არსებითობაც ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს ე.წ. ერთი შეხედვის (*prima facie*) სტანდარტით და დააკმაყოფილოს მოთხოვნა თუ ჩათვლის, რომ სავარაუდოდ მოთხოვნილი დოკუმენტები საქმის შედეგისთვის (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოსატანად) მნიშვნელოვანი იქნება.⁴⁹¹ უფრო სიღრმისეულად დოკუმენტების შეფასება (ა) სწორი არ იქნება, რადგან დოკუმენტები ტრიბუნალმა განხილვების და მხარეთა ყველა წარდგინების გამოკვლევის შემდეგ უნდა შეაფასოს; და (ბ) უმეტესად სიღრმისეულად შეფასება შესაძლებელიც არ არის, რადგან დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნები, როგორც წესი, განხილვის ადრეულ ეტაპზეა წარდგენილი.

⁴⁸⁸ ABB Ag v Hochtief Airport GmbH & Anor [2006] EWHC 388. para. 85.

⁴⁸⁹ Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboyas I Motala AB, Swedish Supreme Court, Case No. Ö 1590-11, 10 May 2012, §6; იხ. El Paso Energy International Co v Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/15, Decision on Jurisdiction, p. 4 (27 April 2006): ტრიბუნალმა უარყო დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნები იმ საფუძველით, რომ საქმეში არსებული ინფორმაცია საკმარისი იყო გადაწყვეტილიყო მოპასუხის მიერ წარდგენილი იურისდიქციის შესახებ პროტესტი, და თუ ტრიბუნალი მიიჩნევდა, რომ მას ჰქონდა იურისდიქცია და დაიწყებდა საქმის არსებითად განხილვას, იგი დამატებით განიხილავდა დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ ამ მოთხოვნას თუ მოპასუხე ჩათვლიდა, რომ იგი მას ხელმეორედ უნდა დაეყენებინა.

⁴⁹⁰ Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboyas I Motala AB, Swedish Supreme Court, Case No. Ö 1590-11, 10 May 2012, §6.

⁴⁹¹ Born G., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014, p. 2362.

8.5.4. დოკუმენტები არ უნდა იყოს მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან მისთვის მისი წარმოდგენა არაგონივრულად რთული უნდა იყოს

კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მხარის მიერ დაყენებულ მოთხოვნას წაყენება არის ის, რომ მოთხოვნილ დოკუმენტებზე მომთხოვნ მხარეს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს, უფრო კონკრეტულად კი არ უნდა იყოს მის მფლობელობაში, გამგებლობაში ან მისი კონტროლის ქვეშ, ან მისი წარმოდგენა მომთხოვნი მხარისთვის არაგონივრულად რთული უნდა იყოს.⁴⁹² შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოთხოვნაც მიმართულია ე.წ. „სათევზაო ექსპედიციების“ თავიდან ასარიდებლად.

ეს სტანდარტიც ფართოდაა აღიარებული მტკიცებულებების შესახებ არსებულ რბილი სამართლის სხვადასხვა წესში,⁴⁹³ მათ შორის, ბუნებრივია, IBA-ს წესებში, რომლის 3 (3) (c) მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მხარის „განცხადებას, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მის მფლობელობაში, გამგებლობაში ან მისი კონტროლის ქვეშ არ არის, ან განცხადებას, რატომ იქნება მომთხოვნი მხარისთვის არაგონივრულად დიდი ტვირთი ამგვარი დოკუმენტების წარმოდგენა.“

ნათელია, რომ ეს სტანდარტი მოიცავს ორ განსხვავებულ, დამოუკიდებელ გარემოებას, რომელთა არსებობის დროსაც დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილდება. თითოეული ეს გარემოება არის საკმაოდ კომპლექსური და ტრიბუნალისგან ცალკე განხილვას მოითხოვს.

8.5.4.1. მომთხოვნის მხარის ხელმისაწვდომობა დოკუმენტებზე

მოთხოვნა, რომ გამოთხოვილ დოკუმენტებზე მომთხოვნ მხარეს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს დაკავშირებულია ზემოთ დაწვრილებით განხილულ და საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში კარგად აღიარებულ პრინციპთან, რომ თითოეულ მხარეს აქვს უფლებამოსილება, წარადგინოს მისთვის ხელმისაწვდომი ის მტკიცებულებები,

⁴⁹² იხ. IBA-ს წესების მუხლი 3(3)(c).

⁴⁹³ თუმცა ზოგიერთი წესი მიუთითებს მხოლოდ მფლობელობაში ყოფნაზე, ზოგიერთი მხოლოდ მფლობელობასა და გამგებლობაში ყოფნაზე და ა.შ მაგალითად, CIArb-ის პროტოკოლის პარაგრაფი 4(iv) ამბობს, რომ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს „განცხადებას იმ მიზეზის შესახებ, რატომ უნდა ჩაითვალოს დოკუმენტები მეორე მხარის მფლობელობაში ან კონტროლქვეშ.“ ICDR-ის პროტოკოლის 21 (4) მუხლი და ICDR-ის გზამკვლევის 3 (a) მუხლი აცხადებს, რომ ტრიბუნალს შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს იმ დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებიც იმყოფება მის მფლობელობაში. პრალის წესების 4.5 მუხლის თანახმად, დოკუმენტები უნდა იყოს მეორე მხარის მფლობელობაში აუნდა იყოს მის უფლებამოსილების ან კონტროლის ქვეშ.

რომლებსაც ის მიიჩნევს თავისი პოზიციის მხარდამჭერად. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავად შეუძლია დოკუმენტის წარდგენა, მისი მეორე მხარისგან გამოთხოვა იწვევს პროცესის გაჭიანურებას, დამატებით განხილვებს, ხარჯებს და ა.შ. რაც ამცირებს პროცესის ეფექტიანობას და უბრალოდ, არალოგიკურიცაა. ასევე, მიღებულია, რომ როდესაც მოთხოვნილი დოკუმენტი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ორივე მხარისთვის, არ არსებობს მეორე მხარისთვის მისი წარმოდგენის დავალების საჭიროება.⁴⁹⁴

თუმცა, იმისათვის, რომ შეფასდეს, როდის არის მომთხოვნი მხარისთვის ხელმისაწვდომი მოთხოვნილი დოკუმენტები, აუცილებელია იმის გარკვევა თუ რას გულისხმობს თავად ის. როგორც ზემოთ აღინიშნა, IBA-ს წესები დოკუმენტს მომთხოვნი მხარისთვის ხელმისაწვდომად თვლის თუ იგი არის მის მფლობელობაში, გამგებლობაში ან მასი კონტროლის ქვეშ.⁴⁹⁵

როდესაც კონკრეტული პირი უშუალოდ ფლობს კონკრეტულ დოკუმენტს (მაგ. კომპანიის ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტები უნდა ინახებოდეს ამ კომპანიაში), მაშინ ამ კრიტერიუმის განხილვა ტრიბუნალის მიერ და მისი მისადაგება კონკრეტულ მოთხოვნაზე ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს. თუმცა, თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკაში, როდესაც აქტიურად გამოიყენება შვილობილი კომპანიები, დისტრიბუტორები და წარმომადგენლები, ან, მთავრობების შემთხვევაში, არსებობს სხვადასხვა დეპარტამენტები, სააგენტოები, ადგილობრივი განყოფილებები, შესაძლებელია ტექნიკურად დოკუმენტი იყოს არა მხარის, არამედ სხვა სუბიექტის უშუალო მფლობელობაში. შესაბამისად, IBA-ს წესებმა გაითვალისწინა ასევე ტერმინი „კონტროლი“, რითაც საკითხი უფრო რთული გახდა. საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებების წარმოდგენასთან მიმართებით ტერმინი „კონტროლი“ არ არის მკაცრად და ზუსტად განსაზღვრული ცნება, არამედ არის განმარტების საგანი. ის, რომ კონკრეტული დოკუმენტი დაცული არ არის მხარის ფაილებში არ ნიშნავს, რომ იგი მისი კონტროლის ქვეშ არაა. საარბიტრაჟო განხილვის მხარეებს მოეთხოვებათ, მოიპოვონ მოთხოვნილი დოკუმენტები მასთან დაკავშირებული კომპანიებიდან ან იმ მხარეებისგან, რომელთანაც მათ აქვთ ურთიერთობა.⁴⁹⁶ ერთ-ერთი ტრიბუნალის განმარტებით, მხარემ უნდა სცადოს ყველაფერი, რათა მოიპოვოს ის დოკუმენტები, რომლებიც არის იმ პირების უშუალო მფლობელობაში, რომლებთანაც მას აქვს მნიშვნელოვანი ურთიერთობები.⁴⁹⁷

⁴⁹⁴ ADF Group Inc v United States of America, ICSID Case No. ARB(AF)/00/1, Procedural Order No. 3, para. 4 (4 October 2001); Vera-Jo Miller Aryeh et al. v The Islamic Republic of Iran, Case Nos 842, 843, 844. Chamber One, Order of 6 March 1992.

⁴⁹⁵ IBA-ს წესები იყენებს ტერმინებს „possession”, “custody” და „control”.

⁴⁹⁶ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 47.

⁴⁹⁷ William Ralph Clayton et al. v Government of Canada, NAFTA/UNCITRAL, Procedural Order No. 8, p. 1 (2009).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრიბუნალმა ამ საკითხის განხილვის დროს ასევე უნდა გაითვალისწინოს მხარის სამართლებრივი უფლება, რომელიც მას აქვს დოკუმენტების მოსაპოვებლად.⁴⁹⁸

გარდა ამისა, საკითხის შეფასების და გადაწყვეტის დროს, ტრიბუნალმა არ უნდა შეხედოს კორპორატიულ სამართალსუბიექტობას მკაცრად, არამედ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა ურთიერთობის პრაქტიკული მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, არც ისე იშვიათია, როდესაც ტრიბუნალები მიიჩნევენ, რომ კონკრეტული დოკუმენტები არის მხარის კონტროლის ქვეშ, მაშინ, როდესაც ეს დოკუმენტები არის მასთან დაკავშირებული კომპანიის, მისი მრჩეველის ან დოკუმენტებზე პასუხისმგებელი წარმომადგენლების უშუალო მფლობელობაში.⁴⁹⁹

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, „კონტროლი“ შეიძლება განიმარტოს, როგორც მხარის უფლება მოიპოვოს დოკუმენტი.⁵⁰⁰ აღნიშნულის მაგალითი შეიძლება იყოს, როდესაც დედა კომპანიას ხელი მიუწვდება შვილობილი კომპანიის მფლობელობაში არსებულ დოკუმენტებზე. სხვა მაგალითები შეიძლება იყოს როდესაც დირექტორების შესახებ დოკუმენტები ინახება კომპანიაში, პაციენტის შესახებ დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებაში და ა.შ.⁵⁰¹

ლიტერატურაში, მსგავსად ამისა, განმარტებულია, რომ დოკუმენტები პირის კონტროლის ქვეშ არის თუ მხარე ან მასთან ერთად ერთ ჯგუფში შემავალი კომპანიები ფლობენ მათ ან თუ მხარეს სამართლებრივად ვარგისი უფლება აქვს, მოიპოვოს ეს დოკუმენტები.⁵⁰²

შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიუხედავად, საბოლოოდ ტრიბუნალის დისკრეციას წარმოადგენს შეაფასოს, არის თუ არა ესა თუ ის დოკუმენტი მხარის მფლობელობაში, გამგებლობაში ან მის კონტროლს ქვეშ.

აქვე საინტერესოა, რომ მომთხოვნმა მხარემ გარკვევით უნდა მიუთითოს იმაზე, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მისთვის ხელმისაწვდომი არაა, თუ ეს იგულისხმება, როდესაც მას მოთხოვნა შეაქვს? თუ მხარე დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნას აყენებს, უნდა იგულისხმებოდეს, რომ მას მათზე ხელი არ მიუწვდება, თუმცა

⁴⁹⁸ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019, p. 47.

⁴⁹⁹ იხ. მაგალითად *CME v The Czech Republic*, Final Award, para. 65 (14 March 2003).

⁵⁰⁰ იხ. *United States v Stein* 488 F. Supp. 2d 350 (S.D.N.Y. 2007).

⁵⁰¹ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 112.

⁵⁰² Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 112.

უკეთესია თუ მხარე მოთხოვნის შეტანის დროს პირდაპირ მიუთითებს ამაზე და ახსნის, თუ რატომ არ არის ეს დოკუმენტები მისთვის ხელმისაწვდომი.⁵⁰³

8.5.4.2. დოკუმენტების წარმოდგენის არაგონივრული სირთულე

დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის ალტერნატიულად, მხარეს შეუძლია აჩვენოს, რომ მისთვის დოკუმენტების წარმოდგენა არაგონივრულად დიდი ტვირთი იქნება. შესაბამისად, თუ ტრიბუნალი ჩათვლის, რომ მომთხოვნ მხარეს ხელი მიუწვდება დოკუმენტებზე, თუმცა მისთვის მათი წარმოდგენა შეუსაბამოდ/არაგონივრულად დიდი ტვირთი იქნება, მას შეუძლია მეორე მხარეს მოსთხოვოს წარმოდგენა.

ეს მოთხოვნა, როგორც წესი, უკავშირდება ელექტრონული დოკუმენტების წარმოდგენის სირთულეს მომთხოვნი მხარისათვის, რისი ნათელი მაგალითიცაა IBA-ს წესების კომენტარი, რომელსაც, IBA-ს წესების 3(3)(c)(i)⁵⁰⁴ მუხლის მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როდესაც წაშლილი ელექტრონული დოკუმენტების აღდგენა-მოპოვება შეიძლება არაგონივრულად რთული იყოს მომთხოვნი მხარისთვის, მაშინ, როდესაც ეს დოკუმენტები ადვილად ხელმისაწვდომია მეორე მხარისთვის, რომელსაც აქვს მოქმედი ელექტრონული მონაცემთა ბაზა.⁵⁰⁵

ამის გათვალისწინებით, ნათელია თუ რატომ შეიცავს ელექტრონული დოკუმენტების შესახებ სხვადასხვა რბილი სამართლის წესები ელექტრონული დოკუმენტების დიფერენციაციას მისი ხელმისაწვდომობის მიხედვით.⁵⁰⁶ მაგალითისთვის, ICC-ს ტექნიკები განასხვავებს სამი ხარისხის ხელმისაწვდომობას. პირველი არის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი ელექტრონული დოკუმენტები ანუ დოკუმენტები, რომლებიც ინახება მხარის ოფისში, პერსონალურ კომპიუტერებში, ქსელურ სერვერებზე

⁵⁰³ იხ. Hamilton V., Document Production in ICC Arbitration, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006, p. 75.

⁵⁰⁴ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები არ არის მომთხოვნი მხარის მფლობელობაში, გამგებლობაში ან კონტროლქვეშ ან განცხადებას იმ მიზეზების შესახებ რატომ იქნება არაგონივრულად მძიმე ტვირთი მომთხოვნი მხარისთვის ამ დოკუმენტების წარმოდგენა.

⁵⁰⁵ Commentary on the Revised Text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 2021, p. 11.

⁵⁰⁶ CIArb-ის პროტოკოლი მე-7 პარაგრაფში მიუთითებს ელექტრონული დოკუმენტების შემდეგ დაყოფას: ელექტრონული დოკუმენტების გამჟღავნების პირველადი წყარო უნდა იყოს გონივრულად ხელმისაწვდომი მონაცემი, სახელდობრ, აქტიური მონაცემი, გვერდითი მონაცემი ან ოფლაინ მონაცემი დისკზე. კონკრეტული გამართლებების არარსებობის პირობებში, როგორც წესი არ იქნება გამოთხოვილი აღდგენილი, დაზიანებული, წაშლილი ან ფრაგმენტირებული მონაცემი, დაარქივებული მონაცემი ან ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის დროს წაშლილი მონაცემი. ამავე პროტოკოლის მე-2 ცხრილი, C რეჟიმი კი განმარტავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, წაშლილი, ფრაგმენტირებული ან ექპერტიზის გარდა სხვაგვარად რთულად მოსაპოვებელი ინფორმაცია, შესაძლებელია იყოს წარდგენის საგანი როდესაც ამგვარი ინფორმაციის კონკრეტული საჭიროება და რელევანტურობა არის ნაჩვენები.

ან მონაცემთა ბაზის მქონე სხვა კომპიუტერებში და რომლებიც აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ საქმიანობაში. მეორე ხარისხის დაცულ დოკუმენტებს მიეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომია მხარისთვის, მაგალითად გამოცალკევებული მეხსიერების მქონე საშუალებები, როგორცაა CD და DVD დისკები, USB დრაივები, სმარტფონები, თანამშრომელთა ნოუთბუქები და ა.შ. რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ყოველდღიურ საქმიანობაში. რაც შეეხება მესამე ხარისხს მიკუთვნებულ დოკუმენტებს, ესენია წაშლილი, ფრაგმენტირებული, ცალკეულ, დამოუკიდებელ ბაზაზე არსებული მონაცემები, რომლებსაც კომპანია არ (აღარ) იყენებს.⁵⁰⁷ ამ უკანასკნელის აღდგენა და ტრიბუნალის წინაშე წარმოდგენა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმეტესად მოითხოვს სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტების ჩართვას და შესაბამისად, საკმაოდ დიდი ხარჯების გაღებას.

აქედან გამომდინარე, მომთხოვნი მხარისთვის დოკუმენტების წარმოდგენა შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულად დიდ ტვირთად, როდესაც საქმე ეხება მესამე ხარისხის ხელმისაწვდომობას მიკუთვნებულ ელექტრონულ დოკუმენტებს.

სტანდარტული, წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა ასევე შეიძლება იყოს მომთხოვნი მხარისთვის არაგონივრულად მძიმე, ხოლო მეორე მხარისთვის მარტივი. მაგალითისთვის, შესაძლოა, კონკრეტული დოკუმენტების (მაგ. ხელშეკრულების) ეგზემპლარზე მომთხოვნს ჰქონდეს კონტროლი, თუმცა მისთვის მისი მოპოვება და წარდგენა რთული იყოს, მაშინ როდესაც მეორე მხარეს შესაძლოა იგივე დოკუმენტის მეორე ეგზემპლარი ჰქონდეს პირდაპირ მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, შედარების საფუძველზე ტრიბუნალს შეუძლია დაადგინოს, რომ მომთხოვნი მხარისთვის დოკუმენტის წარმოდგენა არაგონივრულად რთულია.⁵⁰⁸

ზემოთ მითითებული მსჯელობიდანაც აშკარაა, თუ რა ჩაითვლება „არაგონივრულად დიდ ტვირთად“, ეს ტრიბუნალმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს.

ამასთან, IBA-ს წესები ასევე შეიცავს 9(2)(c) მუხლსაც, რომელიც მიუთითებს, რომ ტრიბუნალმა შესაძლოა არ დააკმაყოფილოს მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნა თუ მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ადრესატისთვის დოკუმენტების წარმოდგენა არაგონივრულად რთულია.

⁵⁰⁷ ICC, ICC Arbitration Commission Report on Managing E-Document Production, 2012, para 5.10.

⁵⁰⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 118.

8.5.5. დოკუმენტები უნდა იყოს იმ მხარის კონტროლს ქვეშ, რომლისგანაც მოთხოვნილია მათი წარდგენა

მხარეს მხოლოდ მაშინ შეუძლია მეორე მხარისგან მტკიცებულებების გამოთხოვა, თუ ეს დოკუმენტები არის სწორედ მეორე მხარის მფლობელობის, გამგებლობის ანდა კონტროლის ქვეშ. აღნიშნული კრიტერიუმიც არსებობს იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მხარეების ე.წ. „სათევზაო ექსპედიციები“.

ამ კრიტერიუმის არსებობას აღიარებს საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში მტკიცებულებების წარდგენის შესახებ რბილი სამართალი. კერძოდ, პრადის წესების 4.5.c. მუხლის მიხედვით, მხარეს შეუძლია ტრიბუნალს მოსთხოვოს დოკუმენტური მტკიცებულების გამოთხოვა თუ კონკრეტული დოკუმენტი არის მეორე მხარის მფლობელობაში ან მისი უფლებამოსილების ან კონტროლის ქვეშ. მსგავსად ამისა, ICDR-ის საარბიტრაჟო წესები⁵⁰⁹ და გზამკვლევი⁵¹⁰ მიუთითებენ, რომ ტრიბუნალს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია მეორე მხარისგან გამოითხოვოს დოკუმენტები, თუ ისინი ამ უკანასკნელის მფლობელობაშია. CIArb-ის პროტოკოლის 4 (iv) პარაგრაფის მიხედვით კი, მხარის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს განაცხადს თუ რატომ თვლის მომთხოვნი მხარე, რომ მოთხოვნილი მტკიცებულებები არის მეორე მხარის მფლობელობაში ან მისი კონტროლის ქვეშ.

რაც შეეხება IBA-ს წესებს, ისინი დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ წინაპირობად განიხილავენ სწორედ ამ კრიტერიუმს. კერძოდ, 3 (3) (c) (ii) მუხლის მიხედვით, როდესაც მხარე ტრიბუნალს სთხოვს მეორე მხარისგან გამოითხოვოს მტკიცებულებები, მან მოთხოვნაში უნდა მიუთითოს, თუ რა მიზეზით მიაჩნია (უშვებს), რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მეორე მხარის მფლობელობაში ან გამგებლობაშია ან მასზე მეორე მხარეს აქვს კონტროლი.

ამ შემთხვევაშიც ტერმინები მხარის „მფლობელობაში/გამგებლობაში“ ან „მხარის კონტროლის“ ქვეშ განიმარტება ისე, როგორც ზემოთ არის მითითებული. კერძოდ, ტერმინები „მფლობელობა/გამგებლობა“ მოიცავს შემთხვევას, როდესაც დოკუმენტი მეორე მხარის (მოთხოვნის ადრესატის) უშუალო ფიზიკური ფლობის ქვეშ არის, ხოლო „კონტროლი“ მაშინაცაა სახეზე, როდესაც შესაძლოა მხარე დოკუმენტს ფიზიკურად არ ფლობდეს, თუმცა მას ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მოიპოვოს ის.⁵¹¹ მაგალითისთვის, შესაძლოა დოკუმენტს ფლობდეს მეორე მხარის შვილობილი კომპანია, რომლისგან დოკუმენტის მიღება და შემდგომ მისი ტრიბუნალის წინაშე წარდგენა მხარეს

⁵⁰⁹ ICDR-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 24(4).

⁵¹⁰ ICDR-ის გზამკვლევი, მუხლი 3(a).

⁵¹¹ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 47.

შეუძლია და ამის უფლებაც აქვს. შესაბამისად, ზემოთ ამ ტერმინებთან დაკავშირებით არსებული მსჯელობა და განმარტებები ამ შემთხვევაშიც რელევანტურია.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, მომთხოვნმა მხარემ უნდა მიუთითოს რატომ მიაჩნია მას, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მეორე მხარის მფლობელობაშია ან მის კონტროლქვეშაა. IBA-ს წესები, როგორც აღინიშნა, მომთხოვნ მხარეს ამაზე მითითების პირდაპირ ვალდებულებასაც აკისრებს. თუმცა, ეს მოთხოვნა ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს მომთხოვნმა მხარემ დეტალურად უნდა აღწეროს მოწინააღმდეგე მხარის კორპორატიული სტრუქტურა. თუ მომთხოვნი მხარე გონივრულად აღწერს თუ სად და როგორ შეიქმნებოდა ესა თუ ის დოკუმენტი და იმას, რომ მეორე მხარეს უნდა ჰქონდეს წვდომა მასზე, ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს ტრიბუნალის მიერ.⁵¹²

8.6. მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის შესრულება ან პროტესტი

8.6.1. შესავალი

როდესაც ერთი მხარე ტრიბუნალის წინაშე წარადგენს მოთხოვნას მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, მეორე მხარეს აქვს ორი ვარიანტი (1) წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტი; ან (2) ტრიბუნალს წარუდგინოს პროტესტი (challenge) მოთხოვნის შესახებ.⁵¹³ მხარის უფლება, წარადგინოს პროტესტი, წარმოადგენს მხარის მიერ საკუთარი პოზიციის წარდგენის და მხარეთა თანასწორობის უფლებების ნაწილს, ვინაიდან, თუ ერთ მხარეს მიცემული აქვს უფლება შეიტანოს მოთხოვნა დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ, მითითებული უფლებები მოითხოვს, მეორე მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, შეეპასუხოს აღნიშნულ მოთხოვნას და ტრიბუნალს წარუდგინოს მისი მოსაზრებები (პროტესტი) მასზე.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საერთაშორისო არბიტრაჟში პროტესტი ისეთივე ხშირია, როგორც თავად დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა.⁵¹⁴ აღნიშნული გასაკვირი ვერ იქნება, რადგან ბუნებრივია, რომ მხარეებს შეეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სურთ, რაც შეიძლება ნაკლები დოკუმენტი მიაწოდონ მეორე მხარეს და ტრიბუნალს წარუდგინონ მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლებიც მათ პოზიციას ამყარებს. დოკუმენტების გამოთხოვის შემთხვევაში კი, იზრდება რისკი იმისა, რომ ოპონენტი მიიღებს მისთვის რაიმე კუთხით სასარგებლო დოკუმენტს. მიუხედავად

⁵¹² O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 48.

⁵¹³ იხ. O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 51.

⁵¹⁴ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019, p. 55

პროტესტის სიხშირისა, საარბიტრაჟო აქტები და წესები ფაქტობრივად არაფერს ამბობენ ამ უფლების და მისი განხორციელების პროცედურების შესახებ. თუმცა, რბილი სამართლის წესები, კერძოდ კი IBA-ს წესები, პირდაპირ მიუთითებს მხარის უფლებაზე, განაცხადოს პროტესტი და შეიცავს მითითებას პროტესტის დაყენების ფორმის და მისი საფუძვლების შესახებ.

ეს საფუძვლები შეგვიძლია პირობითად დავყოთ რამდენიმე ნაწილად. პირველი მათგანი მიემართება მოთხოვნის დამყენებელი მხარის მიერ ფორმალური მოთხოვნების დაუცველობას (აღნიშნული მოთხოვნები განხილულია წინა თავში). მაგალითად თუ მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნა არ არის საკმარისად ვიწრო და კონკრეტული. განზოგადებულად რომ ითქვას, მეორე მათგანი შეეხება კონფიდენციალურობის დაცვას და იმას, რომ გამოთხოვილი დოკუმენტები მოიცავს პრივილეგიას, სავაჭრო საიდუმლოების, პერსონალური მონაცემების დაცვას და მსგავს საკითხებს. მესამე მათგანი კი უკავშირდება მხარის შეუძლებლობას (სიძნელეს), წარადგინოს დოკუმენტები.⁵¹⁵ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, პროტესტის საფუძვლები არ არის ამომწურავი და არბიტრაჟის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ამავე დროს მხარეებს შეუძლიათ თავად შეთანხმდნენ შესაძლო პროტესტის ამომწურავ საფუძვლებზე, რომლებსაც ისინი საარბიტრაჟო განხილვის დროს ვერ გასცდებიან.

შემდეგ ქვეთავებში დეტალურად იქნება განხილული პროტესტის დაყენების პროცედურა და საფუძვლები, რომლებიც გათვალისწინებულია IBA-ს წესებში.

8.6.2. პროტესტის დაყენების ფორმალური გამართულობა

როგორც უკვე აღინიშნა, დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაყენების შემდეგ მეორე მხარეს შეუძლია პროტესტის დაყენება აღნიშნულ მოთხოვნაზე, თუმცა საარბიტრაჟო აქტები და წესები ფაქტობრივად დუმან მსგავსი პროტესტის დაყენების პროცედურის და ფორმის შესახებ. პროცედურის და ფორმის შესახებ დეტალურ რეგულაციას შეიცავს IBA-ს წესები, რის გამოც, ხშირად იგი საარბიტრაჟო განხილვის დროს ამ საკითხის რეგულირების პირველწყაროს წარმოადგენს და ტრიბუნალები არც თუ იშვიათად მიმართავენ მას.

IBA-ს წესების 3.5 მუხლის მიხედვით, მხარემ პროტესტი წერილობით უნდა წარუდგინოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მეორე მხარეს. უნდა აღინიშნოს, რომ IBA-ს წესების 1999 წლის რედაქციაში⁵¹⁶ გათვალისწინებული იყო პროტესტის დამყენებელი მხარის

⁵¹⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 123-124

⁵¹⁶ იხ. IBA-ს წესების 1999 წლის რედაქცია, მუხლი 3.5.

ვალდებულება იგი წარედგინა მხოლოდ ტრიბუნალისთვის. 2010 წლის რედაქციაში ეს მიდგომა შეიცვალა და ამჟამად მხარემ პროტესტი ოპონენტ მხარესაც უნდა გაუგზავნოს. ეს ცვლილება ასახავს მიღებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ტრიბუნალს მხარეებთან ცალ-ცალკე იშვიათად აქვთ (თუ საერთოდ აქვთ) კომუნიკაცია.⁵¹⁷ როდესაც მხარეს პროტესტის წარდგენის დროს მხოლოდ ტრიბუნალთან და არა მეორე მხარესთან აქვს კომუნიკაცია, შესაძლებლობა იმისა, რომ მხარეთა შეჯიბრებითობა დაირღვეს, იზრდება.⁵¹⁸

აღსანიშნავია, წერილობითი ფორმის მოთხოვნის შესასრულებლად საერთაშორისო არბიტრაჟში, მტკიცებულებების გამოთხოვის, ისევე როგორც პროტესტის დაყენებისთვის, ხშირად გამოიყენება ე.წ. „რედფერნის ცხრილი“.⁵¹⁹ აღნიშნულ ცხრილში მომთხოვნი მხარე მიუთითებს მის არგუმენტებს, თუ რატომ არის მიზანშეწონილი გამოთხოვა, ხოლო ოპონენტი - პროტესტის საფუძვლებს და შესაბამის დასაბუთებას.

გარდა ამისა, ტრიბუნალს შეუძლია მიიჩნიოს, რომ შესაძლებელია მხარეებისთვის და პროცესისთვის ხელსაყრელი იყოს, თუ ისინი თავიანთ მოსაზრებებს გაცვლიან პროტესტთან დაკავშირებით და შეეცდებიან საკითხი თავად, ტრიბუნალის ჩარევის გარეშე გადაწყვიტონ.⁵²⁰ კერძოდ, მხარეებმა შესაძლოა მოილაპარაკონ დოკუმენტების გამჟღავნების შესახებ და დაახლოონ პოზიციები, ცხადი გახადონ გაურკვევლობები, იპოვონ გადაკვეთის წერტილები, რაც ნაწილობრივ თავიდან აარიდებთ მათ ტრიბუნალის ჩარევას.⁵²¹ თუ ტრიბუნალის ეს მცდელობა არ იქნება წარმატებული, მაშინ ერთ-ერთ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ტრიბუნალს გადაწყვეტილების მიღება დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნასა და პროტესტზე.⁵²²

აღსანიშნავია, რომ პროტესტი ტრიბუნალის და მეორე მხარის წინაშე წარდგენილი ვერ იქნება ნებისმიერ დროს, არამედ იგი წარდგენილი უნდა იყოს ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნულ მითითებას შეიცავს IBA-ს წესების 3.5 მუხლი. შესაბამისად, ნათელია, რომ ტრიბუნალები განსაზღვრავენ ვადებს გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის და შესაბამისი პროტესტის წარსადგენად. თუ მხარე ამ ვადაში არ წარადგენს

⁵¹⁷ *Ex parte* კომუნიკაცია საერთაშორისო არბიტრაჟში, როგორც წესი მიღებული პრაქტიკა არ არის.

⁵¹⁸ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 56.

⁵¹⁹ რედფერნის ცხრილი განხილულია და მისი ფორმატი მოცემულია 8.4.3 ქვეთავში.

⁵²⁰ IBA-ს წესები, მუხლი 3.6. იხ. აგრეთვე Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 125.

⁵²¹ იხ. O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 57.

⁵²² IBA-ს წესები, მუხლი 3.7. იხ. აგრეთვე Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 125.

პროტესტს, ასეთ დროს, ტრიბუნალი მის პოზიციას მხედველობაში არ მიიღებს და ისე გადაწყვეტს გამოთხოვის შესახებ მოთხოვნას.

8.6.3. პროტესტის საფუძვლები

8.6.3.1. მომთხოვნი მხარის მიერ ფორმალური მოთხოვნების დაუცველობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაყენება ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერ დროს არ არის შესაძლებელი, არამედ მხარემ მისი წარდგენის დროს უნდა დაიცვას გარკვეული ფორმალური მოთხოვნები.

პირველი, რაც ასეთ დროს გასათვალისწინებელია, არის მოთხოვნის წარდგენის დრო. კერძოდ, მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაძლოა აღნიშნული საფუძვლით პროტესტის დაყენება ტექნიკურად გამოიყურებოდეს, მაგრამ იგი შეიძლება საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდეს რათა მხარემ თავიდან აირიდოს დოკუმენტების წარდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ოპონენტ მხარეს მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენაზე არც უნდა სჭირდებოდეს მითითება, არამედ ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ვადის დარღვევით წარდგენილი მოთხოვნის უარყოფა თავად ტრიბუნალს შეუძლია.⁵²³

თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ვადის დარღვევა ავტომატურად არ შეიძლება ჩაითვალოს გამოთხოვის შესახებ განცხადებაზე უარის თქმის საფუძვლად, არამედ შესაძლოა, ტრიბუნალმა ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა მაინც დააკმაყოფილოს თუ მაგალითად, პროცესის განმავლობაში ახალი, მხარისთვის მანამდე უცნობი ინფორმაცია გაჟღერდება.⁵²⁴

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ტრიბუნალი წყვეტს ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხს, იგი მაქსიმალურად მოქნილი უნდა იყოს, რათა მხარეს უარი არ უთხრას იმ მტკიცებულებების გამოთხოვაზე, რომლებიც მისი პოზიციის წარდგენისთვის აუცილებელია. ამასთან ტრიბუნალს აქვს შესაძლებლობა, მაინც განიხილოს და დააკმაყოფილოს დაგვიანებული მოთხოვნა, მაგრამ ეს ასახოს ხარჯების განაწილების დროს და ვადის დამრღვევ მხარეს დააკისროს მეტი თანხის გადახდა.⁵²⁵

⁵²³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 125.

⁵²⁴ Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2367

⁵²⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 126.

გარდა ამისა, თუ ტრიბუნალის მიერ მოთხოვნის წარსადგენად გათვალისწინებულია გარკვეული ფორმა და მხარე ამ ფორმას დაარღვევს, თეორიულად, ოპონენტს შეუძლია, პროტესტი დააყენოს აღნიშნულზე მითითებით. თუმცა, პრაქტიკაში, მსგავს პროტესტებს მცირე ფასი აქვს და, როგორც წესი, არ კმაყოფილდება.⁵²⁶

8.6.3.2. “ვიწრო და კონკრეტული” მოთხოვნის კრიტერიუმის დაუცველობა

IBA-ს წესების 3.7 მუხლის მიხედვით, ტრიბუნალი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნას დააკმაყოფილებს თუ მომთხოვნი მხარის მიერ დაცულია ამავე წესების 3.3. მუხლის მოთხოვნები. 3.3 მუხლის ერთ-ერთი მოთხოვნა კი, როგორც აღინიშნა, არის ის, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა იყოს „ვიწრო და კონკრეტული“. შესაბამისად, მხარე უფლებამოსილია პროტესტი დააყენოს იმ საფუძველით, რომ ოპონენტის მიერ წამოყენებული მოთხოვნა არ არის ვიწრო და კონკრეტული ან მოთხოვნა ძალიან ფართოა.

8.5.2 ქვეთავში დეტალურად არის განხილული თუ რას გულისხმობს აღნიშნული კრიტერიუმი და როდის არის მოთხოვნა დაყენებული მის შესაბამისად.

ოპონენტისთვის ამ საფუძველით პროტესტის დაყენების უფლების მინიჭება, ისევე როგორც ეს კრიტერიუმი, ემსახურება ე.წ. სათევზაო ექსპედიციის“ თავიდან აცილებას.

ამ საფუძველით პროტესტის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ICC-ს ერთ-ერთი საქმე, სადაც მხარემ დააყენა პროტესტი იმ საფუძველით, რომ მხარის მიერ მითითებული პერიოდი არ იყო კონკრეტული და დოკუმენტების აღწერა არ იყო სათანადოდ შემოფარგლული, რაც მოთხოვნას ძალიან ფართოს ხდიდა. სხვა საქმეში კი მხარის პროტესტი ემყარებოდა მითითებას, რომ მოთხოვნას აკლდა კონკრეტულობა, იყო რა ბუნდოვანი და ფართო. შეიძლება ითქვას, რომ ამ საფუძველით დაყენებული პროტესტი მეტწილად ემყარება ფაქტს, რომ მომთხოვნმა მხარემ ვერ შეძლო მიეთითებინა რომელი დოკუმენტების გამოთხოვას ითხოვს იგი ან მოთხოვნილი დოკუმენტების კატეგორია არის ძალიან ფართო, რაც გამოიწვევს, იმას რომ მათი წარდგენა მეორე მხარისთვის გაუმართლებლად დიდ ტვირთი იქნება.⁵²⁷ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი პროტესტის მიზანი შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტების წარდგენის თავიდან არიდება, არამედ მოთხოვნის ფარგლების (დოკუმენტების მოცულობის) შემცირება.

⁵²⁶ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 126.

⁵²⁷ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 127.

როდესაც პროტესტში მხარე უთითებს, რომ მოთხოვნა ძალიან ფართოა, მაშინ შესაძლოა ტრიბუნალმა მხარეები მოიწვიოს კონსულტაციისთვის,⁵²⁸ რა დროსაც მომთხოვნ მხარეს შეუძლია მოთხოვნის შემცირება და დაკონკრეტება.⁵²⁹

8.6.3.3. „რელევანტური და არსებითი“ მტკიცებულებების მოთხოვნის კრიტერიუმის დაუცველობა

უკვე აღინიშნა, რომ ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ მხარის მოთხოვნა დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდეს, არის ის, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები იყოს საქმის შედეგისთვის არსებითი და რელევანტური. IBA-ს წესების 3.3 (b) მუხლის მიხედვით, ეს წინაპირობა შესრულებულად ჩაითვლება თუ მომთხოვნი მხარე წარადგენს განმარტებას, თუ რატომ/როგორ არიან მოთხოვნილი დოკუმენტები რელევანტური და არსებითი საქმის შედეგისთვის.

შესაბამისად, როდესაც დაყენებულია მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა, მეორე მხარეს, მის წინააღმდეგ შეუძლია წარადგინოს პროტესტი და ამტკიცოს, რომ (1) მომთხოვნმა მხარემ ვერ განმარტა თუ რატომ არის მოთხოვნილი დოკუმენტები საქმის შედეგისთვის რელევანტური და არსებითი; ან/და (2) მოთხოვნილი დოკუმენტები საქმის შედეგისთვის არ არის რელევანტური და არსებითი.

თუ რას მოიცავს „რელევანტურობის და არსებითობის“ წინაპირობა დოკუმენტების გამოთხოვის კონტექსტში, ეს დეტალურადაა მიმოხილული 8.5.3 ქვეთავში და იქ მოცემული ანალიზი აქ აღარ იქნება გამეორებული, თუმცა აქ განხილული იქნება თუ როგორ შეუძლია მეორე მხარეს პროტესტის სწორედ ამ საფუძველზე მითითებით გაცხადება და რა სტანდარტით უნდა განიხილოს ეს საკითხი ტრიბუნალმა.

როგორც აღინიშნა, პროტესტი ორი ნაწილისგან შეიძლება შედგებოდეს. პირველი მათგანი უფრო ფორმალურია ვინაიდან იგი მიუთითებს იმაზე, რომ მომთხოვნმა მხარემ მისი ვალდებულება შესაბამისი განმარტების წარმოდგენის შესახებ ვერ შეასრულა. მეორე მათგანი კი უფრო შინაარსობრივია ვინაიდან იგი (წესით) მოიცავს მხარის არგუმენტს, თუ რატომ არ არის მოთხოვნილი დოკუმენტი საქმის შედეგისთვის რელევანტური და არსებითი.⁵³⁰

⁵²⁸ აღნიშნულის შესაძლებლობას ითვალისწინებს IBA-ს წესების 3.6 მუხლი.

⁵²⁹ იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 127.

⁵³⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 128.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროტესტი შესაძლოა მიზნად ისახავდეს დოკუმენტების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროტესტის დამყენებელი მხარე შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი ან მათი ნაწილი არის საქმის შედეგისთვის ირელევანტური და არაარსებითი.

დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წარდგენის შესახებ მსჯელობისას ითქვას, რომ მოთხოვნის წარმდგენმა ე.წ. *prima facie* სტანდარტით უნდა აჩვენოს მოთხოვნილი მტკიცებულებების საქმის შედეგისთვის არსებითობა და რელევანტურობა.⁵³¹ აღნიშნული ნიშნავს, რომ ტრიბუნალმა იმავე *prima facie* სტანდარტით უნდა შეაფასოს დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა შეიცავს თუ არა საკმარის არგუმენტაციას დოკუმენტსა და მხარის მტკიცების ტვირთში შემავალი საკითხს შორის კავშირის დასადგენად.⁵³² ერთ-ერთ საქმეში ტრიბუნალმა მიუთითა, რომ იგი მხარის პროტესტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფოკუსირდებოდა დოკუმენტების არსებითობაზე, როგორც ამაზე მხარეები მიუთითებდნენ.⁵³³

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნის დამყენებელმა მხარემ ტრიბუნალს მიაწოდოს დამარწმუნებელი ახსნა-განმარტება, თუ როგორ გაამყარებს მოთხოვნილი დოკუმენტი მის კონკრეტულ მტკიცებას. აღნიშნული ნიშნავს, რომ მომთხოვნმა მხარემ უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ დეტალური ახსნა-განმარტება დოკუმენტის რელევანტურობის და არსებითობის შესახებ, არამედ ტრიბუნალს უნდა მიაწოდოს დამატებითი საჭირო ინფორმაცია, რომელიც მას შესაძლოა დასჭირდეს, რათა მოთხოვნა მის წინააღმდეგ დაყენებულ პროტესტზე არგუმენტირებულად მიიჩნიოს. რადგან ეს ანალიზი არის ე.წ. *prima facie* ანალიზი, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალები საკმაოდ დიდ წონას ანიჭებენ პროტესტის დამყენებელი მხარის ადვოკატების განცხადებებს (representations).⁵³⁴ შეიძლება ითქვას, რომ პროტესტის დამყენებელ მხარეს ამ შემთხვევაში უფრო ნაკლები ტვირთი აწევს, ვიდრე თავად მომთხოვნ მხარეს. ამას ადასტურებს ერთ-ერთი ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც მიუთითა, რომ (იმის დაშვებით, რომ იგი მოქმედებდა ტრიბუნალის წინაშე კეთილსინდისიერად) პროტესტის დამყენებელი მხარის ადვოკატის

⁵³¹ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2362.

⁵³² O'Malley, *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8 (1), 2009. p. 47.

⁵³³ O'Malley, *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8 (1), 2009. p. 48.

⁵³⁴ O'Malley, *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8 (1), 2009. p. 48.

მითითებებს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები არც არსებითი და არც რელევანტური იყო, უნდა მინიჭებოდა საკმაოდ დიდი წონა.⁵³⁵

შესაბამისად, ნათელია, რომ მხარეები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და არგუმენტი წარუდგინონ ტრიბუნალს, რათა ამ უკანასკნელს შეეძლოს, სათანადოდ შეაფასოს რამდენად არის მოთხოვნილი დოკუმენტები საქმის შედეგისთვის არსებითი და რელევანტური.

8.6.3.4. მტკიცებულებების არსებობა მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან გამგებლობაში ან მათი არარსებობა მოთხოვნის ადრესატის მფლობელობაში ან გამგებლობაში

8.5.4 და 8.5.5 ქვეთავებში აღინიშნა, რომ როდესაც წარდგენილია მოთხოვნა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, მომთხოვნმა მხარემ ერთი მხრივ უნდა ამტკიცოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები მის მფლობელობაში ან გამგებლობაში არაა, ხოლო მეორე მხრივ ისინი მოთხოვნის ადრესატის (ოპონენტის) მფლობელობაში ან გამგებლობაშია. ეს წინაპირობა დეკლარირებულია IBA-ს წესების 3.3 (c) მუხლში.

აღნიშნულთან ერთად, IBA-ს წესების 3.5 მუხლის მიხედვით კი მხარეს, რომლისკენაც მოთხოვნა მიმართულია, შეუძლია განაცხადოს პროტესტი მათ შორის იმ საფუძველით, რომ მომთხოვნი მხარის მიერ დაკმაყოფილებული არ არის ამავე 3.3. მუხლის წინაპირობები. ეს ნიშნავს, რომ მხარეს შეუძლია პროტესტის ფარგლებში განაცხადოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები (ან მათი ნაწილი) (ა) არის მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან გამგებლობაში და შესაბამისად მათი წარმოდგენა მასვე შეუძლია; ან/და (2) მოთხოვნილი დოკუმენტები (ან მათი ნაწილი) არ არის მის მფლობელობაში ან გამგებლობაში.

თუ რას გულისხმობს ტერმინები „მფლობელობა“ და „გამგებლობა“ დეტალურად არის ახსნილი ზემოთ, რის გამოც ამ საკითხზე მსჯელობა გამეორებას არ საჭიროებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პროტესტის განმცხადებელ მხარეს აქვს ვალდებულება ტრიბუნალის წინაშე დაასაბუთოს თუ რატომ უნდა გაითვალისწინოს პროტესტის ეს საფუძველი ტრიბუნალმა და რატომ უნდა უთხრას მომთხოვნი მხარეს დოკუმენტების გამოთხოვაზე უარი სწორედ ამ საფუძველით.

⁵³⁵ O'Malley, The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals, Vol. 8 (1), 2009. p. 48.

8.6.3.5. იურიდიული პრივილეგია (*legal privilege*)

8.6.3.5.1. შესავალი

პრივილეგიის საკითხი ხშირად წარმოიშობა საერთაშორისო არბიტრაჟების ფარგლებში და მას გავლენა აქვს მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის დროს და შესაბამისად, საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნული კი ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მხარეები და მათი ადვოკატები სხვადასხვა სამართლებრივი კულტურებიდან და ტრადიციებიდან არიან და ისინი ხშირად დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნას ეწინააღმდეგებიან სწორედ პრივილეგიაზე მითითებით.⁵³⁶ თუმცა, მათი აღქმა თავად პრივილეგიასთან დაკავშირებით, როგორც წესი, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამყარებულია მათ სამართლებრივ ტრადიციებში არსებულ კონცეფციაზე პრივილეგიასთან დაკავშირებით,⁵³⁷

როდესაც მხარე უარს ამბობს დოკუმენტების წარმოდგენაზე პრივილეგიის საფუძველზე მითითებით, ტრიბუნალის ვალდებულებაა გადაწყვიტოს, მაინც დააკმაყოფილოს დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნა, თუ დაეთანხმოს პრივილეგიის შესახებ მითითებას (პროტესტს) და უარი თქვას დოკუმენტის გამოთხოვაზე. ტრიბუნალის ნებისმიერ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს (შეიძლება ჰქონდეს), ვინაიდან პრივილეგიის საფუძველზე მითითებით წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმის შემთხვევაში, მომთხოვნ მხარეს ერთმევა შესაძლებლობა მოთხოვნილი დოკუმენტი გამოიყენოს პროცესის განმავლობაში. ამასთან, მხარეს აქვს ტვირთი ამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც საფუძველად უდევს მის სარჩელს თუ შესაგებელს და სათანადო მტკიცებულების გარეშე, მხარემ შეიძლება წააგოს სარჩელის ან შესაგებლის ნაწილი ან მთლიანად საქმე.⁵³⁸ საბოლოო ჯამში კი, მხარემ აღნიშნული შესაძლოა გამოიყენოს გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველად, მიუთითოს რა, რომ მას დაუსაბუთებლად არ მიეცა საშუალება წარედგინა მისი პოზიცია ტრიბუნალის წინაშე, რადგან მას მოესპო საშუალება, მიეღო ოპონენტისგან მისი პოზიციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

⁵³⁶ მხოლოდ ადვოკატის და კლიენტის პრივილეგიაზე (*attorney-client privilege*) მსჯელობა იყო 8,000-ზე მეტ გამოქვეყნებულ საქმეში და ასობით სტატიაში აშშ-ში. იხ. Shaughnessy P., *Attorney-Client Privilege: A Comparative Study of American, Swedish and EC Law*, 2001. p. 27.

⁵³⁷ Kuitkowski D., *Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration*, *Journal of International Arbitration*, Vol. 32(1), 2015. p. 65-66

⁵³⁸ Shaughnessy P., *Dealing with Privileges in International Commercial Arbitration*, *Scandinavian Studies in Law*, Vol. 51, 2007. p. 453

პრივილეგიის საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს ტრიბუნალისგან. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, იმ პირობებში, როდესაც პრივილეგიის გაგება და მისი ფარგლები, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა სამართლებრივ ტრადიციაში⁵³⁹ სხვადასხვაა, საარბიტრაჟო აქტები და წესები, როგორც წესი არაფერს ამბობენ პრივილეგიის შესახებ. კერძოდ, თითქმის ყველა საარბიტრო აქტი და წესი შეიცავს მითითებას, რომ ტრიბუნალს აქვს ფართო დისკრეცია, მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, თუმცა ისინი საერთოდ არ ახსენებენ ტერმინს პრივილეგია.⁵⁴⁰ ამასთან, ზოგიერთი საარბიტრაჟო თუ რბილი სამართლის წესი (მაგ. ICDR-ის საარბიტრაჟო წესები⁵⁴¹ და IBA-ს წესები⁵⁴²) შეიცავს მითითებას, რომ მხარეს შეუძლია დააყენოს პროტესტი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ მასზე ვრცელდება პრივილეგია. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს წესი არ გვაწვდის დეტალურ მოწესრიგებას იმის შესახებ თუ რა სამართლით, რა პროცედურით და როგორ უნდა გადაწყდეს პრივილეგიის საკითხი.

შესაბამისად, ნათელია, რომ პრივილეგია, როგორც დოკუმენტების შესახებ მოთხოვნის წინააღმდეგ მხარის პროტესტის საფუძველი აღიარებულია,⁵⁴³ თუმცა სადავოდ რჩება საკითხები თუ რას გულისხმობს და რა ფარგლებში ვრცელდება იგი, რომელი სამართლით და რა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განიხილოს ტრიბუნალმა ამ საფუძველით დაყენებული პროტესტი. სწორედ ეს ბუნდოვანებები წარმოშობს დებატებს პრივილეგიის შესახებ.⁵⁴⁴ შემდგომი ქვეთავები სწორედ მითითებული საკითხების განხილვას დაეთმობა.

8.6.3.5.2. ტერმინი პრივილეგია და მისი სახეები

პრივილეგია არის უფლება, არ წარადგინო გარკვეული დოკუმენტი ან ზეპირი ჩვენება სამართლებრივი განხილვის ფარგლებში. ეს არის სამართლებრივად აღიარებული უფლება და მოიცავს უფლებას, დაიცვას პირი გარკვეული ინფორმაციის

⁵³⁹ მკვლევარები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ კონტინენტური და საერთო სამართლის ტრადიციებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

⁵⁴⁰ იხ. UNCITRAL - ის მოდელური კანონი, მუხლი 19(2), ICC-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 25(1).

⁵⁴¹ მუხლი 22.

⁵⁴² მუხლი 9.2 (b).

⁵⁴³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 130.

⁵⁴⁴ იხ. Reiser R., Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 13. p. 653.

გამჟღავნებისგან.⁵⁴⁵ ყველა იურისდიქციაში სადაც პრივილეგია გვხვდება (არ აქვს მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკის თუ კანონმდებლობის დონეზე), იგი ეფუძნება გარკვეულ საჯარო წესრიგის მიზნებს. კერძოდ, პრივილეგიის წესების საფუძველი არის ის, რომ გარკვეულ შემთხვევებში კონფიდენციალურობის და გაუმჟღავნებლობის ინტერესი უფრო მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, ვიდრე სიმართლის (ფაქტების) დადგენა.⁵⁴⁶

არსებობს სხვადასხვა სახის პრივილეგია, რომელთაგანაც ძირითადი სახეები შემდეგია:⁵⁴⁷

(ა) პროფესიული პრივილეგია, რომელიც მოიცავს:

- ადვოკატის და კლიენტის პრივილეგიას;
- სამედიცინო პრივილეგიას;
- ჟურნალისტური საქმიანობის პრივილეგიას;
- ბულალტერის და კლიენტის პრივილეგიას;

(ბ) თვითინკრიმინაციის პრივილეგიას;

(გ) ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების (არ) მიცემის პრივილეგია;

(დ) სამეწარმეო საიდუმლოების პრივილეგია;

(ე) (სასამართლო) მორიგების გარეშემო არსებული ინფორმაციის პრივილეგია;

(ვ) სამთავრობო (მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ) ინფორმაციის პრივილეგია.

საერთაშორისო არბიტრაჟის და შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ე.წ. ადვოკატის და კლიენტის პრივილეგია ან, სხვაგვარად - სამართლებრივი პრივილეგია.⁵⁴⁸ აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში აღნიშნული

⁵⁴⁵ Mosk R. M. and Ginsburg T, Evidentiary Privileges in International Arbitration, International and Comparative Law Quarterly, Vol. 50, 2001. p. 346

⁵⁴⁶ Mosk R. M. and Ginsburg T, Evidentiary Privileges in International Arbitration, International and Comparative Law Quarterly, Vol. 50, 2001. pp. 346, 385. იხ. აგრეთვე Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 68. იხ. აგრეთვე Lew J., Document Production and Legal Privilege in International Commercial Arbitration, excerpt in Practising Virtue, Inside International Arbitration, 2015. p. 348.

⁵⁴⁷ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. pp. 68-69.

⁵⁴⁸ Lew J., Document Production and Legal Privilege in International Commercial Arbitration, excerpt in Practising Virtue, Inside International Arbitration, 2015. p. 347.

პრივილეგია სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. მაგალითისთვის, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი აღნიშნულს უწოდებს ადვოკატის პროფესიულ საიდუმლოებას და კონფიდენციალურობას,⁵⁴⁹ გაერთიანებული სამეფოში ვხვდებით ტერმინს სამართლის პროფესიული პრივილეგია (legal professional privilege) და ა.შ.⁵⁵⁰

ძალიან ზოგადად რომ ითქვას, სამართლებრივი პრივილეგია უკავშირდება ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ კომუნიკაციას, რომელიც შედგა მათ შორის კლიენტისთვის სამართლებრივი რჩევის მიცემის დროს ან კონკრეტული საქმის ფარგლებში. როგორც აღინიშნა, ეს პრივილეგია სხვადასხვა იურისდიქციაში ფართოდ არის აღიარებული და ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომლის სამართლის სისტემა ფუნქციონირებს ისე, რომ საერთოდ არ აღიარებდეს ამგვარ პრივილეგიას.⁵⁵¹ თუმცა, ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამ ცნების და მისი ფარგლების გაგება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, რაზეც საუბარი შემდგომ ქვე-თავში გაგრძელდება.

8.6.3.5.3. საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ტრადიციების განსხვავებული მიდგომები

სამართლებრივი პრივილეგიის თაობაზე სხვადასხვა მიდგომების განხილვისას ძირითადად გამოყოფენ კონტინენტური სამართლის და საერთო სამართლის ტრადიციების გაგებებს მის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულია ამ ორი ტრადიციის გაგება პროვილეგიასთან დაკავშირებით, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფარგლების კუთხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ორ ტრადიციაში განსხვავდება როგორც პირთა წრე, რომლებზეც ვრცელდება ეს დაცვა, ისე კუმუნიკაციის ტიპები, რომლებსაც პრივილეგიის გამონაკლისი ფარავს.⁵⁵² შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს საკითხი, თუ რომელ სამართალს აირჩევს ტრიბუნალი პრივილეგიის საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან, ტრიბუნალის გადაწყვეტილება დოკუმენტის გამოთხოვის და პროტესტის შესახებ, დიდი ალბათობით, განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რომელ ტრადიციის მიდგომას (სამართალს) აირჩევს იგი.

სამართლებრივი პრივილეგია საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში მიზნად ისახავს კლიენტსა და მის მრჩეველს/ადვოკატს შორის ღია და ჩაურეველი კომუნიკაციის

⁵⁴⁹ იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი. აგრეთვე, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“ უთითებს კონფიდენციალურობის პრინციპზე (იხ. მუხლი 4).

⁵⁵⁰ იხ. Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 69.

⁵⁵¹ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 69.

⁵⁵² Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 132.

უზრუნველყოფას იმის გარანტიით, რომ ამგვარი კომუნიკაცია დაცული იქნება გამჟღავნებისგან. შესაბამისად, ეს არის უფლება, რომელიც იცავს კლიენტს და მასზე უარის თქმაც მხოლოდ კლიენტს შეუძლია.⁵⁵³

გაერთიანებულ სამეფოში აღიარებულია ორი ტიპის მტკიცებულებითი პრივილეგია, რომელიც უკავშირდება ადვოკატის/იურისტის საქმიანობას: (1) სამართლებრივი რჩევის პრივილეგია⁵⁵⁴; და (2) სამართალწარმოების პრივილეგია.⁵⁵⁵ პირველი მათგანი იცავს ნებისმიერ კომუნიკაციას, რომელიც განხორციელდა მრჩეველსა და კლიენტს შორის ამ უკანასკნელისთვის რჩევის მიცემის ან მის მიერ რჩევის მიღების მიზნით. მეორეს ფარგლებში კი დაცულია ყველა ის კომუნიკაცია სამართლებრივ მრჩეველს, კლიენტსა და ასევე მესამე პირებს შორის,⁵⁵⁶ რომელიც განხორციელდა მოსალოდნელი სამართალწარმოების დაწყებამდე ან სამართალწარმოების დაწყების შემდეგ და დაკავშირებულია აღნიშნულ სამართალწარმოებასთან სამართლებრივი რჩევის გაცემის ან მიღების მიზნით.⁵⁵⁷

აშშ-ს ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესების 26-ე მუხლის მიხედვით,⁵⁵⁸ მხარეს შეუძლია მოითხოვოს არაპრივილეგირებული დოკუმენტის გამჟღავნება მეორე მხარისგან. შესაბამისად, ნათელია, რომ ეს წესები იცნობს და აღიარებს პრივილეგიას. ამრიგად, დოკუმენტები და კომუნიკაცია, რომელიც გაცვლილი იყო ადვოკატსა და კლიენტს შორის სამართლებრივი რჩევის მიცემის მიზნით დაცული იქნება პრივილეგიით და მისი წარდგენის ვალდებულება მხარეს ტრიბუნალის წინაშე არ აქვს.⁵⁵⁹ გარდა აღნიშნულისა, აშშ-ში გამოიყენება ე.წ. „ადვოკატის ნამუშევრის დოქტრინა“⁵⁶⁰, რაც გულისხმობს, რომ პრივილეგიით დაცულია ადვოკატის მიერ ან მისი სახელით გამოძიების/საქმის შესწავლის, მესამე პირებთან (მაგ. მოწმეებთან, ესპერტებთან) კომუნიკაციის დროს შექმნილი დოკუმენტები,⁵⁶¹ თუ ისინი უკავშირდება მოსალოდნელ

⁵⁵³ იხ. Rubinstein J. H., *International Commercial Arbitration: Reflections at the Crossroads of the Common Law and Civil Law Traditions*, Chicago Journal of International Law, Vol. 5, 2004-2005. p. 307.

⁵⁵⁴ ინგლისურ ენაზე: Legal advice privilege.

⁵⁵⁵ ინგლისურ ენაზე: Litigation privilege.

⁵⁵⁶ მაგალითად თუ მოსალოდნელი ან არსებული სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატი და კლიენტი კომუნიკაციას ამყარებენ ექსპერტთან, მოწმესთან, სპეციალისტთან, აუდიტორთან და ა.შ. ეს კომუნიკაცია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები დაცული იქნება პრივილეგიით.

⁵⁵⁷ Von Schlabrendorff F. and Sheppard A., *Conflict of Legal Privileges in International Arbitration: An Attempt to Find a Holistic Solution*, in *Global Reflections in International Law, Commerce and Dispute Resolution: Liber Amicorum in Honour of Robert Briner, Gerald Aksen and others eds.*, ICC Publishing SA 2005. p. 746.

⁵⁵⁸ აშშ-ს ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესები., წესი 26(b)(1).

⁵⁵⁹ Heitzmann P., *Confidentiality and Privileges in Cross-Border Legal Practice: The Need for a Global Standard?* ASA Bulletin 26(2), 2008. p. 208.

⁵⁶⁰ ინგლისურ ენაზე: Attorney work product.

⁵⁶¹ მაგ. მემორანდუმები, ცხრილები, შეკითხვები, რეპორტები, სამართლებრივი მოსაზრებები და ა.შ.

ან მიმდინარე სამართალწარმოებას.⁵⁶² აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ადვოკატის და კლიენტის პრივილეგია აბსოლუტურია და მისგან გადახვევა არ შეიძლება. თუმცა, სხვაგვარი მიდგომა არის ე.წ. „ადვოკატის ნამუშევრის“ შესახებ არსებული დაცვის მიმართ. აქ აღიარებულია, რომ მისი უგულებელყოფა შესაძლებელია, როდესაც ნაჩვენებია სპეციალური/გადაუდებელი აუცილებლობა.⁵⁶³

რაც შეეხება დაცულ ადრესატებს, საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც წესი, სამართლებრივი პრივილეგია იცავს როგორც კლიენტსა და ადვოკატს შორის, ისე კლიენტსა და შიდა იურისტს⁵⁶⁴ შორის კომუნიკაციას.⁵⁶⁵ ამ კუთხით მთავარი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ შიდა იურისტსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია დაცულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს სამართლებრივ (საკითხზე) რჩევას და არა ზოგად ბიზნეს საკითხზე რჩევას.⁵⁶⁶

როგორც წესი, უფრო ვიწროდაა წარმოდგენილი პრივილეგია კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, სადაც პრივილეგიის გაგება განსხვავებულად განვითარდა. კერძოდ, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არ არსებობს მტკიცებულებების ე.წ. გამჟღავნების და გახსნილობის ვალდებულება (disclosure), არამედ მხარეები წარადგენენ მათი პოზიციისთვის საჭირო და სასარგებლო მტკიცებულებებს და არ არიან ვალდებული მეორე მხარეს ხელში იარაღად ჩაუგდონ მათი საწინააღმდეგო მტკიცებულება.⁵⁶⁷ თუმცა, იმის გამო, რომ სამართლის ამ ტრადიციაშიც, მხარეებს აქვთ უფლებამოსილება მეორე მხარისგან გამოითხოვონ დოკუმენტები, პრივილეგია და მის საფუძველზე დოკუმენტის მიწოდებაზე უარის თქმის საკითხი მაინც გარკვეულწილად მნიშვნელოვანია.

თუმცა, განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებისგან, სადაც პრივილეგია, როგორც ცალკე კონცეფცია და უფლება არსებობს, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, ეს უფრო განიხილება როგორც ე.წ. „პროფესიული საიდუმლოების“ ნაწილად. კერძოდ,

⁵⁶² Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 71.

⁵⁶³ *ob. Admiral Insurance Co. v U.S. District Court*, 881 F.2d 1486 (9th Cir. 1989); *ob. აგრეთვე Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 133.

⁵⁶⁴ ინგლისურ ენაზე: In-house counsel.

⁵⁶⁵ Lew J., Document Production and Legal Privilege in International Commercial Arbitration, excerpt in *Practising Virtue, Inside International Arbitration*, 2015. p. 348. დაწვრილებით სხვადასხვა ქვეყნის რეგულირების შესახებ *ob. Lex Mundi, In-House Counsel and the Attorney-Client Privilege, Global Practice Guide*. 2014.

⁵⁶⁶ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 72.

⁵⁶⁷ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 134.

მაგალითად, ადვოკატს ვალდებულება აქვს შეინახოს კლიენტთან განხორციელებული კომუნიკაცია საიდუმლოდ.⁵⁶⁸ შესაბამისად, როგორც წესი ითვლება, რომ ამ დაცვაზე უარის თქმა არაა კლიენტის, არამედ სწორედ რომ ადვოკატის უფლება და პრეროგატივაა.⁵⁶⁹ ადვოკატის ეს ვალდებულება, როგორც წესი, ასახულია მათ პროფესიულ ეთიკის კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ სანქციებს ადვოკატებისთვის ამ ვალდებულების დარღვევისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში ამისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კია დაწესებული.⁵⁷⁰

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობებში, ადვოკატის კონფიდენციალურობის ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ კლიენტთან კომუნიკაციას, არამედ ზოგადად ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი საქმიანობის განხორციელების პროცესში.⁵⁷¹

რაც შეეხება პირთა წრეს, რომლებსაც ეხება ეს დაცვა. აღნიშნულ ნაწილში მნიშვნელოვანია ორი საქმე. კერძოდ, საქმეში *AM & S Europe Limited v. Commission of the European Communities*,⁵⁷² ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ „შიდა იურისტებსა“ და კლიენტებს შორის არსებული კომუნიკაცია არ ექცეოდა პრივილეგიით დაცვის ქვეშ. სასამართლომ მიუთითა, რომ პრივილეგია გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე იყო შემდეგი წინაპირობები: (1) კომუნიკაცია კლიენტის დაცვის ინტერესში და ამ მიზნით არის განხორციელებული; და (2) კომუნიკაცია მოდის დამოუკიდებელი ადვოკატისგან/იურისტისგან. ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი ადვოკატი/იურისტი არის ის, რომელიც შრომით ურთიერთობაში არ არის კომპანიასთან.

მოგვიანებით ეს საკითხი ისევ გახდა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მსჯელობის საგანი საქმეში *Akzo Nobel Chemicals Ltd and Akros Chemicals Ltd v. European*

⁵⁶⁸ Kuitkowski D., *Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration*, *Journal of International Arbitration*, Vol. 32(1), 2015. p. 73.

⁵⁶⁹ Lew J., *Document Production and Legal Privilege in International Commercial Arbitration*, excerpt in *Practising Virtue*, *Inside International Arbitration*, 2015. p. 348. საინტერესო მაგალითად გამოდგება შვეიცარია, სადაც, ადვოკატის მიერ მომზადებული კონფიდენციალური დოკუმენტი პრივილეგიით აღარაა დაცული, თუ იგი კლიენტის მფლობელობაშია გადასული. იხ. Kuitkowski D., *Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration*, *Journal of International Arbitration*, Vol. 32(1), 2015. p. 73. შესაბამისად, ასეთ დროს, თავად კლიენტი პრივილეგიაზე მითითებით ვერ დაიცავს თავს ამ დოკუმენტის გამოთხოვისგან.

⁵⁷⁰ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, *Unigrafia*, Helsinki 2016, p. 134.

⁵⁷¹ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, *Unigrafia*, Helsinki 2016, p. 134. იხ. მაგალითად. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

⁵⁷² *AM&S Europe Ltd v Commission*, Case 155/79 [1982] ECR 1575.

Commission.⁵⁷³ ამ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ზემოთ მითითებული მსჯელობა და აღნიშნა, რომ ე.წ. შიდა იურისტები ამ დაცვის ქვეშ არ ექცეოდნენ ვინაიდან ისინი ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან და აქვთ მჭიდრო კავშირები მათ დამსაქმებლებთან და გარე ადვოკატებისგან/მრჩეველებისგან განსხვავებით არ აქვთ პროფესიული დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო განსხვავებული ფუნქციური, სტრუქტურული და იერარქიული ურთიერთობა შიდა იურისტების შემთხვევაში, რაც, გარე იურისტებისგან განსხვავებით, ამორიცხავდა მათ დაცული სფეროდან.

აღსანიშნავია, რომ მიდგომები არ არის ცალსახა, თუმცა კონტინენტური სამართლის ქვეყნების უმრავლესობა მისდევს ამ მიდგომას⁵⁷⁴ და შესაბამისად, დაცვას, საერთო სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, არ ავრცელებს ე.წ. შიდა იურისტებზე.

8.6.3.5.4. საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამოსაყენებელი წესები და მიდგომები

მხარეებს, ბუნებრივია, შეუძლიათ შეთანხმდნენ პრივილეგიის მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე და მიუთითონ კონკრეტული ქვეყნის სამართალი, რომლის გამოყენებაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას ტრიბუნალისთვის სავალდებულო იქნება. თუმცა, როგორც წესი, მხარეებს შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებები არ შეიცავს იმგვარ დეტალურ მოწესრიგებებს, რომ მათში გათვალისწინებული იყოს პრივილეგიის საკითხის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართალი. აღნიშნულის გამო, როდესაც ერთი მხარე უარს ამბობს მტკიცებულების წარმოდგენაზე პრივილეგიის საფუძვლით, ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს თუ რომელი სამართალით გადაწყვეტს ამ საკითხს. აღნიშნული კი საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს.

ამ სირთულეს საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, საარბიტრაჟო კანონმდებლობა, ინსტიტუციური და ad hoc წესები თუ რბილი სამართლის წესები, როგორც წესი, არ ახსენებენ პრივილეგიის საკითხს. ხოლო ის წესები, რომლებიც

⁵⁷³ Akzo Nobel Chemicals Ltd. & Akros Chemicals Id. v. European Commission, Joined Cases T-125 and 253/03, [2007] E.C.R. 11-3523.

⁵⁷⁴ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 75. აღსანიშნავია, რომ საქართველოც იზიარებს კონტინენტური სამართლის ქვეყნების მიდგომას, ვინაიდან, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კომუნიკაცია, ისევე როგორც საადვოკატო მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და ადვოკატს მისი გამჟღავნების უფლება არ აქვს. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“, რაც მხოლოდ იმ იურისტებზე ვრცელდება, რომლებიც არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პრივილეგია ვერ გავრცელდება ე.წ. შიდა იურისტებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრნი.

უთითებენ პრივილეგიის საკითხს, ასევე არ შეიცავენ არანაირ წესს, თუ რა სამართლით უნდა გადაწყვიტოს საკითხი ტრიბუნალმა.⁵⁷⁵

ვინმემ შეიძლება იკითხოს თუ რაში მდგომარეობს სირთულე როდესაც საარბიტრაჟო განხილვის დროს წამოჭრილი პროცედურული საკითხები წესრიგდება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის - ე.წ. lex arbitri-ს შესაბამისად,⁵⁷⁶ ან როდესაც მხარეებს არჩეული აქვთ ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართალი. თუმცა, საქმე ასე მარტივად არ არის.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მკვლევარებში არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, პრივილეგიის საკითხი მიეკუთვნება პროცედურული თუ მატერიალური სამართლის ნაწილს.⁵⁷⁷ მკვლევართა უმეტესობის აზრით, ეს უფლება თავისი შინაარსით არის პროცედურული, რადგან იგი ეხება მტკიცებულებების შეგროვების საკითხს, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მკვლევარების ნაწილის აზრით, ისევე როგორც ზოგიერთი იურისდიქციის მიხედვით, პრივილეგიის საკითხი მატერიალური სამართლის ნაწილია⁵⁷⁸ და შესაბამისად, lex arbitri-ს გამოყენება უადგილოა.

თუმცა, პრივილეგია პროცედურულ საკითხადაც რომ ჩაითვალოს, ქვეყნების შიდა საარბიტრაჟო აქტები, რომლებიც lex arbitri-ს დროსაა გამოსაყენებელი, როგორც წესი დუმან პრივილეგიის შესახებ და შესაბამისად, ვერ გამოდგებიან საკითხის გადასაწყვეტად.

ამასთან, პრივილეგია რომ მატერიალური სამართლის ნაწილად ჩაითვალოს, მაშინ გამოდის, რომ ტრიბუნალმა პრივილეგიის საკითხი უნდა გადაწყვიტოს იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომელი ქვეყნის სამართალიც მხარეებმა აირჩიეს, როგორც ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი. თუმცა, პრაქტიკაში დიდ კითხვის ნიშანს იწვევს, იგულისხმეს თუ არა პრივილეგიის საკითხის მოწესრიგებაც, როდესაც მათ ხელშეკრულების გამოსაყენებელ სამართლად მიუთითეს კონკრეტული ქვეყნის სამართალი და იფიქრეს თუ არა ამ დროს შესაბამისი ქვეყნის წესებზე პრივილეგიის

⁵⁷⁵ იხ. IBA-ს წესები, მუხლი 9.3. ასევე ICDR-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 25.

⁵⁷⁶ Reiser R., Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 13. p. 669.

⁵⁷⁷ Reiser R., Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 13. pp. 661-662.

⁵⁷⁸ Reiser R., Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 13. pp. 661-662.

შესახებ.⁵⁷⁹ როგორც წესი, არბიტრები ამ მიდგომას არ ირჩევენ.⁵⁸⁰ ამის მიზეზი კი შეიძლება ის იყოს, რომ ხელშეკრულების მომზადების დროს მხარეები და ადვოკატები, როგორც წესი არ ფიქრობენ პრივილეგიის საკითხზე და მის მოწესრიგებაზე.⁵⁸¹ ამასთან, შესაძლოა, რომ იმ ქვეყნის მატერიალური სამართალი, რომელიც ხელშეკრულების მომწესრიგებლად სამართლადაა მითითებული, არ ითვალისწინებდეს პრივილეგიის წესებს და ეს წესები, ამ იურისდიქციაში იყოს პროცედურული სამართლის ნაწილი. ასეთ დროს ტრიბუნალი ჩიხში აღმოჩნდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მატერიალური და პროცედურული სამართლის კონტექსტში პრივილეგიის განხილვა, ისევე როგორც *lex arbitri*-ს წესების და ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართლის ავტომატური გამოყენება პრობლემას ვერ აგვარებს. არამედ, საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში აუცილებელია განსხვავებული და დავის გადაწყვეტის ამ გზაზე მორგებული მიდგომის არჩევა.

IBA-ს წესების მიხედვით,⁵⁸² პრივილეგიის მომწესრიგებელი სამართლის/წესების განსაზღვრის დროს ტრიბუნალს, სხვა ფაქტორებთან ერთად შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხარეთა მოლოდინები იმ დროისათვის, როდესაც პრივილეგიის საკითხი წარმოიშვა, და რა სამართალიც არ უნდა აირჩიოს მან გამოსაყენებლად, მანვე უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა მხარეთა მიმართ. აღნიშნულ მუხლზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით დღეს არბიტრაჟის მკვლევარები გამოყოფენ მიდგომებს, რომლებიც ტრიბუნალმა შეიძლება მხედველობაში მიიღოს, ესენია: (ა) ლეგიტიმური მოლოდინები; (ბ) მჭიდრო კავშირის ტესტი; (გ) უკეთესი დაცვის მიდგომა და (დ) უმცირესი დაცვის მიდგომა.⁵⁸³

ა) „ლეგიტიმური მოლოდინი“

გამოსაყენებელი სამართლის არჩევისას ტრიბუნალმა მხედველობაში შეიძლება მიიღოს მხარეთა მოლოდინები. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ ვისი მოლოდინი უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, თავად მხარის თუ მისი ადვოკატის? მაგალითად როდესაც მხარე გერმანიიდანაა, ხოლო მისი ადვოკატი აშშ-დან. ეს კითხვა მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც პრივილეგია საერთო სამართლის ქვეყნებში

⁵⁷⁹ Berger K. P., Evidentiary Privileges: Best Practice Standards versus/and Arbitral Discretion, *Arbitration International*, Vol. 22 (4), 2006. p. 509.

⁵⁸⁰ Berger K. P., Evidentiary Privileges: Best Practice Standards versus/and Arbitral Discretion, *Arbitration International*, Vol. 22 (4), 2006. p. 509.

⁵⁸¹ Park W. W., Arbitration's Protean Nature: The Value of Rules and the Risks of Discretion, in Mealey's *International Arbitration Report*, 2004. p. 7.

⁵⁸² მუხლი 9 (4) (c) და (e)

⁵⁸³ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 140.

კლიენტის უფლებას, ხოლო კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ადვოკატის ვალდებულებაა. შესაბამისად, ვისი მოლოდინია მნიშვნელოვანი? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს სცემს IBA-ს წესები, რომელიც ამბობს, რომ ტრიბუნალს შეუძლია მხედველობაში მიიღოს, როგორც მხარეთა, ისე მათი ადვოკატების მოლოდინები. თუმცა, იგივე წესები არ სცემს პასუხს კითხვას თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ მხარე და მისი ადვოკატი, როგორც ზემოთ მითითებულ მაგალითშია მოყვანილი, სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. შესაბამისად, ეს საკითხი მთლიანად ტრიბუნალს აქვს მინდობილი, რომელმაც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს მხარის თუ მისი ადვოკატის მოლოდინები უნდა გაითვალისწინოს.⁵⁸⁴

მეორე საკითხი, რომელიც მხარეთა მოლოდინებს უკავშირდება არის ის, თუ რა მიდგომით უნდა იხელმძღვანელოს ტრიბუნალმა საკითხის გადაწყვეტის დროს - მოლოდინები უნდა შეაფასოს ობიექტური თუ სუბიექტური გადმოსახედიდან? ტერმინი „ლეგიტიმური მოლოდინები“ თვის თავში მოიაზრებს ობიექტური ტესტის გამოყენებას, მიუთითებს რა სიტყვას „ლეგიტიმური“. ანუ მხარის წარმოდგენებს და მოსაზრებებს ვერ მიენიჭება უპირატესობა. თუმცა, მეორე მხრივ, ტრიბუნალი აბსტრაქტულად ვერ შეაფასებს მოლოდინებს, არამედ მან ყურადღება უნდა მიაქციოს მხარის მახასიათებლებს.⁵⁸⁵ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტობრივად შეუძლებელია გერმანელ ადვოკატსა და ამერიკელ ადვოკატს პრივილეგიის მიმართ ერთნაირი მოლოდინები ჰქონდეთ.

რაც შეეხება საკითხს, რა დროს არსებული მოლოდინია მნიშვნელოვანი, აქაც გარკვეულ პასუხს შეიცავს IBA-ს წესების მე-9 მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ ტრიბუნალმა მხედველობაში უნდა მიიღოს მხარეთა მოლოდინი იმ დროს, როდესაც კომუნიკაცია შედგა. ეს მიდგომა ლოგიკურიცაა, ვინაიდან ადამიანებს მოლოდინები ეცვლებათ, ხოლო მნიშვნელოვანია, უნდა ჰქონოდა პირს თუ არა მოლოდინი იმ დროს, როდესაც კომუნიკაცია შედგა/ფაქტი მოხდა.

თუმცა, როგორც ნათლად გამოჩნდა, მხარეთა მოლოდინების მიდგომა საკმაოდ ბევრ ბუნდოვანებას ტოვებს და არ გვთავაზობს პირდაპირ გზამკვლევს გამოსაყენებელ წესებამდე. შესაბამისად, მხოლოდ ამ მიდგომაზე დაყრდნობით სამართლის განსაზღვრა რტულ ამოცანას წარმოადგენს.

⁵⁸⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 141.

⁵⁸⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 141

ბ) „მჭიდრო კავშირის ტესტი“

მკვლევარების დიდი ნაწილი ემხრობა მიდგომას, რომ თუ მხარეთა მიერ არ არის არჩეული პრივილეგიის მომწესრიგებელი სამართალი, მაშინ ტრიბუნალმა უნდა იხელმძღვანელოს ე.წ. „მჭიდრო კავშირის ტესტით“.⁵⁸⁶ ეს ტესტი პრაქტიკაშიც ყველაზე პოპულარულია.⁵⁸⁷ აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც კონკრეტულ მტკიცებულებასთან (რომლის გამჟღავნებაზე მიმდინარეობს დავა) აქვს ყველაზე მჭიდრო კავშირი. თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, რომელი დამაკავშირებელი ფაქტორია ამ დროს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი.⁵⁸⁸

ზოგიერთი მკვლევარი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ადვოკატის ფაქტორს და მიუთითებს, რომ გამოსაყენებელია იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ადვოკატს, რომელიც პასუხისმგებელი იყო კომუნიკაციაზე, აქვს პროფესიული ლიცენზია.⁵⁸⁹ სხვების მიერ გამოყენებულია იმ ქვეყნის სამართალი, სადაც კომუნიკაცია მოხდა. ხოლო, ის პირები, რომლების უპირატესობას ანიჭებენ კლიენტის როლს, იმ ქვეყნის სამართალზე მიუთითებენ, სადაც კლიენტს ჰქონდა ადგილსამყოფელი.⁵⁹⁰

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ადვოკატის ლიცენზიის ქვეყნის სამართლის გამოყენება უმჯობესია, როგორც კომუნიკაციის ადგილის, ისე კლიენტის ადგილსამყოფელის სამართლის გამოყენებაზე. კერძოდ, ამის მიზეზად ასახელებენ, რომ კომუნიკაციის განხორციელების ადგილის სამართლის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ტრიბუნალი მივიდეს იმ ქვეყნის სამართალთან, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს დავასთან. მაგალითად თუ ახალი ზელანდიაში ლიცენზირებული ადვოკატი მის ინდონეზიელ კლიენტს შეხვდება ავსტრალიაში, მათ შორის განხორციელებული კომუნიკაციაზე ამ მიდგომით უნდა გავრცელდეს ავსტრალიის პრივილეგიის წესები, რაც არალოგიკურია. აღნიშნულს კი სჯობს, გამოყენებული იყოს

⁵⁸⁶ Berger K. P., Evidentiary Privileges: Best Practice Standards versus/and Arbitral Discretion, *Arbitration International*, Vol. 22 (4), 2006. pp. 510-511.

⁵⁸⁷ Craig T. and Ula C., Privilege in International Arbitration: Is It Time to Recognize the Consensus?, *Journal of International Arbitration*, Vol. 26:6, 2009. p. 831. იხ. აგრეთვე O'Malley N. D., The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8 (1), 2009. p. 56.

⁵⁸⁸ Roscher P., The Application and Scope of Attorney Client Privilege in International Arbitration, *Stockholm International Arbitration Review*, Vol. 2, 2007. p. 21.

⁵⁸⁹ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, *Journal of International Arbitration*, Vol. 32(1), 2015. p. 91. იხ. აგრეთვე Born G.B. and Rutledge P.B., *International Civil Litigation in United States Courts*, Wolters Kluwer Law & Business, 2011. pp. 1022-1023.

⁵⁹⁰ იხ. Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, *Journal of International Arbitration*, Vol. 32(1), 2015. p. 91.

ახალი ზელანდიის სამართალი. რაც შეეხება კლიენტის ადგილსამყოფელს, მიჩნეულია, რომ ამ ქვეყნის სამართლის გამოყენებას სჯობს ადვოკატის ლიცენზიის ქვეყნის სამართლით ხელმძღვანელობა, რადგან ადვოკატები უფრო გაცნობიერებულნი არიან პრივილეგიის საკითხში და ამ საკითხთან დაკავშირებით მისი სამართლებრივი სისტემის წესებით იხელმძღვანელებს. იმის ცოდნა, რომ ტრიბუნალი ადვოკატის ლიცენზიის ქვეყნის კანონმდებლობას გამოიყენებს, მას აძლევს საშუალებას უფრო ღიად და თამამად გაუწიოს სამართლებრივი დახმარება კლიენტს.⁵⁹¹

თუმცა, ადვოკატის ლიცენზიის ქვეყნის სამართლის გამოყენებას აქვს ასევე გარკვეული პრობლემა. კერძოდ, ბევრ შემთხვევაში, მით უფრო, როდესაც მხარეებს მრჩეველბად აყვანილი ჰყავთ საერთაშორისო იურიდიული ფირმები, კლიენტებს რამდენიმე ადვოკატი ემსახურება და მათ სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება ჰქონდეთ ლიცენზია. ასეთ დროს, მიჩნეულია, რომ ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ყველაზე უფროსი იურისტის ლიცენზიის ქვეყნის სამართალი.⁵⁹²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მჭიდრო კავშირის ტესტი საკმაოდ პოპულარულია საკითხის გადასაწყვეტის დროს, ვინაიდან მრავალი პრაქტიკოსი მიიჩნევს, რომ კარგად გამოხატავს მხარეთა მოლოდინებს და ნდობის ინტერესებს.⁵⁹³ თუმცა, ამ მიდგომასაც აქვს გარკვეული პრობლემები. პირველ რიგში, მჭიდრო კავშირის ტესტის გამოყენებისას, ტრიბუნალის წინაშეა ძალიან ბევრი ქვეყნის სამართალი, რომელიც პოტენციურად შეიძლება გამოსაყენებელი იყოს⁵⁹⁴ და შესაბამისად, რომლებიც ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს და გამოიკვლიოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც კომპლექსური საარბიტრაჟო განხილვა გვაქვს სახეზე.

მეორე პრობლემა არის ის, რომ შესაძლებელია სახეზე იყოს ძალიან ბევრი დოკუმენტი, რომელთა გამოთხოვასაც მხარე ითხოვდეს, ხოლო მეორე მხარე მათ პრივილეგიაზე მიუთითებდეს. ასეთ დროს ტრიბუნალმა წესით უნდა განსაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი თითოეული დოკუმენტისთვის ცალ-ცალკე, რაც ძალიან დიდ დროს და

⁵⁹¹ იხ. Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 92-93

⁵⁹² Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 92-93

⁵⁹³ Craig T. and Ula C., Privilege in International Arbitration: Is It Time to Recognize the Consensus?, Journal of International Arbitration, Vol. 26:6, 2009. p. 831

⁵⁹⁴ Craig T. and Ula C., Privilege in International Arbitration: Is It Time to Recognize the Consensus?, Journal of International Arbitration, Vol. 26:6, 2009. p. 831

რესურსს მოითხოვს. შესაბამისად, უფრო მოქნილი და ზოგადი წესის გამოყენება უფრო კარგი იქნებოდა.⁵⁹⁵

და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და დიდ პრობლემას წარმოადგენს არის ის, რომ ამ ტესტის გამოყენების დროს ტრიბუნალმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ქვეყნის სამართალი სხვადასხვა მხარის მიმართ ერთი არბიტრაჟის ფარგლებში. შესაძლოა ეს განსხვავებული მიდგომა ავტომატურად არ ნიშნავდეს არათანასწორ მოპყრობას,⁵⁹⁶ თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, ტრიბუნალისთვის უკეთესია თავიდან აიცილოს სხვადასხვა მხარეთა მიმართ სხვადასხვა პრივილეგიის წესის გამოყენება.⁵⁹⁷

ამ პრობლემებისგან თავიდან ასაცილებლად და სამართლიანი და თანასწორი მიდგომის უზრუნველსაყოფად ბოლო დროს შეიმუშავეს ე.წ. „უპირატესი დაცვის მიდგომა“⁵⁹⁸ და „უმცირესი დაცვის მიდგომა.“⁵⁹⁹

გ) „უპირატესი დაცვის მიდგომა“

“მჭიდრო კავშირის ტესტის“ ალტერნატიულად, ზოგიერთი ტრიბუნალის მიერ შემუშავდა ე.წ. „უპირატესი დაცვის მიდგომა“. ამ მიდგომის თანახმად, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს პრივილეგიის მიმართ გამოსაყენებელი სხვადასხვა სტანდარტი და ორივე მხარის მიმართ ერთნაირად უნდა გამოიყენოს (ერთ-ერთი მხარისთვის გამოსაყენებელი) ის სტანდარტი, რომელიც თავაზობს პრივილეგიასთან დაკავშირებით ყველაზე დიდ (ფართო) დაცვას.⁶⁰⁰

აღნიშნული მიდგომის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხარის ლეგიტიმურ მოლოდინებთან და ნდობის ინტერესებთან თანხვედრაშია. კერძოდ, მაღალი დაცვის იურისდიქციის მქონე მხარის მოლოდინები დაცული იქნება, რადგან ტრიბუნალი გამოიყენებს მისი იურისდიქციის სტანდარტს, ხოლო უფრო დაბალი დაცვის მქონე მხარე

⁵⁹⁵ იხ. Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 92-93.

⁵⁹⁶ მხარეთა მიმართ არათანასწორი მოპყრობა შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა - აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

⁵⁹⁷ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 94-95.

⁵⁹⁸ ინგლისურ ენაზე: “most favored nation” approach

⁵⁹⁹ ინგლისურ ენაზე: “least favoured nation” approach

⁶⁰⁰ Alvarez J., Evidentiary Privileges in International Arbitration, International Arbitration 2006: Back to Basics?, 2006. p. 686.

ვერ იტყვის, რომ მას ჰქონდა მოლოდინი, რომ ტრიბუნალი დაცვის ნაკლებ სტანდარტს გაავრცელებდა კონკრეტულ დოკუმენტზე.⁶⁰¹

გარდა ამისა, ეს მიდგომა უზრუნველყოფს მხარეთა მიმართ თანასწორ და სამართლიან მოპყრობას,⁶⁰² როდესაც საქმე პრივილეგიის საკითხის გადაწყვეტას ეხება, რადგან ამ შემთხვევაში ორივე მხარის მიმართ ერთი და იგივე სტანდარტი არის გამოყენებული. შესაბამისად, ამ მიდგომის შემთხვევაში დაცულად უნდა ჩაითვალოს IBA-ს წესების 9 (4) (e) მუხლი, რომელიც ტრიბუნალს ურჩევს საკითხის გადაწყვეტის დროს სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპით იხელმძღვანელოს.

აღსანიშნავია, რომ ICDR-ის გზამკვლევი⁶⁰³ სწორედ აღნიშნულ მიდგომას ითვალისწინებს და მიუთითებს, რომ ტრიბუნალმა უკეთესია გამოიყენოს ერთი და იგივე წესი ორივე მხარის მიმართ და უპირატესობა მიანიჭოს იმ წესის გამოყენებას, რომელიც თავაზობს უფრო მეტ დაცვას პრივილეგიასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა აქვს ასევე არჩეული სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში საზღვარგარეთ მტკიცებულებების მიღების შესახებ ჰააგის კონვენციასაც.⁶⁰⁴ გარდა ამისა, CPR-ის პროტოკოლი⁶⁰⁵ უთითებს, რომ ტრიბუნალმა უნდა იხელმძღვანელოს იმ სამართლით, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის და ადვოკატის კომუნიკაციის და ადვოკატის მიერ შექმნილი ნამუშევრების ყველაზე მეტად დაცვას.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, უკეთესი დაცვის მიდგომა საკმაოდ ადეკვატურადაა მიჩნეული და მოსალოდნელი არ არის, რომ მხარე მიაღწევს წარმატებას თუ იგი, ტრიბუნალის მიერ ამ მიდგომის გამოყენების საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნამდვილობას დააყენებს ეჭვქვეშ.⁶⁰⁶

დ) „უმცირესი დაცვის მიდგომა“

ზემოაღნიშნულ მიდგომებთან ერთად ასევე გამოიყენება ე.წ. „უმცირესი დაცვის მიდგომა“. აღნიშნული მიდგომა ტრიბუნალისგან მოითხოვს ტრიბუნალმა შეაფასოს შესაძლო გამოსაყენებელი სტანდარტები და მათგან ორივე მხარის მიმართ გამოიყენოს ის,

⁶⁰¹ Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 96.

⁶⁰² Kuitkowski D., Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration, Journal of International Arbitration, Vol. 32(1), 2015. p. 96.

⁶⁰³ ICDR-ის გზამკვლევი, მუხლი 7.

⁶⁰⁴ იხ. Hague Convention on the Taking of Evidence Abroad in Civil or Commercial Matters, Article 11.

⁶⁰⁵ CPR-ის პროტოკოლი, მუხლი 1(b).

⁶⁰⁶ Craig T. and Ula C., Privilege in International Arbitration: Is It Time to Recognize the Consensus?, Journal of International Arbitration, Vol. 26:6, 2009. p. 834.

რომელიც თავაზობს ყველაზე ნაკლებ დაცვას პრივილეგიასთან დაკავშირებით.⁶⁰⁷ აღნიშნული მიდგომის დადებითი მხარე ასევე არის ის, რომ ორივე მხარე ექცევა თანასწორი მოპყრობის ქვეშ, თუმცა, მასთან დაკავშირებული უარყოფითი ფაქტორები გადაწონის ამ დადებით მხარეს. კერძოდ, პირველ რიგში ეს პირდაპირ შეეწინააღმდეგება ადვოკატის ეთიკის წესებს და გამოვა, რომ ადვოკატი დაარღვევს მისი ეთიკის წესებს პროცესში მონაწილეობით და მტკიცებულების წარდგენით. შესაბამისად, ადვოკატები ვეღარ შეძლებენ დაიცვან ის, წესები, რომელთა დაცვაც მათ მოეთხოვებათ. მეორე და ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ეს მიდგომა შეეწინააღმდეგება მხარის ლეგიტიმურ მოლოდინებს პრივილეგიასთან დაკავშირებით, რადგან მას უფრო ფართო დაცვაზე მიუწვდებოდა ხელი.⁶⁰⁸ შესაბამისად, ამ მიდგომის არჩევა არც ისე გამართლებულადაა ჩათვლილი და იგი ნაკლებად პოპულარულია.⁶⁰⁹

უნდა აღინიშნოს, რომ პრივილეგიის განხილვისას ტრიბუნალმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს იმ საკითხს, მხარეს ხომ არ უთქვამს უარი პრივილეგიის საფუძველზე დაცვაზე. ამგვარი უარი შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით. მხარემ შესაძლოა გამოთქვას თანხმობა გამჟღავნების შესახებ, მაგალითად თუ იგი კონკრეტული საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში ნებაყოფლობით და წინასწარი განზრახვით ან თუნდაც შემთხვევით ამგვარი განზრახვის გარეშე წარადგენს ამ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში მას მოგვიანებით აღარ შეეძლება პრივილეგიაზე მითითება. ამასთან, თუ მხარე ეყრდნობა პრივილეგიის დაცვას, მაშინ იგი ამ დოკუმენტს მეორე მხარის მიმართ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ვერ გამოიყენებს.⁶¹⁰

8.6.3.6. ტექნიკური და კომერციული კონფიდენციალურობა

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე აღიარებულია, რომ მხარეს შეუძლია პროტესტი დააყენოს იმ საფუძველით, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი კომერციული ან ტექნიკური თვალსაზრისით კონფიდენციალურია. IBA-ს წესების მე-9 მუხლი, პროტესტის ერთ-ერთ საფუძველად სწორედ კომერციულ და ტექნიკურ კონფიდენციალურობას უთითებს.⁶¹¹ IBA-ს წესებზე მომუშავე ჯგუფის კომენტარების მიხედვით, ამ წესის შემოტანა მოხდა იმის გამო, რომ საარბიტრაჟო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ არსებობს დოკუმენტები,

⁶⁰⁷ Reiser R., Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 13. p. 673.

⁶⁰⁸ Reiser R., Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule, Cardozo Journal of Conflict Resolution, Vol. 13. p. 673.

⁶⁰⁹ Craig T. and Ula C., Privilege in International Arbitration: Is It Time to Recognize the Consensus?, Journal of International Arbitration, Vol. 26:6, 2009. p. 834.

⁶¹⁰ IBA-ს წესები, მუხლი 9 (4) (d)

⁶¹¹ IBA-ს წესები, მუხლი 9 (2) (e)

რომლებიც ტექნიკური ან კომერციული კუთხით ატარებენ განსაკუთრებულად სენსიტიურ ინფორმაციას, რომელიც არ არის გამჟღავნებადი.⁶¹² ეს ასეცაა, რადგან შესაძლებელია დოკუმენტი არ იყოს პრივილეგიის დაცვის ქვეშ, მაგრამ იგი შეიცავდეს შესაბამის ინფორმაციას, რომელიც კონფიდენციალურად უნდა შენარჩუნდეს და ეს ფაქტორი საერთაშორისო საპროცესო პრინციპის დონეზე აღიარებულია და მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ასევე ტრიბუნალების მიერ, როდესაც ისინი მსჯელობენ დოკუმენტების წარდგენის საკითხზე.⁶¹³

კონფიდენციალურობა პროცედურული საკითხია, რის გამოც მასზე მსჯელობის და გადაწყვეტილების მიღების დროს ტრიბუნალი სარგებლობს ფართო დისკრეციით.⁶¹⁴ შესაბამისად, ტრიბუნალმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს, არის თუ არა კონკრეტული დოკუმენტი კონფიდენციალური და უნდა ითქვას თუ არა უარი მის გამოთხოვაზე. მაშინ როდესაც შეიძლება ერთ საქმეში ფინანსური და საგადასახადო დოკუმენტაცია განხილულ იყოს, როგორც სენსიტიური და კონფიდენციალური ინფორმაცია, სხვა დავაში, სხვადასხვა ფაქტორების და რისკების მხედველობაში მიღების შემდეგ, შესაძლოა მისაღები იყოს მათი წარდგენა.⁶¹⁵

აღსანიშნავია, რომ ტრიბუნალი არ არის ვალდებული გამოიყენოს რომელიმე ქვეყნის სამართალი საკითხის გადაწყვეტის დროს, არამედ კონკრეტული სამართლის წესები, რომელიც ითვალისწინებენ კონფიდენციალურობის გარანტიებს შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც არგუმენტი, რათა კონფიდენციალურობა იყოს დაცული.⁶¹⁶ თუმცა, კარგია თუ ტრიბუნალი მხედველობაში მიიღებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პერსპექტივას, რადგან გარკვეული ინფორმაციის კონფიდენციალურობა შესაძლოა იმ ქვეყნის საჯარო წესრიგის ნაწილი იყოს, რომელშიც პოტენციურად მოთხოვნილი იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.⁶¹⁷

⁶¹² O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 68.

⁶¹³ O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 68.

⁶¹⁴ Gaillard E. Savage J.(eds), *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 1999. p. 692.

⁶¹⁵ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 313

⁶¹⁶ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 151. იხ. აგრეთვე 39. Gaillard E. Savage J.(eds), *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 1999. p. 693.

⁶¹⁷ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 151.

ICC-ს საარბიტრაჟო წესების მიხედვით გამართული ერთ-ერთი განხილვის ფარგლებში ტრიბუნალმა, საარბიტრაჟო განხილვის ადგილით ნიდერლანდებში, ჩამოაყალიბა „კონფიდენციალურობის დაუშვებელი ხელყოფის“ კონცეფცია. ტრიბუნალმა პროცედურულ დადგენილებებში მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც უარი თქვა ერთ-ერთი მხარის მიერ დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ დაყენებულ მოთხოვნაზე. ტრიბუნალმა ჩათვალა, რომ იმ დოკუმენტების გამოთხოვა, რომლებიც ეხებოდა კომპანიის ფინანსურ სტატუსს, მათ შორის მის საბანკო ამონაწერებს და საგადასახადო დეკლარაციებს, იწვევდა გადამეტებულ ჩარევას.⁶¹⁸ ამგვარი გადაწყვეტილებები, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ლოგიკურად ჩაითვალოს, რადგან დოკუმენტები, რომელიც ამჟღავნებენ კომპანიის შიდა ფინანსურ ინფორმაციას, თავისთავად მიიჩნევა უფრო მაღალი დონის დაცვის ობიექტად, მისი გამჟღავნებით კომპანიისთვის შესაძლოდ მიყენებული ზიანის გამო. მსგავსი დასაბუთება შეიძლება გავრცელდეს ასევე ფორმულებზე, ნოუ-ჰაუზე, სავაჭრო საიდუმლოებაზე. ეს ნაკლებად ეხება უფრო ზოგად ინფორმაციას, როგორებიცაა შეხვედრების/სხდომების ოქმები, მიმოწერას და ა.შ.⁶¹⁹

თუმცა, ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, რომ არ არსებობს შემთხვევები, როდესაც მაღალი კონფიდენციალურობის მქონე დოკუმენტების (მათ შორის ფინანსური თუ ტექნიკური ჩანაწერები) გამოთხოვის შესახებ მოთხოვნები დაკმაყოფილება ტრიბუნალის მიერ და ისინი საარბიტრაჟო განხილვის დროს წარდგენილი იქნება. ზოგიერთ შემთხვევაში ტრიბუნალმა მაინც შეიძლება დააკმაყოფილოს ამგვარი სენსიტიური დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა, თუმცა ასეთ დროს მან უნდა მიიღოს მათი კონფიდენციალურობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ზომები.⁶²⁰ IBA-ს წესების მიხედვით, საარბიტრაჟო განხილვის დროს გამჟღავნებული დოკუმენტები კონფიდენციალურად უნდა იყოს შენახული და გამოყენებული მხოლოდ კონკრეტული განხილვის მიზნებისთვის.⁶²¹ ამასთან, ტრიბუნალს აქვს უფლება, მიიღოს პროცედურული ბრძანება, რომლითაც

⁶¹⁸ O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 68.

⁶¹⁹ O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 68.

⁶²⁰ O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 69.

⁶²¹ იხ. IBA-ს წესები, მუხლი 3 (13).

მხარეებს სავალდებულოდ განუსაზღვრავს დოკუმენტების კონფიდენციალურად შენარჩუნების პირობებს და მათთვის სავალდებულო ინსტრუქციებს.⁶²²

როდესაც ტექნიკურად თუ კომერციულად კონფიდენციალური ინფორმაცია მიღებულია მესამე მხარისგან ან გაზიარებულია მისთვის, ასეთ დროს მიღებული მიდგომებია, რომ მხარეს მოეთხოვოს მესამე მხარესთან გაუთქმელობის ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ან თავად მესამე მხარე იქნას მოწვეული რათა შეუერთდეს კონფიდენციალურობის შეთანხმებას.⁶²³ მაგალითისთვის, 2004 წელს, ICC-ს ერთ-ერთი ტრიბუნალ განიხილავდა აზიურ და ევროპულ კომპანიებს შორის დავას. ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა ექსპერტთა დასკვნებში აღწერილ „ნოუ ჰაუს“. ვინაიდან საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ორივე მხარის ექსპერტები, ტრიბუნალმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც მოიწვია ეს ექსპერტები რათა ისინი შეერთებოდნენ კონფიდენციალურობის შესახებ ვალდებულებას.⁶²⁴

გარდა ამისა, არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ როდესაც მხარე უარს ამბობს დოკუმენტის ნებაყოფლობით წარდგენაზე კონფიდენციალურობის არგუმენტით, იმისთვის, რომ შეძლოს შეაფასოს ეს დოკუმენტი არის თუ არა ნამდვილად კონფიდენციალური, ტრიბუნალს შეუძლია მხარეს უბრძანოს მისი წარმოდგენა ტრიბუნალის მიერ ცალკე შესამოწმებლად.⁶²⁵ ასეთ დროს, ტრიბუნალი მხარეების დასწრების და მათთვის გამჟღავნების გარეშე ეცნობა დოკუმენტს და იღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ. მეტიც, ტრიბუნალს შეუძლია ასევე მოიწვიოს ექსპერტი,

⁶²² იხ. ICC Case No. 13046, ICC Bulletin, 2010 Special Supplement: Decisions on ICC Arbitration Procedure, p. 89. ამ საქმეში ტრიბუნალმა განმარტა, რომ მხარეს, რომელიც წარადგენდა დოკუმენტს, რომელიც შეიცავდა კონფიდენციალურ ინფორმაციას, ამის შესახებ პირდაპირ უნდა მიეთითებინა მეორე მხარის და ტრიბუნალისთვის. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალი, მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე განსაზღვრავდა იმ შესატყვის ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფდა დოკუმენტების კონფიდენციალურად შენარჩუნებას.

⁶²³ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 316

⁶²⁴ O'Malley N. D., The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals, Vol. 8(1), 2009. p. 69.

⁶²⁵ იხ. Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. Western Oil Sands Inc. [2005] ABQB 509; Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. Western Oil Sands Inc. [2006] A.J. No. 32. იხ. აგრეთვე O'Malley N. D., The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals, Vol. 8(1), 2009. p. 70

რომელიც მიმოიხილავს დოკუმენტს და მიაწვდის ტრიბუნალს მის მოსაზრებას იმის შესახებ, უნდა იქნას თუ არა ეს დოკუმენტი კონფიდენციალურად.⁶²⁶

შესაბამისად, ტრიბუნალს კონფიდენციალურობის საკითხის გადაწყვეტის დროს საკმაოდ დიდი დისკრეცია აქვს და შეუძლია საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება.

8.6.3.7. პოლიტიკური და ინსტიტუციური სენსიტიურობა

კიდევ ერთი პროტესტის საფუძველი არის პოლიტიკური და ინსტიტუციური სენსიტიურობა. IBA-ს წესების მიხედვით,⁶²⁷ აღნიშნული საფუძველი მოიცავს საიდუმლო სამთავრობო ინფორმაციას, ისევე როგორც საერთაშორისო საჯარო ინსტიტუციების საიდუმლო ინფორმაციას. თუმცა, ეს მუხლი ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციით, არამედ იგი ასევე მოიცავს სხვა სახის ინფორმაციასაც, რომელსაც აქვს სხვაგვარი პოლიტიკური ან ინსტიტუციური სენსიტიურობა. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც საიდუმლო არ არის, მაგრამ შესაძლოა მისი გამჟღავნება არ იყოს მიზანშეწონილი და ექცეოდეს ამ წესის ქვეშ.⁶²⁸

აღნიშნული წესი IBA-ს წესების (1999 წლის რედაქციის) სამუშაო ვერსიას დაემატა საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კომენტარების საფუძველზე. კომენტარების მიხედვით, ტექნიკური და კომერციული კონფიდენციალურობის მუხლი არ ფარავდა ამ ორგანიზაციის ფარგლებში არსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას და დოკუმენტებს.⁶²⁹ შესაბამისად, IBA-ს წესების შექმნის დროს გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ. გაერთიანებული ერების, მსოფლიო ბანკის, ა.შ.) და მთავრობების ინტერესები, რომ გარკვეული ინფორმაცია, რომლებიც მათთვის განიხილება საიდუმლოდ/კლასიფიცირებულად, არ იქნეს გამჟღავნებული.⁶³⁰

⁶²⁶ O'Malley N. D., The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, The Law and Practice of International Courts and Tribunals, Vol. 8(1), 2009. p. 70

⁶²⁷ IBA-ს წესების 9 (2) (f) მუხლი.

⁶²⁸ იხ. Merrill & Ring Forestry LP v Government of Canada, NAFTA/UNCITRAL/ICSID, Decision of the Tribunal on Production of Documents, para. 31 (18 July 2008).

⁶²⁹ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 26

⁶³⁰ Hilmar R., The Production of Documents in International Arbitration - A Commentary on Article 3 of the New IBA Rules of Evidence, Arbitration International, Vol. 18:4, 2002. p. 429. იხ. აგრეთვე. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 157.

ეს წესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებულ საარბიტრაჟო დავების დროს, სადაც ქვეყნები აპროტესტებენ დოკუმენტების წარდგენის შესახებ მოთხოვნას სწორედ სახელმწიფო საიდუმლოებაზე მითითებით.⁶³¹

ქვეყნების შიდა კანონმდებლობები, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი წესები, პირდაპირ მიუთითებენ, რომ გარკვეული სახის ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო თუ ორგანიზაციულ საიდუმლოებას.⁶³² პროტესტის ეს საფუძველი ტრიბუნალების მიერ, როგორც წესი, აღიარებულია.⁶³³ თუმცა ერთია ის, რომ ეს საფუძველი აღიარებულია და სამთავრობო სტრუქტურები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები დაცულები არიან გამჟღავნებისგან, ხოლო მეორეა საკითხი, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული დოკუმენტი ნამდვილად საიდუმლოს, რომელიც ექცევა დაცვის ქვეშ. ამ შემთხვევაში, პროტესტის დამყენებელმა მხარემ უნდა ამტკიცოს ის ფაქტობრივი საფუძვლები, თუ რატომაც უნდა ჩაითვალოს კონკრეტული დოკუმენტი დაცულად/საიდუმლოდ.⁶³⁴

საკითხის გადაწყვეტის დროს ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს თუ რა პოტენციური ზიანი შეიძლება მოიტანოს დოკუმენტის გამჟღავნებამ საჯარო უსაფრთხოების კუთხით, ისევე როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციის პოლიტიკური მდგომარეობა/როლი და სხვა უარყოფითი მხარეები, რომლებიც შეიძლება მოყვეს დოკუმენტის გამოთხოვას. შესაბამისად, ტრიბუნალმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა ვინაობის, დანიშნულების და საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტის წარმოდგენა-არ წარმოდგენის თაობაზე.⁶³⁵ ის, რომ ესა თუ ის ინფორმაცია გამოცხადებულია კონფიდენციალურად რომელიმე შიდა კანონმდებლობის ან სხვა რაიმე წესის მიხედვით, ეს ავტომატურად არ უნდა ნიშნავდეს, რომ კონკრეტული დოკუმენტი გამოთხოვილი არ იქნება. არამედ, საკითხის შეფასების დროს, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს ესა თუ ის წესი ნამდვილად ისახავს თუ არა მიზნად ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას და იგი ხომ არ არის შექმნილი სხვა მიზნით⁶³⁶ (თუნდაც იმ მიზნით, რომ ტრიბუნალს არ ჰქონდეს წვდომა მასზე).

⁶³¹ O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 71

⁶³² იხ. მაგალითად „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი

⁶³³ იხ. მაგალითად საქმე *Pope & Talbot Inc. v. Canada*, NAFTA/UNCITRAL. 2002.

⁶³⁴ O'Malley N. D., *The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice*, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. p. 72

⁶³⁵ იხ. *Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, *Unigrafia*, Helsinki 2016, p. 158

⁶³⁶ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 322

ერთ-ერთ დავაში, რომელიც მიმდინარეობდა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის, სახელმწიფო, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე შევიდა ინვესტორის ოფისში და პოლიციის ძალით ოფისიდან გაიტანა ოფისში შენახული დოკუმენტები. როდესაც მხარეებს შორის დავა დაიწყო, ინვესტორმა ტრიბუნალის წინაშე დააყენა მისი ოფისიდან ამოღებული დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნა, ვინაიდან მათ შემხებლობა ჰქონდათ საქმესთან. სახელმწიფო მოთხოვნის საპასუხოდ ამტკიცებდა, რომ მას არ შეეძლო დოკუმენტების წარმოდგენა, რადგან იგი ამოღებული იყო გამოძიების ფარგლებში და გავლენას ახდენდა ინვესტორისთვის შიდა სასამართლოს წინაშე წარდგენილ ბრალზე. მიუხედავად, სახელმწიფოს მცდელობისა, ტრიბუნალმა მას დაავალა წარმოედგინა ოფისიდან ამოღებული დოკუმენტების ასლები. ეს საქმე ტრიბუნალის მიერ სწორად მიღებული გადაწყვეტილების მაგალითია, რადგან მხარეს (ამ შემთხვევაში სახელმწიფოს) არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პოლიციის ძალით შეუშალოს ხელი მეორე მხარეს საქმის მომზადებაში და შემდეგ ამოღებულ დოკუმენტებზე ამტკიცოს, რომ ისინი კონფიდენციალურია.⁶³⁷

ასევე, ე.წ. „თათბირის პრივილეგია“⁶³⁸ მიჩნეულია იმგვარ სენსიტიურ ინფორმაციად, რომელიც არ უნდა გამჟღავნდეს. ამ ტიპის პრივილეგია იცავს მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, საჯარო სამართლის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების დროს, მათ შორის განხორციელებული თათბირის გამჟღავნებისგან. საქმეში Glamis Gold v. United States of America ტრიბუნალმა განმარტა, რომ საჯარო პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების დროს გაცვლილი ინფორმაცია დაცული უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამჟღავნების საჯარო ინტერესი არბიტრაჟის მიზნებისთვის, გადაფარავს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ინტერესს.⁶³⁹

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საქმეებში ტრიბუნალებს გამოთხოვილი აქვთ სახელმწიფოებს შორის გაცვლილი მემორანდუმები, საერთაშორისო ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიები, და შიდა კანონმდებლობების მიხედვით კონფიდენციალურად მიჩნეული სხვა დოკუმენტები. თუმცა, როგორც წესი ეს ხდებოდა, როდესაც დოკუმენტების შექმნიდან გასული იყო გარკვეული დრო და ამის გამო, არ არსებობდა მათი გამჟღავნებით საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე.⁶⁴⁰

⁶³⁷ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 327

⁶³⁸ ინგლისურ ენაზე: “deliberative privilege”

⁶³⁹ Glamis Gold v United States of America, supra n. 25, Final Award, para. 237 (8 June 2009).

⁶⁴⁰ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 326

8.6.3.8. გაუმართლებელი ტვირთი მოთხოვნის ადრესატისთვის

საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში ფართოდაა აღიარებული, რომ მხარეს, რომლისკენაც მიმართულია დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა, შეუძლია დააყენოს პროტესტი იმ საფუძველით, რომ დოკუმენტების შეგროვება და წარდგენა მისთვის გაუმართლებლად დიდი ტვირთი იქნება.

თითქმის ყველა რბილი სამართლის წესი, რომელიც დოკუმენტების წარდგენას ეხება, პროტესტის ამ საფუძველს იცნობს და ითვალისწინებს. მაგალითისთვის, IBA-ს წესების 9 (2) (c) მუხლის მიხედვით, ტრიბუნალს შეუძლია არ მოსთხოვოს მხარეს დოკუმენტების წარმოდგენა, თუ ჩათვლის, რომ ეს მისთვის გაუმართლებლად დიდი ტვირთი იქნება. IBA-ს წესების კომენტარების მიხედვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოთხოვნა დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ არის სათანადოდ ვიწრო და კონკრეტული, ისევე როგორც არსებითი და რელევანტური, მოთხოვნის ადრესატს მაინც შეუძლია დააყენოს პროტესტი, თუ მაგალითისთვის გამოსათხოვი დოკუმენტების რაოდენობა ან მათზე წვდომასთან დაკავშირებული სირთულეები დოკუმენტების წარდგენას გაუმართლებლად დიდ ტვირთად აქცევს მისთვის.⁶⁴¹ შესაბამისად, ტრიბუნალი IBA-ს აღნიშნული მუხლის ფარგლებში ერთმანეთს აპირისპირებს დოკუმენტის მნიშვნელობას საქმისთვის და მისი წარმოდგენის ტვირთს და აფასებს, რომელი გადაწონის რომელს.

IBA-ს წესების გარდა, ეს საფუძველი ძირითადად მითითებულია იმ რბილი სამართლის წესებში, რომლებიც ეხება ელექტრონული დოკუმენტების წარმოდგენას, ვინაიდან ელექტრონული დოკუმენტების (აღდგენა) შეგროვება და წარმოდგენა, როგორც წესი, უფრო დიდ დროსთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული და უფრო რთულია. კერძოდ, ელექტრონული დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ ICC-ს ტექნიკები აცხადებს, რომ ტრიბუნალმა ელექტრონული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტების მომთხოვნი მხარე აჩვენებს, რომ დოკუმენტების რელევანტურობა და არსებითობა გადაწონის იმ ტვირთს, რომელიც ძნელად ხელმისაწვდომი მონაცემების წარმოდგენას უკავშირდება მეორე მხარისთვის (მოთხოვნის ადრესატისთვის).⁶⁴² მსგავსად ამისა, CPR-ის პროტოკოლი ასევე ითვალისწინებს „არასათანადო ტვირთს“, როგორც დოკუმენტების გამოთხოვაზე შეზღუდვის დამწესებელ გარემოებას.⁶⁴³

⁶⁴¹ Commentary on the Revised Text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration 26.

⁶⁴² იხ. ICC-ს ტექნიკები, პარაგრაფები 5.10-5.11.

⁶⁴³ იხ. CI Arb-ის პროტოკოლი, მუხლი 4.2.

იმისათვის, რომ ტრიბუნალმა განსაზღვროს დოკუმენტების წარდგენის ტვირთის გონივრულობა, მან მხედველობაში უნდა მიიღოს მოთხოვნილი დოკუმენტების ოდენობა, მოთხოვნის დრო, დოკუმენტების ხელმისაწვდომობა და შესაძლოა, დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯები.⁶⁴⁴ არბიტრებმა ასევე შესაძლოა მხედველობაში მიიღონ თუ როგორ ხდება დოკუმენტების შენახვა იმ კონკრეტულ ინდუსტრიაში, რომელსაც მხარე წარმოადგენს. სხვა ფაქტორი შეიძლება იყოს, თუ რა სახით/ფორმით არის შენახული მოთხოვნილი მტკიცებულება. ცხადია, რომ იმ ელექტრონული დოკუმენტების წარდგენა, რომლებზეც მხარეს პირდაპირი წვდომა აქვს, ნაკლებად დიდ ტვირთს წარმოადგენს, ვიდრე სხვადასხვა ოფისებში გაბნეული დედანი დოკუმენტების შეგროვება. ტრიბუნალს ასევე შეიძლება სურდეს, გამოარკვიოს თუ რა სახელშეკრულებო თუ სამართლებრივი ვალდებულებები ეკისრებათ მხარეებს დოკუმენტების შენახვასთან დაკავშირებით. მაგალითად, დიდხნიან პროექტებში მხარეებს ხშირად ეკისრებათ ვალდებულება შეინახონ დოკუმენტები.⁶⁴⁵

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირად მოთხოვნები ისეთ ეტაპზეა დაყენებული, რომ ტრიბუნალს არ აქვს სრული სურათი ზემოაღნიშნულ გარემოებებზე. შესაბამისად, არსებობს პრაქტიკა, რომ, როდესაც მოთხოვნილია არაერთი დოკუმენტი, ტრიბუნალს შეუძლია ერთ-ერთ მხარეს მოსთხოვოს ამ დოკუმენტებიდან ერთ-ერთის, როგორც ნიმუშის წარმოდგენა იმისათვის, რომ განსაზღვროს რამდენად მნიშვნელოვანია მოთხოვნილი დოკუმენტების კატეგორია საქმისთვის და ასევე რა ხარჯებთან დროსთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის გამოთხოვა.⁶⁴⁶ მაგალითად საქმეში *Zubulake v UBS Warburg LLC*,⁶⁴⁷ სასამართლომ მხარეს მოსთხოვა კონკრეტული 5 ელექტრონული დოკუმენტის (ფაილის) აღდგენა და წარმოდგენა ნიმუშად. ეს გაკეთდა იმისთვის, რომ შეფასებულიყო ელექტრონული დოკუმენტების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები, სირთულეები და ხარჯები. აღმოჩნდა, რომ ხუთი დოკუმენტის აღდგენაზე მხარემ დახარჯა 19,003.43 აშშ დოლარი და შესაბამისად, დანარჩენი სამოცდათორმეტი დოკუმენტის აღდგენის დაახლოებითი ხარჯები იქნებოდა 273,649.39 აშშ დოლარი.

⁶⁴⁴ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 307-308.

⁶⁴⁵ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 308.

⁶⁴⁶ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 179.

⁶⁴⁷ *Zubulake v UBS Warburg LLC*, 216 F.R.D. 280 (S.D.N.Y. 2003). იხ. აგრეთვე Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 179.

ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ დოკუმენტების წარდგენის ტვირთის შეფასების დროს ტრიბუნალმა მრავალი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს და გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა მიიღოს.

8.6.3.9. დაკარგული ან განადგურებული მტკიცებულებები

კიდევ ერთი საფუძველი, რომლის პროტესტის საფუძველად მითითებაც მხარეს შეუძლია არის ის, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები დაკარგული ან განადგურებულია. აღნიშნული მიდგომა ასახულია IBA-ს წესებშიც⁶⁴⁸ და იგი საფუძველს იღებს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დადგენილი პრაქტიკისგან. კერძოდ, ერთ-ერთი საარბიტრაჟო განხილვის დროს (1926 წელს)⁶⁴⁹ დადგინდა, რომ როდესაც შესაბამისი დოკუმენტები (იმ შემთხვევაში ჩანაწერები) დაკარგული ან განადგურებულია, ტრიბუნალი შეიძლება დაეთანხმოს მხარეს, რომ ეს დოკუმენტები არ იქნეს წარმოდგენილი და მათი წარუდგენლობის გამო მხარის მიმართ არ გამოიყენოს სანქცია.

აღსანიშნავია, რომ IBA-ს წესები უთითებს, რომ უნდა არსებობდეს „გონივრული ალბათობა“,“⁶⁵⁰ რომ დოკუმენტები განადგურებული ან დაკარგულია. როდის ჩაითვლება ეს ე.წ. „გონივრული ალბათობის“ ტესტი დაკმაყოფილებულად, ბუნებრივია, ტრიბუნალის შეფასების საგანია და ხშირად აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევს. შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ტრიბუნალის შეფასებაზე.

მაგალითისთვის, როდესაც სადავო ფაქტის დადგომიდან დავის დაწყებამდე (არბიტრაჟისთვის მიმართვამდე) გასულია საკმაოდ დიდი დრო, დროის გასვლის ბუნებრივი შედეგი შეიძლება იყოს მტკიცებულებების განადგურებაც. ასეთ დროს, ტრიბუნალი შეიძლება დაეთანხმოს პროტესტის დამყენებელ მხარეს და სათანადო დასაბუთების მითითებით ჩათვალოს, რომ მხარემ მოთხოვნილი მტკიცებულებები გაანადგურა ან დაკარგა დროის გასვლის გამო. თუმცა, ტრიბუნალი, ასეთ შემთხვევებში, გარდა დროის ფაქტორისა, უფლებამოსილია მხედველობაში მიიღოს სხვა ფაქტორები, რომლებიც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მხარე მტკიცებულებებს დროის გასვლის მიუხედავად არ გაანადგურებდა ან დაკარგავდა. ასეთი გარემოებებია მაგალითად მხარის მიერ მიღებული შეტყობინება დავის შესახებ, მხარის კომერციული პრაქტიკა ან სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც მას გააჩნდა დოკუმენტების

⁶⁴⁸ IBA--ს წესები, მუხლი 9 (2) (d)

⁶⁴⁹ Walter H. Faulkner (United States of America) v United Mexican States, 2 November 1926, 4 RIAA, p. 69 (1926)

⁶⁵⁰ ინგლისურ ენაზე: „reasonable likelihood“

შენახვასთან დაკავშირებით.⁶⁵¹ მაგალითად, როდესაც ტრიბუნალმა იცის, რომ მხარეს, მისი ბიზნეს სფეროს გათვალისწინებით აქვს კონკრეტული მოთხოვნები კანონმდებლობის მიხედვით გარკვეული ვადით შეინახოს დოკუმენტები, მაშინ დროის ფაქტორის მიუხედავად, ტრიბუნალს შეუძლია გონივრულად ივარაუდოს, რომ მტკიცებულებები განადგურებული ან დაკარგული არ იქნება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მხარემ, რომელიც უთითებს, რომ მას ხელი არ მიუწვდება დოკუმენტებზე, ვინაიდან ისინი განადგურებული ან დაკარგულია, ტრიბუნალს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განმარტებები და მისი პოზიციის დამადასტურებელი ინფორმაცია/მასალები. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრიბუნალი დააკმაყოფილებს მხარის მოთხოვნას დოკუმენტების გამოთხოვაზე და იმ შემთხვევაში თუ მხარე მაინც არ წარმოადგენს დოკუმენტს, ტრიბუნალი უფლებამოსილი იქნება მის მიმართ უარყოფითი ღონისძიებები განახორციელოს.

8.6.3.10. პროცესის ეკონომიურობა, პროპორციულობა, სამართლიანობა ან თანასწორობა

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ფაქტობრივად ყველა საარბიტრაჟო აქტი თუ წესი შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს გააჩნია ფართო დისკრეცია, მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულებების დაშვებასა და მათ შეფასებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში, მხარის პროტესტის შემთხვევაში, ტრიბუნალს შეუძლია უარი თქვას დოკუმენტის გამოთხოვაზე, ზოგად პრინციპებზე მითითებით რათა საარბიტრაჟო პროცესი ეფექტიანად წარმართოს. აღნიშნულმა ზოგადმა პრინციპებმა ასახვა ჰპოვეს IBA-ს წესებშიც,⁶⁵² რომელიც მიუთითებს, რომ ტრიბუნალს შეუძლია მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით არ გამოითხოვოს დოკუმენტი პროცესის ეკონომიურობის, პროპორციულობის, სამართლიანობის ან მხარეთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე. რას გულისხმობს თითოეული ეს საფუძველი, უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე.

პროცესის ეკონომიურობა: დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს პროცესის გონივრულად ეფექტიანად და სათანადოდ წარმართვა, რადგან სწორედ ეფექტიანობა არის საერთაშორისო არბიტრაჟის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა.⁶⁵³ დოკუმენტების წარდგენა ამისთვის განსაზღვრული ვადის გასვლის

⁶⁵¹ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 310-311.

⁶⁵² IBA-ს წესები, მუხლი 9 (2) (g)

⁶⁵³ *ib. JJ-CC Ltd v Transwestern Pipeline Co et al.*, Lexis 7090, pp. 18-19 (Tex. App 1998).

შემდეგ, ან დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნის წარდგენა დაგვიანებით, როგორც წესი, იწვევს პროცესის გაჭიანურებას და ამცირებს პროცესის ეფექტიანობას. გაჭიანურებას იწვევს ის გარემოება, რომ თუ ერთ მხარეს მიეცემა შესაძლებლობა წარადგინოს დოკუმენტი ან გამოითხოვოს იგი, შემდეგ მეორე მხარეს უნდა მიეცეს საშუალება წარადგინოს საპასუხო დოკუმენტები ან პოზიცია დააფიქსიროს მასზე, რაც საბოლოო ჯამში მოითხოვს დამატებით დროს.⁶⁵⁴ ICC-ს ერთ-ერთი ტრიბუნალის განმარტებით, მოპასუხისთვის უფლების მიცემა რომ იგნორირება გაუწიოს განსაზღვრულ პროცედურებს და ითხოვოს დამატებითი მოსმენები არ იქნება სამართლიანი მეორე მხარის მიმართ. ამავე დროს, მხარეს, მის მიერ პროცედურის იგნორირების პირობებში, არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მის მიერ დაგვიანებით წარდგენილი შეგებებული სარჩელი [მტკიცებულებები/მოთხოვნები] დაშვებული იქნება.⁶⁵⁵

შესაბამისად, ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროცესი წარიმართოს სწრაფად და ეფექტიანად და არ დაუშვას პროცესის გაჭიანურება, ხოლო მეორე მხრივ, მხარეს უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს მისი პოზიციისთვის საჭირო დოკუმენტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრიბუნალმა გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა დაიცვას ბალანსი და მხარეს შესაბამისი დასაბუთების გარეშე არ უნდა უთხრას უარი მისი პოზიციისთვის აუცილებელი მტკიცებულების წარდგენა-გამოთხოვაზე.

პროპორციულობა: როგორც უკვე აღინიშნა, ტრიბუნალს შეუძლია უარი თქვას მტკიცებულების გამოთხოვაზე პროპორციულობაზე მითითებით. აღნიშნული საფუძველიც მჭიდრო კავშირშია მხარის ტვირთთან წარმოადგინოს მტკიცებულება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხოვნილი მტკიცებულების წარმოსადგენად გასაწევი ძალისხმევა პროპორციული უნდა იყოს მტკიცებულების რელევანტურობასთან და მის არსებით ხასიათთან.⁶⁵⁶

სამართლიანობა: საარბიტრაჟო განხილვის დროს, სათანადო პროცესის (due process) პრინციპი მოითხოვს, რომ განხილვაში მონაწილე ყველა მხარეს მიეცეს შეტყობინება მონაწილეობა მიიღოს განხილვაში, მათ ტრიბუნალი მოეპყროს თანასწორად და მისცეს შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი პოზიციები.⁶⁵⁷ მტკიცებულებების კონტექსტში კი

⁶⁵⁴ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 328; იხ. აგრეთვე: ICC Case No. 10621, Final Award, ICC Bulletin, Vol. 17, No. 2, 2006.

⁶⁵⁵ ICC Case No. 10621, Final Award, ICC Bulletin, Vol. 17, No. 2, 2006.

⁶⁵⁶ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 331.

⁶⁵⁷ Fortese F. and Hemmi L., Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration, Groningen Journal of International Law, Vol. 3 (1): International Arbitration Procedure, 2015. p. 110. სამართლიანი მოპყრობის

სამართლიანობა გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი არგუმენტი და შესაბამისი მტკიცებულება, რაც, როგორც წესი, მიიღწევა პროცედურული წესების თანასწორად გამოყენების შედეგად.⁶⁵⁸ თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში თანასწორი მოპყრობა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს სამართლიან მოპყრობას, არამედ თავად ტრიბუნალის მიერ მიღებული პროცედურული გადაწყვეტილებები, თუნდაც თანასწორად ეხებოდეს მხარეებს, უნდა იყოს სამართლიანი და არაგონივრულად არ უნდა ზღუდავდეს მხარეთა უფლებას წარადგინონ მათთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები და არგუმენტები.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მხარეები აყენებენ სხვადასხვა მოთხოვნებს ან დაგვიანებით წარადგენენ მტკიცებულებებს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ პროცესის ეფექტიანად წარმართვას და ამით გააჭიანურონ პროცესი ან შექმნან რაიმე საფუძველი, რათა მოგვიანებით, წაგების შემთხვევაში, მოითხოვონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. სამართლიანობის პრინციპი ასეთ შემთხვევაში მოითხოვს ტრიბუნალმა მხარეებს დაუწესოს შეზღუდვები დოკუმენტების გამჟღავნების პროცედურასთან დაკავშირებით.⁶⁵⁹ თუმცა ამგვარი შეზღუდვა უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და საფუძვლიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოგვიანებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს იმ არგუმენტით, რომ მხარეებს არ მიეცათ შესაძლებლობა წარედგინათ მათი პოზიცია ტრიბუნალის წინაშე.

თანასწორობა: მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში ტრიბუნალის უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს. აღიარებულია, რომ რა წესებიც არ უნდა ჰქონდეთ არჩეული მხარეებს, ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს თანასწორობის შენარჩუნება და უნდა უზრუნველყოს, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა წარადგინონ თავიანთი პოზიციები.⁶⁶⁰ თუმცა, თანასწორობის პრინციპი არ უნდა იქნეს განხილული ისე, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს ზუსტად ერთი და იგივე ოდენობის დღე მისი პოზიციის წარსადგენად, ან ზუსტად ერთი და იგივე ოდენობის დრო საკუთარი ზეპირი წარდგინების პრეზენტაციისთვის, არამედ

თაობაზე მსჯელობისთვის იხ. აგრეთვე *Fraport AG Frankfurt Airport Services Worldwide v The Philippines*, ICSID Case No. ARB/03/25, Decision on the Application for Annulment, para. 133 (2010).

⁶⁵⁸ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 331-332.

⁶⁵⁹ O'Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. p. 332.

⁶⁶⁰ ICC Bulletin, 2005 Special Supplement: Document Production in International Arbitration, p. 80.

მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს ზოგადი ბალანსი მხარეებს შორის და თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წარადგინონ მათი პოზიცია.⁶⁶¹

მტკიცებულებების წარდგენის საკითხთან მიმართებით, აღნიშნული ნიშნავს, რომ ტრიბუნალის ვალდებულებაა თითოეულ მხარეს მოეპყრას თანასწორად ისე, რომ უზრუნველყოს მათთვის მტკიცებულებების წარდგენის თანასწორი პროცედურა თანასწორი უფლება-მოვალეობებით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ზოგჯერ ტრიბუნალს სჭირდება, არ მიიღოს ან არ გამოითხოვოს მტკიცებულება, თუ მხარის მიერ დარღვეულია ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული წესები, რომელიც სწორედ თანასწორ მოპყრობას უზრუნველყოს. ტრიბუნალის მსგავსი უარი, ერთი მხარის მიმართ შესაბამისი დასაბუთებით, არ დაარღვევს თანასწორ მოპყრობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ტრიბუნალი ყველა მხარის მიმართ ერთი და იგივე სტანდარტით ხელმძღვანელობდეს, ხოლო შედეგი ამ სტანდარტის გამოყენების შემთხვევაში სხვადასხვა შეიძლება იყოს.⁶⁶²

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, თანასწორობის შესანარჩუნებლად არ არის აუცილებელი ტრიბუნალმა ორივე მხარეს მისცეს ერთი და იგივე ოდენობის მტკიცებულების წარმოდგენის უფლება, ან თუ ერთ მხარეს დაუკმაყოფილებს მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნას, მეორე მხარესაც უპირობოდ დაუკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნა. შესაბამისად, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს საქმის გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება რათა დაცული იყოს მხარეთა შორის თანასწორობა.

9. ტრიბუნალის გადაწყვეტილება მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნასა და საპასუხო პროტესტზე და შედეგები მხარეთათვის

9.1. შესავალი

ზემოთ დეტალურად იყო მიმოხილული ის საკითხები და პროცედურები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მხარეთა მიერ მტკიცებულებების ნებაყოფლობით წარდგენის თუ მეორე მხარისგან მათი გამოთხოვის შუამდგომლობის (განცხადების) წარდგენის დროს. წინამდებარე თავის მიზანს კი წარმოადგენს ტრიბუნალის მიერ მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საკითხებისა და ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების მიმოხილვა და გაანალიზება.

⁶⁶¹ Gaillard E. Savage J.(eds), Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 1999. p. 956.

⁶⁶² ib. O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 337.

აღნიშნული მიზნით, პირველ ქვეთავში საუბარი იქნება ტრიბუნალის ბრძანებაზე მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის თაობაზე, მისი მიღების ფორმასა და პროცედურებზე. მომდევნო ქვეთავში მიმოხილული იქნება მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანების შესრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები. ბოლო ორ ქვეთავში კი მსჯელობა შეეხება მხარის უარს ტრიბუნალის ბრძანების შესრულებაზე და ასეთ შემთხვევაში უარის სამართლებრივ შედეგებს მხარისთვის.

9.2. ტრიბუნალის ბრძანება დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ

არაერთხელ აღინიშნა, რომ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში აღიარებულია ტრიბუნალის დისკრეცია, მხარეებს მოსთხოვოს დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა. ეს დისკრეცია ეფუძნება არბიტრაჟის შესახებ აქტებს, საარბიტრაჟო და რბილი სამართლის წესებს, რომლებშიც მითითებულია ტრიბუნალის ამ უფლებამოსილების შესახებ.⁶⁶³ შეიძლება ითქვას, რომ ტრიბუნალის ვალდებულება ეფექტიანად გადაწყვიტოს საქმე, მოიცავს ამ დისკრეციასაც.⁶⁶⁴ აგრეთვე, ტრიბუნალის ეს უფლება უკავშირდება მის ვალდებულებას, მხარეებს მისცეს შესაძლებლობა სათანადოდ წარადგინონ მათი არგუმენტები.⁶⁶⁵

UNCITRAL-ს მოდელური კანონი მიუთითებს, რომ მხარეთა ნების ავტონომიის და სავალდებულო წესების გათვალისწინებით ტრიბუნალი საარბიტრაჟო პროცესს წარმართავს მისი შეხედულებისამებრ. მათ შორის, ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, განსაზღვროს მტკიცებულებების დასაშვებობა, რელევანტურობა და მათი „მასა“.⁶⁶⁶ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია: ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება; ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს; გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან

⁶⁶³ იხ. Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2332 პროფესორი გარი ბორნი აღნიშნავს, რომ ცნობილი არ არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფს ტრიბუნალის უფლებამოსილებას მხარეებს მოსთხოვოს დოკუმენტების წარდგენა.

⁶⁶⁴ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 186.

⁶⁶⁵ Jagusch S. R., *E-Disclosure in International Arbitration* In: Howell D.J. (ed.), *Electronic Disclosure in International Arbitration*, JurisNet, 2008. p. 45.

⁶⁶⁶ UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 19.

ნივთმტკიცება.“ მსგავსად ამისა, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1467-ე მუხლი ითვალისწინებს ტრიბუნალის უფლებამოსილებას, მოსთხოვოს მხარეს მტკიცებულებების წარმოდგენა.

რაც შეეხება საარბიტრაჟო წესებს, LCIA-ს საარბიტრაჟო წესები,⁶⁶⁷ SCC-ს საარბიტრაჟო წესები,⁶⁶⁸ GIAC-ის საარბიტრაჟო წესები,⁶⁶⁹ ICC-ის საარბიტრაჟო წესები⁶⁷⁰ და აშ. შეიცავს მითითებას, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს მხარეებს მტკიცებულებების წარდგენა. მსგავს ჩანაწერებს ასევე ვხვდებით რბილი სამართლის წესებში, რომლებიც მტკიცებულებების საკითხებს შეეხება.⁶⁷¹

თუმცა, ტრიბუნალის მითითებული დისკრეცია გარკვეული პროცედურების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. IBA-ს წესების 3 (2) მუხლის მიხედვით, მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა მხარემ უნდა წარადგინოს ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში. თუ ტრიბუნალის მიერ ამგვარი ვადა არ ყოფილა განსაზღვრული და მხარე წარადგენს მოთხოვნას, ტრიბუნალს შეუძლია მეორე მხარეს დაუწესოს ვადა პროტესტის ანდა დოკუმენტების წარსადგენად. ამასთან, IBA-ს წესების 3 (4) მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია, ნებაყოფლობით წარადგინოს მხარის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებები ან დააყენოს პროტესტი ტრიბუნალის წინაშე.⁶⁷² მსგავსი მიდგომა ლოგიკური და ეფექტიანიცაა, რადგან შესაძლოა მოთხოვნის დაყენების შემდეგ, მოთხოვნის ადრესატმა მხარემ ნებაყოფლობით წარადგინოს ყველა ის მტკიცებულება, რომლის გამოთხოვაც მოთხოვნილია და შესაბამისად, ტრიბუნალის ჩართულობა აღარ გახდეს საჭირო.

IBA-ს წესების 3(7) მუხლის მიხედვით, ტრიბუნალს დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის და მეორე მხარის პროტესტის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება. უფრო კონკრეტულად კი, აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ ტრიბუნალი „უფლებამოსილია“⁶⁷³ მხარეს უბრძანოს დოკუმენტების წარმოდგენა, თუ გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა წარდგენილია პროცედურული თუ მატერიალური წინაპირობების⁶⁷⁴ დაცვით და მოთხოვნის ადრესატის პროტესტი უსაფუძვლოა. ამ შემთხვევაში სიტყვა

⁶⁶⁷ LCIA-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 22.1 (v).

⁶⁶⁸ SCC-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 31.

⁶⁶⁹ GIAC-ის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 29.

⁶⁷⁰ ICC-ს საარბიტრაჟო წესები, მუხლი 25.4.

⁶⁷¹ IBA-ს წესები, მუხლი 3.7; პრადის წესები, მუხლი 3.

⁶⁷² იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 187.

⁶⁷³ ინგლისურ ენაზე გამოყენებულია სიტყვა „may“.

⁶⁷⁴ აღნიშნული წინაპირობები დეტალურადაა მომოხილული წინამდებარე ნაშრომის მე-8 თავში.

„უფლებამოსილია“-ს გამოყენება მიუთითებს ტრიბუნალის ფართო დისკრეციაზე, რომელიც მას მტკიცებულებების შეგროვების პროცესში გააჩნია.⁶⁷⁵

შესაძლოა დაისვას კითხვა, ტრიბუნალმა მხოლოდ გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა მიიღოს ბრძანება, თუ ასევე ისეთ დროს, როდესაც ის გაიზიარებს მეორე მხარის პროტესტს და მოთხოვნის დამყენებელ მხარეს უარს ეტყვის მის დაკმაყოფილებაზე? IBA-ს კომენტარში ვკითხულობთ, რომ ტრიბუნალმა „უნდა“⁶⁷⁶ მიიღოს გადაწყვეტილება მოთხოვნის შესახებ,⁶⁷⁷ რაც განიმარტება ისე, რომ ტრიბუნალმა ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება (მოთხოვნის დაკმაყოფილების თუ მასზე უარის თქმის შესახებ) და შესაბამისი მოტივაცია უნდა ასახოს შესაბამის გადაწყვეტილებაში.⁶⁷⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში თუ მხარე არ აყენებს პროტესტს, მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორი მოპყრობის პრინციპებიდან გამომდინარე, მართებულად არ უნდა ჩაითვალოს ტრიბუნალის ჩარევა მოთხოვნის დაყენებაში, მოთხოვნაზე პირდაპირ უარის თქმაში ან მის შეცვლაში.⁶⁷⁹

მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, როგორც წესი, ატარებს პროცედურული დადგენილების (ბრძანების) სახეს.⁶⁸⁰ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის კანონები და საარბიტრაჟო წესები უმეტესად სდუმან იმის შესახებ, თუ რა პროცედურულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ტრიბუნალის ბრძანება, რეკომენდებულია, რომ ამგვარი ბრძანება მიღებული იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს დასაბუთებას. ბრძანება შესაძლოა დაწერილი იყოს ცალკე დოკუმენტად, სახელწოდებით „პროცედურული ბრძანება No. X“ ან თუ ტრიბუნალის და მხარეების მიერ მანამდე გამოყენებული იყო ე.წ. რედფერნის ცხრილი, ტრიბუნალის გადაწყვეტილება კონკრეტულ მტკიცებულებებზე შესაძლოა ჩაწერილ იქნეს ამავე ცხრილში, თუმცა ცალკე სვეტში.⁶⁸¹ ტრიბუნალის მიერ

⁶⁷⁵ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 189.

⁶⁷⁶ ინგლისურ ენაზე გამოყენებულია სიტყვა must.

⁶⁷⁷ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 10.

⁶⁷⁸ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 189

⁶⁷⁹ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 189.

⁶⁸⁰ ob. Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. p. 185.

⁶⁸¹ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 190.

მისი გადაწყვეტილების დასაბუთება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ნიუ იორკის კონვენციის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველია, როდესაც მხარეს არ მიეცა საშუალება წარედგინა მისი არგუმენტები ტრიბუნალის წინაშე.⁶⁸² ტრიბუნალის მიერ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება წერილობითი ფორმით, ნათელს გახდის თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით თქვა ტრიბუნალმა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან პირიქით, დააკმაყოფილა მოთხოვნა, რაც ცნობა-აღსრულების პროცესის დროს სასამართლოებს საქმეს გაუადვილებს, ხოლო მხარისთვის უფრო რთულს გახდის იმის მტკიცებას, რომ მას ტრიბუნალმა დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ წაართვა საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.

ბუნებრივია, ტრიბუნალს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მოთხოვნა ან მთლიანად უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე. პროფესორი გარი ბორნი მიუთითებს, რომ ტრიბუნალს აგრეთვე შეუძლია ბრძანოს დოკუმენტების არა მეორე მხარისთვის გადაცემა, არამედ მისი დათვალიერება მომთხოვნის მხარის მიერ კონკრეტულ ადგილზე ისე, რომ მას არ გადაეცეს ამ დოკუმენტების ასლები.⁶⁸³ აგრეთვე, აღიარებულია, რომ თავისი დისკრეციის ფარგლებში, ტრიბუნალს შეუძლია მხარეს მოთხოვნის მოდიფიკაცია მოსთხოვოს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, ტრიბუნალმა დაავიწროვა მხარის მოთხოვნა და მეორე მხარეს უბრძანა წარმოედგინა მოთხოვნილი დოკუმენტების მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო ვერსიები.⁶⁸⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებების თაობაზე ტრიბუნალის ბრძანება არ შეიძლება ცალკე გასაჩივრდეს, არამედ იგი შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის კონტექსტში.⁶⁸⁵

ასევე, ზოგჯერ ტრიბუნალს არ შეუძლია გადაწყვიტოს მოთხოვნა და მეორე მხარის პროტესტი დოკუმენტების გაცნობის გარეშე, თუმცა შესაძლებელია, ისეთ შემთხვევასთან გვექონდეს საქმე, როდესაც ამ დოკუმენტების ნახვა ტრიბუნალის მიერ არ არის მიზანშეწონილი (მაგ. მხარე ამტკიცებს, რომ ისინი კონფიდენციალურია). მსგავსი შემთხვევებისთვის IBA-ს წესები განსაზღვრავს განსხვავებულ მოწესრიგებას და

⁶⁸² ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი V 1 (b).

⁶⁸³ იხ. Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2388.

⁶⁸⁴ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 191.

⁶⁸⁵ იხ. Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2190 აღნიშნულ თემაზე საპირისპირო მოსაზრების შესახებ იხ. Waincymer J., *Procedure and Evidence in International Arbitration*, Kluwer Law International, 2012. p. 871.

ტრიბუნალს აძლევს უფლებას მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც მიმოიხილავს დოკუმენტებს და ტრიბუნალს მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას. მაგალითად ექსპერტი ტრიბუნალს მოახსენებს არის თუ არა დოკუმენტები კონფიდენციალური. აღნიშნულის შემდეგ ტრიბუნალს შეეძლება მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნის თაობაზე.⁶⁸⁶ აუცილებელია აღინიშნოს, რომ IBA-ს წესების თანახმად, ტრიბუნალს ექსპერტის დანიშვნა მხოლოდ მხარეებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ შეუძლია. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ტრიბუნალმა უნდა მოისმინოს მხარეთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ის იღებს დამოუკიდებლად.

ამასთან, IBA-ს წესები ტრიბუნალის მიერ არჩეულ ექსპერტს უყენებს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პირობას, რაც პირველ რიგში გულისხმობს, რომ ექსპერტი არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე მხარესთან.⁶⁸⁷ როგორც წესი, ასეთ დროს ექსპერტები ხელს აწერენ მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის შესახებ განცხადებას, სადაც ადასტურებენ, რომ მათ არ აქვთ დაინტერესება ან სხვაგვარი ინტერესთა კონფლიქტი რომელიმე მხარის სასარგებლოდ.

აგრეთვე, ცხადია, რომ ექსპერტის მანდატი შეზღუდულია და მას არ შეუძლია ტრიბუნალს წარუდგინოს მისი მოსაზრება მტკიცებულებების რელევანტურობის ან მათი „მასის“ (მნიშვნელობის) შესახებ.⁶⁸⁸ არამედ, ექსპერტი ამზადებს დასკვნა, სადაც ასახულია მისი რეკომენდაციები და მოსაზრებები კონკრეტულ საკითხზე, ისე, რომ იგი არ ეხება დოკუმენტების შინაარსს.⁶⁸⁹ მაგალითად, ექსპერტი აფასებს კონფიდენციალურია თუ არა ესა თუ ის დოკუმენტი ისე, რომ არ მიმოიხილავს დოკუმენტის შინაარსობრივ მხარეს.

ბოლო დროს გაზიარებულია მოსაზრება, რომ ტრიბუნალის მდივანი შესაძლოა ჩაითვალოს იმ მიუკერძოებელ მხარედ, რომელსაც შეუძლია იყოს ექსპერტი.⁶⁹⁰ მდივანი შებოჭილია კონფიდენციალურობით მხარეების და ტრიბუნალის მიმართ და შესაბამისად, ამ მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იზოგება დრო და ხარჯები, რადგან მდივანმა უკვე იცის საქმის ფაქტები. მეორე მხრივ, იმ საკითხის განხილვა, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის დოკუმენტი პრივილეგირებულს და

⁶⁸⁶ იხ. IBA-ს წესები, მუხლი 3.8. იხ. აგრეთვე Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 11. იხ. Eli Lilly and Company v Government of Canada, Case No. UNCT/14/2, Procedural Order No. 1, §3.81 (2014)

⁶⁸⁷ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 67.

⁶⁸⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 193.

⁶⁸⁹ O'Malley N. D., Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide, Second Edition, 2019. p. 68.

⁶⁹⁰ Haller H., Protection of Business Secrets by Way of Protective Orders, Zeitschrift für Schiedsverfahren, 2013. p. 140.

კონფიდენციალურს, ხშირად მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, რაც შესაძლოა მდივანს არ ჰქონდეს. გარდა ამისა, მხარეებს შესაძლოა გაუჩნდეთ ეჭვი, რომ მიუხედავად ამ უფლების შეზღუდვისა, მდივანი მაინც მიაწოდებს გარკვეულ ინფორმაციას ტრიბუნალს იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებსაც ის გაეცნო.⁶⁹¹

უნდა აღინიშნოს, რომ მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს ტრიბუნალის მიერ არჩეულ ექსპერტთან. მხარის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ტრიბუნალს შეუძლია მის წინააღმდეგ მიიღოს უარყოფითი ზომები შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

ამასთან, IBA-ს წესების კომენტარების თანახმად, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ექსპერტის დანიშვნა მიზანშეწონილი არ არის და იწვევს პროცესის გაჭიანურებას, ტრიბუნალს შეუძლია თავად დაათვალიეროს დოკუმენტები და განსაზღვროს არის თუ არა ისინი კონფიდენციალური და შესაბამისად, უნდა იქნას თუ არა ისინი წარდგენილი მხარის მიერ.⁶⁹² თუმცა, მსგავსი უფლებამოსილების გამოყენება ტრიბუნალის მიერ პრობლემური შეიძლება იყოს, რადგან თუ ტრიბუნალი დაადგენს რომ დოკუმენტები კონფიდენციალური და შესაბამისად პრივილეგირებულია და ისინი არ უნდა იქნას წარდგენილი განხილვის ფარგლებში, ბუნებრივია მას არ შეუძლია უკან წაიღოს მის მიერ ამ დოკუმენტების ნახვის ფაქტი და ამან შესაძლოა მანიც მოახდინოს გავლენა (ქვეცნობიერად მაინც) ტრიბუნალის შინაგან რწმენასა და შესაბამისად, გადაწყვეტილებაზე.⁶⁹³

კიდევ ერთი მიდგომა შეიძლება იყოს, რომ ამ საკითხის განხილვა დაევალოს მხარეთა წარმომადგენლებს (ადვოკატებს) ერთობლივად. ასეთ დროს ისინი შეიკრიბებიან და იმსჯელებენ უნდა ჩაითვალოს თუ არა ესა თუ ის დოკუმენტი კონფიდენციალურად. თუმცა, ამ მიდგომას ასევე აქვს პრობლემა, ვინაიდან, ადვოკატები მიუკერძოებლები არ არიან და ამ პროცესში მათ მიუკერძოებლობას ვერც მოვთხოვთ. შესაბამისად, მიუხედავად აკრძალვისა გაცნობილი დოკუმენტები სხვა ფორმით შეიძლება გამოიყენონ თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად.⁶⁹⁴

⁶⁹¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 194.

⁶⁹² Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, p. 11.

⁶⁹³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 194.

⁶⁹⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 195. იხ. აგრეთვე Derains Y., Evidence and Confidentiality, In: ICC Publication

9.3. მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანების შესრულება და მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა

მხარის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა მეორე მხარის მიერ შესაძლოა განხორციელდეს ნებაყოფლობით ან ტრიბუნალის მიერ მიღებული ბრძანების შემდეგ. როდესაც დოკუმენტების წარდგენა ხდება ტრიბუნალის მიერ გაცემული ბრძანების შემდეგ, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ტრიბუნალის ბრძანებაშივეა გაწერილი თუ რა ფორმით და პროცედურით უნდა მოხდეს მათი წარდგენა.⁶⁹⁵

პირველი საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოიშობა, არის თუ ვის უნდა წარედგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები. IBA-ს წესების 3.4 მუხლი მიუთითებს, რომ მხარემ, რომელსაც ეს მოთხოვნა წარედგინება, მეორე მხარეს, და თუ ამას ტრიბუნალი უბრძანებს, ტრიბუნალსაც უნდა წარუდგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები. შესაბამისად, ნათელია, რომ IBA-ს წესები ითვალისწინებს გამოთხოვილი დოკუმენტების პირველ რიგში მეორე მხარისთვის წარდგენას. აღნიშნული მიდგომა IBA-ს ოფიციალურ კომენტარებში ახსნილია შემდეგი მიზეზით, რომ ზოგჯერ ეფექტიანი არ არის, ტრიბუნალმა ყველა გამოთხოვილი დოკუმენტი მათი წარდგენისთანავე განიხილოს და დეტალურად გაეცნოს მათ.⁶⁹⁶ IBA-ს წესების ამგვარი მიდგომა ლოგიკურიცაა, ვინაიდან როდესაც დოკუმენტები წარედგინება მომთხოვნ მხარეს, შესაძლოა მასში არ აღმოჩნდეს ის ინფორმაცია, რომელსაც ეს მხარე ელოდა და აღარ მოისურვოს ამ დოკუმენტის წარდგენა ტრიბუნალის წინაშე. შესაბამისად, ამგვარი დოკუმენტებით არ გადაიტვირთება საქმე.

გარდა ამისა, საინტერესოა თუ რა ფორმით უნდა იყოს წარდგენილი გამოთხოვილი დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ტრიბუნალის მიერ გამოცემული ბრძანება მტკიცებულების წარდგენის თაობაზე შეიცავდეს რეგულირებას იმ საკითხზე თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ამ დოკუმენტების წარდგენა. თუმცა თუ ტრიბუნალის მიერ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად არ იქნება დარეგულირებული, მაშინ შესაძლოა გამოყენებული იყოს რბილი სამართლის წესები (მაგ. IBA-ს წესები).

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დოკუმენტების ფორმასთან დაკავშირებით წარმოიშობა, არის დოკუმენტის ორიგინალის ან ასლის წარდგენის საკითხი. საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში, როგორც წესი, მიღებულია დოკუმენტების

Confidentiality in Arbitration: Commentaries on Rules, Statutes, Case Law and Practice, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, 2009. pp. 63-64.

⁶⁹⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 196.

⁶⁹⁶ Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. p. 10.

ასლების წარდგენა. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს IBA წესების 3.12 მუხლი, რომლის თანახმადაც, გარდა მხარეების მიერ სხვაგვარად შეთანხმებისა, ტრიბუნალს წარედგინება დოკუმენტის ასლები. დოკუმენტის დედნის წარდგენის საჭიროება შესაძლოა გახდეს იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა ეჭვი ასლის ორიგინალთან შესაბამისობის (მისი ავთენტიკურობის) თაობაზე. ასეთ დროს, ტრიბუნალს შეუძლია მხარეს მოსთხოვოს დედნის წარმოდგენა რათა შეამოწმოს იგი. გარდა ამისა, დოკუმენტი შესაძლოა წარდგენილი იყოს სკანირებული ასლის სახით, რომელიც მოთავსებული იქნება ინფორმაციის მატარებელ ელექტრონულ საშუალებაზე (მაგ. კომპაქტ დისკზე, მეხსიერების ბარათზე და ა.შ).

მეორე საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია დოკუმენტის ფორმასთან დაკავშირებით, არის ენა. ზოგადად აღიარებულია, რომ დოკუმენტები ტრიბუნალს უნდა წარედგინოს იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის ენას. სწორედ ამიტომ IBA-ს წესების 3.12 (d) მუხლი მიუთითებს, რომ თუ დოკუმენტი წარდგენილია საარბიტრაჟო განხილვის ენისგან განსხვავებულ ენაზე, მაშინ მას თან უნდა ახლდეს შესაბამისი თარგმანიც. თუმცა აღსანიშნავია, რომ მხარეები და ტრიბუნალი შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ დასაშვებია იყოს სხვა ენაზე დოკუმენტების წარდგენა. თუ ამგვარი შეთანხმება არ არსებობს და მხარე ტრიბუნალს დოკუმენტებს წარუდგენს სხვა ენაზე, ტრიბუნალს შეუძლია მხარეს მსგავსი ქმედება გამოთხოვილი დოკუმენტების წარუდგენლობა ჩაუთვალოს და შესაბამისი ზომები მიიღოს.⁶⁹⁷

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი ფორმასთან დაკავშირებით არის, სრულად უნდა იქნას თუ არა წარდგენილი ესა თუ ის დოკუმენტი, თუ დოკუმენტის ნაწილის ან ამონარიდის წარდგენა საკმარისია? მიღებულია, რომ თუ პროცედურული ბრძანება პირდაპირ არ შეიცავს მითითებას, რომ დოკუმენტიდან ამონარიდის წარდგენა შესაძლებელია, მაშინ დოკუმენტი სრულად უნდა იქნეს წარდგენილი. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ ამონარიდის წარდგენის დროს შესაძლოა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყოს წარდგენილი. ამასთან, შეიძლება მოხდეს ამონარიდის არასწორად ინტერპრეტირება და კონტექსტიდან ამოგლეჯილად წაკითხვა. თუმცა დოკუმენტი ნაწილობრივ შეიძლება იყოს წარდგენილი როდესაც ადვილი განსასაზღვრია თუ რომელი ნაწილი არის საქმისთვის რელევანტური და საჭირო არ არის მთელი დოკუმენტების კონტექსტში წაკითხვა. მაგალითად, თუ დოკუმენტი შეიცავს ცხრილებს კომპანიის ოპერაციების შესახებ და მხოლოდ ერთი მათგანი არის საქმისთვის მნიშვნელოვანი.⁶⁹⁸

⁶⁹⁷ აღნიშნული ზომები განხილული იქნება მომდევნო ქვეთავებში.

⁶⁹⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 199.

წარდგენის პროცედურა განსხვავებულია ელექტრონული დოკუმენტების შემთხვევაში. IBA-ს წესების 3.12 (b) მუხლის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტების წარდგენა უნდა მოხდეს წარმდგენი მხარისთვის ყველაზე მოსახერხებელი და ეკონომიური გზით და ამავე დროს ისე, რომ გონივრულად გამოსაყენებელი იყოს მიმღებისთვის. მსგავს ჩანაწერს შეიცავს ასევე CIArb-ის პროტოკოლი⁶⁹⁹ და ICDR-ის გზამკვლევი.⁷⁰⁰ მიწოდების რა ხერხი ჩაითვლება მხარისთვის ყველაზე მოსახერხებლად, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე. მაგალითისთვის, ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება წარდგენილ იყოს: (1) მოთავსებული DVD დისკზე ან მეხსიერების ბარათზე ან ატვირთული რაიმე ბაზაში; (2) ამობეჭდილი; (3) გადაყვანილი იყოს pdf ფორმატის ან მსგავსი ტიპის ფაილში.⁷⁰¹ თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ელექტრონული დოკუმენტების ე.წ. მეტადატა.⁷⁰² ასეთ შემთხვევაში ელექტრონული დოკუმენტი ისე უნდა იქნას წარდგენილი, რომ მხარეებს და ტრიბუნალს ასევე წვდომა ჰქონდეთ შესაბამის მეტადატაზე. თუმცა, ელექტრონული დოკუმენტის ე.წ. მეტადატასთან ერთად წარდგენა ყოველთვის აუცილებელი არ არის, რადგან მეტადატა არ წარმოადგენს დოკუმენტის გამომთხოვი მხარის ინტერესს ანდა იგი არ არის აუცილებელი კონკრეტული ელექტრონული დოკუმენტის გასახსნელად და გასაცნობად. მაგალითისთვის, CIArb-ის პროტოკოლი მიუთითებს, რომ ზოგიერთი ელექტრონული დოკუმენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მეტადატას წარდგენა მოითხოვს, რომ მომთხოვნმა მხარემ ტრიბუნალს დაუსაბუთოს, რომ მისი საქმეში არსებობის საჭიროება გადაწონის მისი წარდგენის სირთულეს. თუმცა, იქვე მითითებულია, რომ ზოგიერთი დოკუმენტი ისეთი ბუნებისაა, რომ მისი წარდგენა ავტომატურად გულისხმობს მეტადატას წარდგენასაც (რადგან მეტადატას გარეშე მისი გახსნა და გაცნობა შეუძლებელი იქნება).⁷⁰³ მაგალითისთვის, შესაძლოა ტრიბუნალის წინაშე მნიშვნელოვან სადავო საკითხს წარმოადგენდეს მიუვიდა თუ არა მხარეს ელ.ფოსტა (მაგ. ოფერტის და აქცეპტის სადავობის შემთხვევაში) და მხარისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენდეს ელ. ფოსტა, რომელიც გაიგზავნა მხარესთან. ელ.ფოსტის ამობეჭდილი ასლის სახით წარდგენა ასეთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება საკმარისად, არამედ ელ. ფოსტა წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, რაც ავტომატურად მოიცავს მეტადატას წარდგენასაც. მეტადატა კი ტრიბუნალს და მხარეს მიაწვდის ინფორმაციას თუ როდის განთავსდა ელ.ფოსტა პირის სერვერზე, როდის მოხდა მისი გახსნა და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში ელ.ფოსტის მხოლოდ

⁶⁹⁹ CIArb პროტოკოლი, პარაგრაფი 8.

⁷⁰⁰ ICDR-ის გზამკვლევი, პარაგრაფი 4.

⁷⁰¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 200.

⁷⁰² მაგალითად დოკუმენტის შექმნის და მასში ცვლილებების შეტანის თარიღები.

⁷⁰³ CIArb-ის პროტოკოლი, პარაგრაფი 9.

ელექტრონული ფორმით, მეტადატასთან ერთად წარდგენა ჩაითვლება ვარგის წარდგენად.

ელექტრონული დოკუმენტების შემთხვევაში, გამოთქმულია მოსაზრება,⁷⁰⁴ რომ ყველაზე ეკონომიურ და ეფექტიან წარდგენად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც მხარე დოკუმენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუზიარებს მეორე მხარეს ან ატვირთავს ვირტუალურ ბაზაში და მხარეს (და ტრიბუნალს) გადასცემს ამ ბაზასთან წვდომის მონაცემებს. თუმცა, შესაძლებელია ყველაზე მოსახერხებელი გზად მაინც დოკუმენტების DVD დისკზე განთავსება და დისკის მხარისთვის (და ტრიბუნალისთვის) მიწოდება იქნეს მიჩნეული. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დოკუმენტების წარდგენის ფორმის განსაზღვრა, მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, ტრიბუნალს შეუძლია კონკრეტული საქმის გარემოებების და საჭიროებების მხედველობაში მიღებით.

ზემოთ აღინიშნა, რომ დოკუმენტი, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იყოს სრულად, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც კონფიდენციალურობის საფუძველით შესაძლოა მოხდეს ამ წესისგან გადახვევა. კერძოდ, IBA-ს წესები დოკუმენტების მხოლოდ სრულად წარდგენის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა საარბიტრაჟო აქტებსა და წესებში მოცემული ტრიბუნალის ფართო დისკრეციის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ტრიბუნალმა შესაძლოა კონფიდენციალურობის მიზეზით, მისცეს მხარეს უფლება მოახდინოს დოკუმენტის რედაქტირება და დაფაროს გარკვეული კონფიდენციალური ინფორმაცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის რედაქტირება და გარკვეული ნაწილის დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ეს ნაწილები საქმისთვის არარელევანტურია.⁷⁰⁵ ერთ-ერთ საქმეზე ტრიბუნალმა განმარტა, რომ ნებისმიერ მხარე უფლებამოსილია დაარედაქტიროს არარელევანტური ინფორმაცია, რომელიც კონფიდენციალური ან სენსიტიური ბუნებისაა, ისევე როგორც პრივილეგირებული ინფორმაცია. თუ დოკუმენტი რედაქტირებულია, მასში, როგორც ეს შესაძლებელი იქნება, არ უნდა იყოს რედაქტირებული ინფორმაცია, რომელიც მკითხველს აწვდის მონაცემებს ავტორის, მიმღების, დოკუმენტის ტიპის და თარიღის შესახებ. ამგვარი ინფორმაციის რედაქტირების შემთხვევაში, ამის გამკეთებელმა მხარემ მეორე მხარეს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რათა ამ უკანასკნელმა შეამოწმოს რედაქტირების საფუძველი.⁷⁰⁶ თუმცა, დოკუმენტის რედაქტირება და მასში გარკვეული

⁷⁰⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 201.

⁷⁰⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 203.

⁷⁰⁶ Hamilton V., Document Production in ICC Arbitration, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006. p. 77.

ინფორმაციის დაფარვა მაინც ატარებს გარკვეულად წინააღმდეგობრივ ხასიათს, ვინაიდან შესაძლოა დოკუმენტის ამგვარი ფორმით წარდგენა მხარეებს შორის ახალი დავის საფუძველი გახდეს.⁷⁰⁷

კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად შეიძლება იქნეს გამოყენებული, არის ტრიბუნალის ბრძანების შესაბამისად დოკუმენტების წარდგენა მხოლოდ ტრიბუნალისთვის, თუმცა ამგვარი მიდგომა არ შეიძლება იყოს გაზიარებული, რადგან საერთაშორისო არბიტრაჟში აღიარებული მიდგომაა, რომ საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში ტრიბუნალისთვის წარდგენილი ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი ასევე უნდა გადაეცეს მხარეებს.⁷⁰⁸

საარბიტრაჟო პრაქტიკა ასევე აჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მხარეებს შესაძლოა მიეცეთ უფლება, (კონფიდენციალური) დოკუმენტები წარუდგინონ მხოლოდ და მხოლოდ მეორე მხარის ადვოკატს. მაგალითისთვის, ICC-ს ერთ-ერთ საქმეში ტრიბუნალმა ბრძანებაში მიუთითა, რომ მხარეს შეეძლო წარდგენილი მასალებიდან შესაბამისი დოკუმენტები მოენიშნა და დაეწერა მათზე „კონფიდენციალური“ ან „მხოლოდ ადვოკატის საყურადღებოდ“.⁷⁰⁹ სხვა საქმეში კი ტრიბუნალმა განსაზღვრა, რომ შესაძლებელი იყო დოკუმენტი მიწოდებოდა მეორე მხარის ადვოკატთა გუნდს და მხარის მიერ განსაზღვრულ ექსპერტს.⁷¹⁰

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალური დოკუმენტების წარდგენის ფორმასთან დაკავშირებით ყველაზე ლოგიკური და მისაღები გადაწყვეტა არის ის, რომ დოკუმენტი წარდგენილი იყოს სრული ფორმით, თუმცა ტრიბუნალმა კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად მიიღოს ე.წ. „დამცავი ბრძანება“.⁷¹¹ ე.წ. „დამცავი ბრძანებით“ ტრიბუნალს შეუძლია საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეები დაავალდებულოს კონფიდენციალურად შეინახონ და არ გაამჟღავნონ საარბიტრაჟო განხილვის დროს მათთვის მიწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტები. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ ამგვარი ბრძანების გამოცემის უფლებამოსილებას პირდაპირ ითვალისწინებს ICC-ს წესები, რომლის 22 (3) მუხლის თანახმად, ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მიიღოს ბრძანება

⁷⁰⁷ Van Houtte H., The Use of an Expert to Handle Document Production: IBA Rules on the Taking of Evidence (Art. 3(7)), In: Albert Jan van den Berg, (ed.) International Arbitration 2006: Back to Basics?, ICCA Congress Series, Vol. 13, Kluwer Law International, 2007. p. 624.

⁷⁰⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 207-208.

⁷⁰⁹ Hamilton V., Document Production in ICC Arbitration, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006. p. 78.

⁷¹⁰ Hamilton V., Document Production in ICC Arbitration, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006. p. 78.

⁷¹¹ ინგლისურ ენაზე „Protective Order“.

საარბიტრაჟო განხილვის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით ან მიიღოს ნებისმიერი სათანადო ზომა სავაჭრო საიდუმლოების ან კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად. მსგავსი შინაარსის მუხლს შეიცავს ასევე ICDR-ის საარბიტრაჟო წესების 24 (5) მუხლი. ამასთან, IBA-ს წესების 9 (5) მუხლის მიხედვით, ტრიბუნალი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტების წარდგენის დროს, კონფიდენციალურობის სათანადო დაცვის შესახებ. ასევე IBA-ს წესების 3 (13) მუხლის თანახმად, ტრიბუნალს შეუძლია გამოსცეს ბრძანება, რომელშიც განსაზღვრული იქნება კონფიდენციალურობის პირობები დოკუმენტებისთვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლოა დაისვას კითხვა, თუ რატომ არის საჭირო ამგვარი ე.წ. „დამცავი ბრძანების“ მიღება მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო განხილვები, როგორც წესი კონფიდენციალურია. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, თავად განხილვა იყოს კონფიდენციალური, მაინც რეკომენდირებულია ე.წ. „დამცავი ბრძანების“ მიღება, რომელიც მხარეებს უშუალოდ და პირდაპირ დაავალდებულებს დაიცვან არა მხოლოდ კონფიდენციალურობის პრინციპი ზოგადად, არამედ არ გაამჟღავნონ ან სხვაგვარად გამოიყენონ მეორე მხარისგან მიღებული დოკუმენტები.⁷¹² ამგვარი კონკრეტული ბრძანების არსებობა მხარეებს კონფიდენციალურობის მეტ განცდას გაუჩენს და ასევე, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებული მხარისთვის დამატებითი მტკიცებულებისა და არგუმენტის სახეს მიიღებს.

9.4. მხარის უარი დოკუმენტების წარდგენის შესახებ ტრიბუნალის ბრძანების შესრულებაზე მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენაზე

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, საარბიტრაჟო კანონმდებლობით, წესებით და რბილი სამართლის ნორმებით ერთხმად აღიარებულია, რომ ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, რაც ასევე მოიცავს აღნიშნულ საკითხზე დადგენილებების/ბრძანებების გამოცემის უფლებამოსილებასაც. ამ საკითხზე მომუშავე ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოცემული დადგენილებები/ბრძანებები მხარეთათვის მბოჭავი და შესასრულებლად სავალდებულოა, ვინაიდან სწორედ ამ მხარეებმა მათივე დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებით მიანიჭეს ტრიბუნალს საარბიტრაჟო განხილვის გამართვის უფლებამოსილება, რაც თავის მხრივ მოიცავს არბიტრების უფლებამოსილებას გამოსცენ პროცედურული გადაწყვეტილებები.⁷¹³

⁷¹² Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 205-206.

⁷¹³ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2393; იხ. აგრეთვე. Nilsson B. G. H., *Negative Inferences: An Arbitral Tribunal's Powers to Draw Adverse Conclusions from a*

აგრეთვე, შეიძლება ითქვას, რომ მხარის ვალდებულება შეასრულოს ტრიბუნალის დადგენილებები/ბრძანებები, ნაწილია მისი ვალდებულებისა საარბიტრაჟო განხილვის დროს იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.⁷¹⁴

მხარის ეს ვალდებულება ასევე ასახულია ზოგიერთი საარბიტრაჟო ინსტიტუციის წესებსა და რბილ სამართლის ნორმებში. კერძოდ, შვეიცარიის საარბიტრაჟო წესების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მხარეები ვალდებულებას იღებენ, დაემორჩილონ ტრიბუნალის მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებას და ბრძანებას. ანალოგიურ მითითებას შეიცავს ICC -ს წესების 22-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

გარდა ამისა, მხარეთა წარმომადგენლობის შესახებ IBA-ს გზამკვლევში მითითებულია, რომ მხარის წარმომადგენლებმა (ადვოკატებმა) არ უნდა ურჩიონ მხარეებს დამალონ დოკუმენტები, რომელთა წარდგენასაც მათ ტრიბუნალი სთხოვთ, არამედ მათ მხარეებს უნდა აუხსნან, რომ ისინი ვალდებულნი არიან წარადგინონ ტრიბუნალის ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტები და დამატებით განუმარტონ წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები.⁷¹⁵

მიუხედავად ზემოაღნიშნული ცხადი ვალდებულებისა, არის შემთხვევები, როდესაც მხარეები სხვადასხვა მიზეზით უარს აცხადებენ ტრიბუნალის ბრძანების/დადგენილების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, ტრიბუნალის ბრძანება შეუსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს თუ მხარე საერთოდ არ წარადგენს გამოთხოვილ მტკიცებულებას, ან თუ იგი ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ვადის დარღვევით, დაგვიანებით წარადგენს დოკუმენტებს ან თუ იგი არასრულად წარადგენს მათ.⁷¹⁶

მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს გააჩნიათ ნაკლები ბერკეტი დამრღვევი მხარის მიმართ.⁷¹⁷ თუმცა, საარბიტრაჟო ტრიბუნალს გააჩნია გარკვეული იძულების საშუალებები. კერძოდ, მას შეუძლია მიიღოს

Party's Failure to Comply with the Tribunal's 287 Orders", In: Kaj Hobér and Annette Magnusson et al. (eds.), *Between East and West: Essays in Honour of Ulf Franke*, JurisNet, 2010. p. 355.

⁷¹⁴ Hamilton V., *Document Production in ICC Arbitration*, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006. p. 81.

⁷¹⁵ IBA Guidelines on Party Representation in International Arbitration 2013, გზამკვლევები 14 და 16.

⁷¹⁶ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 211-212.

⁷¹⁷ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2390. მაგ. მოითხოვოს მხარისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება. იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 381-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულადაა გამოცხადებული ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა და აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

კონკრეტული გადაწყვეტილებები მხარის მიმართ და უკიდურეს შემთხვევაში ასევე მიმართოს ეროვნულ სასამართლოებს დახმარებისთვის, რათა მხარისგან იძულებით მოხდეს დოკუმენტის მოპოვება.

ეროვნული სასამართლოების დახმარების საკითხი ცალკე თავში დეტალურად იქნება მიმოხილული, მანამდე კი აუცილებელია იმის განხილვა, თუ რა დამოუკიდებელი ბერკეტები აქვს საარბიტრაჟო ტრიბუნალს ბრძანების არშემსრულებელი მხარის მიმართ და რა ღონისძიებების გატარება შეუძლია მას.

9.5. მხარის უარის სამართლებრივი შედეგები

9.5.1. უარყოფითი დასკვნები (adverse inferences)

ერთ-ერთი შედეგი, რომელიც შესაძლოა მხარის მიერ დოკუმენტების წარდგენაზე უარს მოჰყვეს არის ტრიბუნალის მიერ მხარის საწინააღმდეგოდ უარყოფითი დასკვნების გამოტანა. აღნიშნული კონცეფცია, საერთაშორისო არბიტრაჟში ნასესხებია საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკიდან.⁷¹⁸

უარყოფითი დასკვნების კონცეფცია წარმოადგენს მტკიცების წესს, რომელიც იძლევა უფლებას შეიქმნას არაპირდაპირი მტკიცებულება.⁷¹⁹ უარყოფითი დასკვნების გაკეთების დროს ფაქტების დამდგენი (სასამართლო ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი) მხარის მიერ დოკუმენტის წარუდგენლობას (არასათანადოდ წარდგენას) განიხილავს, იმ ფაქტის მიმართ არაპირდაპირ მტკიცებულებად, რომელთან მიმართებითაც მხარეს დოკუმენტი უნდა წარედგინა. მაგალითისთვის, მოსარჩელე განხილვის ფარგლებში შეიძლება ამტკიცებდეს, რომ მისთვის მოპასუხის მიერ მიწოდებული საქონელი იყო უხარისხო და მოპასუხემ ტრიბუნალს (მოთხოვნის მიუხედავად) არ წარუდგინოს საქონლის ხარისხის შემოწმების შედეგები, რომელიც მას გააჩნია. ასეთ შემთხვევაში ფაქტების დამდგენს შეუძლია შემოწმების შედეგების წარუდგენლობა მიიჩნიოს იმის არაპირდაპირ მტკიცებულებად, რომ მოსარჩელისთვის მიწოდებული საქონელი მართლაც უხარისხო

⁷¹⁸ Bedrosyan A., Adverse Inferences in International Arbitration: Toothless or Terrifying?, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 38, 2016. p. 244.

⁷¹⁹ Van Houtte V., Adverse Inferences in International Arbitration, In: Teresa Giovannini and Alexis Mourre (eds.), Written Evidence and Discovery in International Arbitration. New Issues and Tendencies, Dossier of the ICC Institute of World Business Law, 2009. pp.195, 197-198. იხ. აგრეთვე Greenberg S and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, in Stefan Michael Kröll, Loukas A. Mistelis et al. eds., International Arbitration and International Commercial Law: Synergy, Convergence and Evolution, 2011. p. 187.

იყო (მაშინ როდესაც პროდუქტის ხარისხის შესახებ პირდაპირი მტკიცებულება იქნებოდა თავად შემოწმების შედეგები).⁷²⁰

მხარის მიერ დოკუმენტის წარდგენაზე უარის (დოკუმენტის არასათანადოდ წარდგენის) შემთხვევაში, ტრიბუნალის უფლებამოსილება გააკეთოს უარყოფითი დასკვნები ამ მხარის მიმართ, აღიარებულია საარბიტრაჟო აქტებით, წესებით თუ რბილი სამართლის ნორმებით. მაგალითისთვის, ინგლისის საარბიტრაჟო აქტი პირდაპირ მიუთითებს ტრიბუნალის ამ უფლებამოსილებაზე.⁷²¹ მსგავს ჩანაწერს შეიცავს SCC-ს საარბიტრაჟო წესების 35 (3) მუხლი და ICDR-ის წესების 24 (9) მუხლი. ამასთანავე, IBA-ს წესების 9 (6) მუხლი აცხადებს, რომ თუ მხარე ტრიბუნალის ბრძანების შესაბამისად არ წარადგენს დოკუმენტს, ტრიბუნალს შეუძლია ჩათვალოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი წარდგენაზე უარის მთქმელი მხარის საწინააღმდეგო იყო.⁷²² თუმცა, აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტრიბუნალის მიერ გამოტანილი უარყოფითი დასკვნა უნდა იყოს ვიწრო და უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ საკითხს, რომელსაც მხარის მიერ წარუდგენელი მტკიცებულება უკავშირდება და არ უნდა გაავრცელოს ეს მთელს საქმეზე. შესაბამისად, მხარემ შესაძლოა უარი თქვას კონკრეტული მტკიცებულების წარდგენაზე და ტრიბუნალმა ამ საკითხზე მიიღოს უარყოფითი დასკვნები ამ მხარის მიმართ, თუმცა ამავე მხარემ მაინც მოიგოს საქმე თუ სხვა მტკიცებულებები ამის საფუძველს იძლევა.⁷²³

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი რეგულაციები ტრიბუნალს აძლევს უფლებამოსილებას გააკეთოს უარყოფითი დასკვნები საკუთარი ინიციატივით, თუმცა პრაქტიკაში როგორც წესი მხარეები მიმართავენ ტრიბუნალს და მოითხოვენ მისგან გამოიყენოს მისი ეს უფლებამოსილება.⁷²⁴ თუმცა უფლებამოსილების გამოყენება უპირობო არ არის და ტრიბუნალმა მხედველობაში უნდა მიიღოს გარკვეული გარემოებები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი დასკვნის გამოტანა ტრიბუნალის მიერ მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, თუ მხარეს ტრიბუნალის მიერ დავალებული ჰქონდა გარკვეული დოკუმენტის წარმოდგენა. თუ ტრიბუნალის მიერ გამოცემული არ იყო დადგენილება/ბრძანება, რომლითაც განსაზღვრული იყო მხარეთა უფლება-

⁷²⁰ Bedrosyan A., Adverse Inferences in International Arbitration: Toothless or Terrifying?, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 38, 2016. p. 247.

⁷²¹ ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, მუხლი 41 (7) (b).

⁷²² იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 213.

⁷²³ Bedrosyan A., Adverse Inferences in International Arbitration: Toothless or Terrifying?, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 38, 2016. p. 259.

⁷²⁴ Greenberg S. and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, ICC International Court of Arbitration Bulletin, Vol. 22:2, 2011. pp. 50-51.

მოვალეობები დოკუმენტების წარმოდგენასთან დაკავშირებით, მაშინ უარყოფითი დასკვნების გამოტანა ტრიბუნალის მიერ უადგილო იქნება. ამასთან აუცილებელია, რომ მხარისთვის ცნობილი ყოფილიყო და მას ჰქონოდა ეფექტური საშუალება დაეყენებინა პროტესტი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მეორე მხარის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.⁷²⁵

უდავო საკითხს წარმოადგენს, რომ თუ მხარე არ დაემორჩილა ბრძანებას და არ წარადგინა მისთვის ტრიბუნალის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, ასეთ დროს უარყოფითი დასკვნების გამოტანა შესაძლებელია,⁷²⁶ თუმცა ისმის შეკითხვა, რა ხდება მაშინ, როდესაც მხარის მიერ მოთხოვნის დაყენების შემდეგ, მეორე მხარემ არც პროტესტი დააყენა მოთხოვნის წინააღმდეგ (ტრიბუნალის მიერ ამისთვის განსაზღვრულ ვადაში) და შემდეგ არც დოკუმენტი წარადგინა. ბუნებრივია, რომ ტრიბუნალს ასეთ დროსაც უნდა ჰქონდეს განხილული ზომის გამოყენების უფლება და ეს IBA-ს წესების 9 (6) მუხლში პირდაპირაა მოცემული. თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში მხარის მიერ ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ დროში მტკიცებულების წარუდგენლობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალები მათ განუსაზღვრავენ ხოლმე დამატებით ვადას და პირდაპირ ატყობინებენ, რომ მათ წინააღმდეგ შესაძლოა გამოყენებული იყოს უარყოფითი დასკვნის ზომა.⁷²⁷

კიდევ ერთი გარემოება რასაც ტრიბუნალის მიერ ყურადღება უნდა მიექცეს არის ის, რომ მხარეს, რომელიც წინააღმდეგად ეს ზომა შეიძლება იყოს გამოყენებული, უნდა ჰქონოდა დოკუმენტის წარმოდგენის შესაძლებლობა და საშუალება. ამასთან, უარყოფითი დასკვნების გამოტანა შესაძლებელია, თუ მხარეს ჰქონდა საშუალება დოკუმენტის წარმოდგენისა, მაგრამ მას ეს შესაძლებლობა მოესპო, ვინაიდან თავად გაანადგურა დოკუმენტები.⁷²⁸

ტრიბუნალის მიერ გამოტანილი უარყოფითი დასკვნა უნდა იყოს გონივრული, უნდა შეესაბამებოდეს საქმეში არსებულ ფაქტებს და ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული

⁷²⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 214-215.

⁷²⁶ მაგ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, მუხლი 41(7)(b) მიუთითებს, რომ ტრიბუნალს შეუძლია ამ ზომის გამოყენება მხარის მიმართ თუ მხარემ არ შეასრულა ტრიბუნალის მითითება.

⁷²⁷ Greenberg S. and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, ICC International Court of Arbitration Bulletin, Vol. 22:2, 2011. p. 48.

⁷²⁸ Greenberg S. and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, ICC International Court of Arbitration Bulletin, Vol. 22:2, 2011. p. 48.

წარუდგენელი დოკუმენტის სავარაუდო ბუნებასთან.⁷²⁹ ლოგიკურობა გულისხმობს, რომ გონივრულად უნდა ივარაუდებოდეს, რომ დასკვნა შეიძლება გამოტანილიყო წარუდგენელი დოკუმენტიდან.⁷³⁰

რაც შეეხება ფაქტებთან კავშირს, დასკვნა არა მხოლოდ გარე ფაქტებთან (მაგალითად კომერციულ რეალობასთან) უნდა იყოს თანხვედრაში, არამედ, უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული საქმის ფაქტებს. არ შეიძლება ისეთი უარყოფითი დასკვნის გამოტანა, რომელიც თანხვედრაში არ იქნება საქმეზე სხვა მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტებთან.⁷³¹

ამასთან, მხარე, რომელიც მიმართავს ტრიბუნალს თხოვნით მეორე მხარის მიმართ გამოიტანოს უარყოფითი დასკვნები, უნდა მიუთითოს იმ ლოგიკურ კავშირზე (nexus), რომელიც წარმოდგენელი დოკუმენტის შესაძლო ბუნებასა და გამოტანილ დასკვნას შორის არსებობს.⁷³²

დაბოლოს, ტრიბუნალმა არ უნდა მიიღოს უარყოფითი დასკვნები თუ აღნიშნულის მომთხოვნი მხარე მას ვერ წარუდგენს ე.წ. ერთი შეხედვით (prima facie) საკმარის მტკიცებულებას მისი სარჩელის თუ შესაგებლის დასამტკიცებლად.⁷³³ ე.წ. prima facie მტკიცებულება არის ის, რომელიც საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის პირობებში საკმარისი, თუმცა არა გადამწყვეტია ფაქტის დადგენისთვის. პრაქტიკაში, ტრიბუნალებს არ გამოაქვთ უარყოფითი დასკვნები თუ მომთხოვნი მხარე არ წარადგენს (prima facie) მტკიცებულებებს, რომელიც კონკრეტულ გარემოებებში არის გონივრულად თანმიმდევრული, სრულყოფილი და დეტალური.⁷³⁴

⁷²⁹ Greenberg S. and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, ICC International Court of Arbitration Bulletin, Vol. 22:2, 2011. p. 47. იხ. აგრეთვე Sharpe J. K., Drawing Adverse Inferences from the Non-production of Evidence, Arbitration International, Vol. 22:4, 2006. p. 558.

⁷³⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 218.

⁷³¹ Sharpe J. K., Drawing Adverse Inferences from the Non-production of Evidence, Arbitration International, Vol. 22:4, 2006. p. 560.

⁷³² Sharpe J. K., Drawing Adverse Inferences from the Non-production of Evidence, Arbitration International, Vol. 22:4, 2006. p. 560.

⁷³³ Greenberg S. and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, ICC International Court of Arbitration Bulletin, Vol. 22:2, 2011. pp. 52, 54. იხ. აგრეთვე Sharpe J. K., Drawing Adverse Inferences from the Non-production of Evidence, Arbitration International, Vol. 22:4, 2006. p. 564.

⁷³⁴ Sharpe J. K., Drawing Adverse Inferences from the Non-production of Evidence, Arbitration International, Vol. 22:4, 2006. p. 564.

აღსანიშნავია, რომ უარყოფითი დასკვნის გამოყენება არ ცვლის მტკიცების ტვირთს, არამედ ცვლის მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულების ტვირთს და მას აკისრებს მეორე მხარეს.⁷³⁵

ტექნიკურად უარყოფითი დასკვნის გამოტანა ტრიბუნალის მიერ შეიძლება მოხდეს პროცედურული დადგენილებით ან (შუალედური ან საბოლოო) გადაწყვეტილებით. თუმცა, უარყოფითი დასკვნების გამოტანა პროცედურული დადგენილებით რეკომენდირებული არ არის თუ ამისთვის არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომელიც ამას გაამართლებს. უფრო მეტად მიზანშეწონილია ამ დასკვნების გადაწყვეტილებაში ასახვა, რადგან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს ტრიბუნალს უკვე აქვს საკმარისი ცოდნა ფაქტების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შესახებ, რაც მას დიდი ალბათობით განხილვის ადრეულ ეტაპზე (როცა, როგორც წესი, ხდება პროცედურული დადგენილებების მიღება) არ გააჩნია. შესაბამისად, განსახილველ საკითხზე ტრიბუნალის მიერ შეფასების გაკეთება უკეთესია, როდესაც მის მიერ ხდება საქმის არსებითი განხილვა და გადაწყვეტა.⁷³⁶

9.5.2. ხარჯების განაწილება

დავის საგანს არ წარმოადგენს, რომ ტრიბუნალი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებით წარმოშობილი ხარჯების განაწილების შესახებ.⁷³⁷ ტრიბუნალი კი აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა დაეყრდნოს მხარეთა შეთანხმებას ხარჯების განაწილების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საარბიტრაჟო განხილვის პროცესში სავალდებულოდ გამოსაყენებელ საარბიტრაჟო აქტს (*lex arbitrary*), გამოსაყენებელ საარბიტრაჟო წესებს და ასევე რბილი სამართლის წესებს.

როგორც წესი ქვეყნების საარბიტრაჟო აქტები დუმან საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებაზე.⁷³⁸ თუმცა ეს აქტები მხარეებს არ უკრძალავს შეთანხმდნენ ხარჯების განაწილების კონკრეტულ წესზე. შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება არეგულირებდეს თუ როგორ უნდა განაწილდეს არბიტრაჟთან დაკავშირებული ხარჯები და პირდაპირ აღჭურვავდეს

⁷³⁵ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 217-218.

⁷³⁶ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 218.

⁷³⁷ Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. pp. 298-299.

⁷³⁸ Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. p. 298.

ტრიბუნალს უფლებამოსილებით, მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯების განაწილების შესახებ.⁷³⁹

ტრიბუნალის უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯების შესახებ პირდაპირ არის გათვალისწინებული უმეტეს საარბიტრაჟო წესებში. მაგალითისთვის, ICC-ს წესების 38-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით, ტრიბუნალი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯებთან დაკავშირებით. მსგავს რეგულაციას შეიცავს SCC-ს საარბიტრაჟო წესების 49-50-ე, LCIA-ს საარბიტრაჟო წესების 28-ე, GIAC-ის საარბიტრაჟო წესების 45-ე, ICDR-ის საარბიტრაჟო წესების 37-ე მუხლები. თუმცა სხვა საკითხს წარმოადგენს რა გარემოებების მხედველობაში მიღება შეუძლია ტრიბუნალს ხარჯების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს და შეუძლია თუ არა მან გაითვალისწინოს მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანების შეუსრულებლობა და დოკუმენტების წარდგენაზე უარის თქმა ანდა დოკუმენტების დაგვიანებით ან არასრულად წარდგენა.

ამჟამად გაზიარებულია მოსაზრება, რომ ტრიბუნალს თავისი ფართო დისკრეციის ფარგლებში აქვს უფლებამოსილება ხარჯების განაწილების დროს მხედველობაში მიიღოს საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეთა ქცევა, მათ შორის მხარეთა მიერ გამოვლენილი არაკეთილსინდისიერება და ტრიბუნალის ბრძანების მიმართ დაუმორჩილებლობა.⁷⁴⁰

აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, რომელიც განმარტავს, რომ მხარის მიერ ტრიბუნალის ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ტრიბუნალი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება მხარის მიერ დაუმორჩილებლობის გამო ხარჯების მასზე დაკისრების შესახებ.⁷⁴¹

ამის მსგავსად, ICC-ს წესების 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს, რომ ხარჯების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს ტრიბუნალი უფლებამოსილია, მხედველობაში მიიღოს ის გარემოებები, რომლებსაც ის რელევანტურად მიიჩნევს, მათ შორის ის თუ როგორ იქცეოდა თითოეული მხარე საარბიტრაჟო განხილვის დროს და შეუწყვეს თუ არა მათ ხელი საარბიტრაჟო განხილვის სწრაფად და ხარჯების მხრივ

⁷³⁹ Savola M., Awarding Costs in International Commercial Arbitration, the Scandinavian Studies in Law, Vol. 63, 2017. p. 288.

⁷⁴⁰ Romero M. and Sierra N, Costs in International Arbitration: The continual search for cost-efficient arbitrations, Spain Arbitration Review 3, 2016. p. 35.

⁷⁴¹ ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, მუხლი 41(7)(d).

ეფექტიანად წარმართვას. მსგავს დანაწესს შეიცავს LCIA-ს წესების 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ICDR-ის წესების 24-ე მუხლის მე-9 ნაწილი.⁷⁴²

რაც შეეხება IBA-ს წესებს, ის აგრეთვე მიუთითებს, რომ თუ მხარე მტკიცებულებების წარდგენის დროს არაკეთილსინდისიერად მოიქცა, ტრიბუნალს შეუძლია წესებით გათვალისწინებული სხვადასხვა ზომებთან ერთად, ეს გარემოება მხედველობაში მიიღოს საარბიტრაჟო ხარჯების (მათ შორის მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯების) განაწილების დროს.⁷⁴³

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო განხილვის დროს გამოსაყენებელი წყაროები, ისევე როგორც ამ სფეროს მკვლევარები, ერთხმად აღიარებენ, რომ მხარის მიერ დოკუმენტის წარდგენის თაობაზე ტრიბუნალის ბრძანების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების დროს, ამ უკანასკნელს შეუძლია ეს გარემოება მხედველობაში მიიღოს ხარჯების განაწილების დროს. როგორც ამას ICC-ს ტექნიკები მიუთითებს, ტრიბუნალის ეს უფლებამოსილება არის ძალიან სასარგებლო ბერკეტი, რათა მოხდეს საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეთა ეფექტიანი (კეთილსინდისიერი) ქცევის წახალისება და არაგონივრული საქციელის პრევენცია.⁷⁴⁴

პრაქტიკის კვლევა აჩვენებს, რომ არბიტრები აღნიშნულ უფლებამოსილებას საკმაოდ ხშირად იყენებენ.⁷⁴⁵ მაგალითისთვის, SCC-ს საქმეების კვლევამ აჩვენა, რომ მხარეთა ქცევა არის მეორე გადამწყვეტი ფაქტორი ხარჯების განაწილების დროს. კერძოდ, ხარჯების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს არბიტრები მხედველობაში იღებენ: (1) იყო თუ არა სარჩელი ლეგიტიმური და დასაბუთებული; (2) შეუწყვეს თუ არა ხელი მხარეებმა განხილვის ეფექტიანად ჩატარებას და შეუშალა თუ არა რომელიმე მხარემ განხილვას ხელი განსჯადობის დაგვიანებით გაპროტესტებით, დიდი მოცულობის დოკუმენტების გამოთხოვით ან ტრიბუნალის მიერ გამოცემული ბრძანების შეუსრულებლობით; და (3) დაიხარჯა თუ არა დიდი დრო საკითხებზე, რომელიც მხარის

⁷⁴² აღნიშნული მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარის მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ტრიბუნალის ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ტრიბუნალი უფლებამოსილია აღნიშნული ხარჯების განაწილების დროს გაითვალისწინოს.

⁷⁴³ IBA-ს წესები, მუხლი 9 (8).

⁷⁴⁴ ICC Techniques for Controlling Time and Costs, პარაგრაფი 82. იხ. აგრეთვე Savola M., Awarding Costs in International Commercial Arbitration, the Scandinavian Studies in Law, Vol. 63, 2017. pp. 300-301.

⁷⁴⁵ Salinas Quero C. E., Costs of arbitration and apportionment of costs under the SCC Rules, 2016, პარაგრაფი 18. იხ. აგრეთვე Savola M., Awarding Costs in International Commercial Arbitration, the Scandinavian Studies in Law, Vol. 63, 2017. p. 301.

მიერ სათანადოდ არ იყო ჩამოყალიბებული (გამოკვეთილი) ან რომლებიც შემდეგ მან გაიხმო ან ტრიბუნალმა უარყო მათი დაკმაყოფილება.⁷⁴⁶

კიდევ ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს თუ როდის იღებს ტრიბუნალი გადაწყვეტილებას დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხარჯების განაწილების შესახებ. მიჩნეულია, რომ ტრიბუნალს ამის გაკეთება შეუძლია როგორც შუალედური გადაწყვეტილებით (interim cost award), ისევე შემაჯამებელი გადაწყვეტილებით. თუმცა, უფრო გამართულ და მიზანშეწონილ მიდგომას წარმოადგენს ამ საკითხზე გადაწყვეტილების საბოლოო გადაწყვეტილებაში ასახვა.⁷⁴⁷

9.5.3. მხარეთა დაჯარიმება

პრაქტიკაში, ზოგჯერ (შეიძლება ითქვას იშვიათად და გამონაკლის შემთხვევებში), ტრიბუნალები იყენებენ ფინანსურ სანქციებს (ჯარიმას) იმ მხარეების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ მტკიცებულების წარდგენის შესახებ მათ ბრძანებას.⁷⁴⁸ ტრიბუნალების ეს გადაწყვეტილებები, როგორც წესი ეყრდნობა საარბიტრაჟო განხილვის სამართლის (lex arbitrate)-ს შესაბამის დანაწესებს, რომლებიც ამგვარი სანქციის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1467-ე მუხლის მიხედვით, ტრიბუნალს შეუძლია მხარეს მოსთხოვოს დოკუმენტების წარმოდგენა და გააფრთხილოს, რომ მისი ამ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას შეიძლება დაეკისროს ჯარიმა. ასევე მიჩნეულია, რომ ტრიბუნალს აღნიშნული უფლებამოსილება აქვს ასევე შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 183-184-ე მუხლების საფუძველზე.⁷⁴⁹ აშშ-ში ტრიბუნალის ეს უფლებამოსილება აღიარებულ იქნა საქმეში Superadio Limited Partnership v Winstar Radio Productions.⁷⁵⁰

თუმცა არსებობს საპირისპირო მიდგომაც. მაგალითისთვის შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ტრიბუნალს არ აქვს უფლებამოსილება,

⁷⁴⁶ Salinas Quero C. E., Costs of arbitration and apportionment of costs under the SCC Rules, 2016, პარაგრაფი 18.

⁷⁴⁷ აღნიშნულ საკითხზე დეტალური დისკუსიისთვის იხ. Savola M., Awarding Costs in International Commercial Arbitration, the Scandinavian Studies in Law, Vol. 63, 2017. pp. 302-303.

⁷⁴⁸ Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2390.

⁷⁴⁹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 224.

⁷⁵⁰ Superadio Limited Partnership v Winstar Radio Productions 844 N.E. 2d 246 (Mass. 2006). იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, pp. 224-225.

მხარისგან მოთხოვნილი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში, მის მიმართ გამოიყენოს ფინანსური სანქცია (ჯარიმა).

ზემოაღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ ტრიბუნალის უფლებამოსილება, მხარის მიერ დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში გამოიყენოს ჯარიმა, სადავო საკითხს წარმოადგენს და ტრიბუნალის მიერ მისი გამოყენება ფრთხილად უნდა მოხდეს. კერძოდ, ტრიბუნალმა უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა მას მხარისთვის ჯარიმის დაკისრების უფლებამოსილება მხარეთა შეთანხმების, მისთვის სავალდებულოდ გამოსაყენებელი საარბიტრაჟო აქტის (lex arbitri), რელევანტური საარბიტრაჟო წესების თუ რბილი სამართლის წესების მიხედვით.

10. ეროვნული სასამართლოების როლი მტკიცებულებების მოპოვებაში

10.1. შესავალი

როგორც აღინიშნა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში არბიტრაჟი უფრო და უფრო პოპულარული ხდება და შესაბამისად, უფრო და უფრო იზრდება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი საარბიტრაჟო განხილვების რაოდენობა. შესაძლებელია ითქვას, რომ არსებობს საერთაშორისო არბიტრაჟის ოთხი ძირითადი მახასიათებელი.

პირველი, საერთაშორისო არბიტრაჟს აქვს ავტონომიური ხასიათი და არსებობს შიდა კანონმდებლობებისა და იურისდიქციებისგან დამოუკიდებლად და განცალკევებით.⁷⁵¹ ამავდროულად, არბიტრაჟი, როგორც ამას ზოგიერთი აცხადებს, არ მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ან ქვეყნების მიერ კონტროლზე უარის თქმის ან თუნდაც ამ ორის კომბინაციის საფუძველზე. არამედ, არბიტრაჟი არის ავტონომიური სისტემა, რომელიც, რომელიც არსებობს ეროვნული კანონმდებლობების მიღმა (გარეთ) და აღნიშნული ავტონომიურობა მიიღწევა ხელშეკრულებით და ეროვნული სასამართლოების მიერ ჩარევაზე უარის თქმით.⁷⁵²

მეორე, მხარეები, მათ მიერ დავის გადაწყვეტის მექანიზმად არბიტრაჟის არჩევით, გამოხატავენ პოზიტიურ ნებას დავის სწორედ არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ, ისევე როგორც ნეგატიურ ნებას, რომ მათი დავა არ გადაწყვიტოს სხვა ფორუმმა, მათ შორის არც შიდა სასამართლოებმა. ეს მაშინაც ასეა როდესაც შიდა მატერიალური კანონმდებლობა არის არჩეული როგორც ხელშეკრულებისთვის ან საარბიტრაჟო განხილვისთვის

⁷⁵¹ იხ. Lew J. D. M., Does National Court Involvement Undermine the International Arbitration Processes?, American University International Law Review, Vol. 24:3, 2009. p. 491.

⁷⁵² Lew J. D. M., Does National Court Involvement Undermine the International Arbitration Processes?, American University International Law Review, Vol. 24:3, 2009. p. 491.

გამოსაყენებელი სამართალი. უფრო კონკრეტულად, მხარეები განზრახ და ცხადად უარს ამბობენ ნებისმიერი სასამართლოს იურისდიქციაზე და ამას ისინი რამდენიმე მიზეზით შეიძლება აკეთებდნენ: მაგალითად, შიდა სასამართლოები შესაძლოა მათთვის იყოს მიუღებელი, არახელსაყრელი, ან საქმის გარემოებების გათვალისწინებით არასათანადო. მიუხედავად მიზეზებისა, ნათელია, რომ მხარეების შეთანხმებით სასამართლოები უკანა პლანზე უნდა გადავიდნენ.⁷⁵³

მესამე, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს ვალდებულება გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია მხარეთა შორის არსებულ დავასთან.⁷⁵⁴ ამასთან, განცალკევების (“separability”) პრინციპის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება ინარჩუნებს ნამდვილობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება გაბათილდა,⁷⁵⁵ ხოლო კომპეტენცია კომპეტენციისთვის (“competence-competence”) პრინციპის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება გადაწყვიტოს საკუთარი იურისდიქციის საკითხი.⁷⁵⁶

მეოთხე, არბიტრაჟის ავტონომიურობის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ როგორც ადამიანი ვერ იქნება იზოლირებული და ის არსებობს საზოგადოებაში, ასევე დავის გადაწყვეტის ვერც ერთი მექანიზმი ვერ იარსებებს ვაკუუმში. არბიტრაჟის ავტონომიურობის აღიარების ფარგლებში, საერთაშორისო არბიტრაჟს რეგულარული შეხება აქვს შიდა იურისდიქციებთან რათა მათი გადაწყვეტილებები იყოს ლეგიტიმური და მიიღონ დახმარება და მხარდაჭერა. ეროვნული სასამართლოების დახმარებას არბიტრაჟის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფორმა აქვს,⁷⁵⁷ რაზეც ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი.

მიუხედავად არბიტრაჟის სფეროს პოპულარობის გაზრდის, საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავების თუ განვითარებული ქვეყნების მიერ პრო-საარბიტრაჟო მიდგომის დეკლარირებისა, ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ სასამართლოებსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების შორის ურთიერთობა მერყეობს ნაძალადევ კოჰაბიტაციისა და ნამდვილ პარტნიორობას შორის. არბიტრაჟი საბოლოო

⁷⁵³ Lew J. D. M., Does National Court Involvement Undermine the International Arbitration Processes?, *American University International Law Review*, Vol. 24:3, 2009. p. 491.

⁷⁵⁴ Ferguson S. M., Interim Measures of Protection in International Commercial Arbitration: Problems, Proposed Solutions, and Anticipated Results, *Currents: International Trade Law Journal*, 2003. p. 59.

⁷⁵⁵ Monestier T. J., “Nothing Comes of Nothing”... Or does It??? A Critical Re-Examination of the Doctrine of Separability in American Arbitration, *American Review of International Arbitration*, 2001. pp. 223-224.

⁷⁵⁶ იხ. Barcelo J. J., Who Decides the Arbitrator's Jurisdiction-Separability and Competence-Competence in Transnational Perspective, *Vanderbilt Journal of Transnational Law*, Vol. 36:4. 2003.

⁷⁵⁷ Lew J. D. M., Does National Court Involvement Undermine the International Arbitration Processes?, *American University International Law Review*, Vol. 24:3, 2009. p. 492.

ჯამში მაინც დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოების მხარდაჭერაზე, რადგან ამ უკანასკნელთ აქვთ ძალაუფლება გადაარჩინონ ეს სისტემა, მექანიზმი, როდესაც ერთი მხარე ცდილობს არბიტრაჟის წინააღმდეგ საბოტაჟის მოწყობას.⁷⁵⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთმა ყოფილმა მოსამართლემ ინგლისში თქვა, რომ ერთი მხრივ არბიტრაჟი, როგორც კონსესუალური პროცესი სულდგმულობს ტრანსნაციონალური (საერთაშორისო) იდეით, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მონაწილეობას სასამართლოს მეშვეობით, თუმცა მეორე მხრივ, აშკარა ფაქტია, სასამართლოა ეს თუ არა, რომ მხოლოდ სასამართლოს იძულებითი ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილებას შეუძლია არბიტრაჟის გადარჩენა თუ მას საფრთხე ემუქრება.⁷⁵⁹

მხარემ, რომელიც დათანხმდა დავის არბიტრაჟით გადაწყვეტას, აირჩია სამართლის განხორციელების კერძო სისტემა და აღნიშნული თავისთავად წარმოშობს საჯარო წესრიგის საკითხებს. არსებობს აღნიშნული არჩევის ლიმიტიც, რადგან ქვეყნების უმეტესობა ზღუდავს არბიტრაჟის შესაძლებლობას იმ დავებზე, რომლებზეც თავად სახელმწიფო აცხადებს, რომ ისინი არ ექვემდებარებიან არბიტრაჟის მეშვეობით განხილვას, რადგან მათი დავის საგანი არ არის „არბიტრაჟუნარიანი“. თუმცა, რა არის არბიტრაჟუნარიანი და რა არა, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. სახელმწიფოებმა ასევე განსაზღვრეს სხვა შეზღუდვები საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებით: მაგალითად, აქვს თუ არა არბიტრებს უფლებამოსილება ბრძანონ მოწმეთა დასწრება, დოკუმენტების გამჟღავნება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არის თუ არა აპელაცია დასაშვები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ ეროვნულ სასამართლოში და თუ ასეა, როგორ, როდის და რა პირობებით.⁷⁶⁰

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების ურთიერთობას ეთქმის პარტნიორული, ეს არ არის თანასწორთა პარტნიორობა.⁷⁶¹ შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი არბიტრაჟის ოთხი მახასიათებელი თეორიულად არსებობს, თუმცა ჯერჯერობით მაინც, არბიტრაჟი დამოკიდებულია არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებაზე, არამედ სამართალზე აშენებულ სისტემაზე, რომელიც ეყრდნობა ამ სამართალს, რათა ის გახადოს უფრო ეფექტური როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ სასამართლოებს არ შეუძლიათ არბიტრაჟის გარეშე არსებობა და პირიქით, არბიტრაჟს არ შეუძლია ეროვნული სასამართლოების გარეშე

⁷⁵⁸ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 415.

⁷⁵⁹ Coppée Levalin NV v Ken-Ren Fertilisers and Chemicals [1994] 2 Lloyd's Rep 109 (HL)

⁷⁶⁰ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. pp. 415-416.

⁷⁶¹ Goldman B., The Complementary Role of Judges and Arbitrators, ICC Publication No. 412, 1984. p. 259.

არსებობა. რეალური საკითხი კი არის რომ ნათლად დადგინდეს ის წერტილი, როცა არბიტრაჟი ეროვნულ სასამართლოებზე დაყრდნობას იწყებს და როცა ამას ამთავრებს.⁷⁶²

შესაბამისად, ნათელია, რომ ეროვნული სასამართლოები ჩართულნი არიან საარბიტრაჟო განხილვების დროს, თუმცა აღნიშნულ ჩართვას (ჩარევას) აქვს თავისი მკაცრად განსაზღვრული ჩარჩო.

10.1.1. არბიტრაჟის დამოუკიდებლობის გაზრდა

როგორც ზემოთ აღინიშნა, არბიტრაჟი უკვე საერთაშორისო დავის გადაწყვეტის საკმაოდ პოპულარული მეთოდია, როგორც ქვეყნებს, ისე კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს შორის და მან „განცალკევების“, „კომპეტენცია კომპეტენციისთვის“ თუ სხვა დოქტრინების თუ პრინციპების აღიარებით და გამოყენებით, საკმაოდ დამოუკიდებლობას მიაღწია ეროვნული კანონმდებლობებისა და სასამართლოებისგან. მხარეები თავისუფალნი არიან განსაზღვრონ თუ როგორ გადაწყვეტენ მათ შორის წარმოშობილ დავას (საჯარო წესრიგის შეზღუდვის მხედველობაში მიღებით), არბიტრები თავისუფალნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები მათ შორის საკუთარ იურისდიქციაზე (საარბიტრაჟო განხილვის ადგილის და ცნობა-აღსრულების ქვეყნების შიდა სასამართლოების მიერ შეზღუდული განხილვის უფლების გათვალისწინებით). ამასთან, მხარეებს აქვთ უფლება, აირჩიონ სამართლის რომელი სისტემა უნდა იყოს გამოსაყენებელი მათი დავის გადაწყვეტისას, მათ შორის, შეუძლიათ აირჩიონ ე.წ. მატერიალური რბილის სამართლის წესებიც. დაბოლოს, საერთაშორისო არბიტრაჟში დაშვებული შეცდომების სასამართლო კონტროლი ფაქტობრივად გაუქმებულია და შიდა სასამართლოებს აქვთ მხოლოდ შეზღუდული როლი, გააუქმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან უარი თქვან მის ცნობა-აღსრულებაზე მხოლოდ და მხოლოდ ლიმიტირებული საფუძვლებით, რომლებიც ძირითადად სამართლიანი პროცესის უფლების დარღვევის შემთხვევას უკავშირდება.⁷⁶³

თუმცა, ეროვნული სასამართლოების მხრიდან ამ ლიმიტირებული ჩარევის პირობებშიც კი სასამართლოს როლი ისევ მნიშვნელოვანი რჩება და ხშირად განაპირობებს მის ეფექტიანობას. თუმცა, არბიტრაჟის დამოუკიდებლობის გაძლიერების კუთხით მუშაობა დღესაც მიმდინარეობს და ქვეყნები ატარებენ ექსპერიმენტებს აღნიშნულზე. მაგალითად. ბელგიამ გადაწყვიტა მიეზიდა საერთაშორისო არბიტრაჟები შიდა სასამართლოებისთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებისმიერი ფორმით გადახედვის უფლების ჩამორთმევით რათა დაედგინა წაახალისებდა თუ არა ამგვარი

⁷⁶² Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 416.

⁷⁶³ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 416.

მიდგომა არბიტრაჟის მომხმარებლებს. თუმცა, ეს ექსპერიმენტი საბოლოოდ ეროვნული სასამართლოების კონტროლის უფლებამოსილების სასარგებლოდ გადაწყდა და ბელგიამ ეროვნული სასამართლოების მაკონტროლებელი ფუნქცია ისევ დააბრუნა.⁷⁶⁴

ვფიქრობ ამ მიმართულებით მუშაობა, მიუხედავად წინააღმდეგობებისა უნდა გაგრძელდეს, თუმცა გონივრულობის ფარგლებში.

10.1.2. არბიტრაჟის დამოუკიდებლობის არსებული შეზღუდვები

ნოუ იორკის კონვენციის II (3) მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებაუნარიანობას, შესაძლოა განიმარტოს ისე ფართოდ, რომ მოიცვას საარბიტრაჟო პროცესში ეროვნული სასამართლოების ჩარევის შეზღუდვა.⁷⁶⁵ ამასთანავე, UNCITRAL-ის მოდელური კანონი მე-5 მუხლში პირდაპირ აცხადებს, რომ „გარდა ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, [ეროვნული] სასამართლოები არ უნდა ჩაერიონ ამ კანონის მიერ დარეგულირებულ საკითხებში.“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის კომენტარებში⁷⁶⁶ მითითებულია შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი, მისი კატეგორიული ტონიდან გამომდინარე, შესაძლოა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ სასამართლოს ჩარევა არის უარყოფითი და უნდა იქნას მაქსიმალურად ლიმიტირებული, ის თავისთავად არ ეწინააღმდეგება სასამართლოების მნიშვნელოვან როლს. ის უფრო მეტად მოითხოვს იმას, რომ სასამართლოს ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს ამავე კანონში მითითებული. მისი ეფექტი იქნება ის, რომ გამოირიცხება ნებისმიერი ზოგადი თუ კონკრეტული უფლებამოსილება, რომელიც მინიჭებული შეიქნება ჰქონდეს სასამართლოებს შიდა კანონმდებლობით მაგრამ არ არის მითითებული მოდელურ კანონში.“

შესაბამისად, არ განიზრახავს რა სასამართლოს ჩართულობის მნიშვნელობის დაკნინებას, UNCITRAL-ის მოდელური კანონი ნუმერუს კლაუსუსის პრინციპით (ამომწურავად) ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს შეუძლია ჩარევა. როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, მათი საარბიტრაჟო კანონმდებლობა მიღებულია თუ არა UNCITRAL-ის მოდელური კანონის საფუძველზე, ეს ჩამონათვალი მსგავსად (თუ არა იდენტურად) გამოიყურება.

⁷⁶⁴ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 417.

⁷⁶⁵ იხ. Van den Berg A. J., The New York Arbitration Convention of 1958: Towards a Uniform Judicial Interpretation, T.M.C. Asser Institute, 1981. p. 129.

⁷⁶⁶ Analytical Commentary on the Draft Text of a Model Law on International Commercial Arbitration, (1985). p. 18.

10.2. ეროვნული სასამართლოების როლი საარბიტრაჟო პროცესის დროს

ნიუ იორკის კონვენციის, UNCITRAL-ის მოდელური კანონის თუ სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასამართლოები შესაძლოა საარბიტრაჟო პროცესში ჩართული იქნან სამ ეტაპზე: (1) არბიტრაჟის დაწყებისას; (2) საარბიტრაჟო პროცესის დროს; და (3) საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდეგ.⁷⁶⁷

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების ჩარევა პროცესის არც ერთ ეტაპზე არ ხდება და ვერ მოხდება საკუთარი ინიციატივით, არამედ სახეზე უნდა იყოს მხარის ან ტრიბუნალის მიერ მისთვის მიმართვა იმის მიხედვით, თუ რაში არის საჭირო სასამართლოს ჩართულობა.⁷⁶⁸

10.2.1. სასამართლოების როლი არბიტრაჟის დაწყებამდე ან დაწყებისას

საარბიტრაჟოს განხილვის დაწყებისას სასამართლოს ჩარევა, როგორც წესი სამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს: (1) საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების დროს; (2) საარბიტრაჟო ტრიბუნალის არჩევის დროს; (3) იურისდიქციის გასაჩივრების დროს.

პირველი მათგანი სახეზეა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარე გადაწყვეტს არბიტრაჟის ნაცვლად სარჩელის ეროვნულ სასამართლოში შეტანას. ასეთ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე არ მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე და არ გააპროტესტებს სასამართლოს განსჯადობას, ეს ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმებაზე უარის თქმად და სასამართლო განიხილავს საქმეს. თუმცა, თუ მოპასუხეს არ სურს საქმის სასამართლოში გაგრძელება და უნდა საქმე განიხილოს მხარეების მიერ შეთანხმებულმა არბიტრაჟმა, მან უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, მოსთხოვოს სასამართლოს ადასრულოს იგი და მხარეები მიმართოს არბიტრაჟში. ასეთ დროს, ეროვნულ სასამართლოებს, ნუ იორკის კონვენციის II მუხლის მიხედვით, აქვთ ვალდებულება, ადასრულონ მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება სასამართლო განხილვაზე უარის თქმით (სასამართლო განხილვის შეწყვეტით) და

⁷⁶⁷ ზოგიერთი მკვლევარი ცალკე გამოყოფს ტრიბუნალის ჩამოყალიბებამდე არსებულ ეტაპს, თუმცა ეს ჩემ მიერ გაერთიანდა პირველ - საარბიტრაჟო განხილვის დაწყების ეტაპში. იხ. Lew J. D. M., Does National Court Involvement Undermine the International Arbitration Processes?, American University International Law Review, Vol. 24:3, 2009. p. 496.

⁷⁶⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 43.

მიმართონ მხარეები არბიტრაჟში.⁷⁶⁹ მსგავსად ამისა, UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-8 მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც არაუგვიანეს პირველი წარდგინების შეტანისა უნდა იქნას გაკეთებული, მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.⁷⁷⁰ იდენტურ ჩანაწერს შიეცავს ფაქტობრივად ყველა განვითარებული ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობა.⁷⁷¹

საარბიტრაჟო განხილვისას სასამართლოს ჩართვა შესაძლოა საჭირო გახდეს აგრეთვე ტრიბუნალის არჩევის დროს. კერძოდ, თუ მხარეებს შორის არ არის შეთანხმებული სათანადო რეგულაცია, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალი, და თუ ასევე შეთანხმებული არ არის რომელიმე საარბიტრაჟო წესის (ინსტიტუციური თუ ad hoc) გამოყენება, ეროვნული სასამართლოების ჩარევა შესაძლოა გახდეს აუცილებელი იმისათვის, რომ დაინიშნოს მოპასუხის ქვოტით დასანიშნი არბიტრი ან ტრიბუნალის თავმჯდომარე.⁷⁷² ასევე ამგვარი საარბიტრაჟო წესების არარსებობის პირობებში, ეროვნული სასამართლოები უნდა ჩაერიონ იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მხარე აყენებს რომელიმე არბიტრის აცილების საკითხს.⁷⁷³

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება დადგეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე, არის როდესაც მხარე საარბიტრაჟო ტრიბუნალის განსჯადობას ასაჩივრებს. ასეთ დროს, ტრიბუნალმა შესაძლოა მიიღოს წინასწარი, შუალედური გადაწყვეტილება, რომლითაც დაიდგენს განსჯადობას ან პირიქით, განაცხადებს, რომ მას არ აქვს კონკრეტულ საქმეზე იურისდიქცია. ამ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე (შუალედური გადაწყვეტილებით) დაადგენს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება, არბიტრაჟის ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ

⁷⁶⁹ “The court of a Contracting State, when seized of an action in a matter in respect of which the parties have made an agreement within the meaning of this article, shall, at the request of one of the parties, refer the parties to arbitration, unless it finds that the said agreement is null and void, inoperative or incapable of being performed.”

⁷⁷⁰ *ib. Bermann G. A., The Role of National Courts at the Threshold of Arbitration, The American Review of International Arbitration, Vol. 28:3, 2017.*

⁷⁷¹ ამის მაგალითია ასევე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9. აღსანიშნავია, რომ სასამართლოები ამ წესიდან გამონაკლისს, როგორც წესი ვიწროდ განმარტავენ. *ib. მაგ. Judgment of 20 December 1993, Municipalité de Khoms El Mergeb v. Société Dalico, 1994 (French Cour de cassation civ. 1e).*

⁷⁷² UNCITRAL-ის მოდელური კანონი, მუხლი 11. *ib. აგრეთვე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 11.3.*

⁷⁷³ UNCITRAL-ის მოდელური კანონის მუხლი 13 (3). *ib. აგრეთვე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13 (3).*

გასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.⁷⁷⁴

10.2.2. სასამართლოების როლი საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობის დროს

მას შემდეგ რაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი შეიქმნება, არბიტრაჟთა უმეტესობა მიმდინარეობს ისე, რომ მასში არ ხდება ეროვნული სასამართლოების ჩარევა, იმ შემთხვევაშიც კი თუ რომელიმე მხარე არ გადაწყვეტს საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობას.⁷⁷⁵ თუმცა, შესაძლოა გარკვეულ დროს საჭირო გახდეს კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად სასამართლოს ჩართვა.

პირველი ამგვარი საკითხი შეიძლება იყოს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება. საერთაშორისო პრაქტიკაში ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, რომ სასამართლოს აქვს შესაბამისი კომპეტენცია გამოიყენოს საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ზომები. სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება ფართოდ აღიარებული და დადასტურებულია 2006 წლის ცვლილებების შემდგომ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 17 (J) მუხლის საფუძველზე. მოდელური კანონის აღნიშნული მიდგომა მეტწილად გაზიარებულია საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში.⁷⁷⁶ აღნიშნულს იზიარებს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონიც, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.⁷⁷⁷

ეროვნული სასამართლო შესაძლოა დაეხმაროს საარბიტრაჟო ტრიბუნალს იმ შემთხვევაშიც, თუ გაძნელებულია მტკიცებულების მოპოვება ან საფრთხე ექმნება მას. კერძოდ, UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27 მუხლი პირდაპირ ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას, ტრიბუნალს დაეხმაროს მტკიცებულებების მოპოვებაში. მაგალითად, აღნიშნული მუხლი მოიცავს სასამართლოს უფლებამოსილებას, უზრუნველყოს მოწმის გამოცხადება საარბიტრაჟო განხილვაზე ან დოკუმენტების

⁷⁷⁴ უნისტრალის მოდელური კანონის მუხლი 16 (3). იხ. აგრეთვე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 16.5.

⁷⁷⁵ იხ. Refusing to Participate in Arbitration Proceedings 13/12/2019 by Aceris Law LLC. <https://www.acerislaw.com/refusing-to-participate-in-arbitration-proceedings/>

⁷⁷⁶ ოთარ მაჩაიძე, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პრობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, 2019. გვ. 58.

⁷⁷⁷ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.

გამოთხოვა საარბიტრაჟო განხილვის მხარის ან სხვა მესამე პირისგან.⁷⁷⁸ ამასთან, თუ საფრთხე ექმნება დოკუმენტს, სასამართლოს შეუძლია არბიტრაჟს დაეხმაროს მის უზრუნველყოფაში.⁷⁷⁹ სასამართლოს მითითებული როლი ფართოდ არის აღიარებული სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში.⁷⁸⁰

10.2.3. სასამართლოების როლი საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდეგ

მას შემდეგ რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იქნება მიღებული ეროვნულ სასამართლოებს აქვთ ჩარევის ორი შესაძლებლობა: (1) საარბიტრაჟო განხილვის ქვეყნის სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; (2) იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც გამარჯვებულ მხარეს სურს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე ან პირიქით, ცნოს და აღასრულოს იგი.

UNCITRAL-ის მოდელური კანონის 34-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უფლებამოსილებას იმ ქვეყნის სასამართლოსთვის, რომლის ტერიტორიაზეც იყო საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. აღნიშნული უფლებამოსილება კი პირველ რიგში გამომდინარეობს ნიუ იორკის კონვენციის V (1) (e) მუხლიდან, რომელიც აცხადებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება არ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება შესაბამისი სასამართლოს მიერ გაუქმდა. სასამართლოს ამ უფლებამოსილებას ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებიც, მათ შორის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონიც.⁷⁸¹

რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ან მასზე უარის თქმას, ეს უფლებამოსილებაც ეროვნულ სასამართლოებს მინიჭებული აქვთ თავად ნიუ იორკის კონვენციის V მუხლის, UNCITRAL-ის მოდელური კანონის 36-ე მუხლის თუ ეროვნული კანონმდებლობებით.⁷⁸²

შესაბამისად, ამ მიმართულებით სასამართლოს ჩარევა მინიმალურია და იგი მხოლოდ და მხოლოდ ორ შემთხვევაში მკაცრად დადგენილი მანდატის პირობებშია შესაძლებელი.

⁷⁷⁸ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. pp. 427, 430.

⁷⁷⁹ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 429.

⁷⁸⁰ იხ. მაგალითად ინგლისის საარბიტრაჟო აქტის მუხლი 43 და 44; აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტი, პარაგრაფი 7; შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, მუხლი 184(2); „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35

⁷⁸¹ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 42-43.

⁷⁸² იხ. მაგ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 44.

აღნიშნულის მიზეზი კი, როგორც ინგლისის ერთ-ერთი მოსამართლე ამბობს, არის ის, რომ როდესაც მხარეები შეთანხმდნენ მათი დავის არა საჯარო, არამედ კერძო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტაზე, ასეთ დროს ეროვნულმა სასამართლოებმა არავითარი როლი არ უნდა ითამაშონ, გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და მხარეთა უფლებების და ვალდებულებების აღსრულებას. სასამართლოს სხვაგვარი მოქმედება იქნება მხარეთა უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა.⁷⁸³

10.3. სასამართლოების ჩართულობა დოკუმენტური მტკიცებულებების შეგროვებაში

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სასამართლოს დახმარება საარბიტრაჟო განხილვაში ხასიათდება, როგორც საარბიტრაჟო პროცესში ჩაურევლობა,⁷⁸⁴ სასამართლოს აქვს მნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით, მათ შორის მტკიცებულებების შეგროვებაში დახმარების კუთხით.

კერძოდ, მეორე მხარისგან ან მესამე პირისგან დოკუმენტების მოპოვება შეიძლება ზოგჯერ მოითხოვდეს სასამართლოს დახმარებას.⁷⁸⁵ საჭიროება შეიძლება დადგეს როდესაც ტრიბუნალი გამოსცემს ბრძანებას მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, ხოლო მხარე უარს აცხადებს მის შესრულებაზე, მიუხედავად მისთვის ტრიბუნალის მიერ ხარჯების დაკისრების თუ სხვაგვარი უარყოფითი ზომების მიღების საფრთხისა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, საარბიტრაჟო ტრიბუნალები ერიდებიან სასამართლოებისთვის დახმარების მოთხოვნას.⁷⁸⁶ თუმცა მათ აღნიშნული მაინც უწევთ, რადგან სასამართლოს დახმარების მოთხოვნამ ან პირიქით, მოთხოვნისგან თავის შეკავებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს როგორც საარბიტრაჟო პროცესზე, ისე მის შედეგზე, ვინაიდან მტკიცებულებების შეგროვების შესახებ სასამართლოსთვის მიმართვა და ამ უკანასკნელის მიერ მიღებული ზომები ემსახურება საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენას.⁷⁸⁷

თუმცა, სასამართლოს დახმარება დოკუმენტური მტკიცებულებების შეგროვებაში მნიშვნელოვანი საკითხია და როგორც წესი, ქვეყნების საარბიტრაჟო კანონმდებლობებით

⁷⁸³ Redfern A., Hunter M., and others, Redfern and Hunter on International Arbitration, 6th edition, Kluwer Law International, Oxford University Press, 2015. p. 439.

⁷⁸⁴ Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. pp. 2188–2196.

⁷⁸⁵ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში სასამართლოს დახმარება უფრო ხშირად ხდება აუცილებელი, როდესაც დოკუმენტი უნდა იქნას გამოთხოვილი მესამე პირისგან, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის მხარეს არ წარმოადგენს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მხარეები, რომლებიც პროცესის მონაწილეები არიან, უმეტეს შემთხვევაში ტრიბუნალის მითითებას ემორჩილებიან.

⁷⁸⁶ იხ. Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2391.

⁷⁸⁷ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 89.

რეგულირებულია, თუმცა საკითხი მაინც ნაკლებადაა დამუშავებული და მნიშვნელოვანია მრავალი საკითხის განხილვა, მათ შორის, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებისთვის მიმართვა არის შესაძლებელი, ვის მიერ, როდის, რა ფარგლებში. შესაბამისად, გაანალიზებული იქნება სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა და პრაქტიკა ამ საკითხზე.

10.3.1. სასამართლოს დახმარების სამართლებრივი საფუძველი

10.3.1.1. შესავალი

როგორც პროფესორი გარი ბორნი აღნიშნავს, „ამგვარი სამართლებრივი დახმარება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით.⁷⁸⁸ მნიშვნელოვანი შეკითხვა ამ მიმართულებით მდგომარეობს იმაში, არსებობს თუ არა სასამართლოს ჩართულობის ტერიტორიული შეზღუდვა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ტრიბუნალებს აძლევს უფლებას, მოითხოვონ სასამართლოს მხარდაჭერა მხოლოდ იმ საარბიტრაჟო განხილვისთვის, რომლებიც იმავე ქვეყანაში იმართება. მეორე მხრივ, არსებობენ ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობაც ითვალისწინებს ეროვნული სასამართლოების დახმარებას ასევე იმ საარბიტრაჟო პროცესებისთვის, რომელთა განხილვის ადგილი სხვა ქვეყანაში მდებარეობს ან როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი ჯერ განსაზღვრული არ არის. ასევე შეიძლება არსებობდეს სასამართლოს დახმარების შესაძლებლობა მხოლოდ საზღვარგარეთ მიმდინარე პროცესებისთვის.⁷⁸⁹

საარბიტრაჟო განხილვის ადგილით სასამართლოს დახმარების შემოფარგვლა არც ისე მოსახერხებელ მიდგომას წარმოადგენს, ვინაიდან დოკუმენტები ხშირად იმყოფება მხარეთა ბიზნესის წარმოების ადგილას. ასეთ დროს კი ტერიტორიული შეზღუდვის გათვალისწინებით, სასამართლოს ჩართულობა ეფექტური რომ იყოს, საარბიტრაჟო განხილვის ადგილი უნდა იყოს იმ ქვეყნის ტერიტორია, სადაც მხარეებს აქვთ ადგილსამყოფელი, ეს კი ძალიან იშვიათად ხდება.⁷⁹⁰ ამავდროულად, შესაძლოა საარბიტრაჟო განხილვის და მხარის ადგილსამყოფელი ერთი და იგივე იყოს, თუმცა მტკიცებულება ფიზიკურად სხვა ქვეყანაში მდებარეობდეს. ასევე, პრობლემურია საკითხი, როდესაც დოკუმენტი არა მხარესთან, არამედ სხვა, მესამე პირთან იმყოფება. ასეთ შემთხვევებში სწორად უნდა განისაზღვროს თუ რომელ სასამართლოს ან სასამართლოებს აქვთ იურისდიქცია, ჩაერთონ განხილვაში. შესაბამისად, რადგან ნიუ

⁷⁸⁸ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2395.

⁷⁸⁹ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 233.

⁷⁹⁰ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 233.

იორკის კონვენცია არ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს, ხოლო ქვეყნების მიდგომები ამ მიმართულებით ერთმანეთისგან განსხვავდება, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების მიდგომების განხილვა და ანალიზი, რამაც შესაძლოა წარმოშვას შესაძლებლობა შემუშავდეს საუკეთესო მოდელი, რომელიც ამ საკითხის შემდგომ ჰარმონიზაციას შეუწყობს ხელს.

10.3.1.2. UNCITRAL-ს მოდელური კანონი

UNCITRAL-ს მოდელური კანონი სასამართლოს დახმარების ხელმისაწვდომობას შემოსაზღვრავს იმ ქვეყნით, სადაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილია. კერძოდ, მოდელური კანონის 27-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს მტკიცებულების მოპოვებაში სასამართლოს დახმარებას, ექცევა ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედების ქვეშ, რომელიც არაორაზროვნად აცხადებს, რომ „[მოდელური] კანონის მუხლები, გარდა 8, 9, 17 H, 17 I, 17 J, 35 და 36, მუხლებისა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი ამ სახელმწიფოშია“. მოდელური კანონის 27-ე მუხლი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „საარბიტრაჟო ტრიბუნალს, ან მხარეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობით, შეუძლია მოსთხოვოს ამ ქვეყნის განსჯად სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში. სასამართლო უფლებამოსილია აღასრულოს ეს მოთხოვნა თავისი კომპეტენციის და მტკიცებულებების მიღების შესახებ მისი წესების ფარგლებში.“

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოდელური კანონის შემუშავების დროს ამ საკითხზე იყო აზრთა სხვადასხვაობა, საბოლოოდ კი, სამუშაო ჯგუფი შეჯერდა იმ აზრზე, რომ კანონში ტერიტორიული შეზღუდვა დაფიქსირებულიყო.⁷⁹¹ თუმცა, შემდგომ ეს მიდგომა კრიტიკის საგანი გახდა, რადგან ჩაითვალა, რომ ზედმეტად შემზღუდავი იყო, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მუხლი არ ექცევა ტერიტორიულობის პრინციპში და მას აქვს ექსტრატერიტორიული ხასიათი.⁷⁹² როდესაც სასამართლოს დახმარება შემოიფარგლება მხოლოდ იმ ქვეყნით სადაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილია, მას აქვს ძალიან მცირე პრაქტიკული დანიშნულება, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მხარეები ხშირად დოკუმენტების გამოთხოვას მესამე პირისგან ითხოვენ, რომელსაც განხილვის ქვეყანაში არ აქვს ადგილსამყოფელი ან თავად მხარეებსაც იშვიათად აქვთ ადგილსამყოფელი განხილვის ადგილის ქვეყანაში. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში, როგორც წესი,

⁷⁹¹ Ali Sh. and Repousis O.G., Court Assistance in Taking Evidence, in UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, A Commentary, Cambridge University Press, 2020. pp. 719-721.

⁷⁹² Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2396. იხ. აგრეთვე Ali Sh. and Repousis O.G., Court Assistance in Taking Evidence, in UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, A Commentary, Cambridge University Press, 2020. pp. 727-728.

განხილვის ადგილად არჩეულია ნეიტრალური ქვეყანა (ქალაქი), შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მხარეს ამ ქვეყანაში ჰქონდეს ადგილსამყოფელი და შესაბამისად, შენახული დოკუმენტები (მტკიცებულებები). ამასთან, შესაძლოა საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში ერთ-ერთი მხარის ადგილსამყოფელი და განხილვის ადგილი ერთმანეთს ემთხვეოდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მეორე მხარე უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მას ექნება შესაძლებლობა მოიპოვოს დოკუმენტები, ხოლო მეორე მხარეს ამგვარი შესაძლებლობა არ ექნება, მოწინააღმდეგე მხარის ადგილსამყოფელის იმავე სახელმწიფოში არარსებობის გამო.⁷⁹³

მიუხედავად მოდელური კანონის ამგვარი ვიწრო შეზღუდვისა, ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელმაც თავიანთი საარბიტრაჟო კანონმდებლობა შეცვალა ამ მოდელური კანონმდებლობის საფუძველზე, ეს დებულება გააფართოვა და აირჩია ექსტრატერიტორული მიდგომა.⁷⁹⁴ მაგალითად გამოდგება გერმანია, რომელზეც ქვემოთ დაწვრილებით იქნება საუბარი.

რაც შეეხება განსჯად სასამართლოს თავად საარბიტრაჟო ადგილსამყოფელი ქვეყნის შიგნით, ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს განმცხადებლის მიერ. მაგალითად, თუ ხდება მოწმის დაბარებაზე დახმარება, მიმართვის ადრესატი უნდა იყოს იმ ადგილის სასამართლო, სადაც მოწმე ცხოვრობს (რეგისტრირებულია) ან თუ საქმე ეხება ქონების დათვალიერებას, ის სასამართლო, რომლის მოქმედების ადგილასაც ეს ქონება მდებარეობს.⁷⁹⁵

10.3.1.3. ინგლისი

ინგლისის საარბიტრაჟო აქტი ძალაში შევიდა 1996 წელს და ზოგადად გამოიყენება როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის ინგლისი და უელსი ან ჩრდილოეთ ირლანდია. თუმცა ის ასევე არეგულირებს ზოგიერთ პროცედურულ თუ მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს იმ შემთხვევაშიც თუ განხილვის ადგილი ინგლისის გარეთაა.⁷⁹⁶

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის საარბიტრაჟო აქტი არ არის დაფუძნებული UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, მისი სტრუქტურა და ენა მიაჩნია მისთვის,

⁷⁹³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 234.

⁷⁹⁴ მაგ. გსსკ, მუხლი 1025 (2); ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 577(2) ან პოლონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1193 (2).

⁷⁹⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 235.

⁷⁹⁶ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 167.

რომ ის მაინც მოდელური კანონის დანაწესებით არის შთაგონებული.⁷⁹⁷ თუმცა, ინგლისის საარბიტრაჟო აქტის რეგულირება მტკიცებულების მოპოვებისას სასამართლოების ჩართულობის მიმართულებით განსხვავებულია. კერძოდ, აქტში ამ კუთხით მნიშვნელოვანია 42-ე და 43-ე მუხლები.

42-ე მუხლი აცხადებს, რომ „თუ მხარეებს შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული სასამართლოს შეუძლია მიიღოს ბრძანება, რომლითაც მოთხოვს მხარეს, შეასრულოს ტრიბუნალის მიერ გამოტანილი შუალედური ბრძანებები“. ინგლისის საარბიტრაჟო აქტის კომენტატორების მიხედვით, ტრიბუნალის მიერ დოკუმენტების წარდგენის დავალების შესახებ გამოტანილი ბრძანებები არის აღნიშნული მუხლის გამოყენების ნათელი მაგალითი.⁷⁹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ თავად აქტი არ განმარტავს თუ რას ნიშნავს შუალედური გადაწყვეტილება/ბრძანება,⁷⁹⁹ თუმცა ის გაგებულია, როგორც ბრძანება, რომელსაც, შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკრეტული სანქცია მოყვება.⁸⁰⁰

42-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან ნათელია, რომ მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს 42-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება ჩამოართვან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 42-ე მუხლის პირველი ნაწილი დისპოზიციურ ნორმას წარმოადგენს და მხარეებს მისგან გადახვევა შეთანხმებით შეუძლიათ.⁸⁰¹ ამგვარი შეთანხმების არარსებობის პირობებში კი, სასამართლო აღჭურვილია ამ უფლებამოსილებით და თუ ის დარწმუნდება, რომ მხარემ არ შეასრულა ტრიბუნალის ბრძანება, მას შეუძლია მისი შესრულება დაავალოს მას.

ამასთანავე, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია აქტის 43-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „(1) საარბიტრაჟო განხილვის მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს იგივე სასამართლო პროცედურები, რაც ხელმისაწვდომია სასამართლო განხილვებში რათა უზრუნველყოს ტრიბუნალის წინაშე ჩვენების მისაცემად მოწმის გამოცხადება ან დოკუმენტების ან სხვა მატერიალური მტკიცებულებების წარმოდგენა. (2) ეს შესაძლოა განხორციელებული იყოს ტრიბუნალის ნებართვით ან მეორე მხარესთან არსებული შეთანხმებით“.

⁷⁹⁷ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 167.

⁷⁹⁸ Harris B., Planterose R. and Tecks J., The Arbitration Act 1996: A Commentary, fourth edition, Blackwell Publishing, 2007. p. 207.

⁷⁹⁹ უნდა აღინიშნოს, რომ 41.5 მუხლი მიუთითებს, რომ ტრიბუნალმა შეიძლება მიიღოს შუალედური ბრძანებები, რომლითაც განსაზღვრავს გარკვეული მოქმედებების შესრულების ბოლო ვადას.

⁸⁰⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 238. დოკუმენტების წარდგენის მითითების შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს მხარისთვის საარბიტრაჟო ხარჯების დაკისრება. იხ. ქვეთავი 9.5.2.

⁸⁰¹ Harris B., Planterose R. and Tecks J., The Arbitration Act 1996: A Commentary, fourth edition, Blackwell Publishing, 2007. p. 215.

მიჩნეულია, რომ ეს მუხლი არის UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლზე აქტის გამომხატველობა.⁸⁰² მუხლის სიტყვასიტყვითი შემადგენლობიდან ნათელია, რომ (მიუხედავად სათაურისა (მოწმეთა დასწრების უზრუნველყოფა)), ის გამოყენება, როგორც მოწმეთა დაკითხვის უზრუნველსაყოფად, ისე წერილობითი მტკიცებულებების (დოკუმენტების) მოპოვებაში დასახმარებლად.⁸⁰³

რაც შეეხება ტერიტორიულობის საკითხს, 43-ე მუხლი ვრცელდება როგორც იმ არბიტრაჟებზე, რომელთა განხილვის ადგილი ენგლისი, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდიაა, არამედ მათზეც, რომელთა განხილვის ადგილი ჯერ არ განსაზღვრულა ან სხვა ქვეყანაშია.⁸⁰⁴ აქტის შესახებ სამართლებრივ ლიტერატურაში ჩვეულებრივ მოვლენადაა მიჩნეული ინგლისის სასამართლოების მხარდაჭერა მტკიცებულებების მოპოვებაში მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი სხვა ქვეყანაშია.⁸⁰⁵

როგორც წესი ამგვარი მიმართებებისთვის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს კომერციული სასამართლო⁸⁰⁶ ან საოლქო კომერციული სასამართლო,⁸⁰⁷ რომლებიც ლონდონის უმაღლესი სასამართლოს⁸⁰⁸ შემადგენლობაში შედიან.⁸⁰⁹

10.3.1.4. აშშ

აშშ-ში საარბიტრაჟო განხილვის დროს სასამართლოს დახმარების კონტექსტში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ორი დებულება. პირველი მათგანი არის ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-7 მუხლი, ხოლო მეორე - აშშ-ს კოდექსის 28-ე ტიტული, რომელიც არეგულირებს სასამართლოს და სასამართლო პროცედურებს. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საკამათოა მეორე მათგანი უნდა იქნას თუ არა გამოყენებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟების შემთხვევაში. თუმცა, იგი მაინც იქნება წარმოდგენილი საკითხის ამომწურავად განსახილველად.

პირველ რიგში შევეხები ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-7 მუხლს, რომლის მიხედვითაც, თუ პირი გამოძახებულია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განხილვაზე დასასწრებად [ან თუ მას მოთხოვნილი აქვს მტკიცებულებების წარდგენა] და იგი

⁸⁰² Harris B., Planterose R. and Tecks J., *The Arbitration Act 1996: A Commentary*, fourth edition, Blackwell Publishing, 2007. p. 210.

⁸⁰³ იხ. 43.1. მუხლის ბოლო ნაწილი. Harris B., Planterose R. and Tecks J., *The Arbitration Act 1996: A Commentary*, fifth edition, Wyley Blackwell, 2014. p. 222. განსხვავებული მოსაზრებისთვის იხ. Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 239

⁸⁰⁴ იხ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტის მუხლი 2 (3)

⁸⁰⁵ Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. p. 169

⁸⁰⁶ Commercial Court

⁸⁰⁷ Circuit Commercial Court

⁸⁰⁸ High Court in London (EWHC)

⁸⁰⁹ Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. p. 169

აღნიშნულს არ ასრულებს, აშშ-ს იმ რაიონის სასამართლოს, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, შეუძლია დაავალოს ამ პირს ან პირებს დასწრება (ან მტკიცებულებების წარდგენა) და სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დასაჯოს ის ან ისინი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს დანაწესი განმარტებულია ისე, რომ იგი მოიცავს სასამართლოს მიერ ტრიბუნალისთვის დახმარებას არა მხოლოდ მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის დროს, არამედ დახმარებას ზოგადად მტკიცებულებათა შეგროვებაში, მათ შორის დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებაში და ამ მიზნით ტრიბუნალის ბრძანებების შესრულებაში.⁸¹⁰

ეს მუხლი, პრინციპში, გამოსაყენებელია აშშ-ს ტერიტორიაზე მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვებისთვის, რაც დადასტურებული იქნა კიდევ საქმეში *National Broadcasting Co. v Bear Stearns & Co.*,⁸¹¹ რომელშიც აღინიშნა, რომ მე-7 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი დახმარების უფლებამოსილებას აძლევს რაიონულ სასამართლოს იმ არბიტრაჟების მიმართ, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმართება. თუმცა, განსაკუთრებულ გარემოებებში, დახმარება მე-7 მუხლის ფარგლებში გაწეულ იქნა აშშ-ს გარეთ მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვების ფარგლებშიც. მაგალითად, საქმეში *In re Deiuemar Compagnia di Navigazione SpA v M/V Allegra*,⁸¹² სააკველაციო სასამართლომ რაიონულ სასამართლოს დართო ნება, რომ მტკიცებულების უზრუნველყოფაში დახმარება აღმოეჩინა ლონდონში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში მოქმედი ტრიბუნალისთვის, რადგან არსებობდა განსაკუთრებული გარემოება - მხარეს იმ გემის მდგომარეობის დაფიქსირება სურდა, რომელსაც მალევე უნდა დაეტოვებინა აშშ-ს ტერიტორიული წყლები.⁸¹³ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მე-7 მუხლის ფარგლებში, დახმარება შესაძლებელია მტკიცებულების უზრუნველყოფის (მაგ. განადგურების ან შეცვლის თავიდან არიდების) მიზნით, თუმცა მტკიცებულების წარუდგენლობის შემთხვევაში, ტრიბუნალის გამოცემული ბრძანების აღსრულების მიზნითაც.⁸¹⁴

რაც შეეხება აშშ-ს კოდექსის 28 ტიტულს, მასში მნიშვნელოვანია 1782-ე მუხლი, რომელშიც მითითებულია, რომ იმ რაიონის სასამართლოს, სადაც პირი ცხოვრობს, შეუძლია უბრძანოს მას მისცეს ჩვენება ან წარადგინოს დოკუმენტი ან სხვა საგანი უცხოური ან საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე არსებულ პროცესში გამოსაყენებლად.

⁸¹⁰ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2400. იხ. Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 241.

⁸¹¹ *National Broadcasting Co. v Bear Stearns & Co.*, 165 F.3d 184, 187 (2d Cir. 1999).

⁸¹² *In re Deiuemar Compagnia di Navigazione SpA v M/V Allegra*, 198 F.3d 473 (4th Cir. 1999).

⁸¹³ Born G.B., *International Commercial Arbitration*, Second Edition, Kluwer Law International, 2014. pp. 2419–2420.

⁸¹⁴ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 241.

ბრძანება შეიძლება გამოცემული იყოს უცხოური ან საერთაშორისო ტრიბუნალის წერილის ან მოთხოვნის საფუძველზე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების თანახმად და ითვალისწინებდეს, რომ ჩვენება შეიძლება მიეცეს, ან დოკუმენტი ან სხვა საგანი შეიძლება წარედგინოს სასამართლოს მიერ ამისთვის გამოყოფილ პირს.

ძირითადი დავა ამ დანაწესთან მიმართებით გამომდინარეობს მისი სიტყვიერი შემადგენლობიდან, რომელიც უთითებს „უცხოურ ან საერთაშორისო“ ტრიბუნალს და მდგომარეობს კითხვაში, მოიაზრებს თუ არა ეს სიტყვები საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებს, რომლებიც აშშ-ს გარეთ მდებარეობს.

დებატი 1990-იან წლებში დაიწყო და თავდაპირველად, სასამართლოების მოსაზრება იყო, რომ ეს მუხლი მოიცავდა საერთაშორისო არბიტრაჟების ფარგლებში სასამართლოს დახმარებას.⁸¹⁵ თუმცა, მოგვიანებით მოსაზრება შეიცვალა და ფაქტობრივად ერთხმად იქნა აღიარებული მოსაზრება, რომ სიტყვები „უცხოური და საერთაშორისო ტრიბუნალი“ არ მოიცავდა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს, რომელიც აშშ-ს ტერიტორიის მიღმა იმართებოდა.⁸¹⁶

აღნიშნულ დებატში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე *Intel Corp. v Advanced Micro Devices*,⁸¹⁷ რომლის ფარგლებში განსახილველი უშუალოდ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის საკითხი არ ყოფილა, თუმცა სასამართლომ განმარტა, რომ სიტყვები „უცხოური და საერთაშორისო ტრიბუნალი“ ფართოდ უნდა განმარტებულიყო. თუმცა აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ დებატი მაინც ვერ გადაწყვიტა და შემდგომაც სასამართლოები იღებდნენ გადაწყვეტილებებს, სადაც 1782-ე მუხლში მოიაზრებდნენ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებს⁸¹⁸ და პირიქით.⁸¹⁹

⁸¹⁵ *ib. Application of Technostroyexport*, 853 F. Supp. 695, 697 (S.D.N.Y. 1994).

⁸¹⁶ *ib. In re Medway Power Ltd.* 985 F. Supp. 402 402 (S.D.N.Y. 1997); *National Broadcasting Co. v Bear Stearns & Co.*, 165 F.3d 184, 187 (2d Cir. 1999); *NBC v. Bear Stearns & Co.*, 165 F.3d 184 (2d Cir. 1999); *Republic of Kazakhstan v. Biedermann Int'l.*, 168 F.3d 880, 883 (5th Cir. 1999).

⁸¹⁷ *Intel Corp. v Advanced Micro Devices* 542 U.S. 241 (U.S. S.Ct. 2004).

⁸¹⁸*ib. In re Application of Babcock Borsig AG*, 583 F.Supp.2d 233, 235 (D. Mass. 2008); *In re Hallmark Capital Corp.*, 534 F.Supp.2d 591 (D. Minn. 2007); *In re Roz Trading Ltd*, 469 F.Supp.2d 1221 (N.D. Ga. 2006); *Servotronics Inc. v. Boeing Co.*, 954 F.3d 209, 216 (March 30, 2020).

⁸¹⁹ *In re Republic of Ecuador*, 2010 WL 3702427 (N.D. Cal. 2010); *El Paso Corp. v La Comisión Ejecutiva Hidroeléctrica del Rio Lempa*, 341 F.Appx. 31, 34 (5th Cir. 2009); *EWG Gasspeicher GMBH v. Halliburton Co.*, Case No. 20-1830

ეს საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა 2021 წლამდე,⁸²⁰ სანამ იგი არ წარსდგა უზენაესი სასამართლოს წინაშე.⁸²¹ აღნიშნულ საქმეში სასამართლოებს სხვადასხვა შტატში ეთხოვათ დახმარება მოწმეთა დაკითხვაში ინგლისში მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში. მე-4 ოლქის სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა,⁸²² ხოლო მე-7 ოლქის სააპელაციო სასამართლომ უარყო,⁸²³ რის გამოც, საქმე წავიდა უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული მუხლი ასევე მოიცავს აშშ-ს სასამართლოების უფლებამოსილებას დაეხმაროს საარბიტრაჟო ტრიბუნალებს მტკიცებულებების მოპოვებაში სხვა ქვეყნაში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებშიც.⁸²⁴

10.3.1.5. გერმანია

გერმანიაში არბიტრაჟის შესახებ წესები გსსკ-ის ნაწილია.⁸²⁵ რეფორმა გერმანიაში ამ მიმართულებით განხორციელდა 1998 წელს და არბიტრაჟის შესახებ დებულებებში შევიდა ცვლილებები და ისინი ძირითადად დაეფუძნა UNCITRAL-ის მოდელური კანონის დებულებებს.⁸²⁶

მტკიცებულებების მოპოვებაში სასამართლოს დახმარების საკითხს არეგულირებს გსსკ-ის 1050-ე მუხლი, რომელიც აცხადებს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს ან მხარეს ტრიბუნალის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში ან სხვა ზომების მიღებაში, რომლის მიღების უფლებამოსილებაც აქვს სასამართლოს და არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს. გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის მას დაუშვებლად ცნობს, სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მოთხოვნა მტკიცებულებების მოპოვებასთან ან სხვა ნებისმიერ ზომებთან დაკავშირებით მისი პროცედურული წესების შესაბამისად. არბიტრები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ სასამართლო განხილვებს.

თითქმის ყველა მუხლი გერმანიის საარბიტრაჟო რეგულაციაში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი გერმანიაა,⁸²⁷ თუმცა არსებობს

⁸²⁰ საკითხზე მიმდინარე დებატის შესახებ იხ. Soroky M. J., Compelling U.S. Discovery in International Franchise Arbitrations The (F)utility of Section 1782 Applications, Franchise Law Journal, Vol. 39:2, 2019; Fellas J. Using Section 1782 In International Arbitration, Arbitration International, Vol. 23:3, 2007.

⁸²¹ Servotronics, Inc., Petitioner v. Rolls-Royce PLC, (19-1847).

⁸²² Servotronics, Inc. v. Boeing Co., 954 F.3d 209, 211 (4th Cir. 2020).

⁸²³ Servotronics, Inc. v. Rolls-Royce PLC, 975 F.3d 689, 695 (7th Cir. 2020).

⁸²⁴ Servotronics, Inc., Petitioner v. Rolls-Royce PLC, (19-1847).

⁸²⁵ არბიტრაჟს ეთმობა მე-10 წიგნი, 1025-ე მუხლიდან.

⁸²⁶ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 134.

⁸²⁷ იხ. გსსკ-ის 1025-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გამონაკლისებიც. სწორედ ამ გამონაკლისში ხვდება 1050-ე მუხლიც.⁸²⁸ შესაბამისად, სასამართლოს დახმარება მტკიცებულებების მოპოვებაში შესაძლებელია მიეცეს იმ ტრიბუნალებს, რომელთა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი ჯერ არ არის განსაზღვრული ან გერმანიის გარეთაა.⁸²⁹

შესაბამისად, გამოდის, რომ გერმანიამ თავის კანონმდებლობაში თუმცა შემოიტანა UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლის ფაქტობრივად იდენტური მუხლი, მისი მოქმედება გააფართოვა და მას მიანიჭა ექსტრატერიტორიული მოქმედება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკოსები მაინც აღნიშნავენ, რომ სასამართლოსთვის მიმართვა მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების მიზნით მაინც საკმაოდ იშვიათია.⁸³⁰

10.3.1.6. შვედეთი

შვედეთის საარბიტრაჟო კანონის 26-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მხარეს შეუძლია რაიონულ სასამართლოს მიმართოს თუ მას სურს, რომ სასამართლომ მეორე მხარეს მოსთხოვოს დოკუმენტის წარმოდგენა. ამასთან ერთად, ამავე აქტის 50-ე მუხლი მიუთითებს, რომ შვედეთის სასამართლოს დახმარება, როგორც ეს 26-ე მუხლით არის გათვალისწინებული, შეიძლება მოხდეს იმ საარბიტრაჟო განხილვისთვის, რომლის განხილვის ადგილი არის შვედეთის გარეთ. შესაბამისად, შვედეთის სამართალში ტერიტორიული შეზღუდვა არ არის

თუმცა, საინტერესოა აქვს თუ არა შვედეთის სასამართლოს იურისდიქცია და შესაბამისად, შეუძლია თუ არა მას დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ ბრძანების გამოცემა უცხოელი მხარეების მიმართ. 26-ე მუხლიდან ცხადია, რომ თუ ამგვარ მხარეებს შორის არბიტრაჟი შვედეთში იმართება, მაშინ მას შეუძლია ამის გაკეთება. აღნიშნული დაადასტურა შვედეთის უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ შვედეთის სასამართლოს ჰქონდეს იურისდიქცია ამ საკითხზე, საკმარისია საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იყოს შვედეთი.⁸³¹ მსგავსად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ გადამწყვეტი ფაქტორი იყო ის, რომ

⁸²⁸ იხ. 1025-ე მუხლის მე-2 ნაწილი: 1032, 1033 და 1050 გამოიყენება იმ საქმეებშიც, სადაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი გერმანიის გარეთაა ან ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

⁸²⁹ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 135. იხ. აგრეთვე. Bredow J., Arbitration in Germany: Features of the German Institution of Arbitration. In International Commercial Arbitration: Different Forms and Their feature edited by Giuditta Cordero-Moss, Cambridge University Press, 2013. pp. 159-160.

⁸³⁰ Steinbrück B., German and English Court Orders in Support of Foreign Arbitrations, European Business Organization Law Review, Vol. 6:2, 2005. p. 325. დაწვრილებით გერმანიის რეგულირებაზე იხ. Knöfel O. L., Judicial Assistance in the Taking of Evidence Abroad in Aid of Arbitration: A German Perspective, Judicial Assistance in the Taking of Evidence Abroad in Aid of Arbitration: A German Perspective, Vol. 5:2, 2009.

⁸³¹ RosInvestCo v. Russian Federation (NJA 2010 s. 508).

საარბიტრაჟო განხილვის ადგილი, საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, იყო შვედეთი და გამოსცა ბრძანება, რომლითაც მხარეს, რომელსაც სათავო ოფისი ჰქონდა ოსლოში (ნორვეგია), წარედგინა დოკუმენტები ტრიბუნალისთვის.⁸³²

თუმცა, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ არც დოკუმენტი არ არის შვედეთში და არც საარბიტრაჟო განხილვის რომელიმე მხარეს აქვს რაიმე კავშირი შვედეთთან, მაშინ შვედეთის სასამართლოებს არ უნდა ჰქონდეთ იურისდიქცია დახმარება გაუწიონ ტრიბუნალს, რადგან ამ შემთხვევაში სამართლის განხორციელებაში შვედეთის სამეფოს არ შეიძლება ჰქონდეს ინტერესი.⁸³³ თუმცა, როგორც აღინიშნა, სასამართლოებს შვედეთში სხვაგვარი მიდგომა აქვთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ ბრძანების გამოცემა და მისი რეალურად აღსრულება სხვადასხვა რამეა. კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ შვედეთის სასამართლოს მიერ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, რამდენად აღსრულებადია ის სხვა ქვეყანაში. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ თუ ეს ბრძანება სხვა ქვეყანაში აღსრულებელი უნდა დარჩეს, სასამართლოს დახმარება 26-ე მუხლის ფარგლებში ხომ არ გამოიწვევს მხოლოდ და მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას?⁸³⁴ ამ კითხვაზე პასუხი დადებითი და უარყოფითი შეიძლება იყოს.

10.3.1.7. საფრანგეთი

საფრანგეთი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე პრო-საარბიტრაჟო იურისდიქციად. საარბიტრაჟო დებულებები აქაც მოთავსებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და ისინი გადაიხედა 2011 წელს. მიღებული ვერსია, მართალია დამყარებული არ არის UNCITRAL-ის მოდელურ კანონზე, მაგრამ ძირითადად იზიარებს მის სულისკვეთებას. საფრანგეთში, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, გათვალისწინებულია მტკიცებულებების მოპოვებაში სასამართლოს დახმარება როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტებამდე, ისე მის შემდეგ.⁸³⁵

კერძოდ, კოდექსის 1449-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, იმ შემთხვევაშიც, თუ ტრიბუნალი ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარება და ამ მიზნით შესაბამისი ზომების მიღება.

⁸³² იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 237.

⁸³³ Hobér K., International Commercial Arbitration in Sweden, Oxford University Press, 2011. p. 240.

⁸³⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 237.

⁸³⁵ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. pp. 150-151.

რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც ტრიბუნალი უკვე ფორმირებულია, ამ დროს იგი უკვე აღჭურვილია უფლებამოსილებით, მხარეებს მოსთხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა და მას ასევე აქვს შესაძლებლობა ამას დაუკავშიროს სანქციები. ამასთან ერთად, მხარეს, კოდექსის 1468-1469 მუხლების თანახმად, აქვს შესაძლებლობა, მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა შეგროვებაში დახმარებისთვის. აღნიშნული ასევე მოიცავს შესაძლებლობას მტკიცებულებები მიღებულ იქნას მესამე პირისგანაც, რომელიც განხილვის მხარე არ არის.⁸³⁶

რაც შეეხება ტერიტორიულობის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით საფრანგეთის მიდგომა საკმაოდ ლიბერალურია და იგი არ შემოიფარგლება საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებული საარბიტრაჟო განხილვებით.⁸³⁷

10.3.1.8. საქართველო

საქართველოში საარბიტრაჟო კანონმდებლობაში გატარებული რეფორმის შემდეგ, საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობა შეიცვალა და არბიტრაჟის შესახებ კანონი დაეფუძნა UNCITRAL-ის მოდელურ კანონს.⁸³⁸ შესაბამისად, მოდელური კანონის მსგავსად, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს შესაძლებლობას, სასამართლო დაეხმაროს საარბიტრაჟო ტრიბუნალს ან მხარეებს მტკიცებულებების შეგროვებაში.

ეს საკითხი რეგულირებულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით, „არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.“

აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი დახმარების შესაძლებლობას, UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად შემოფარგლავს ტერიტორიულობის პრინციპით. კერძოდ, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საარბიტრაჟო წარმოების წესებს.⁸³⁹ „შესაბამისად,

⁸³⁶ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. pp.153-154.

⁸³⁷ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. pp. 154-155.

⁸³⁸ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი. 2009 წლამდე საქართველოში მოქმედებდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი.

⁸³⁹ იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილი.

უდავოა, რომ მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მარეგულირებელი, კანონის 35-ე მუხლი ეხება საქართველოში მიმდინარე საარბიტრაჟო წარმოებას და საქართველოში „მყოფ“ არბიტრაჟს. შესაბამისად, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველოა, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს განცხადება, [...]“.⁸⁴⁰ რაც შეეხება ამ მუხლის ექსტრატერიტორიულ გავრცელებას, აღნიშნული შესაძლებელი არ არის. აღნიშნული კი გამომდინარეობს იქედან, რომ კანონის პირველი მუხლი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს კანონი არეგულირებს საარბიტრაჟო პროცესს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ამასთან, კანონში არ გვხვდება არც ერთი სხვა მუხლი, რომელიც მიუთითებდა, რომ ამ წესიდან 35-ე მუხლი გამონაკლისს წარმოადგენს. კანონმდებელს რომ სდომოდა 35-ე მუხლისთვის ექსტრატერიტორიული პრინციპის მინიჭება ეს პირდაპირ უნდა მიეთითებინა კანონში, როგორც ეს მან გააკეთა 23-ე მუხლის შემთხვევაში.⁸⁴¹

აქედან გამომდინარე, ამ მუხლის შესაბამისად, ქართული სასამართლოები ვერ აღმოუჩინენ დახმარებას იმ არბიტრაჟის მხარეებს და ტრიბუნალებს რომლის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი საქართველო არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობის მიდგომა განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი, განვითარებული ქვეყნების მიდგომებისგან, რომლებიც აღიარებენ ან მიდიან იმ მიმართულებით რომ აღიარონ, რომ მათ შიდა სასამართლოებს შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ არა მხოლოდ იმავე სახელმწიფოში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვებს, არამედ უცხოურ, საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ საქართველომ, როგორც (როგორც მინიმუმ) დეკლარირებულად პროსაარბიტრაჟო იურისდიქციამ, ცვლილება შეიტანოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში და მას დაამატოს, ჩანაწერი, რომ 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი ჯერ არ არის განსაზღვრული ან როდესაც ის საქართველოს ტერიტორიის გარეთაა.

უნდა აღინიშნოს, რომ 35-ე მუხლის ფარგლებში განსჯადი სასამართლო არის ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა გაიმართოს საარბიტრაჟო განხილვა.

⁸⁴⁰ კეკენაძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 125.

⁸⁴¹ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23.2: „საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.“ იხ. აგრეთვე კეკენაძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 126-127.

10.3.1.9. მხარეთა მიერ დახმარების გამორიცხვის შესაძლებლობა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, აქვთ თუ არა მხარეებს შესაძლებლობა შეთანხმებით გამორიცხონ სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეგროვებაში დახმარება. მკვლევართა უმრავლესობა ემხრობა მოსაზრებას, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა გამორიცხონ სასამართლოების მონაწილეობა მტკიცებულებების შეგროვების პროცესში ან მოდიფიცირება გაუკეთონ შესაბამის წესებს. აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია აშშ-ში და ნაწილობრივ ბრიტანეთშიც, რომლის საარბიტრაჟო აქტის 42-ე მუხლი, 43-ე მუხლისგან განსხვავებით, პირდაპირ და ცხადად უთითებს, რომ მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ აღნიშნულ წესს.⁸⁴² მსგავსად ამისა, გამორიცხვის შესაძლებლობას იძლევა გერმანიის საარბიტრაჟო კანონმდებლობაც.⁸⁴³

ამასთან, ზოგიერთი ავტორის მითითებით, თავის მხრივ, ტრიბუნალსაც აქვს უფლებამოსილება შეზღუდოს მხარეთა ეს უფლება.⁸⁴⁴ თუმცა, აღნიშნული მიდგომა საკამათოა, რადგან შესაძლოა მხარის უფლება მიმართოს სასამართლოს, განხილულ იქნას როგორც მისი უფლება და არა ტრიბუნალის დისკრეცია, ნება დართოს მას მიმართვაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც წესი მხარეებს სასამართლოსთვის მისამართავად ტრიბუნალის ნებართვა სჭირდებათ. შესაბამისად, ტრიბუნალებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. თუმცა, თუ სასამართლოს ჩართულობა მიმართულია ტრიბუნალის ბრძანებების აღსრულებაში დასახმარებლად, მაშინ შესაძლოა ვინმემ ამტკიცოს, რომ ტრიბუნალს უნდა შეეძლოს გადაწყვიტოს, რომ ამგვარი დახმარება საჭირო არ არის. თუმცა გაუგებარია რატომ არ უნდა ხედავდეს ჩართულობის საჭიროებას ტრიბუნალი, როცა მან მტკიცებულებებთან დაკავშირებით ბრძანება მიიღო, რომელსაც მხარე ან მესამე პირი არ ასრულებს.⁸⁴⁵

10.3.2. სასამართლოსთვის მიმართვის კომპეტენციის მქონე პირები

10.3.2.1. შესავალი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სასამართლოს დახმარების კონტექსტში წარმოიშობა, არის თუ ვინ არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით აღმოუჩინოს დახმარება მტკიცებულებების შეგროვებაში: არის ეს საარბიტრაჟო

⁸⁴² Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 245-246.

⁸⁴³ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 156.

⁸⁴⁴ იბ. Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2422.

⁸⁴⁵ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 246.

განხილვის მხარე ტრიბუნალის ნებართვით, თუ თავად ტრიბუნალი, თუ ორივე ერთად. ზოგადად გაკრიტიკებულია მხარის შესაძლებლობა, თავად, ტრიბუნალის ყოველგვარი ჩართულობის გარეშე მიმართოს სასამართლოს, რადგან ეს შესაძლოა მისგან გამოყენებულ იქნეს პროცესის გაჭიანურებისათვის.⁸⁴⁶ თუმცა, ტრიბუნალის ჩართულობის კონტექსტში მნიშვნელოვანია მისი როლის და უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განმარტებაც თუ როდის არის შესაძლებელი სასამართლოსთვის მიმართვა. აღნიშნული საკითხები შერჩეული იურისდიქციების ფარგლებში ქვემოთ იქნება განხილული.

10.3.2.2. UNCITRAL-ის მოდელური კანონი

UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლი მიუთითებს, რომ დახმარების შესახებ მოთხოვნა სასამართლოში შეიძლება წარადგინოს „საარტიტრაჟო ტრიბუნალმა ან მხარემ საარტიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობით.“

მოდელური კანონის ოფიციალურ ანალიტიკურ კომენტარებში პირდაპირ არის მითითებული,⁸⁴⁷ რომ სასამართლო ამ შემთხვევაში თამაშობს გამტარის როლს რათა თავიდან იქნას არიდებული მხარის მცდელობა ამ უფლების გამოყენებით გაეჭიანურებინა საქმე. თუ მხარეს მიეცემოდა უფლება პირდაპირ მიემართა სასამართლოსთვის, იგი მრავალი მოთხოვნის წარდგენით ადვილად შეძლებდა პროცესის გაჭიანურებას. მეტიც, ტრიბუნალის თანხმობის საჭიროება ნიშნავს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები საქმისთვის რელევანტური და მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს მოთხოვნილი დოკუმენტები არის თუ არა რელევანტური და საკმარისად კონკრეტული.⁸⁴⁸ იმ შემთხვევაში თუ მხარეს არ აქვს თანხმობა ტრიბუნალისგან და ისე მიმართავს სასამართლოს, მაშინ სასამართლომ, UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიხედვით არ უნდა განიხილოს ამგვარი მოთხოვნა.⁸⁴⁹

კიდევ ერთი საინტერესო შეკითხვა მდგომარეობს იმაში, ტრიბუნალის თანხმობა უნდა იყოს ცხადად გამოხატული, თუ შესაძლებელია ნაგულისხმევი თანხმობაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მხარე სასამართლოსთვის მიმართავს აპირებს მაშინ, როდესაც ტრიბუნალი მეორე მხარეს მოსთხოვს დოკუმენტების წარდგენას და ეს უკანასკნელი უარს იტყვის. ამ შემთხვევაში შეიძლება იმის მტკიცება, რომ ტრიბუნალის მიერ დოკუმენტების წარდგენის შესახებ ბრძანების გაცემა მანამდე

⁸⁴⁶ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 246.

⁸⁴⁷ Analytical Commentary on the Draft Text of a Model Law on International Commercial Arbitration, (1985). p. 60.

⁸⁴⁸ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 247.

⁸⁴⁹ *ALC v ALF*, [2010] SGHC 231; *SH Satinder Narayan Singh v. Indian Labour Cooperative Society Ltd and Others*, 2008 (1) ARBLR 355 Delhi.

გამოხატავს მის ნაგულისხმევ თანხმობას და მხარისთვის გაცხადებულ მხარდაჭერას, რომ ეს დოკუმენტები სასამართლოს მეშვეობით უნდა იქნას მოპოვებული. თუმცა, ამ შემთხვევაში საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას. ტრიბუნალი ასეთ შემთხვევაში, მხარეს თანხმობას აძლევს არა მხოლოდ იმაზე რომ დოკუმენტები უნდა იქნას მოპოვებული, არამედ იმაზეც, რომ საარბიტრაჟო განხილვის პროცესში მოხდეს სასამართლოს შემოყვანა. ტრიბუნალს კი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება არ მიაჩნდეს ეს აუცილებლად და, მტკიცების ტვირთის თუ დაუმორჩილებელი მხარის „დასჯის“ სხვა მექანიზმების გათვალისწინებით, არ მოისურვოს საქმეში სასამართლოს ჩართვა. შესაბამისად, ვფიქრობ 27-ე მუხლის ფარგლებში უკეთესი განმარტება იქნება, რომ ტრიბუნალმა ცხადად და პირდაპირ მისცეს ნებართვა მხარეს მიმართოს სასამართლოს.⁸⁵⁰ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გადაწყვეტილებები, სადაც ნაგულისხმევი თანხმობა სასამართლომ საკმარისად მიიჩნია, განეხილა მხარის მიმართვა მტკიცებულების შეგროვების შესახებ დახმარების თაობაზე.⁸⁵¹

10.3.2.3. ინგლისი

ინგლისის საარბიტრაჟო აქტის თანახმად, იმისათვის, რომ ადასრულონ ტრიბუნალის ბრძანება, სასამართლოსთვის დახმარებით მიმართვის უფლებამოსილება აქვთ როგორც თავად ტრიბუნალს, ისე მხარეს.⁸⁵² კერძოდ, 42 (2) (a) მუხლის მიხედვით, ტრიბუნალს დამოუკიდებლად შეუძლია მიმართოს სასამართლოს დახმარების მოთხოვნით, თუმცა ამის შესახებ მან უნდა შეატყობინოს მხარეებს.

ხოლო 42 (2) (b) მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლოში დახმარების მოთხოვნა შეიძლება წარადგინოს აგრეთვე მხარემ ტრიბუნალის თანხმობით და მეორე მხარისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით.⁸⁵³ 42 (2) (c) მუხლი კი აცხადებს, რომ მიმართვა ასევე შეიძლება განხორციელდეს თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ სასამართლოს დახმარების უფლებამოსილება მათთვის ხელმისაწვდომი იქნება. კონკრეტულად ეს პუნქტი ასახავს პროცესს, როდესაც მხარეებს არ მოეთხოვებათ ტრიბუნალის თანხმობა

⁸⁵⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 248

⁸⁵¹ Vibroflation AG v Express Builders Co. Ltd. [1994] 3 HKC 263.

⁸⁵² იხ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტის 42 (2) მუხლი.

⁸⁵³ O’Callaghan K. and Finnis J., Chapter 20: Support and Supervision by the Courts, In: Julian D. M. Lew, Harris Bor, et al. (eds.), Arbitration in England, with chapters on Scotland and Ireland, Kluwer Law International, 2013. p. 437.

მიმართვისთვის და ეს ხდება მაშინ, როდესაც მხარეები ამის შესახებ პირდაპირ არიან შეთანხმებულნი.⁸⁵⁴

რაც შეეხება 43-ე მუხლს, ამ მუხლის საფუძველზე მოთხოვნის შეტანა შეუძლია მხოლოდ მხარეს ან ტრიბუნალის თანხმობით, ან მის გარეშე თუ ამაზე მხარეები პირდაპირ არიან შეთანხმებულნი.⁸⁵⁵

10.3.2.4. აშშ

აშშ-ს ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-7 მუხლის ფორმულირებიდან არ არის ცხადი, თუ ვის შეუძლია ამ მუხლის ფარგლებში დახმარებისთვის სასამართლოსთვის მიმართვა, მხოლოდ ტრიბუნალს თუ მხარეებსაც აქვთ ამის უფლებამოსილება. თუმცა, მე-7 მუხლი მიუთითებს, რომ უწყება, რომელიც მიმართულია მოწმისთვის, ხელმოწერილი უნდა იყოს არბიტრის ან არბიტრთა უმრავლესობის მიერ. შესაბამისად, ნათელია, რომ ამ მუხლის საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება ტრიბუნალს აქვს. ასეა განმარტებული აღნიშნული სასამართლო პრაქტიკაშიც, რომელიც მიუთითებს, რომ მე-7 მუხლიდან გამოდინარე დახმარებისთვის მიმართვის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ საარბიტრაჟო ტრიბუნალებს.⁸⁵⁶

აქვთ თუ არა ამ მუხლის საფუძველზე მხარეებს უფლება, მიმართონ სასამართლოს, სადავო საკითხია და სასამართლოებს აქვთ სხვადასხვანაირი დამოკიდებულება. ნაწილი სასამართლოებისა თვლის, რომ მხარეებს ეს უფლება არ აქვთ,⁸⁵⁷ ხოლო ნაწილი პირიქით, მიიჩნევს, რომ მხარეებს საგამონაკლისო გარემოებებში დახმარების მოთხოვნის შესაძლებლობა აქვთ.⁸⁵⁸ ამგვარი განსაკუთრებული გარემოება შეიძლება იყოს მაგალითად როდესაც ტრიბუნალი ჯერ არ არის შექმნილი,⁸⁵⁹ ხოლო მტკიცებულება მოგვიანებით აღარ იქნება ხელმისაწვდომი.⁸⁶⁰

⁸⁵⁴ O'Callaghan K. and Finnis J., Chapter 20: Support and Supervision by the Courts, In: Julian D. M. Lew, Harris Bor, et al. (eds.), *Arbitration in England, with chapters on Scotland and Ireland*, Kluwer Law International, 2013. p. 437.

⁸⁵⁵ Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 250.

⁸⁵⁶ *National Broadcasting Co. v Bear Stearns & Co.* 165 F.3d 184, 187 (2d Cir. 1999). ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მიმართვის უფლებამოსილება მხოლოდ არბიტრებს ჰქონდათ და შესაბამისად მხარეები ამ უფლებით ვერ ისარგებლებდნენ.

⁸⁵⁷ *Foremost Yarn Mills, Inc. v Rose Mills, Inc.*, 25 F.R.D. 9, 11 (E.D. Pa. 1960).

⁸⁵⁸ *In re Deiulemar Compagnia di Navigazione SpA v M/V Allegra*, 198 F.3d 473, 479–481 (4th Cir. 1999)

⁸⁵⁹ *International Association of Heat and Frost Insulators and Asbestos Workers, Local 66 v. Leona Lee Corp.*, 434 F.2d 192, 194 (5th Cir. 1970).

⁸⁶⁰ *Vespe Contracting Co. v Anvan Corp.*, 399 F.Supp. 516, 522 (E.D. Pa. 1975) ob. Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 251

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მე-7 მუხლის ფარგლებში სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს ტრიბუნალებს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში მხარეებსაც, თუმცა მათ ეს სასამართლოს წინაშე უნდა დაასაბუთონ.

რაც შეეხება ამ მიმართულებით მეორე რელევანტურ მუხლს - აშშ-ს კოდექსის 28-ე ტიტულის 1782-ე მუხლს, მასში მითითებულია, რომ სასამართლომ შეიძლება მიიღოს შესაბამისი ბრძანება ტრიბუნალის ან „დაინტერესებული მხარის“ მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, ნათელია, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება ტრიბუნალს ნამდვილად აქვს. რაც შეეხება ტერმინს „დაინტერესებული მხარე“, აქ საქმე უფრო რთულადაა. აქაც ნათელია, რომ სამართლებრივი პროცესის მიზნებისთვის ამგვარი „დაინტერესებული მხარე“ არის საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე, რომელსაც აქვს პირდაპირი ინტერესი მტკიცებულებების მოპოვებაში.⁸⁶¹ თუმცა, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მხარე ტერმინს „დაინტერესებულ მხარე“-ში მოაზრებულ პირთაგან ყველაზე ნათელი მაგალითია, ის არ არის ერთადერთი, რომელიც ამ ტერმინში იგულისხმება. არამედ, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს ასევე ყველა იმ პირს, რომელსაც აქვს გონივრული ინტერესი მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების მიმართულებით.⁸⁶² აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ მხარეს სასამართლოსთვის მიმართვამდე არ სჭირდება ტრიბუნალის ნებართვის აღება, რადგან ამგვარი ვალდებულება 1782-ე მუხლის ფორმულირებიდან არ იკვეთება. თუმცა, შესაძლებელია მსგავსი ნებართვის მიღება მაინც კარგი იყოს, რადგან სასამართლომ საკითხის გადაწყვეტის დროს შეიძლება გაითვალისწინოს ტრიბუნალის პოზიცია. მაგალითად ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა დახმარებაზე, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, რომ LCIA-ს ტრიბუნალი მხარს უჭერდა ამგვარ მოთხოვნას.⁸⁶³

10.3.2.5. გერმანია

გერმანიის რეგულირება ამ მიმართულებით გავს UNCITRAL-ის მოდელური კანონის რეგულირებას, თუმცა არ არის მისი იდენტური. კერძოდ, გსკ-ის 1050-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების თხოვნით მიმართოს სასამართლოს თუ თვლის, რომ საქმის ფაქტების

⁸⁶¹ *ob. In re Malev Hungarian Airlines*, 964 F.2d 97, 101 (2d Cir. 1992); *John Deere Ltd v. Sperry Corp.*, 754 F.2d 132, 136 (3d Cir. 1985).

⁸⁶² *Intel Corp. v. Advanced Micro Devices, Inc.* 542 U.S. 241 (2004). *ob. აგრეთვე Fellas J. Using Section 1782 In International Arbitration*, *Arbitration International*, Vol. 23:3, 2007. p. 382

⁸⁶³ *Finserve Group Limited*, 2011 WL 5024264, 3 (D.S.C. 2011).

დადგენისათვის ამგვარი მოთხოვნის გაკეთება მიზანშეწონილია.⁸⁶⁴ ამასთან, 1050-ე მუხლის მიხედვით, ტრიბუნალს შეუძლია მისი მოთხოვნის შესაბამისად ჩატარებულ სხდომებში მიიღოს მონაწილეობა და თუ საქმე მოწმეს ეხება, შეკითხვებიც კი დასვას. ეს ჩანაწერი განსხვავდება UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლის რეგულირებისგან. შესაბამისად, ტრიბუნალს წინასწარ უნდა შეატყობინონ განხილვის შესახებ.⁸⁶⁵

გარდა ამისა, გსსკ-ის 1050-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს დახმარების მოთხოვნით შეიძლება მიმართოს მხარემაც, თუ მას აქვს ტრიბუნალის ნებართვა. ამ მიმართულებით გერმანიის რეგულირება UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლის იდენტურია. შესაბამისად, იმისათვის, რომ მხარემ შეძლოს სასამართლოში მოთხოვნის წარდგენა, მას ტრიბუნალისგან უნდა ჰქონდეს ამის თანხმობა. ეს აძლიერებს იმ პროსაარბიტრაჟო პოზიციას, რომ სწორედ არბიტრაჟია საარბიტრაჟო განხილვაზე პასუხისმგებელი. გარდა ამისა, ეს, როგორც უკვე აღინიშნა, თავიდან აცილებს მხარის თვითნებობას და სასამართლოსთვის დაუსაბუთებელი მიმართვებით პროცესის გაჭიანურების საფრთხეს.⁸⁶⁶ შესაბამისად, თუ ტრიბუნალი ჩათვლის, რომ დოკუმენტების მოთხოვნის განცხადება არარელევანტურია, მას შეუძლია მხარეს არ მისცეს სასამართლოსთვის მიმართვის ნებართვა. ამასთან დაკავშირებით შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ ეს აჩენს რისკს მომთხოვნ მხარეს შეეზღუდოს უფლება, მოსმენილ იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. თუმცა, ეს მოსაზრება სწორი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი მხარეს სასამართლოსთვის მიმართვის ნებართვის მიცემაზე უარს ეტყვის დაუსაბუთებლად და ყოველგვარი განხილვის გარეშე. სხვა შემთხვევაში, თუ ტრიბუნალი მოთხოვნას განიხილავს და მხარეს ეტყვის დასაბუთებულ უარს, უფლების დარღვევის რისკი აღარ უნდა იყოს,⁸⁶⁷ მითუფრო როდესაც ყველა საარბიტრაჟო წესით თუ შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობით ტრიბუნალი სარგებლობს დისკრეციით მიიღოს პროცედურული გადაწყვეტილებები მათ შორის მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით.

10.3.2.6. შედეგითი

განსხვავებულად არეგულირებს სასამართლოსთვის მიმართვის საკითხს შედეგითის საარბიტრაჟო აქტი, რომლის 26-ე მუხლი მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების მიზნით რაიონული სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ანიჭებს მხოლოდ და მხოლოდ მხარეს, ოღონდ ტრიბუნალის ნებართვით. შესაბამისად, აქტით ტრიბუნალს არ აქვს უფლება მტკიცებულებების შეგროვებაში დახმარების თხოვნით მიმართოს

⁸⁶⁴ იხ. აგრეთვე გსსკ-ის 1042-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁸⁶⁵ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p.137.

⁸⁶⁶ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p.136.

⁸⁶⁷ იხ. Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 136.

სასამართლოს. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ამგვარი შეზღუდვის არსებობა განპირობებულია იმით, რომ შვედეთის საარბიტრაჟო აქტის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სწორედ მხარეები არიან ვალდებული წარადგინონ ტრიბუნალის წინაშე მტკიცებულებები.⁸⁶⁸ შესაბამისად, თუ მხარე თავისი ნებით არ წარადგენს დოკუმენტებს, როგორც წესი, მეორე მხარე ტრიბუნალისგან ითხოვს დოკუმენტების გამოთხოვას. თუ ტრიბუნალი დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, ხოლო მეორე მხარე არ შეასრულებს ტრიბუნალის ბრძანებას, მაშინ გამოთხოვის მომთხოვნ მხარეზე იქნება დამოკიდებული, სურს თუ არა მას სასამართლოს ჩართვა პროცესში და ამისთვის ტრიბუნალისთვის მიმართვა. რეგულირების ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ თუ მხარეს არ სურს დოკუმენტების მიღება და ამიტომ იგი აღარ აპირებს სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურების დაწყებას, მაშინ, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ტრიბუნალს აღარ უნდა ჰქონდეს ინტერესი და უფლება, საკუთარი ინიციატივით მიმართოს სასამართლოს დახმარებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე საკითხის რეგულირება საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, ვინაიდან ხაზს უსვამს მხარეთა როლს საარბიტრაჟო პროცესში, თუმცა აქ გასათვალისწინებელი ისიცაა, ხომ არ ზღუდავს ტრიბუნალისთვის მიმართვის უფლების ჩამორთმევა პრინციპს, რომ სწორედ ტრიბუნალი იღებს ზომებს საქმის ეფექტიანად და სწორად გადასაწყვეტად და ფაქტების დასადგენად. ამ მიმართულებით მსჯელობის გამართვა შესაძლებელია.

რაც შეეხება ტრიბუნალის მიერ ნებართვის მიცემის საკითხს, 26-ე მუხლი მიუთითებს, რომ თუ ტრიბუნალი ჩათვლის, რომ სასამართლოსთვის მიმართვა გამართლებულია, ხოლო მოთხოვნილი დოკუმენტი საქმისთვის მნიშვნელოვანი, მაშინ ის დააკმაყოფილებს მოთხოვნას.⁸⁶⁹ შვედეთის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „იმისათვის, რომ დოკუმენტი მნიშვნელოვან მტკიცებულებად შეფასდეს, უნდა ჩაითვალოს, რომ ეს დოკუმენტი არსებულ მტკიცებულებებს რაღაცას მატებს“.⁸⁷⁰ შესაბამისად, ტრიბუნალი მხარეს არ მისცემს ნებართვას, მიმართოს სასამართლოს არარელევანტური დოკუმენტების გამოსათხოვად.

⁸⁶⁸ Sekolec J. and Eliasson N., Chapter 9 The UNCITRAL Model Law on Arbitration and the Swedish Arbitration Act: A Comparison, In: Lars Heuman and Sigvard Jarvin (eds.) *Swedish Arbitration Act of 1999, Five Years On: A Critical Review of Strengths and Weaknesses*, Juris Publishing 2006. p. 220.

⁸⁶⁹ Löf K. and Skogman A. et al., Chapter 9: The Proceedings, in Annette Magnusson, Jakob Ragnwaldh , et al. (eds), *International Arbitration in Sweden: A Practitioner's Guide*, Second Edition, second edition, Kluwer Law International, 2021. p. 276.

⁸⁷⁰ Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboy i Motala AB (NJA 2012 s. 289). Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 249.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტრიბუნალს შეუძლია მხარეს უარი უთხრას გამოთხოვაზე მაშინაც თუ მტკიცებულებები რელევანტურია, მაგრამ მისი გამოთხოვა „გამოიწვევს გაუმართლებლად დიდ ხარჯებს, ან განცხადება შეტანილია მხოლოდ და მხოლოდ რაიმე ფარული მიზნით, როგორცაა პროცესის საჯაროობის მოპოვება ან საარბიტრაჟო პროცესის გაჭიანურება.“⁸⁷¹ ტრიბუნალის ეს უფლება მომდინარეობს მისი ვალდებულებიდან, წარმართოს არბიტრაჟი ეფექტიანად და დროულად.⁸⁷²

10.3.2.7. საფრანგეთი

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1469-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეს, რომელსაც სურს მიიღოს მტკიცებულებების მოპოვებაში სასამართლოს დახმარება, აქვს უფლება, თავად მიმართოს სასამართლოს განცხადებით, თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ ტრიბუნალის თანხმობის მოპოვების შემდეგ.⁸⁷³ ეს ვალდებულება მომდინარეობს იქედან, რომ სწორედ ტრიბუნალია პასუხისმგებელი საარბიტრაჟო პროცესის წარმართვაზე და მისი წინასწარი თანხმობა თავიდან აირიდებს გაჭიანურებას ან უსაფუძვლო მიმართვებს. შედეგად, როდესაც წარდგენილია მოთხოვნა, ტრიბუნალს აქვს დისკრეცია გასცეს ნებართვა მიმართვაზე ან უარი უთხრას მხარეს. ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში გასაჩივრების შესაძლებლობა მხარეს პროცესის ეტაპზე არ აქვს.⁸⁷⁴

შვედეთის საარბიტრაჟო აქტის მსგავსად, საფრანგეთშიც თავად ტრიბუნალი არ არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს დახმარების თხოვნით. აღსანიშნავია, რომ ამგვარი შესაძლებლობის (როგორც ეს გათვალისწინებულია UNCITRAL-ის მოდელურ კანონში) კანონისთვის დამატება განიხილებოდა საფრანგეთის საარბიტრაჟო კანონმდებლობის რეფორმის შემუშავების ეტაპზე, თუმცა საბოლოოდ ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.⁸⁷⁵

⁸⁷¹ Hobér K, *International Commercial Arbitration in Sweden*, Oxford University Press, 2011. p. 239. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შვედეთის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ტრიბუნალს არ აქვს უფლება უარი უთხრას მას სასამართლოსთვის მიმართვაზე. იხ. *Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboys i Motala AB* (NJA 2012 s. 289). Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia, Helsinki 2016, p. 249.

⁸⁷² Hobér K, *International Commercial Arbitration in Sweden*, Oxford University Press, 2011. p. 240.

⁸⁷³ Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. p. 155.

⁸⁷⁴ Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. p. 155.

⁸⁷⁵ Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. p. 155 უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტრიბუნალს საფრანგეთის კანონმდებლობით სასამართლოსთვის მტკიცებულებების შეგროვებაში დახმარების მოთხოვნით მიმართვის უფლება მაინც აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1467-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ამბობს,

10.3.2.8. საქართველო

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი სიტყვასიტყვით იმეორებს UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიდგომას და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ანიჭებს როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალს, ისე მხარეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობით.⁸⁷⁶ შესაბამისად, ამ დანაწესის მიხედვით, თუ მხარეს თავად სურს მიმართოს სასამართლოს, მან პირველ რიგში უნდა მოიპოვოს ნებართვა საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე რეგულირებას ასევე შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის 356¹⁹ მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ „არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები“. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ეს მუხლი არსად მიუთითებს, რომ მხარეს მიმართვისთვის ესაჭიროება ტრიბუნალის თანხმობა, მუხლი უნდა განიმარტოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შუქზე. შესაბამისად, ამ მუხლის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მხარემ ჯერ უნდა მიმართოს ტრიბუნალს და მხოლოდ არბიტრაჟის თანხმობის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისთვის.⁸⁷⁷

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომელსაც ვეთანხმები, რომ „საპროცესო კოდექსის ეს შეუსაბამობა არბიტრაჟის შესახებ კანონთან შესაძლოა უმნიშვნელო იყოს შედეგის თვალსაზრისით, თუმცა პროცესუალური სიზუსტისთვის, ამ ხარვეზის საკანონმდებლო წესით აღმოფხვრამდე, სასურველია, რომ საპროცესო კოდექსი განიმარტოს ფართოდ. კერძოდ, რეკომენდებულია, საპროცესო კოდექსი განიმარტოს არბიტრაჟის შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რომელიც ამ შემთხვევაში სპეციალურ ნორმას წარმოადგენს. ეს განმარტება შეიძლება ითვალისწინებდეს იმას, რომ მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს და მას სთხოვოს სასამართლოსათვის მიმართვა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით. თუმცა, მხარეს აგრეთვე უნდა

რომ „საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დოკუმენტებთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით [...]“.

⁸⁷⁶ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3: „არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე[...]“.

⁸⁷⁷ კეკენაძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 123.

ჰქონდეს უფლება, მოიპოვოს არბიტრაჟის თანხმობა და თავად წარადგინოს სასამართლოში განცხადება, არბიტრაჟის თანხმობასთან ერთად.⁸⁷⁸

საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობის აუცილებლობა მხარის ინიცირების შემთხვევაში იმ დატვირთვას ატარებს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა წინასწარ განჭვრიტოს, გააჩნია თუ არა მხარის მიერ მოთხოვნილ მტკიცებულებას კავშირი განსახილველ საქმესთან და არ მოხდეს არასაჭირო მტკიცებულების გამოთხოვა,⁸⁷⁹ ან მხარე არ ცდილობდეს განხილვის გაჭიანურებას ან ამ უფლების ბოროტად გამოყენებას.

რაც შეეხება საპროცესო კოდექსში ხარვეზის აღმოფხვრას, მივიჩნევ, რომ 356¹⁹ მუხლის პირველი ნაწილი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ან მისი თანხმობით მხარის მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები“.

10.3.3. როდის არის მიმართვა დასაშვები?

10.3.3.1. შესავალი

საკითხთან თუ ვის შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა, მჭიდროდ არის დაკავშირებული კითხვა, თუ როდის არის სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელი. კერძოდ, საარბიტრაჟო განხილვას აქვს ეტაპები, რომელიც იწყება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენით და სრულდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანით. შესაბამისად, საინტერესოა, თუ როდის აქვს საამისოდ უფლებამოსილ პირს უფლება, მიმართოს სასამართლოს. ეს შეკითხვა განსაკუთრებით საინტერესოა ტრიბუნალის ფორმირების საკითხთან მიმართებით, ვინაიდან შესაძლოა სასამართლოს დახმარების აუცილებლობა ტრიბუნალის შექმნამდე წარმოიშვას.

10.3.3.2. UNCITRAL-ის მოდელური კანონი

UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლი, რომ ტრიბუნალმა ან მხარემ, ტრიბუნალის თანხმობით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს „მტკიცებულებების მოპოვებაში“. გაურკვეველობას იწვევს სწორედ ამ უკანასკნელი სიტყვების გამო, ვინაიდან ზოგიერთი ქვეყნის სასამართლოები ერთმანეთისგან განასხვავებენ ტერმინს „მტკიცებულებების მოპოვება“ და „გამჟღავნება“. როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვა

⁸⁷⁸ კეკენაძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 123-124.

⁸⁷⁹ თითბერიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, მეორე გამოცემა, 2020. გვ. 166.

„გამჟღავნება“, როგორც წესი გულისხმობს მტკიცებულებების წინაწარი განხილვის ეტაპზე, მოსმენების დაწყებამდე გამჟღავნებას.⁸⁸⁰

საკითხი მარტივადაა, როდესაც მტკიცებულებების გამოხმობა განხილვის ეტაპზე ხდება. საქმე მაშინ რთულდება, როდესაც საკითხი ეხება მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარებას, მაშინ, როდესაც არბიტრაჟი დაწყებულია,⁸⁸¹ თუმცა განხილვები ჯერ არ არის დანიშნული. სირთულეს კი განაპირობებს ის, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლის მეორე წინადადება აცხადებს, რომ მიმართვის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი ქვეყნის საპროცესო წესები, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის საპროცესო წესები კი ე.წ. წინასწარი განხილვის ეტაპზე გამჟღავნების შესაძლებლობას ითვალისწინებს.⁸⁸²

როგორც აღნიშნა, ამ საკითხზე იმსჯელა რამდენიმე ქვეყნის სასამართლომ. კერძოდ, ინგლისის სასამართლომ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლი განმარტა ვიწროდ და მიუთითა რომ ეს მუხლი „ეხება მტკიცებულებების მოპოვებას და არა [წინასწარი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებების] გამჟღავნებას“ და რომ „მოდელურ კანონში არაფერი მიანიშნებს, რომ სასამართლოს შეუძლია გამჟღავნების პროცესში დახმარება“.⁸⁸³

აღნიშნულის საპირისპიროდ, კანადის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 27-ე მუხლი ჩამოყალიბებული იყო იმდენად ფართოდ, რომ მასში მოაზრებულიყო სასამართლოს დახმარება წინასწარი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებების მოპოვების ან გამჟღავნების შესაძლებლობაში. სასამართლომ განმარტა, რომ ტერმინი „მტკიცებულება“, რომელიც გამოყენებულია 27-ე მუხლში მოიცავს როგორც წინასწარ, ისე განხილვის ეტაპზე მოპოვებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მტკიცებით, იმ შემთხვევაში თუ 27-ე მუხლის შემქმნელებს ენდომებოდათ რომ სასამართლოს დახმარება შესაძლებელი ყოფილიყო მხოლოდ განხილვის ეტაპზე, მაშინ ამას პირდაპირ მიუთითებდნენ მოდელურ კანონში.⁸⁸⁴

⁸⁸⁰ იხ. Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 263.

⁸⁸¹ აბიტრაჟის დაწყების თარიღი განსაზღვრულია მოდელური კანონის 21-ე მუხლში.

⁸⁸² United Nations Commission on International Trade Law, UNCITRAL 2012 digest of case law on the Model Law on International Commercial Arbitration, 2012. p. 120.

⁸⁸³ BNP Paribas and others v. Deloitte and Touche LLP, Commercial Court, England, 28 November 2003, [2003] EWHC 2874 (Comm).

⁸⁸⁴ Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. SJO Catlin, Alberta Court of Appeal, Canada, 18 January 2006, [2006] ABCA 18 (CanLII).

დაბოლოს, ჰონგ კონგის სასამართლომ ასევე განავითარა კანადის სააპელაციო სასამართლოს მსგავსი მსჯელობა 27-ე მუხლთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ის მოიცავს როგორც განხილვამდე, ასევე განხილვის შემდეგ მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარებას.⁸⁸⁵

უნდა აღინიშნოს, რომ 27-ე მუხლის ვიწროდ განმარტება და მისი მხოლოდ განხილვის ეტაპზე გავრცელება არ იქნება შესატყვისი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ბუნებასთან, სადაც დოკუმენტების წარდგენა ხდება მას შემდეგ რაც არბიტრაჟი დაიწყება, განხილვის (მოსმენის) დაწყებამდე.⁸⁸⁶ შესაბამისად, კანადის და ჰონგ კონგის სასამართლოების მიდგომა მართებულიად უნდა ჩაითვალოს.

აქვე მნიშვნელოვანია გაეცეს პასუხი კითხვას, შესაძლებელია თუ არა სასამართლოსთვის მიმართვა მხარის მიერ თუ არბიტრაჟი დაწყებულია, თუმცა ტრიბუნალის ფორმირება ჯერ არ მომხდარა. ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან 27-ე მუხლი პირდაპირ ითხოვს ტრიბუნალის ნებართვას სასამართლოში მოთხოვნის წარდგენის წინაპირობად. ტრიბუნალის ფორმირებამდე კი ამგვარი ნებართვა მიღებული ვერ იქნება.

აუცილებელია აგრეთვე აღინიშნოს, რომ სასამართლოსთვის მიმართვა უნდა მოხდეს მტკიცებულებების შეგროვებისთვის ტრიბუნალის მიერ გამოყოფილი დროის ფარგლებში და იგი, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა,⁸⁸⁷ ვეღარ მოხდება ტრიბუნალის მიერ საქმის არსებითი მხარის განხილვის დაწყების შემდეგ.

10.3.3.3. ინგლისი

ინგლისის საარბიტრაჟო აქტის 42-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს დახმარებას თუ მხარე არ დაემორჩილა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ბრძანებას. შესაბამისად, მუხლის ფორმულირებიდან ნათელია, რომ სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტრიბუნალი შეიქმნება. სხვა მხრივ დროსთან და ეტაპთან მიმართებით 42-ე მუხლი შეზღუდვას არ შეიცავს, რაც ნიშნავს, რომ მიმართვა ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, მთავარია რომ არსებობდეს ტრიბუნალის ბრძანება, რომელსაც მეორე მხარე არ დაემორჩილა. შესაბამისად,

⁸⁸⁵ CLOUT case No. 77 [High Court—Court of First Instance, Hong Kong, Vibroflotation A.G. v. Express Builders Co. Ltd., 15 August 1994].

⁸⁸⁶ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 262.

⁸⁸⁷ მაგ. თუ მტკიცებულების შესახებ მომთხოვნი მხარისთვის ცნობილი გახდა განხილვის დაწყების შემდეგ და მას ამის შესახებ მანამდე ობიექტურად ვერ ეცოდინებოდა.

ტრიბუნალს აქვს ზეგავლენა იმაზე თუ როდის და რა ეტაპზე მოხდება სასამართლოსთვის მიმართვა.⁸⁸⁸

რაც შეეხება 43-ე მუხლს, ინგლისის საარბიტრაჟო აქტი მიუთითებს მოწმეთა დაკითხვაზე და დოკუმენტების მოპოვებაზე და მისი განმარტება ხდება ისე, რომ იგი უფლებას იძლევა მოთხოვნილ იქნეს სასამართლოს დახმარება მათი მოსმენის ფარგლებში გამოსაყენებლად. სასამართლო პრაქტიკა უფრო მეტად ემხრობა იმ იდეას, რომ ეს მუხლი არ ვრცელდება წინასწარი მოსმენის ეტაპზე მტკიცებულებების გამჟღავნების შემთხვევაზეც.⁸⁸⁹

10.3.3.4. აშშ

ვრცელდება თუ არა ფედერალური სასარბიტრაჟო აქტის მე-7 მუხლი როგორც მოსმენის დროს, ისევე მის წინ მტკიცებულებების გამჟღავნების შემთხვევაზე, საკმაოდ საკამათო თემას წარმოადგენს, რადგან ამ საკითხზე სხვადასხვა სასამართლოს სხვადასხვა მიდგომა აქვს. ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში⁸⁹⁰ მითითებულია, რომ მე-7 მუხლი უფლებას იძლევა სასამართლოს დახმარება მიღებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ სხდომაზე (მოსმენაზე). მეორე მხრივ, ზოგიერთი გადაწყვეტილებით,⁸⁹¹ რომ მე-7 მუხლი იძლევა იმის საშუალებას რომ სასამართლო საქმეში ჩაერთოს მოსმენამდე მტკიცებულებების გამჟღავნების დროსაც. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების მიერ „მოსმენის წინ“ მტკიცებულებების გამჟღავნებაზე მითითება არასათანადოა, რადგან საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებების მოპოვება ყოველთვის დავის არსებით საკითხზე მოსმენამდე ხდება.⁸⁹² შესაბამისად, ვფიქრობ, მე-7 მუხლი, საერთაშორისო არბიტრაჟის კონტექსტში, ნათელია, რომ მოიცავს დოკუმენტების მოსმენამდე გამჟღავნებაში სასამართლოს დახმარებას.

რაც შეეხება 1782-ე მუხლს, მასთან დაკავშირებით, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ⁸⁹³ აღნიშნა, რომ ამ მუხლის ფარგლებში დახმარება შეიძლება მოთხოვნილ იქნას არა მხოლოდ როდესაც პროცესი „მიმდინარე ან მოახლოებულია“, არამედ მაშინაც, როცა ის „გონივრული განჭვრეტის“ ფარგლებშია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მიმართვა

⁸⁸⁸ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 264.

⁸⁸⁹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 264. იხ. BNP Paribas v Deloitte & Touche LLP [2003] EWHC 2874 (Q.B. Comm.); Travelers Ins. Co. Ltd v Countrywide Surveyors Ltd [2010] EWHC 2455 (Q.B. TCC).

⁸⁹⁰ Hay Group. Inc. v E.B.S. Acquisition Corp., 360 F.3d 404 (3d Cir. 2004).

⁸⁹¹ Stanton v Paine Webber Jackson & Curtis, Inc., 685 F. Supp. 1241, 1242–1243 (S.D.Fla. 1988).

⁸⁹² Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 265.

⁸⁹³ Intel Corp. v Advances Micro Devices Inc., 542 U.S. 241, 259 (U.S. S.Ct. 2004).

შეიძლება განხორციელდეს მას შემდეგ რაც დავა წარმოიშვა, თუმცა მანამდე სანამ არბიტრაჟი დაიწყება.⁸⁹⁴ ტრიბუნალის ფორმირებამდე მიმართვის უფლებამოსილება დაკავშირებულია „დაინტერესებული“ მხარის უფლებასთან ტრიბუნალის ნებართვის გარეშე მიმართოს სასამართლოს დახმარებისთვის. თუმცა, ასეთი მიმართვის გაკეთება, როგორც აღინიშნა, პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის დროს არის შესაძლებელი (მაგ. თუ მტკიცებულება დაიკარგება, და ა.შ).⁸⁹⁵

მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად „დაინტერესებულ მხარეს“ ტრიბუნალის შექმნამდეც აქვს მინიჭებული უფლება მიმართოს სასამართლოს, პრაქტიკაში, ტრიბუნალის თანხმობას შეიძლება მაინც მიენიჭოს მნიშვნელობა.⁸⁹⁶

10.3.3.5. გერმანია

გსსკ-ის 1050-ე მუხლი შეიცავს UNCITRAL-ის იდენტურ რეგულირებას ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ ტრიბუნალს, ან მისი ნებართვით - მხარეს, შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულების მოპოვებაში. შესაბამისად, ნათელია, რომ მუხლი პროცესში ტრიბუნალის ჩართულობას ითხოვს, რაც გამორიცხავს ტრიბუნალის ფორმირებამდე სასამართლოს დახმარებას.

რაც შეეხება საკითხს თუ რა ხდება ტრიბუნალის ფორმირების შემდეგ, აქ გსსკ რაიმე შეზღუდვას არ მოიცავს, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ტრიბუნალის ფორმირების შემდეგ სასამართლოსთვის მიმართვა ნებისმიერ ეტაპზე (როგორც მოსმენებამდე, ისე მოსმენების ეტაპზე) არის შესაძლებელი, მანამ, სანამ დოკუმენტების წარდგენისთვის ტრიბუნალის მიერ გამოყოფილი ვადა არ გავა ანდა ტრიბუნალი არ გადავა საქმის არსებითი მხარის მოსმენაზე.

10.3.3.6. შვედეთი

შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 26-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე მხარე ვალდებულია მოიპოვოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობა ამაზე. ეს კი ნიშნავს, რომ დახმარების მოთხოვნა ტრიბუნალის ფორმირებამდე არ არის შესაძლებელი. ამასთანავე, ნებართვის მისაღებად მხარემ ტრიბუნალს უნდა აჩვენოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები საქმისთვის

⁸⁹⁴ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 266.

⁸⁹⁵ Born G.B., International Commercial Arbitration, Second Edition, Kluwer Law International, 2014. p. 2414.

⁸⁹⁶ Finserve Group Limited, 2011 WL 5024264, 3 (D.S.C. 2011).

მნიშვნელოვანი და რელევანტურია. შესაბამისად, შვედეთშიც ტრიბუნალს აქვს გავლენა იმაზე, თუ რა ეტაპზე მოხდება სასამართლოსთვის მიმართვა.⁸⁹⁷

ამასთან, გერმანიის მსგავსად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირების შემდეგ, სასამართლოსთვის მიმართვა შვედეთშიც ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, სანამ ტრიბუნალის მიერ განსაზღვრული ვადა მხარეებს ამისთვის აქვთ ანდა ტრიბუნალს არ დაუწყია საქმის არსებითი მხარის განხილვა.

10.3.3.7. საფრანგეთი

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მტკიცებულებების მოპოვებაში სასამართლოს დახმარების შესაძლებლობას, როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებამდე, ისე მის შემდეგ.⁸⁹⁸

კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1449-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, იმ შემთხვევაშიც თუ ტრიბუნალი ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარება. აღნიშნული შემთხვევა უმეტესად სახეზეა, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა და დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულების განადგურება, მისი მახასიათებლების შეცვლა და ა.შ.⁸⁹⁹

ბუნებრივია, რომ სასამართლოსთვის მიმართვა ასევე დასაშვებია მას შემდეგ, რაც ტრიბუნალის ფორმირება მოხდება. აღნიშნული შემთხვევა გათვალისწინებულია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1469-ე მუხლით.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთში მტკიცებულებების მოპოვებაში სასამართლოს ჩართვა დასაშვებია არათუ არბიტრაჟის ნებისმიერ ეტაპზე (მანამ, სანამ ამოიწურება ტრიბუნალის მიერ დადგენილი ვადა ან ტრიბუნალი დაიწყებს საქმის არსებითი მხარის განხილვას), არამედ არბიტრაჟის დაწყებამდეც. ამ მხრივ საფრანგეთის მიდგომა ყველაზე ფართოა.

10.3.3.8. საქართველო

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ამ საკითხთან მიმართებით შეიცავს UNCITRAL-ის მოდელური კანონის იდენტურ რეგულირებას, თუმცა 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირება მოდელური კანონის 27-ე მუხლზე უკეთესია. კერძოდ, 35-ე

⁸⁹⁷ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 264.

⁸⁹⁸ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 151.

⁸⁹⁹ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 152.

მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ მხარეს და საარბიტრაჟო ტრიბუნალს სასამართლოსთვის მიმართვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია.

შესაბამისად, ნათელია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ მიმართვა არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ უშუალოდ საქმის (ზეპირი) განხილვის ეტაპით.⁹⁰⁰

ამასთანავე, 35-ე მუხლის პირველი ნაწილი, სასამართლოსთვის მიმართვისთვის აუცილებლად მიიჩნევს ტრიბუნალის ჩართულობას, აცხადებს რა, რომ ტრიბუნალს ან ტრიბუნალის თანხმობით მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მტკიცებულებების მოპოვებაში სასამართლოს დახმარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ფორმირებულია.

ამასთან, სასამართლოსთვის მიმართვა ტრიბუნალის ფორმირების შემდეგ, ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, მანამ სანამ არ მოხდება მტკიცებულებების წარდგენისთვის ტრიბუნალის მიერ გამოყოფილი ვადის გასვლა ან ტრიბუნალი არ დაიწყებს საქმის არსებითი მხარის განხილვას. ამ უკანასკნელ შემთხვევებში მიმართვა შესაძლებელი გახდება თუ მტკიცებულების შესახებ, რომლის მოპოვებაში დახმარებაც მოთხოვნილია, მხარემ და ტრიბუნალმა არაფერი იცოდნენ, ან ფაქტი, რომლის დასადასტურებლადაც მტკიცებულებაა საჭირო, დოკუმენტების წარდგენა-მოპოვების ეტაპის დასრულების შემდეგ მოხდა.

შესაბამისად, ტრიბუნალს აქვს დისკრეცია გასცეს ან არ გასცეს თანხმობა მხარის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე მიმართოს სასამართლოს.

10.3.4. სასამართლოს მიერ განსახორციელებელი დახმარების ფარგლები

10.3.4.1. შესავალი

სასამართლოს მიერ მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, თუ რა ფარგლებში შეუძლია სასამართლოს დახმარება აღმოუჩინოს ტრიბუნალს თუ შესაბამის მხარეს. საკითხი იმდენად აქტუალურია რამდენადაც, როგორც წინამდებარე თავის დასაწყისში აღინიშნა, სასამართლოს მონაწილეობა მტკიცებულებების შეგროვების პროცესში უნდა ატარებდეს საარბიტრაჟო პროცესის დახმარების და არა მასში ჩარევის, მითუფრო, უხეში ჩარევის სახეს.

⁹⁰⁰ კეკელიძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 127.

უკეთეს მიდგომად უნდა ჩაითვალოს, რომ სასამართლოს ჩართულობის ფარგლები შემოსაზღვრული იყოს ტრიბუნალის ბრძანებით, რომლითაც მან მხარეს ან მესამე პირს მოთხოვა წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა. ამასთან, გამოსათხოვი დოკუმენტების რელევანტურობისა და მნიშვნელობის შეფასების უფლებამოსილება უნდა დარჩეს თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალს.⁹⁰¹ თუმცა, სხვადასხვა ქვეყნების მიდგომა სასამართლოს და ტრიბუნალის დისკრეციის ზღვართან დაკავშირებით ასეთი ერთმნიშვნელოვანი არ არის, რაზეც დაწვრილებით იქნება ქვემოთ საუბარი.

10.3.4.2. UNCITRAL-ის მოდელური კანონი

UNCITRAL-ის მოდელური კანონის 27-ე მუხლი სდუმს საკითხზე თუ როგორი უნდა იყოს სასამართლოს როლი, როდესაც მას ტრიბუნალი ან მხარე, ტრიბუნალის თანხმობით მიმართავს და სთხოვს მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარებას. პრაქტიკული შეკითხვა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ ბუნდოვანია, უნდა განიხილოს თუ არა სასამართლომ ეს მოთხოვნა საფუძვლიანად, კერძოდ კი, უნდა იმსჯელოს თუ არა განმცხადებლის მიერ საარბიტრაჟო განხილვის მხარისა თუ მესამე პირისგან გამოსათხოვი მტკიცებულების რელევანტურობაზე, მნიშვნელობაზე და საარბიტრაჟო პროცესში მისი გამოყენების პერსპექტიულობაზე.⁹⁰²

27-ე მუხლი მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია აღასრულოს მოთხოვნა მისი კომპეტენციის ფარგლებში და მტკიცებულებების მოპოვების შესახებ მისი წესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს იძულების მის ხელთ არსებული ზომები.

ამასთანავე, ამავე მუხლში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ დახმარება სასამართლოს ვალდებულებაა. შესაბამისად, სასამართლოს ამ მიმართულებით დისკრეცია აქვს და არ არის ვალდებული მომთხოვნ მხარეს დაეხმაროს.⁹⁰³ სასამართლოს მიერ დახმარების მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილება წარმოადგენს ცალკე საპროცესო მოქმედებას, რომლის დროსაც სასამართლომ, მისი იურისდიქციის კანონმდებლობის და პრაქტიკის მიხედვით, უნდა შეაფასოს მოთხოვნის გონივრულობა.⁹⁰⁴ თუმცა, დახმარების შესახებ მოთხოვნა სასამართლომ არ უნდა განიხილოს ისე, როგორც ის განიხილავდა მის

⁹⁰¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 253.

⁹⁰² United Nations Commission on International Trade Law, UNCITRAL 2012 digest of case law on the Model Law on International Commercial Arbitration, 2012. p. 120.

⁹⁰³ Ali Sh. and Repousis O.G., Court Assistance in Taking Evidence, in UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, A Commentary, Cambridge University Press, 2020. p. 723.

⁹⁰⁴ Ali Sh. and Repousis O.G., Court Assistance in Taking Evidence, in UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, A Commentary, Cambridge University Press, 2020. P. 723. იხ. აგრეთვე Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. SJO Catlin [2006].

მიერ ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის დროს დაყენებულ შუამდგომლობას მტკიცებულებების გამოხმობის, მტკიცებულებების უზრუნველყოფის თუ ა.შ. შესახებ. არამედ, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ (ა) მოთხოვნილი მტკიცებულებების საარბიტრაჟო განხილვისთვის რელევანტურობასა და მნიშვნელობაზე ტრიბუნალს უკვე აქვს ნამსჯელი და მან არ უნდა დააკნინოს ეს მსჯელობა; (ბ) სწორედ ტრიბუნალია უფლებამოსილი (და არა სასამართლო) მიიღოს გადაწყვეტილებები საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში მტკიცებულებების, მათ შორის მათი წონის, მნიშვნელობის და რელევანტურობის შესახებ; და (გ) სასამართლოს როლი საარბიტრაჟო განხილვის პროცესში მტკიცებულებების მოპოვებაში არის ტრიბუნალის დახმარება და არა მის კომპეტენციაში ჩარევა.⁹⁰⁵ ამრიგად, სასამართლოების განხილვის ფარგლები უნდა იყოს საკმაოდ ვიწრო და არ უნდა ემსგავსებოდეს ტრიბუნალის გადაწყვეტილების რევიზიას.

სასამართლოს მიერ მოთხოვნის ლიმიტირებულ ფარგლებში განხილვას მიემხრო კანადის ერთ-ერთი სასამართლო, რომელმაც მიუთითა, რომ „რადგანაც მოთხოვნა გამოცემულია ტრიბუნალის მიერ ან ტრიბუნალის თანხმობით, სასამართლოს როლი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ აღასრულოს ეს მოთხოვნა იმ იძულების საშუალებებით, რომელიც მას აქვს, ხოლო ტრიბუნალს არ გააჩნია.“⁹⁰⁶

10.3.4.3. ინგლისი

ინგლისის საარბიტრაჟო აქტის 42-ე მუხლი სასამართლოს არ აძლევს უფლებამოსილებას შინაარსობრივად განიხილოს ტრიბუნალის მიერ გამოცემული ბრძანება. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ ერთადერთი, რაც სასამართლოს წინაშე უნდა დაკმაყოფილდეს, არის ის, რომ განმცხადებელს ამოწურული უნდა ჰქონდეს ყველა საშუალება რაც ხელმისაწვდომია საარბიტრაჟო პროცესში, ხოლო მეორე მხარე მიუხედავად ამ საშუალებებისა, მაინც არ წარადგენდეს მტკიცებულებებს.⁹⁰⁷

საქმეში *Emmott v Michael Wilson & Partners Ltd*⁹⁰⁸ სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებები 42-ე მუხლთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სასამართლოს

⁹⁰⁵ მოდელური კანონის ანალიტიკური კომენტარი პირდაპირ მიუთითებს, რომ 27-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს არბიტრაჟისთვის დახმარების გაწევა, როდესაც ტრიბუნალს არ შეუძლია მხარის ან მესამე პირის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება. იხ. *Analytical Commentary on the Draft Text of a Model Law on International Commercial Arbitration*, (1985). p. 59.

⁹⁰⁶ *CLOUT case No. 68 [Delphi Petroleum Inc. v. Derin Shipping and Training Ltd., Federal Court—Trial Division, Canada, 3 December 1993]*.

⁹⁰⁷ *Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 257.*

⁹⁰⁸ იხ. *Emmott v Michael Wilson & Partners Ltd (2009) EWHC 1 (Q.B. Comm.)*.

უფლებამოსილება 42-ე მუხლის ფარგლებში არ არის მხოლოდ „ბეჭდის დამრტყმელის“ მოვალეობა და რომ სასამართლომ დახმარების შესახებ ყველა განცხადება უნდა დააკმაყოფილოს. ამასთან, სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ სასამართლოს დისკრეცია ამ მუხლის ფარგლებში ასევე არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უნდა გადასინჯოს ტრიბუნალის მიერ გამოცემული ბრძანება მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. სასამართლოს ეს განმარტება დამყარებული იყო არგუმენტზე, რომ ინგლისის საარბიტრაჟო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებით ძალიან შეზღუდული უფლებები აქვს.⁹⁰⁹

რაც შეეხება საარბიტრაჟო აქტის 43-ე მუხლს, ამ მუხლის ფარგლებში სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია როგორც ტრიბუნალის ნებართვით, ისე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, ამგვარი ნებართვის გარეშე. როდესაც მიმართვა ხდება ტრიბუნალის ნებართვის საფუძველზე, სტანდარტი არის იგივე, რაც 42-ე მუხლის შემთხვევაში, რაც ნიშნავს, რომ სასამართლო არ მოახდენს ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას. ხოლო თუ სასამართლოს მიმართავს მხარე ტრიბუნალის ნებართვის გარეშე, აქ სასამართლოს მეტი მოქნილობა აქვს შევიდეს მტკიცებულებების რელევანტურობის და მნიშვნელობის უფრო დეტალურ განხილვაში.⁹¹⁰

10.3.4.4. აშშ

ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-7 მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიიღოს ის ზომები, რომელიც მას აქვს ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად. თუმცა, მიმართვის შემთხვევაში სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება იმით, რომ მან უნდა უზრუნველყოს იძულებით მტკიცებულების წარმოდგენა და არ აქვს უფლება გადახედოს ტრიბუნალის ბრძანებას, მოახდინოს მისი რევიზია.⁹¹¹

რაც შეეხება აშშ-ს კოდექსის 1782-ე მუხლს, მასში პირდაპირაა მითითებული, რომ სასამართლოს ბრძანებამ შეიძლება გაითვალისწინოს მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით პრაქტიკა და პროცედურა, რომელიც შეიძლება იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ უცხოური ქვეყნის ან საერთაშორისო ტრიბუნალის პრაქტიკა და პროცედურა. შესაბამისად, მუხლმა თავად გაითვალისწინა სასამართლოს

⁹⁰⁹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 258. იხ. აგრეთვე საქმე Patley Wood Farm Llp v Brake & Anor 2013] EWHC 4035 (Ch.) სადაც სასამართლომ გაატარა იგივე მოსაზრება.

⁹¹⁰ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 258.

⁹¹¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 258.

უფლებამოსილება შეცვალოს მოთხოვნის ფარგლები.⁹¹² თუმცა აქაც გასათვალისწინებელია რომ თუ მიმართვის დროს სახეზეა ტრიბუნალის ბრძანებაც, მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ ტრიბუნალი არის ის ორგანო, რომელსაც კარგად შეუძლია შეაფასოს მოთხოვნილი დოკუმენტების ფარგლები, რა დროსაც სასამართლო ამ ნაწილში აღარ უნდა ჩაერიოს. თუმცა, თუ მოთხოვნა გაკეთებულია საარბიტრაჟო ტრიბუნალის გვერდის ავლით ან მანამ სანამ ტრიბუნალი ფორმირდება, მაშინ სასამართლოს შეუძლია მიუთითოს IBA წესები მოთხოვნის ფარგლებთან მიმართებით და ამ წესებით, როგორც საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მიღებული წესებით გადაწყვიტოს საკითხი.⁹¹³

ამასთან, დახმარების აღმოჩენა სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც თუ 1782-ე მუხლის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ეს სასამართლოს არ ავალდებულებს დახმარება აღმოუჩინოს დაინტერესებულ მხარეს თუ ტრიბუნალს დახმარება.⁹¹⁴

საბოლოოდ, როდესაც წყვეტს აღმოუჩინოს თუ არა დახმარება მომთხოვნ პირს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის საჭიროება, რომელიც საარბიტრაჟო განხილვას აქვს მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, ისევე როგორც ის როლი, რომელიც მას აქვს ტრიბუნალის მიერ საქმის ეფექტიანად გადაწყვეტის საქმეში.

10.3.4.5. გერმანია

გერმანიაში, თუ გსკ-ის 1050-ე მუხლის პროცედურული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასამართლოს არ აქვს სხვა არჩევანი, ან უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა ან პირიქით, უარი უნდა თქვას მის დაკმაყოფილებაზე. ამასთან სასამართლოს დახმარების ფუნდამენტური პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო ამ დროს არ განიხილავს მოთხოვნილი მტკიცებულების გამოსადეგობას, შესაბამისობას და რელევანტურობას. ამის გაკეთების უფლებამოსილება მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს.⁹¹⁵

⁹¹² იხ. მაგ. Roz Trading Ltd. 469 F.Supp.2d 1221, 1230 (2006).

⁹¹³ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 258.

⁹¹⁴ In Re Metallgesellschaft AG v Hodapp, 121 F.3d 77, 78 (2d Cir. 1997); Intel Corp. v Advances Micro Devices Inc., 542 U.S. 241, 247 (U.S. S.Ct. 2004).

⁹¹⁵ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 143. იხ. აგრეთვე Sachs K. and Lörcher T., Part II: Commentary on the German Arbitration Law (10th Book of the German Code of Civil Procedure), Chapter V: Conduct of the Arbitral Proceeding, § 1050 – Court Assistance in Taking Evidence and Other Judicial Acts, In: Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll et al. (eds.), Arbitration in Germany: The Model Law in Practice, Second Edition, Kluwer Law International, 2015. p. 298.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის მიდგომა ამ მიმართულებით UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიდგომის მსგავსია და ეს გასაკვირიც ვერ იქნება, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, გერმანიის საარბიტრაჟო კანონმდებლობის რეფორმის დროს გსსკ-ში გათვალისწინებული დებულებები ძირითადად დაეყრდნო მოდელურ კანონს ანდა მის სულისკვეთებას.

1050-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასამართლოს ამ შემთხვევაში შეუძლია შეაფასოს, დასაშვებია თუ არა მოთხოვნილი მტკიცებულება მისი პროცედურული წესების შესაბამისად. მაგალითად, თუ მოთხოვნილია პრივილეგიით დაცული დოკუმენტები,⁹¹⁶ რომლის გამოთხოვა გერმანიის საპროცესო კანონმდებლობით დასაშვებია არაა, სასამართლო დაუშვებლად ცნობს მოთხოვნას.⁹¹⁷

გარდა ამისა, სასამართლო მიიღებს დახმარების შესახებ გადაწყვეტილებას თუ ტრიბუნალმა მტკიცებულებების მოპოვება თავად ვერ შეძლო/არ შეუძლია.⁹¹⁸ გერმანულ ლიტერატურაში ასევე გავრცელებული მოსაზრებაა, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს მოთხოვნას იმ შემთხვევაშიც, თუ ტრიბუნალის მიერ მტკიცებულებების შეგროვების მცდელობა ტრიბუნალისგან მოითხოვდა დისპროპორციულ ძალისხმევას, რის გამოც მან ეს არ ან ვერ გააკეთა.⁹¹⁹

10.3.4.6. შვედეთი

შვედეთის საარბიტრაჟო აქტის 26-ე მუხლი პირდაპირ აცხადებს, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნის ლეგიტიმურობის (მართლზომიერი) შეფასება, ხოლო საკითხს, ეს მტკიცებულება არის თუ არა რელევანტური, აფასებს ტრიბუნალი. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შვედეთის სასამართლო იყენებს შვედეთის საპროცესო კოდექსის წესებს.⁹²⁰ შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია ტრიბუნალის მიღებული ბრძანების გადახედვა.

თუმცა, სად გადის ზღვარი მტკიცებულების მოპოვების მართლზომიერებასა და რელევანტურობაში ყოველთვის ნათელი არ არის.⁹²¹ შვედეთის უზენაესმა სასამართლომ

⁹¹⁶ მაგ. ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კორესპონდენცია.

⁹¹⁷ Sachs K. and Lörcher T., Part II: Commentary on the German Arbitration Law (10th Book of the German Code of Civil Procedure), Chapter V: Conduct of the Arbitral Proceeding, § 1050 – Court Assistance in Taking Evidence and Other Judicial Acts, In: Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll et al. (eds.), Arbitration in Germany: The Model Law in Practice, Second Edition, Kluwer Law International, 2015. p. 299.

⁹¹⁸ გსსკ-ის 1050-ე პარაგრაფის პირველი წინადადების ბოლო ნაწილი.

⁹¹⁹ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. pp. 144-145.

⁹²⁰ იხ. 26-ე მუხლის მეორე აბზაცი.

⁹²¹ Kozłowska-Rautiainen D., Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration, Unigrafia, Helsinki 2016, p. 255.

ერთ-ერთ საქმეში⁹²² იმსჯელა აღნიშნულზე 26-ე მუხლის ფარგლებში და მიუთითა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დისკრეციას წარმოადგენს მტკიცებულების რელევანტურობის შეფასება, ხოლო სასამართლოს როლი, დახმარების მოთხოვნის შემთხვევაში, შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ იმის შეფასებით, ზომების მიღება არის თუ არა მართლზომიერი. მხარის მოთხოვნის მართლზომიერების შეფასებისას, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სასამართლომ უნდა განიხილოს (ა) ტრიბუნალს ჰქონდა თუ არა მხარისთვის მიცემული ნებართვა შეეტანა მოთხოვნა; (ბ) სასამართლოს აქვს თუ არა იურისდიქცია (განსჯადობა); (გ) არის თუ არა მოთხოვნილი ზომა სათანადოდ ცხადი იმისთვის, რომ აღსრულდეს; (დ) ვრცელდება თუ არა შვედეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე თავის მე-2 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები⁹²³ მოთხოვნაზე; (ე) მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმა შესაძლებელია თუ არა პრივილეგიის ან კონფიდენციალურობის საფუძველზე.

თუმცა, ამავე საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ თუ თავის პროცედურულ ბრძანებაში მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ ტრიბუნალი არ ხსნის მტკიცებულების რელევანტურობას და არ ასაბუთებს მას, მაშინ სასამართლომ უნდა შეაფასოს ეს საკითხი მტკიცებულების მნიშვნელობის და გამჟღავნების პოტენციური ზიანის კონტექსტში. თუ ამგვარ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ სასამართლო მტკიცებულების მნიშვნელობის და რელევანტურობის საკითხს არ ეხება.⁹²⁴

10.3.4.7. საფრანგეთი

საფრანგეთში სასამართლოს აქვს სრული დისკრეცია გადაწყვიტოს დააკმაყოფილოს თუ არა დახმარების შესახებ მოთხოვნა. თუმცა, მოსამართლეს არ შეუძლია მტკიცებულებების რელევანტურობის და მნიშვნელობის შეფასება. აღნიშნული საფრანგეთშიც წარმოადგენს ტრიბუნალის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.⁹²⁵

კერძოდ, როგორც ეს საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1469-ე მუხლშია მითითებული, როდესაც ტრიბუნალი უკვე შექმნილია, სასამართლო აკმაყოფილებს მოთხოვნას თუ ის „დასაბუთებულია“. თუმცა ამავე მუხლში მითითებულია, რომ მოსამართლეს შეუძლია მტკიცებულება მიიღოს „იმ პირობებში და გარანტიებით,

⁹²² *Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboyss i Motala AB* (NJA 2012 s. 289).

⁹²³ „არც მხარე და არც მასთან დაკავშირებული პირი [მეუღლე, ყოფილი მეუღლე, სისხლით ან ქორწინებით ნათესავი], როგორც ეს მითითებულია ზემოთ, არ არის ვალდებული წარადგინოს ამ მხარეს და დაკავშირებულ პისა თუ დაკავშირებულ პირებს შორის არსებული წერილობითი კომუნიკაცია.“

⁹²⁴ *ib. Euroflon Tekniska Produk-ter AB v Flexiboyss i Motala AB* (NJA 2012 s. 289), para 17. როგორც წესი მტკიცებულების რელევანტურობის საკითხი მიმართვის დროს იმთავითვე ცხადია სასამართლოსთვის.

⁹²⁵ Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. p. 161. *ib. აგრეთვე Paris Court of Cassation*, 10 Jan. 2013, 2nd Civil Chamber, 12-12.375.

როგორც ამას თავად განსაზღვრავს.“ აღნიშნული მიუთითებს, რომ მოსამართლე დახმარების მოთხოვნით მკაცრად არ არის შეზღუდული და მას შეუძლია შეცვალოს იგი მისი შეხედულების შესაბამისად.⁹²⁶

ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთში მტკიცებულების მოპოვებაში დასახმარებლად სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია ტრიბუნალის ფორმირებამდეც. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, როგორც წესი, დააკმაყოფილებს მოთხოვნას თუ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი მტკიცებულებების შეგროვებისთვის. მაგალითად, თუ მტკიცებულებები რელევანტური და საჭიროა საქმისთვის. თუ მომთხოვნ მხარეს აქვს საკმარისი მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად ან თუ მოთხოვნა ბუნდოვანია, მაშინ დიდი ალბათობით იგი უარყოფილი იქნება. ამასთან, თუ სასამართლო მოთხოვნას აკმაყოფილებს, მას შეუძლია შეცვალოს მოთხოვნა (მისი ფარგლები) იმის მიხედვით, რაც მას საქმისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია.⁹²⁷

10.3.4.8. საქართველო

სსსკ-ის მუხლი 356¹⁹ არეგულირებს არბიტრაჟის ფარგლებში მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში სასამართლოს დახმარების საკითხს. აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ „არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები.“

სსსკ-ის XIV თავი კი, თავის მხრივ აწესრიგებს მტკიცებულებების უზრუნველყოფის საკითხებს სასამართლო განხილვის დროს, რაც თავისი შინაარსით და დანიშნულებით განსხვავდება მტკიცებულებების გამოთხოვის ინსტიტუტისგან და წესრიგდება საკმაოდ სპეციფიკურად. შესაბამისად, დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებაში დახმარების თხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში სსსკ-ის XIV თავის გამოყენება უადგილოდ მიმაჩნია. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება თუ სსსკ-ს დაემატება სპეციალური მუხლი ან 356¹⁹ მუხლს დაემატება შესაბამისი პუნქტი, რომელიც დაარეგულირებს თუ როგორ უნდა განიხილოს სასამართლომ მტკიცებულებების გამოთხოვაში დახმარების შესახებ მოთხოვნა. აღნიშნულ დანაწესში უნდა აისახოს ქვემოთ მიმთითებული მსჯელობა.

⁹²⁶ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 161.

⁹²⁷ Raess I., Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration, Dissertation, 2020. p. 161.

როგორც რაიონული მოსამართლეებისთვის მომზადებულ გზამკვლევშია მითითებული, „მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მოთხოვნისას სასამართლო არ უნდა შეიჭრას საკითხის არსობრივ შემოწმებაში. კერძოდ, სასამართლომ არ უნდა შეაფასოს მტკიცებულების საქმისათვის რელევანტურობისა და გამოყენებადობის საკითხი. იგულისხმება, რომ აღნიშნული საკითხი უკვე შეფასებული და გადაწყვეტილია არბიტრაჟის მიერ. სასამართლოს როლი ასეთ შემთხვევაში არის მხოლოდ არბიტრაჟის ტექნიკური დახმარება და მტკიცებულებათა წარდგენის იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა, რა უფლებამოსილებაც არბიტრაჟს არ გააჩნია. ეს მიდგომა ეხმიანება მოდელურ კანონს,⁹²⁸ და შესაბამისად, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს, რომლებიც განამტკიცებენ სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო პროცესში ჩაურევლობის პრინციპს, რათა არ მოხდეს სასამართლოს მიერ არბიტრების უფლებამოსილების შეზღუდვა.“⁹²⁹

აღნიშნული ნიშნავს, რომ „სასამართლომ შინაარსობრივად არ უნდა შეაფასოს მტკიცებულებათა რელევანტურობა და არც ამ მოთხოვნის ფარგლებს უნდა გასცდეს და არ უნდა შეეხოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის საკითხს. სასამართლომ დახმარება უნდა გაუწიოს მხარეს/არბიტრაჟს და აღასრულოს მოთხოვნა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ, თუ ის არ ეწინააღმდეგება სასამართლოს კომპეტენციას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.“⁹³⁰

⁹²⁸ მოდელური კანონის მიდგომის შესახებ იხ. ქვეთავი 10.3.4.2 ზემოთ.

⁹²⁹ კეკენაძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 129. ნაშრომი უთითებს, კანადის ფედერალური სასამართლოს 1993 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე Delphi Petroleum Inc. v Derin Shipping and Training Ltd, რომელშიც სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული მიდგომა.

⁹³⁰ კეკენაძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 130.

11. დასკვნა

დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა საარბიტრაჟო განხილვის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით შეუძლია მხარეს დაარწმუნოს ტრიბუნალი, რომ მას, მოწინააღმდეგე მხარისგან განსხვავებით უფრო მყარი პოზიცია აქვს, მისი არგუმენტები უფრო დასაბუთებულია და შესაბამისად, გამარჯვება მას უნდა დარჩეს. თუმცა, საერთაშორისო არბიტრაჟში მრავალი საკითხი, რომელიც ამ თემას უკავშირდება, პირდაპირ არ არის დარეგულირებული, რის გამოც ბევრი რამაა დამოკიდებული საარბიტრაჟო კანონმდებლობის, წესების და რბილი სამართლის ნორმების ინტერპრეტაციაზე მხარეების თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ეტაპად, რომელშიც მტკიცებულებების წარდგენის (და გამოთხოვის) ეტაპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც ხშირად დიდ დროს მოითხოვს. ამასთან, ამ ეტაპზე ტრიბუნალისთვის წარდგენილი მტკიცებულებები შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად, ესენია: დოკუმენტური (წერილობითი) მტკიცებულებები; (ფაქტის) მოწმეთა ჩვენებები; ექსპერტთა ჩვენებები (მოსაზრებები); შემოწმება (დათვალიერება). ამათგან, მიჩნეულია, რომ წერილობითი მტკიცებულებები, მტკიცებულებათა ჩამოთვლილ სახეებს შორის ყველაზე სანდოა, რადგან ისინი უცვლელად ინახავენ გარემოებებს/ფაქტებს.

მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხარეები საარბიტრაჟო განხილვების დროს უმეტესწილად სწორედ დოკუმენტურ მტკიცებულებებს ეყრდნობიან, და შესაბამისად, მათ შორის ძირითადი დავა სწორედ დოკუმენტური მტკიცებულებების გარშემო მიმდინარეობს. ეს კი ნიშნავს, რომ ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხები, რომლებიც დოკუმენტებს უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სამართლებრივ ტრადიციებს (საერთო სამართლის და კონტინენტური სამართლის ტრადიციებს) მტკიცებულებებთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მიდგომა და რეგულაცია აქვთ. შესაბამისად, რომელიმე ამ მიდგომის

პირდაპირ გამოყენება საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, სადაც მხარეები, როგორც წესი, სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციიდან არიან, დაუშვებელია, არამედ უნდა მოხდეს საერთაშორისო არბიტრაჟზე მორგებული წესების ჩამოყალიბება და გამოყენება ტრიბუნალების მიერ. ამგვარი წესების საფუძველი კი უნდა იყოს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამოსაყენებელი კანონმდებლობა/რეგულაციები.

ნიუ იორის კონვენცია, ისევე როგორც ქვეყნების შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობა და საარბიტრაჟო წესები ადგენენ ძალიან ზოგად დანაწესებს საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დანაწესების საფუძველზე კი საერთაშორისო არბიტრაჟში დამკვიდრებულია სხვადასხვა პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საარბიტრაჟო პროცესის, მათ შორის დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის დროს. აღნიშნული პრინციპებია: მხარეთა კერძო ავტონომია (მხარეებს აქვთ უფლებამოსილება დაადგინონ წესები თუ როგორ უნდათ მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტა); ტრიბუნალის დისკრეცია (მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში, ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება საარბიტრაჟო პროცესი წარმართოს ისე, როგორც ის ამას მიიჩნევს სათანადოდ და შესატყვისად.); მხარეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა და მათთვის პოზიციების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა; ტრიბუნალის მიერ ფაქტების მოძიების უფლებამოსილება; ეფექტიანობა; საჯარო წესრიგი (მხარეებს და ტრიბუნალს არ შეუძლიათ იმგვარი წესების დადგენა, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვა იმ ქვეყნის სავალდებულო (იმპერატიულ) წესებთან და საჯარო წესრიგთან, სადაც არბიტრაჟს აქვს მისი ადგილსამყოფელი).

ამასთან, როდესაც ტრიბუნალის მიერ ხდება დოკუმენტური მტკიცებულებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება მას, გარდა ზემოაღნიშნული პრინციპებისა, შეუძლია იხელმძღვანელოს ასევე რბილი სამართლის წესებით. ძირითადი წესები, რომლებიც დოკუმენტების მოპოვების და წარდგენის შესახებ არსებობს არის: IBA-ს წესები, პრადის წესები, CPR-ის პროტოკოლი, ICDR-ის გზამკვლევი და ელექტრონულ დოკუმენტებთან დაკავშირებული CIArb-ის პროტოკოლი. აღნიშნული წესები, როგორც წესი, სავალდებულოდ გამოსაყენებელი არ არის (გარდა იმ შემთხვევისა თუ ამაზე მხარეები პირდაპირ შეთანხმდებიან), თუმცა, ტრიბუნალს შეუძლიათ მათი გამოყენება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებში ასახვაც კი. ამ წესების გამოყენება საკმაოდ პრაქტიკულია, რადგან ისინი შეიცავენ დეტალურ რეგულირებას მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესახებ, რასაც შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ტრიბუნალს.

შესაბამისი საარბიტრაჟო კანონმდებლობის და წესების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მხარეს აქვს უფლება საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე წარადგინოს მის ხელთ არსებული დოკუმენტები. აღნიშნული უფლება დეკლარირებულია როგორც საარბიტრაჟო წესებში, ისე ქვეყნების შიდა კანონმდებლობებში თუ რბილი სამართლის წესებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება არ არის უკონტროლო და იგი, როგორც წესი მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში. ამ ჩარჩოებს, მხარეთა შეთანხმების გათვალისწინებით, მათთან კონსულტაციის შემდეგ, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში ადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალი. ტრიბუნალის ეს უფლება, როგორც წესი, გამოიხატება იმაში, რომ მას შეუძლია განსაზღვროს მტკიცებულებების წარდგენის ვადა, ფორმა და პროცედურა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხარეები თავიანთ საარბიტრაჟო სარჩელსა და შესაგებელს ან პირველ წარდგინებებს ურთავენ მათ ხელთ არსებულ ყველა მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, რაც მოხდება ტრიბუნალის ჩამოყალიბება, ტრიბუნალი მისი პროცედურული დადგენილებებით (ბრძანებებით) განსაზღვრავს ვადას, რომლის ფარგლებშიც მხარეებს შეუძლიათ მათ ხელთ არსებული დოკუმენტების წარდგენა. როგორც წესი, ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მტკიცებულებები დაუშვებლად არის ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარუდგენლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით ან როდესაც სახეზეა ახალი მტკიცებულება, რომელიც წარდგენაც მხარეს ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეეძლო.

საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა იმგვარად უნდა განსაზღვროს დოკუმენტების წარდგენის ვადები, რომ ვადის გასვლის შემდეგ, ზეპირი მოსმენის გამართვამდე, მხარეებს ჰქონდეთ გარკვეული დრო, რათა გაეცნონ წარმოდგენილ მასალებს და მოამზადონ საკუთარი პოზიციები ზეპირი მოსმენისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტების წარდგენის პროცესში, მხარე შეზღუდულია კეთილსინდისიერების პრინციპით, რომელიც მას აკისრებს მოვალეობას მის ხელთ არსებული მტკიცებულებები კეთილსინდისიერად - სათანადო დროს და სათანადო ფორმით გაამჟღავნოს, რათა ხელი შეუწყოს საარბიტრაჟო პროცესის ეფექტიანად წარმართვას.

დაბოლოს, მხარემ მის მფლობელობაში არსებული მტკიცებულებები უნდა წარუდგინოს, როგორც ტრიბუნალს, ისე მეორე მხარეს, რათა ორივე მათგანს შეეძლოს დროულად გაეცნოს მათ და გადადგას შემდგომი ნაბიჯები. ამასთან, მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს დედნები, ან ამ დედნების ნამდვილი და სრული ასლები. ბუნებრივია, რომ დაუშვებელია დოკუმენტებით განზრახ მანიპულაცია, მითუფრო ყალბი დოკუმენტების წარდგენა ან დოკუმენტების გაყალბება.

ზემოთ მითითებული პროცედურების დაუცველობამ მხარე შესაძლოა დააყენოს რეალობის წინაშე, როდესაც ტრიბუნალი არ მიიღებს მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს ან სხვაგვარად გაითვალისწინებს მის არაკეთილსინდისიერებას პროცესში, რასაც შესაძლოა მხარისთვის მოყვეს გამოუსწორებელი შედეგები, მათ შორის მარცხი განსახილველ საქმეში.

ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მხარის მფლობელობაში არ არის, რა დროსაც მას შეუძლია ტრიბუნალს მიმართოს მოთხოვნით მოწინააღმდეგე მხარისგან მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარისგან მტკიცებულებების გამოთხოვა საარბიტრაჟო პროცესში მხარეთა ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილად. კერძოდ, თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება ტრიბუნალის წინაშე წარადგინოს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და ეს პოზიცია დაასაბუთოს შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ უფლების რეალიზებას კი მხარე ახდენს, მათ შორის იმით, რომ ერთი მხრივ, ტრიბუნალის წინაშე წარადგენს მის ხელთ არსებულ და მისთვის სასურველ დოკუმენტებს, ხოლო მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარისგან ითხოვს იმ დოკუმენტებს, რომლებიც მას თავისი პოზიციის გასამყარებლად ესაჭიროება და რომლებიც მას ხელთ არ აქვს.

მხარეთა ამ უფლებას ტრიბუნალის მხრიდან შეესაბამება არა ვალდებულება დააკმაყოფილოს ნებისმიერი მოთხოვნა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ, არამედ უფლებამოსილება. კერძოდ, როგორც ეროვნულ კანონმდებლობებში, ისე საარბიტრაჟო წესებში, როგორც წესი, პირდაპირ არის მითითებული, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულებების დასაშვებობის, წარმოდგენის და შეფასების შესახებ. აღნიშნული კი მოიცავს ტრიბუნალის უფლებას მხარეებს მოსთხოვოს გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. შესაბამისად, ნათელია, რომ საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში ტრიბუნალს აქვთ საკმაოდ ფართო დისკრეცია მტკიცებულებების შეგროვების კუთხით.

თუმცა, ტრიბუნალი, დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის განხილვის დროს მხედველობაში იღებს მთელ რიგ გარემოებებს. ეს გარემოებები პირობითად შესაძლოა დაიყოს ორ ნაწილად: (1) ფორმალური მოთხოვნები; და (2) შინაარსობრივი წინაპირობები.

ფორმალურ მოთხოვნებში იგულისხმება თუ რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს მოთხოვნის წარდგენა, მათ შორის, როდის, რა ფორმით, ვის მიმართ დგება ეს მოთხოვნა და რა მოთხოვნები წაეყენება მას ტრიბუნალის მიერ განხილვის დროს.

გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ როდის (რა დროს) აქვს მხარეს უფლება დააყენოს მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისგან მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, უნდა მიიღოს ტრიბუნალმა. ამ საკითხთან მიმართებითაც, ტრიბუნალს საკმაოდ ფართო დისკრეტია გააჩნია. მას შეუძლია მხარეებს ეს უფლება მიანიჭოს მხოლოდ ძალიან მცირე დროით განხილვის დაწყებიდან, ან სულაც გადაწყვეტილების გამოტანამდე. თუმცა უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს მიდგომა, როდესაც ტრიბუნალი შესაბამის ვადას განსაზღვრავს განხილვის დაწყებიდან მალევე, შესაბამისი პროცედურული დადგენილებით და მხარეებს აძლევს კონკრეტულ ვადას მას შემდეგ რაც გაცვლილი იქნება საარბიტრაჟო სარჩელი და შესაგებელი. ეს ვადა კი, როგორც წესი, ზეპირი განხილვების დაწყებამდე უნდა ამოიწუროს, რათა მხარეები და ტრიბუნალი ზეპირ განხილვას მომზადებული შეხვდნენ და გაცვლილი ჰქონდეთ ყველა რელევანტური მტკიცებულება.

კიდევ ერთი ფორმალური წინაპირობა არის ის, რომ მოთხოვნა დოკუმენტების გამჟღავნების შესახებ, როგორც წესი წერილობით უნდა იქნას წარდგენილი. ამგვარი პრაქტიკა ლოგიკურიცაა, რადგან კომლექსურ დავებში, სადაც მხარეები არაერთ მტკიცებულებას ითხოვენ, მსგავსი მოთხოვნის ზეპირად დაყენება არალოგიკური იქნებოდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მხარეებს და ტრიბუნალს შეუძლიათ შეიმუშაონ სპეციალური ფორმა, რომლის დაცვითაც მხარეებს შეუძლიათ მსგავსი მოთხოვნის დაყენება. როგორც წესი, არბიტრაჟების უმეტესობაში ამ მიზნით გამოიყენება ე.წ. რედფერნის ცხრილი.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოთხოვნა მტკიცებულებების გამჟღავნების შესახებ უნდა წარედგინოს როგორც ტრიბუნალს, ისე მეორე მხარეს, რადგან მხოლოდ რომელიმე მათგანისთვის მისი წარდგენა არაეფექტიანი იქნება. როგორც წესი, მსგავს მიდგომას იზიარებს წამყვანი საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები, ისევე როგორც რბილი სამართლის ნორმები.

რაც შეეხება ფორმალურ მოთხოვნას, იმისთვის, რომ ტრიბუნალმა განიხილოს მხარის მოთხოვნა მტკიცებულებების გამოთხოვაზე, მომთხოვნმა მხარემ უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული შინაარსობრივი მოთხოვნები. პირველი წინაპირობა, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს არის ის, რომ მოთხოვნა უნდა იყოს ვიწრო და კონკრეტული. ზოგადი და ყოვლისმომცველი მოთხოვნა, შესაბამისად, არ დაკმაყოფილდება. პრაქტიკის კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტების კატეგორიის გამოთხოვის შემთხვევაში თუ მითითებულია დოკუმენტის სახე (ტიპი), ჩართული მხარეები (ავტორი ან/და მიმღები), კონკრეტული დრო ან დროის შუალედი, იგი ჩაითვლება ვიწროდ და კონკრეტულად, ხოლო მითითება „ყველა ან/და ნებისმიერი დოკუმენტი“ სხვა

იდენტიფიკაციის საშუალებების გარეშე, დიდი ალბათობით არ ჩაითვლება სათანადოდ ვიწროდ და კონკრეტულად.

გარდა ამისა, მომთხოვნმა მხარემ მოთხოვნაში უნდა დაასაბუთოს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები საქმისთვის არის რელევანტური და არსებითი. აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა ტრიბუნალს განსხვავებული მიდგომა აქვს, თუმცა, თუ მხარე აჩვენებს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი მას საქმისთვის მნიშვნელოვანი (და არა მეორეხარისხოვანი) გარემოების დასადასტურებლად სჭირდება, მაშინ დოკუმენტი, დიდი ალბათობით, საქმისთვის რელევანტურად ჩაითვლება. რაც შეეხება არსებითობას, დოკუმენტი ასევე უნდა იყოს საქმისთვის არსებითი, რაც ნიშნავს, რომ ის გავლენას უნდა ახდენდეს გადაწყვეტილების მიღებაზე.

კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ მხარის მიერ დაყენებულ მოთხოვნას წაეყენება არის ის, რომ მოთხოვნილ დოკუმენტებზე მომთხოვნ მხარეს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს, უფრო კონკრეტულად, არ უნდა იყოს მის მფლობელობაში, გამგებლობაში ან მისი კონტროლის ქვეშ ან მისი წარმოდგენა მომთხოვნი მხარისთვის უნდა იყოს არაგონივრულად რთული. აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან თუ მხარეს თავად მიუწვდება ხელი დოკუმენტებზე, და მისი წარმოდგენა მისთვის არ არის არაგონივრულად რთული, მაშინ სწორედ მან უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტის ტრიბუნალისთვის მიწოდება.

ბოლო წინაპირობა, რომელიც დოკუმენტების წარდგენის შესახებ მოთხოვნას წაეყენება არის ის, რომ მხარეს მხოლოდ მაშინ შეუძლია მეორე მხარისგან მტკიცებულებების გამოთხოვა, თუ ეს დოკუმენტები არის სწორედ მეორე მხარის მფლობელობის, გამგებლობის ანდა კონტროლის ქვეშ. შესაბამისად, მოთხოვნის დამყენებელი მხარე ვალდებულია მოთხოვნაში მიუთითოს თუ რა გარემოებები უქმნის მას ვარაუდის საფუძველს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენა შეუძლია მეორე მხარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ფორმალური და მატერიალური საფუძველების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ტრიბუნალის მიერ მოთხოვნა ავტომატურად არ კმაყოფილდება, არამედ, მოწინააღმდეგე მხარეს აქვს პროტესტის გამოთქმის და შესაბამისი შეპასუხების წარმოდგენის უფლება, თუ რატომ არ უნდა იქნეს დოკუმენტები მისგან გამოთხოვილი. ამრიგად, ტრიბუნალი, მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნის და პროტესტის ერთობლივი განხილვის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საკითხზე.

პროტესტის საფუძველი მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან რამდენიმე შეიძლება იყოს. პირველი საფუძველი შესაძლოა იყოს ის, რომ გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის დამყენებელმა მხარემ არ დაიცვა მოთხოვნის დაყენების ფორმალური საფუძველები (მაგ.

მოთხოვნა ტრიბუნალს წარედგინა ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ). პროტესტის სხვა საფუძვლები კი ეხება მოთხოვნის შინაარსობრივ მხარეს. კონკრეტულად კი, პროტესტის დამყენებელი მხარე სადავოს ხდის „ვიწრო და კონკრეტული“ მოთხოვნის კრიტერიუმის ანდა „რელევანტური და არსებითი“ მტკიცებულებების მოთხოვნის კრიტერიუმის დაუცველობას, ანდა მტკიცებულებების ყოფნას მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან გამგებლობაში ანდა მათ არყოფნას მოთხოვნის ადრესატის მფლობელობაში ან გამგებლობაში. მხარეს აგრეთვე შეუძლია მიუთითოს მოთხოვნილი დოკუმენტების იურიდიულ პრივილეგიაზე, ტექნიკურ და კომერციულ კონფიდენციალურობაზე, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ სენსიტიურობაზე ანდა ამტკიცოს, რომ დოკუმენტების წარდგენა გაუმართლებელი ტვირთი იქნება მოთხოვნის ადრესატისთვის ანდა ისინი დაკარგულნი ან განადგურებულნი არიან ან მათი გამოთხოვა წინააღმდეგობაში მოვა პროცესის ეკონომიურობის, პროპორციულობის, სამართლიანობის ან თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

ტრიბუნალი მხარის მოთხოვნის და (შესაძლო) პროტესტის ერთობლივი განხილვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომელიც მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა. თუ ტრიბუნალი გამოთხოვის შესახებ მოთხოვნას დააკმაყოფილებს და მხარეს მოსთხოვს კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენას, ამ უკანასკნელს შეუძლია ნებაყოფლობით შეასრულოს ტრიბუნალის ბრძანება (და წარადგინოს გამოთხოვილი მტკიცებულებები) ან უარი თქვას მათ წარდგენაზე. წარდგენაზე მხარის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, ტრიბუნალს შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე ღონისძიება, ესენია: უარყოფითი დასკვნები (adverse inferences) მხარის წინააღმდეგ; მხედველობაში მიიღოს მხარის ეს ქმედება ხარჯების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს; ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენოს ჯარიმა მხარის მიმართ; ანდა მიმართოს ეროვნულ სასამართლოებს (თავად ან მეორე მხარის მეშვეობით) მტკიცებულებების გამოთხოვის საკითხში დახმარების მოთხოვნით.

ეროვნულ სასამართლოებს ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში აქვთ უფლება დახმარება გაუწიონ საარბიტრაჟო ტრიბუნალს ანდა მხარეს მტკიცებულებების შეგროვების საკითხში. სასამართლოების აღნიშნული უფლებამოსილება ფართოდ არის აღიარებული, თუმცა იგი მკაცრად შემოფარგლულია, რადგან სასამართლო არ უნდა ჩაერიოს არბიტრაჟის უფლებამოსილებაში. როგორც წესი, მხარეებს სასამართლოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების შეთანხმებით გამორიცხვა შეუძლიათ. თუმცა, თუ სასამართლოს ეს უფლებამოსილება მხარეების მიერ შეთანხმებით პირდაპირ არ არის გამორიცხული, ტრიბუნალს ან მისი ნებართვით მხარეს

შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს გამოსცეს დადგენილება (განჩინება), რომლითაც მეორე მხარეს დაავალებს საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის მტკიცებულებების წარდგენას. ამგვარი მიმართვა საარბიტრაჟო განხილვის დროს, მტკიცებულებების შეგროვების ეტაპზე, მას შემდეგ ხდება, რაც ტრიბუნალი მხარეს დაავალებს გარკვეული მტკიცებულებების წარდგენას, ხოლო ეს უკანასკნელი უარს იტყვის დაემორჩილოს ტრიბუნალის ბრძანებას. სასამართლოს ჩარევა ასეთ დროს საკმაოდ ლიმიტირებული უნდა იყოს. კერძოდ, მან ხელახლა არ უნდა განიხილოს მტკიცებულებების რელევანტურობის და არსებობის საკითხი, არამედ უნდა იმსჯელოს მხოლოდ იმაზე თუ რამდენად დაკმაყოფილებულია გამოთხოვის (ფორმალური) წინაპირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოების როლის და ჩარევის ფარგლების შესახებ ქვეყნებს სხვადასხვაგვარი მიდგომა აქვთ. საერთაშორისო არბიტრაჟის ჰარმონიზაციის კონტექსტში უმჯობესი იქნება გადაიდგას ნაბიჯები ჰარმონიზაციის კუთხით, რათა შემუშავდეს ერთიანი სტანდარტი. ამასთან, ამ ნაწილში გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს საქართველოს კანონმდებლობაც, რაც შემდგომ დახვეწას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

- გამოყენებული საკანონმდებლო აქტები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.
2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი. მიღების თარიღი: 20/06/2001.
3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.
4. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი. მიღების თარიღი: 19/06/2009.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ იორკში, 1958 წლის 10 ივნისს („ნიუ იორკის კონვენცია“).
6. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მიღების თარიღი: 14/11/1997.
7. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მიღების თარიღი: 13/08/1999.
8. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი. მიღების თარიღი: 19/02/2015
9. ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
10. აშშ-ს არბიტრაჟის ფედერალური აქტი.
11. აშშ-ს ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესები.
12. ბელგიის სასამართლო კოდექსი.
13. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
14. იაპონიის არბიტრაჟის კანონი.
15. ინგლისის არბიტრაჟის აქტი.
16. ნიდერლანდების არბიტრაჟის აქტი.
17. პოლონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
18. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის ფედერალური კანონის მუხლი.
19. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

20. შვედეთის საარბიტრაჟო აქტი.
21. შვედეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
22. შვეიცარიის ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.
23. Hague Convention on the Taking of Evidence Abroad in Civil or Commercial Matters.
24. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985 With amendments as adopted in 2006 („UNCITRAL-ის მოდელური კანონი 2006“).
25. United States Code.

- **გამოყენებული საარბიტრაჟო წესები**

1. შვეიცარიის საარბიტრაჟო წესები (Swiss Arbitration Rules).
2. AAA-ს საარბიტრაჟო წესები (2022 წლის რედაქცია).
3. GIAC-ის საარბიტრაჟო წესები (2023 წლის რედაქცია).
4. HKIAC-ის საარბიტრაჟო წესები (2018 წლის რედაქცია).
5. ICDR-ის საარბიტრაჟო წესები (2021 წლის რედაქცია).
6. ICC-ს საარბიტრაჟო წესები (2021 წლის რედაქცია).
7. LCIA-ს საარბიტრაჟო წესები (2020 წლის რედაქცია).
8. SCC-ს საარბიტრაჟო წესები (2023 წლის რედაქცია).
9. SIAC-ის საარბიტრაჟო წესები (2016 წლის რედაქცია).
10. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები.
11. United States Claims Tribunal (IUSCT) Rules.
12. WIPO-ის საარბიტრაჟო წესები.

- **გამოყენებული რბილი სამართლის წესები**

1. CPR Protocol on Disclosure of Documents and Presentation of Witnesses in Commercial Arbitration („CPR-ის პროტოკოლი“).
2. ICDR Guidelines for Arbitrators on Exchange of Information („ICDR-ის გზამკვლევი“).
3. ICC Arbitration Commission Report on Managing E-Document Production.
4. ICC Arbitration Commission Report on Techniques for Controlling Time and Costs in Arbitration, 2007 („ICC-ს ტექნიკები“).
5. ICC Arbitration Commission Report on Managing E-Document Production, 2012.
6. ICC Commission Report: Managing E-Document Production. 2016.
7. IBA Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration.
8. IBA Guidelines on Party Representation in International Arbitration, 2013.
9. IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, 1999, 2010, 2020 („IBA-ს წესები“).

10. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts.
11. The CIArb Protocol for E-Disclosure in Arbitration („CIArb-ის პროტოკოლი“).
12. The Lando Principles on European Contract Law (PECL).
13. The Prague Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration („პრადის წესები“).
14. OECD Principles of Corporate Governance.

- **გამოყენებული მონოგრაფიები, კომენტარები, სტატიები, რეპორტები**

1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი.
2. თითბერიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, მეორე გამოცემა, 2020. გვ. 166.
3. კეკელიძე გ. ტყემალაძე ს., გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, UNDP Georgia, 2017. გვ. 123-130.
4. ოთარ მაჩაიძე, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, დისერტაცია, 2019. გვ. 58.
5. ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), „ქართული ბიზნესს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013. გვ. 16-19.
6. Abdulhay S., Corruption in International Trade and Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2004. p. 159.
7. Adangor Z., Gilbert S., Future of International Arbitration: What Changes Are on the Horizon?, Journal of Property Law and Contemporary Issues, Vol. 9. No. 1, 2019. p. 195.
8. Alvarez J., Evidentiary Privileges in International Arbitration, International Arbitration 2006: Back to Basics?, 2006. p. 686.
9. Ali Sh. and Repousis O.G., Court Assistance in Taking Evidence, in UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, A Commentary, Cambridge University Press, 2020. pp. 719-728.
10. Amaral G. R., Burden of Proof and Adverse Inferences in International Arbitration: Proposal for an Inference Chart, Journal of International Arbitration, Vol. 35:1, 2018. pp. 1-3.
11. Analytical Commentary on the Draft Text of a Model Law on International Commercial Arbitration, (1985). pp-18-60.
12. Arbitration Subcommittee Report of international Bar Association, The Current State and Future of International Arbitration: Regional Perspectives, 2015. p. 20.

13. Ashford P., *The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: a guide*, Cambridge University Press, 2013. pp. 130-140.
14. Bantekas I., *An Introduction to International Arbitration*, Cambridge University Press, 2015. pp. 162-995.
15. Barcelo J. J., *Who Decides the Arbitrator's Jurisdiction-Separability and Competence-Competence in Transnational Perspective*, *Vanderbilt Journal of Transnational Law*, Vol. 36:4. 2003. pp. 1115-1136.
16. Bedrosyan A., *Adverse Inferences in International Arbitration: Toothless or Terrifying?*, *University of Pennsylvania Journal of International Law*, Vol. 38, 2016. pp. 244-257.
17. Beechey J., *The ICDR Guidelines for Information Exchanges in International Arbitration: An Important Addition to the Arbitral Toolkit*, *Dispute Resolution Journal*, Vol. 63:3, 2008. pp. 85-88.
18. Berger K. P., *Evidentiary Privileges: Best Practice Standards versus/and Arbitral Discretion*, *Arbitration International*, Vol. 22 (4), 2006. pp. 509-511.
19. Bermann G. A., *The Role of National Courts at the Threshold of Arbitration*, *The American Review of International Arbitration*, Vol. 28:3, 2017. pp. 291-307.
20. Blavi F. and Vial G., *The Burden of Proof in International Commercial Arbitration: Are We Allowed to Adjust the Scales*, *Hastings International and Comparative Law Review*, Vol. 39:1, 2016. pp. 43-76.
21. Blessing M., *The ICC Arbitral Process. Part III: The Procedure before the Arbitral Tribunal*, *ICC International Court of Arbitration Bulletin* Vol. 3 No. 2, 1992. p. 273.
22. Bockstiegel K., *The Role of Party Autonomy in International Arbitration*, *Dispute Resolution Journal*, 1997. p. 24.
23. Bockstiegel K., *Party autonomy and case management: Experiences and suggestions of an arbitrator*, *SchiedsVZ*, 2013. p. 1.
24. Born G.B., *International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 2009. p. 1900.
25. Born G.B., *International Commercial Arbitration, Second Edition*, Kluwer Law International, 2014. pp. 2168-3694.
26. Born G.B., *International Arbitration: Cases and Materials (Second Edition)*, International; Kluwer Law International, 2015. pp. 551-851.
27. Born G.B., *International Arbitration: Law and Practice*, Kluwer Law International, 2012. pp. 13-299.
28. Born G.B. and Rutledge P.B., *International Civil Litigation in United States Courts*, Wolters Kluwer Law & Business, 2011. pp. 1022-1023

29. Bredow J., Arbitration in Germany: Features of the German Institution of Arbitration. In *International Commercial Arbitration: Different Forms and Their feature* edited by Giuditta Cordero-Moss, Cambridge University Press, 2013. pp. 159-160.
30. Brower C. N., Evidence before International Tribunals: The Need for Some Standard Rules, *The International Lawyer*, Vol. 28:1, 1994. p. 49.
31. Carreteiro, M. A., Burden and Standard of Proof In International Arbitration: Proposed Guidelines For Promoting Predictability, *Revista Brasileira de Arbitragem*, Ano XIII – Nº 49, 2016. pp. 91-94.
32. Commentary on the revised text of the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. pp. 7-26.
33. Commentary on the revised text of the 2020 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration. pp. 3-11.
34. Commission J. and Mooloo R., *Procedural Issues in International Investment Arbitration*, OUP, 2018. p. 141.
35. Craig W., Park W, Paulsson J., *International Chamber of Commerce Arbitration*, Oceana Publications, 2000. p. 423.
36. Craig T. and Ula C., Privilege in International Arbitration: Is It Time to Recognize the Consensus?, *Journal of International Arbitration*, Vol. 26:6, 2009. pp. 831-834.
37. Derains Y. and Schwartz E., *A Guide to the ICC Rules of Arbitration*, Kluwer Law International, 2005. p. 273.
38. Derains Y., Evidence and Confidentiality, In: *ICC Publication Confidentiality in Arbitration: Commentaries on Rules, Statutes, Case Law and Practice*, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, 2009. pp. 63-64.
39. Dickson M., Party autonomy and justice in international commercial arbitration, *International Journal of Law and Management*, Vol. 60, Iss. 1, 2018. p. 115.
40. Donovan D.F., Re-examining the Legal Expert in International Arbitration in Hong Kong International Arbitration Centre (ed), *International Arbitration: Issues, Perspectives and Practice: Liber Amicorum Neil Kaplan*, Wolters Kluwer, 2018. pp. 247-255.
41. Dulani J.T., Evan M. J., Burden of Proof as a Prerequisite to Document Production Under the 2010 IBA Rules: An Obituary, *Transnational Dispute Management*, 2016. pp. 1-10.
42. Duggal K. and Rangachari R., A Challenger Approaches: An Assessment of the Prague Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration, *Journal of International Arbitration*, Vol 37:1, 2020. pp. 27-34.
43. Earnest D. Gallardo R. and others, Ways to Sharpen the Sword of Efficiency in International Arbitration, *Young ICCA Group Papers*, 2013. p. 16.
44. Fagbemi S., The doctrine of party autonomy in international commercial arbitration: myth or reality?, *Journal of Sustainable Development Law and Policy*, Vol. 6:1, 2016. p. 224.

45. Fellas J. Using Section 1782 In International Arbitration, *Arbitration International*, Vol. 23:3, 2007.p. 382.
46. Ferguson S. M., Interim Measures of Protection in International Commercial Arbitration: Problems, Proposed Solutions, and Anticipated Results, *Currents: International Trade Law Journal*, 2003. p. 59.
47. Fernández Arroyo D., Soft Law and Arbitral Procedure: A Conditioned but Inescapable Couple, *European International Arbitration Review*, Vol. 7:2, 2018. pp. 72-75
48. Forchheimer J., Sonia J. and others, Burden of Proof, *The Yale Law Journal*, Vol. 121, 2012. p. 741
49. Fortese F. and Hemmi L., Procedural Fairness and Efficiency in International Arbitration, *Groningen Journal of International Law*, Vol. 3 (1): International Arbitration Procedure, 2015. pp. 110-121.
50. Gaillard E. Savage J.(eds), *Fouchard Gaillard Goldman on International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 1999. pp. 692-956.
51. Gaillard E, Siino B., *Enforcement under the New York Convention*, Shearman & Sterling LLP, 2019. p. 20.
52. Garcia J., The Role of Public Policy in International Commercial Arbitration, *LAW & POL'Y INT' L BUS*, 1990. p. 413.
53. Gardiner J. I., Kuck H. L., Bédard J., *International Commercial Arbitration in New York*, *Arbitration International*, Volume 27, Issue 4, 2011. p. 282.
54. Ghodoosi F., *International Dispute Resolution and the Public Policy Exception*, Routledge, 2017. pp. 108-144.
55. Goldman B., *The Complementary Role of Judges and Arbitrators*, ICC Publication No. 412, 1984. p. 259.
56. Grando T.M. *Evidence, Proof, and Fact-finding in WTO Dispute Settlement*, Oxford University Press, 2009. pp. 9-67.
57. Greenberg S and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, in Stefan Michael Kröll, Loukas A. Mistelis et al. eds., *International Arbitration and International Commercial Law: Synergy, Convergence and Evolution*, 2011. p. 187.
58. Greenberg S. and Lautenschlager F., Adverse Inferences in International Arbitral Practice, *ICC International Court of Arbitration Bulletin*, Vol. 22:2, 2011. pp. 47-54.
59. Grierson J. Van Hooft A., *Arbitrating under the 2012 ICC Rules*, Kluwer Law International, 2012. pp. 307-313.
60. Guys M.F. and Illmer M. H., The ICDR Guidelines for Arbitrators Concerning Exchanges of Information – A German/American Introduction in Light of International Practice, *International Arbitration Law Review*, Vol. 11:6, 2008. p. 197.

61. Haller H., Protection of Business Secrets by Way of Protective Orders, *Zeitschrift für Schiedsverfahren*, 2013. p. 140.
62. Hamilton V., Document Production in ICC Arbitration, Special Supplement to ICC International Court of Arbitration Bulletin, ICC, 2006. pp. 71-81.
63. Hanotiau B., Document Production in International Arbitration: A Tentative Definition of 'Best Practices', ICC Bulletin, Special Supplement: Document Production in International Arbitration, 2006. p. 117.
64. Harris B., Planterose R. and Tecks J., *The Arbitration Act 1996: A Commentary*, fourth edition, Blackwell Publishing, 2007. pp. 207-215.
65. Harris B., Planterose R. and Tecks J., *The Arbitration Act 1996: A Commentary*, fifth edition, Wiley Blackwell, 2014. p. 222.
66. Hascher D. (ed.), *Collection of Procedural Decisions in ICC Arbitration 1993-1996*, Kluwer Law International, 1997. pp. 62-65.
67. Heitzmann P., Confidentiality and Privileges in Cross-Border Legal Practice: The Need for a Global Standard? *ASA Bulletin* 26(2), 2008. p. 208.
68. Hill M. F. and Delacenserie E., Interest Criteria in Fact-finding and Arbitration: Evidentiary and Substantive Considerations, *Marquette Law Review*, Vol. 74:399, 1991. p. 406.
69. Hill R.D., The New Reality of Electronic Document Production in International Arbitration: A Catalyst for Convergence?, *Arbitration International*, Vol. 25:1, 2009. p. 91.
70. Hilmar R., The Production of Documents in International Arbitration - A Commentary on Article 3 of the New IBA Rules of Evidence, *Arbitration International*, Vol. 18:4, 2002. p. 429.
71. Ho H.L., *A Philosophy of Evidence Law*, Oxford University Press, 2008. pp. 1-50.
72. Hobér K, *International Commercial Arbitration in Sweden*, Oxford University Press, 2011. pp. 211-240.
73. Hogan Lovells, *Disclosure of documents in civil proceedings in England and Wales*, 2020. p. 1.
74. Holtzmann H.M., Fact-finding by the Iran–United States Claims Tribunal, in Lillich (ed.) *Fact-Finding before International Tribunals: Eleventh Sokol Colloquium*, Transnational Publishers, 1992. pp. 110-114.
75. Holtzmann H. M., The Conduct of Arbitral Proceedings, In: Pieter Sanders (ed.), *UNCITRAL's Project for a Model Law on International Commercial Arbitration*, ICCA Congress Series, Vol. 2, Kluwer Law International, 1984. pp. 133-134.
76. Howell D., Developments in Electronic Disclosure in International Arbitration, *Dispute Resolution International*, Vol. 3:2, 2009. pp. 152-160.

77. ICC Bulletin, 2010 Special Supplement: Decisions on ICC Arbitration Procedure, 2010. p. 32.
78. ICC Bulletin, 2005 Special Supplement: UNIDROIT Principles: New Developments and Applications, 2005. p. 73.
79. ICC Bulletin, 2005 Special Supplement: Document Production in International Arbitration. p. 80.
80. ICC Bulletin, 2010 Special Supplement: Decisions on ICC Arbitration Procedure. p. 89.
81. ICC Bulletin, Vol. 15, No. 1, 2004. p. 6.
82. ICC Bulletin, Vol. 16, No. 2, 2005. p. 102.
83. ICC Bulletin, Vol. 17, No. 2, 2006.
84. ICC, Effective Management of Arbitration: A Guide for In-House Counsel and Other Party Representatives, 2017. p. 4.
85. ICC, ICC Commission Report, The Accuracy of Fact Witness Memory in International Arbitration, 2020. pp. 5-61.
86. ILA, Resolution 2/2002, Recommendations on the Application of Public Policy as a Ground for Refusing Recognition or Enforcement of International Arbitral Awards.
87. Jagusch S. R., E-Disclosure in International Arbitration In: Howell D.J. (ed.), Electronic Disclosure in International Arbitration, JurisNet, 2008. p. 45.
88. Jones D. A, Redefining the Role and Value of Expert Evidence, ICC Institute 41st Annual Conference paper, 2021. pp. 2-3.
89. Jun J. W., A Critical Look at the Prague Rules: Rules on the Efficient Conduct of Proceedings in International Arbitration, Journal of Arbitration Studies, Vol. 29:3, 2019. p. 54.
90. Kaufmann-Kohler G., Soft Law in International Arbitration: Codification and Normativity, Journal of International Dispute Settlement 1(2), 2010. pp. 284-287.
91. Kirby J., Bensaude D., Commentary, Mealey's International Arbitration Report, Vol. 25, No. 3, 2010. p. 8.
92. Klasener A., The Duty of Good Faith in the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, International Arbitration Law Review, Vol. 13, No. 5, 2010. p. 162.
93. Knöfel O. L., Judicial Assistance in the Taking of Evidence Abroad in Aid of Arbitration: A German Perspective, Judicial Assistance in the Taking of Evidence Abroad in Aid of Arbitration: A German Perspective, Vol. 5:2, 2009. pp. 281-309.
94. Kocur M., Witness Statements in International Commercial Arbitration, in Gessel-Kalinowska vel Kalisz (ed.) The Challenges and the Future of Commercial and Investment Arbitration, Court of Arbitration Lewiatan, 2015. pp. 168-169.

95. Kozłowska-Rautiainen D., *Obtaining Documents from the Opponent in International Commercial Arbitration*, Unigrafia Helsinki, 2016. pp. 1-266.
96. Kuhner D., *Revised IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration*, *Journal of International Arbitration*, Vol. 27(6), 2010. p. 668.
97. Kuitkowski D., *Law Applicable to Privilege Claims in International Arbitration*, *Journal of International Arbitration*, Vol. 32(1), 2015. pp. 65-96.
98. Kurkela M. S. and Turunen S., *Due Process in International Commercial Arbitration, Second Addition*, 2010. p. 147.
99. *Lex Mundi, In-House Counsel and the Attorney-Client Privilege, Global Practice Guide*. 2014.
100. Lew J., *Document Production and Legal Privilege in International Commercial Arbitration*, excerpt in *Practising Virtue, Inside International Arbitration*, 2015. pp. 347-348.
101. Lew J. D. M., *Does National Court Involvement Undermine the International Arbitration Processes?*, *American University International Law Review*, Vol. 24:3, 2009. pp. 491-496.
102. Löf K. and Skogman A. et al., Chapter 9: *The Proceedings*, in Annette Magnusson, Jakob Ragnwaldh, et al. (eds), *International Arbitration in Sweden: A Practitioner's Guide, Second Edition*, second edition, Kluwer Law International, 2021. p. 276.
103. Lüth F. Wagner P., *Soft Law in International Arbitration-Some Thoughts on Legitimacy*, *StudZR*, Vol. 3, 2012. pp. 410-413.
104. Luttrell S., Harris P., *Reinventing the Redfern*, *Journal of International Arbitration*, Vol. 33, Issue 4, 2016. pp. 353 – 364.
105. Makarius V., *The Nature of the Burden and Standard of Proof in International Commercial Arbitration*, *Czech & Central European Yearbook of Arbitration*, 2013. p. 54.
106. Makmot-Kibwanga A.R., *Arbitral Discretion and Procedural Autonomy*, GRIN Verlag, 2017.
107. Malacka M., *Evidence in International Commercial Arbitration*, *ICLR*, Vol. 13, No. 1, 2013. p. 103.
108. Marghitola R., *Document Production in International Arbitration*, Kluwer Law International, 2015. p. 63.
109. Marossi A., *The Necessity for Discovery of Evidence in the Fact-Finding Process of International Tribunals*, *Journal of International Arbitration*, 26:4, 2009. p. 512.
110. Marossi A., *Shifting the Burden of Proof in the Practice of the Iran-United States Claims Tribunal*, *Journal of International Arbitration*, Vol. 28. 2011. p. 427.

111. Martinez-Fraga P., Good faith, bad faith, but not losing faith a commentary on the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, *Georgetown Journal of International Law*, Vol. 43, 2012. pp. 410-420.
112. Monestier T. J., “Nothing Comes of Nothing”... Or does It??? A Critical Re-Examination of the Doctrine of Separability in American Arbitration, *American Review of International Arbitration*, 2001. pp. 223-224.
113. Moses M., Is Good Faith in the IBA Evidence Rules Good? *Kluwer Arbitration Blog*, 2012.
114. Mosk R. M. and Ginsburg T, Evidentiary Privileges in International Arbitration, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 50, 2001. p. 346.
115. Nilsson B. G. H., Negative Inferences: An Arbitral Tribunal’s Powers to Draw Adverse Conclusions from a Party’s Failure to Comply with the Tribunal’s 287 Orders”, In: Kaj Hobér and Annette Magnusson et al. (eds.), *Between East and West: Essays in Honour of Ulf Franke*, *JurisNet*, 2010. p. 355.
116. O’Malley N. D., *Rules of Evidence in International Arbitration: An Annotated Guide*, Second Edition, 2019. pp. 6-337.
117. O’Malley N. D., The Procedural Rules Governing the Production of Documentary Evidence in International Arbitration – As Applied in Practice, *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, Vol. 8(1), 2009. pp 47-72.
118. Ostas L. Tomszyk B., Planning and Organizing Effective Procedures for Taking Evidence, *Global Arbitration Review*, 2021.
119. Oudin M., Evidence in Civil Law – France, *lex localis*, 2015. p. 1-9.
120. O’Callaghan K. and Finnis J., Chapter 20: Support and Supervision by the Courts, In: Julian D. M. Lew, Harris Bor, et al. (eds.), *Arbitration in England*, with chapters on Scotland and Ireland, *Kluwer Law International*, 2013. p. 437.
121. Pauker S. A., Substance and procedure in international arbitration, *Arbitration International*, Vol. 36 (1), 2020. p. 342.
122. Paulsson J., International Arbitration is Not Arbitration, *Stockholm International Arbitration Review*, n. 2, 2008. p. 1.
123. Park W., The Procedural Soft Law of International Arbitration: Non-Governmental Instruments. In Mistelis L., Lew, J. D. M., *Pervasive problems in International arbitration*. Alphen aan den Rijn: *Kluwer Law International*, 2006. p. 144.
124. Park W. W., Arbitration’s Protean Nature: The Value of Rules and the Risks of Discretion, in *Mealey’s International Arbitration Report*, 2004. p. 7.
125. Peter N., *The Prague Rules as Choice Architecture*. GIDE, 2019. p. 81.
126. Queen Mary University of London, *2012 Current and Preferred Practices in the Arbitral Process*. 2012. p. 22.

127. Raeschke-Kessler H., *The Production of Documents in International Arbitration- A Commentary on Article 3 of the New IBA Rules of Evidence*, *Arbitration International*, Vol. No.4, 2002. pp. 412-415.
128. Raess I., *Court Assistance in the Taking of Evidence in International Arbitration*, Dissertation, 2020. pp. 89-169.
129. Range J.J. and Wilan J. M., *Techniques for Obtaining Efficient and Economical E-disclosure Despite Arbitral Resistance to U.S.-Style Discovery*, *Hunton & Willams*, 2010. pp. 5-13.
130. Redfern A., *Efficiency in Arbitration: The Redfern Schedule*, *ICCA Review*, 2013. pp. 9-12.
131. Redfern A., Hunter M., and others, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 6th edition, *Kluwer Law International*, Oxford University Press, 2015. pp. 190-439
132. Reiser R., *Applying Privilege in International Arbitration: The case for a Uniform Rule*, *Cardozo Journal of Conflict Resolution*, Vol. 13. pp. 653-673.
133. Risse J., *Ten Drastic Proposals for Saving Time and Costs in Arbitral Proceedings*, *Arbitration International*, Vol. 29 (1), 2013. pp. 453-466.
134. Rivkin D. W., *The Revised IBA Rules on the Taking Evidence*, *Contemporary Issues in International Arbitration and Mediation*, 2011. pp. 212-219.
135. Robert J., *Administration of Evidence in International Commercial Arbitration in Pieter Sanders (ed)*, *Yearbook Commercial Arbitration*, Vol. I, 1976. p. 222.
136. Romero M. and Sierra N., *Costs in International Arbitration: The continual search for cost-efficient arbitrations*, *Spain Arbitration Review* 3, 2016. p. 35.
137. Roscher P., *The Application and Scope of Attorney Client Privilege in International Arbitration*, *Stockholm International Arbitration Review* 1, 2007. p. 21.
138. Rubinstein J. H., *International Commercial Arbitration: Reflections at the Crossroads of the Common Law and Civil Law Traditions*, *Chicago Journal of International Law*, Vol. 5, 2004-2005. p. 307.
139. Sachs K. and Lörcher T., *Part II: Commentary on the German Arbitration Law (10th Book of the German Code of Civil Procedure), Chapter V: Conduct of the Arbitral Proceeding, § 1050 – Court Assistance in Taking Evidence and Other Judicial Acts*, In: *Karl-Heinz Böckstiegel, Stefan Michael Kröll et al. (eds.), Arbitration in Germany: The Model Law in Practice, Second Edition*, *Kluwer Law International*, 2015. pp. 298-299.
140. Salinas Quero C. E., *Costs of arbitration and apportionment of costs under the SCC Rules*, 2016.

141. Salomon C.T. and Friedrich S., Obtaining and Submitting Evidence in International Arbitration in the United States, *The American Review of International Arbitration*, Vol. 24:4, 2013. pp. 565-577.
142. Sattar S., International Arbitration Law Review Document Production and the 2010 IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration: a Commentary, *International Arbitration Law Review*, 2011. p. 4.
143. Savola M., Awarding Costs in International Commercial Arbitration, *the Scandinavian Studies in Law*, Vol. 63, 2017. pp. 288-303.
144. Schwebel S.M., Lahne S.G., Public Policy and Arbitral Procedure, *ICCA Congress Series no. 3*, 1986. p. 214.
145. Sekolec J. and Eliasson N., Chapter 9 The UNCITRAL Model Law on Arbitration and the Swedish Arbitration Act: A Comparison, In: Lars Heuman and Sigvard Jarvin (eds.) *Swedish Arbitration Act of 1999, Five Years On: A Critical Review of Strengths and Weaknesses*, Juris Publishing 2006. p. 220.
146. Sessler A. and Stein M., The Prague Rules: Problem Detected, but Imperfectly Solved, *Alternatives to the High Cost of Litigation*, Vol. 37:5, 2019. p. 67.
147. Sharpe J. K., Drawing Adverse Inferences from the Non-production of Evidence, *Arbitration International*, Vol. 22:4, 2006. pp. 558-564.
148. Shaughnessy P., Attorney-Client Privilege: A Comparative Study of American, Swedish and EC Law, 2001. p. 27.
149. Shaughnessy P., Dealing with Privileges in International Commercial Arbitration, *Scandinavian Studies in Law*, Vol. 51, 2007. p. 453.
150. Soroky M. J., Compelling U.S. Discovery in International Franchise Arbitrations The (F)utility of Section 1782 Applications, *Franchise Law journal*, Vol. 39:2, 2019. pp. 185-204.
151. Smits J.M., What Is Legal Doctrine? On the Aims and Methods of Legal-Dogmatic Research, *Maastricht European Private Law Institute working paper no. 2015/06*, 2015. pp. 5-13.
152. Smit R. H. and Tyler B. R., E-Disclosure in International Arbitration, *Arbitration International*, Vol. 24:1, 2009. pp. 7-125.
153. Stampa G., The Prague rules, *Arbitration International*, Vol. 35. 2019. pp. 222-227.
154. Steinbrück B., German and English Court Orders in Support of Foreign Arbitrations, *European Business Organization Law Review*, Vol. 6:2, 2005. p. 325.
155. Strong S., Research in International Commercial Arbitration: Special Skills, Special Sources, *The American Review of International Arbitration*, 20, 2009. p. 113.
156. Sutcliffe J. and Hill R., Arbitration and New Technologies: Electronic Disclosure in International Arbitration, *CDR*, 2009.

157. Tercier P.D., Bersheda T., Document Production in Arbitration: A Civil Law Viewpoint in Search for Truth in Arbitration: Is Finding the Truth what Dispute Resolution is About?, ASA Special Series No. 35, 2011. pp. 93-98.
158. The Prague Rules and the IBA Rules on Taking of Evidence in International Arbitration: Friends or Foes?, Transnational Notes, 2019.
159. The Sedona Conference, The Sedona Principles, Third Edition: Best Practices, Recommendations & Principles for Addressing Electronic Document Production The Sedona Conference, 2018.
160. Tirado, J., Sherina P. et al, Chapter 23: Factual Evidence, In: Lew D. M. J. and Bor H. et al. (eds.), Arbitration in England, with chapters on Scotland and Ireland, Kluwer Law International, 2013. p. 484.
161. Trittman R., Kasolowsky B., Taking Evidence in Arbitration Proceedings between Common Law and Civil Law Traditions - the Development of a European Hybrid Standard of Arbitration Proceedings, University of New South Wales law journal, 18, 31(1), 2008. pp. 330-340.
162. United Nations Commission on International Trade Law, Explanatory Note by the UNCITRAL secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006, United Nations Publications, 2008. p. 32.
163. United Nations Commission on International Trade Law, UNCITRAL 2012 digest of case law on the Model Law on International Commercial Arbitration, 2012. p. 120.
164. Van den Berg A.J. (ed.), Yearbook Commercial Arbitration, Vol. XXII, 1997.
165. Van den Berg A.J. (ed.), Yearbook Commercial Arbitration, Vol. XXIII, 1998.
166. Van den Berg A. J., The New York Arbitration Convention of 1958: Towards a Uniform Judicial Interpretation, T.M.C. Asser Institute, 1981. p. 129.
167. Van Hoecke M., Methodology of Comparative Legal Research, Law and Method, 12, 2015. pp. 2-4.
168. Van Houtte V., Adverse Inferences in International Arbitration, In: Teresa Giovannini and Alexis Mourre (eds.), Written Evidence and Discovery in International Arbitration. New Issues and Tendencies, Dossier of the ICC Institute of World Business Law, 2009. pp. 195-198.
169. Van Houtte H., The Use of an Expert to Handle Document Production: IBA Rules on the Taking of Evidence (Art. 3(7)), In: Albert Jan van den Berg, (ed.) International Arbitration 2006: Back to Basics?, ICCA Congress Series, Vol. 13, Kluwer Law International, 2007. p. 624.
170. Varady, T., Barceló, J.J., Von Mehren, A.T., International Commercial Arbitration, Thomson/West 2006. p. 103.

171. Verbist H., Schäfer E. et al., ICC Arbitration in Practice, Second Edition), Kluwer Law International, 2015. p. 139.
172. Vibhute K, Aynalem F, Legal Research Methods. Teaching Material, The Justice and Legal System Research Institute, 2009. pp. 73-74.
173. Von Segesser G., The IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, ASA Bulletin, Vol. 28, no. 4, 2010. pp. 735-736.
174. Von Mehren R., Burden of Proof in International Arbitration in Albert Jan van den Berg (ed), Planning Efficient Arbitration Proceedings: The Law Applicable in International Arbitration, ICCA Congress Series, Volume 7, Kluwer Law International, 1996. pp. 123 - 130.
175. Von Mehren G. and others, Submitting Evidence in an International Arbitration: The Common Lawyer's Guide, Journal of International Arbitration, Vol. 20:3, 2003. p. 286.
176. Von Schlabrendorff F. and Sheppard A., Conflict of Legal Privileges in International Arbitration: An Attempt to Find a Holistic Solution, in Global Reflections in International Law, Commerce and Dispute Resolution: Liber Amicorum in Honour of Robert Briner, Gerald Aksen and others eds., ICC Publishing SA 2005. p. 746.
177. Waincymer J., Procedure and Evidence in International Arbitration, Kluwer Law International, 2012. pp. 843-881.
178. White and Case, 2010 International Arbitration Survey: Choices in International Arbitration, 2010. p. 31.
179. Wolf C. and Zeibig N., Evidence in Civil Law – Germany, lex localis, 2013. pp. 1-19.
180. World Trade Organization, Argentina – Measures Affecting Imports of Footwear, Textiles, Apparel and Other Items, Report of the Panel, WT/DS56/R, 1997. p. 92.
181. Zuberbühler T., Hofmann D. and others, IBA Rules of Evidence. Commentary on the IBA Rules on the Taking of Evidence in International Arbitration, Schulthess, 2012. p. 57.

• გამოყენებული სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები

1. ABB AG v Hochtief Airport GmbH [2006] EWHC 388.
2. ADF Group Inc v United States of America, ICSID Case No. ARB(AF)/00/1, Procedural Order No. 3, (4 October 2001).
3. Admiral Insurance Co. v U.S. District Court, 881 F.2d 1486 (9th Cir. 1989).
4. Aguas del Tunari SA v Republic of Bolivia, ICSID Case No. ARB/02/3, Procedural Order No. 1 (2003).
5. ALC v ALF, [2010] SGHC 231.

6. AM&S Europe Ltd v Commission, Case 155/79 [1982] ECR 1575.
7. Application of Technostroyexport, 853 F. Supp. 695, (S.D.N.Y. 1994).
8. Akzo Nobel Chemicals Lid. & Akros Chemicals Id. v. European Commission, Joined Cases T-125 and 253/03, [2007] E.C.R. 11-3523.
9. Azurix Corp v Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/02, Decision on the Application for Annulment of the Argentine Republic, (2009).
10. Baravati v. Josephthal, Lyon & Ross, 28 F.3d 704, 709 (7th Cir. 1994).
11. Bear Creek Mining Corporation v Republic of Peru, ICSID Case No. ARB/14/21, Procedural Order No. 1.
12. Biotronik Mess-und Therapie GmbH & Co v Medford Medical Instrument Co, 415 F.Supp, (D. N. J. 1976).
13. BNP Paribas and others v. Deloitte and Touche LLP, Commercial Court, England, 28 November 2003, [2003] EWHC 2874 (Comm).
14. British Caribbean Bank Ltd v The Government of Belize, PCA Case No. 2010-28/BCB-BZ, Order No. 6 (2014).
15. Burnet v Coronado Oil and Gas Co., 285 U.S. 393, (1932).
16. Chantiers de l'Atlantique SA v Gaztransport & Technigaz SAS [2011] EWHC 3383 (Comm).
17. CLOUT case No. 77 [High Court—Court of First Instance, Hong Kong, Vibroflotation A.G. v. Express Builders Co. Ltd., 15 August 1994].
18. CLOUT case No. 68 [Delphi Petroleum Inc. v. Derin Shipping and Training Ltd., Federal Court—Trial Division, Canada, 3 December 1993].
19. CME Czech Republic BV v The Czech Republic, UNCITRAL, Partial Award, (13 September 2001).
20. Comisión Ejecutiva Hidroeléctrica del Río Lempa v Nejapa Power Co, LLC, 341 Fed Appx 821, (3d Cir. 2009).
21. Coppée Levalin NV v Ken-Ren Fertilisers and Chemicals [1994] 2 Lloyd's Rep 109 (HL).
22. Dunkeld International Investment Ltd v The Government of Belize, PCA Case No. 2010-13/DUN-BZ, Order No. 7, (2015).
23. Eastern Sugar BV (Netherlands) v Czech Republic, UNCITRAL, SCC No 088/2004, Partial Award, WL 5366488, (2007).
24. Efxinos Shipping Co. Ltd. v. Rawi Shipping Lines Ltd., 2 May 1980.
25. Elektrim SA v Vivendi Universal SA [2007] EWHC 11 (Comm), (19 January 2007).
26. El Paso Energy International Co v Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/15, Decision on Jurisdiction, (27 April 2006).
27. Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboy I Motala AB, Swedish Supreme Court, Case No. Ö 1590-11, 10 May 2012.

28. Europe Cement Investment & Trade SA v Republic of Turkey, ICSID Case No. ARB(AF)/07/2, Final Award, (13 August 2009).
29. El Paso Corp. v La Comisión Ejecutiva Hidroeléctrica del Rio Lempa, 341 F.Appx. 31, (5th Cir. 2009).
30. Eli Lilly and Company v Government of Canada, Case No. UNCT/14/2, Procedural Order No. 1, (2014).
31. Emmott v Michael Wilson & Partners Ltd (2009) EWHC 1 (Q.B. Comm.).
32. Euroflon Tekniska Produkter AB v Flexiboyas i Motala AB (NJA 2012 s. 289).
33. EWG Gasspeicher GMBH v. Halliburton Co., Case No. 20-1830.
34. Finserve Group Limited, 2011 WL 5024264, 3 (D.S.C. 2011).
35. Foremost Yarn Mills, Inc. v Rose Mills, Inc., 25 F.R.D. 9, 11 (E.D. Pa. 1960).
36. Fraport AG Frankfurt Airport Services Worldwide v The Philippines, ICSID Case No. ARB/03/25, Decision on the Application for Annulment, (2010).
37. Glamis Gold, Ltd. v. The United States of America, UNCITRAL, Final Award, (8 June 2009).
38. Gold Reserve Inc. v. Venezuela, ICSID Case n° ARB(AF)/09/1, Award dated of September 22, 2014.
39. Hay Group. Inc. v E.B.S. Acquisition Corp., 360 F.3d 404 (3d Cir. 2004).
40. Hussein Nuaman Soufraki v. The United Arab Emirates, ICSID Case n° ARB/02/7, Award dated of July 7, 2004.
41. ICSID Case n° ARB/87/3, Award dated of June 27, 1990.
42. ICSID Case n° ARB/02/18, Award dated of July 26, 2007.
43. ICSID Case n° ARB/02/13, Award dated of January 31, 2006.
44. ICC Case No. 6465, 121 JDI Clunet 1088, (1994).
45. In re Deiuemar Compagnia di Navigazione SpA v M/V Allegra, 198 F.3d 473 (4th Cir. 1999).
46. In re Medway Power Ltd. 985 F. Supp. 402 (S.D.N.Y. 1997).
47. Intel Corp. v Advanced Micro Devices 542 U.S. 241 (U.S. S.Ct. 2004).
48. In re Application of Babcock Borsig AG, 583 F.Supp.2d 233, (D. Mass. 2008).
49. In re Deiuemar Compagnia di Navigazione SpA v M/V Allegra, 198 F.3d 473, (4th Cir. 1999).
50. In re Hallmark Capital Corp., 534 F.Supp.2d 591 (D. Minn. 2007).
51. In re Malev Hungarian Airlines, 964 F.2d 97, 101 (2d Cir. 1992).
52. In Re Metallgesellschaft AG v Hodapp, 121 F.3d 77, (2d Cir. 1997).
53. In re Roz Trading Ltd, 469 F.Supp.2d 1221 (N.D. Ga. 2006).
54. In re Republic of Ecuador, 2010 WL 3702427 (N.D. Cal. 2010).
55. Intel Corp. v Advances Micro Devices Inc., 542 U.S. 241, (U.S. S.Ct. 2004).

56. International Association of Heat and Frost Insulators and Asbestos Workers, Local 66 v. Leona Lee Corp., 434 F.2d 192, 194 (5th Cir. 1970).
57. International Military Services Ltd v Ministry of Defence and Support for Armed Forces of Iran, Hoge Raad 24 April 2009, NJ 2010/171.
58. International Thunderbird Gaming Corp (United States of America) v United Mexican States, NAFTA/UNCITRAL, Procedural Order No. 2, (2003).
59. Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. Western Oil Sands Inc. [2005] ABQB 509.
60. Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. SJO Catlin, Alberta Court of Appeal, Canada, 18 January 2006.
61. Jardine Lloyd Thompson Canada Inc. v. Western Oil Sands Inc. [2006] A.J. No. 32.
62. JJ-CC Ltd v Transwestern Pipeline Co et al., Lexis 7090, (Tex. App 1998).
63. John Deere Ltd v. Sperry Corp., 754 F.2d 132, (3d Cir. 1985).
64. Judgment of 20 December 1993, Municipalité de Khoms El Mergeb v. Société Dalico, 1994 (French Cour de cassation civ. 1e).
65. KS AG v CC SA Camera di Esecuzione e Fallimenti [Execution and Bankruptcy Chamber], Canton Tessin, 19 June 1990.
66. LaPine v Kyocera Corp, 2008 US Dist. LEXIS 41172, (ND Cal. 22 May 2008).
67. LCIA Case No. 5680, Final Award, (2006).
68. L. Brown & Sons Ltd v Crosby Homes (North West) Ltd [2008] EWHC 817.
69. Merrill & Ring Forestry LP v Government of Canada, NAFTA/UNCITRAL/ICSID, Decision of the Tribunal on Production of Documents, (18 July 2008).
70. Metalclad Corp v United Mexican States, ICSID Case No. ARB(AF)/97/1.
71. Methanex Corp v United States of America, First Partial Award, (2002).
72. National Broadcasting Co. v Bear Stearns & Co., 165 F.3d 184, (2d Cir. 1999).
73. NBC v. Bear Stearns & Co., 165 F.3d 184 (2d Cir. 1999).
74. Noble Ventures Inc v Romania, ICSID Case No. ARB/01/11, Final Award, (12 October 2005).
75. Nicaragua v. United States, 1984 I.C.J. 437. (November 26).
76. OLG Frankfurt am Main, 17.02.2011 - 26 Sch 13/10.
77. Paris Court of Cassation, 10 Jan. 2013, 2nd Civil Chamber, 12-12.375.
78. Parsons & Whittemore Overseas Co Inc v Société General de L'Industrie du Paie (RAKTA), 508 2d 969 (2d Cir. 1974).
79. Patley Wood Farm Llp v Brake & Anor 2013] EWHC 4035 (Ch.).
80. Republic of Kazakhstan v. Biedermann Int'l., 168 F.3d 880, 883 (5th Cir. 1999).
81. Rintin Corp SA v Domar Ltd, 374 F.Supp. 2d 1165 (SD Fla. 2005).
82. Rocco Giuseppe e Figli s.n.c. v. Federal Commerce and Navigation Ltd., 15 December 1982.
83. Roz Trading Ltd. 469 F.Supp.2d 1221, (2006).

84. Ronald S. Lauder v The Czech Republic, UNCITRAL, Final Award, (3 September 2001).
85. Ron Fuchs v. The Republic of Georgia, ICSID Case No. ARB/07/15.
86. RosInvestCo v. Russian Federation (NJA 2010 s. 508).
87. R.C. Pillar & Sons v. Edwards [2001] CILL 1799.
88. Saipem S.p.A. v. Bangladesh, ICSID Case n° ARB/05/7, Decision on Jurisdiction dated of March 21, 2007.
89. S.A. Pando Compania Naviera v. S.a.S. Filmo, 21 May 1976.
90. Servotronics Inc. v. Boeing Co., 954 F.3d 209, 216 (March 30, 2020).
91. Servotronics, Inc., Petitioner v. Rolls-Royce PLC, (19-1847).
92. Servotronics, Inc. v. Rolls-Royce PLC, 975 F.3d 689, (7th Cir. 2020).
93. SH Satinder Narayan Singh v. Indian Labour Cooperative Society Ltd and Others, 2008 (1) ARBLR 355 Delhi.
94. Stanton v Paine Webber Jackson & Curtis, Inc., 685 F. Supp. 1241, (S.D.Fla. 1988).
95. Stati v Republic of Kazakhstan (Award), SCC Case No. V (116/2010), 19 December 2013.
96. Superadio Limited Partnership v Winstar Radio Productions 844 N.E. 2d 246 (Mass. 2006).
97. Tidewater Inc et al. v The Bolivarian Republic of Venezuela, ICSID ARB/10/5, Procedural Order No. 1. (29 March 2011).
98. Tradex Hellas SA v Republic of Albania, ICSID Case No. ARB/94/2.
99. Transp. Workers Union v. Philadelphia Trans. Co., 283 F.Supp. 597, 600 (E.D. Pa. 1968).
100. Travelers Ins. Co. Ltd v Countrywide Surveyors Ltd [2010] EWHC 2455 (Q.B. TCC).
101. United Parcel Service of America v Government of Canada, NAFTA/UNCITRAL, Decisions relating to Document Production and Interrogatories, (21 June 2004).
102. United States of America v The Netherlands (The Island of Palmas Case) (4 April 1928) 2 RIAA 842.
103. United States v Stein 488 F. Supp. 2d 350 (S.D.N.Y. 2007).
104. Vera-Jo Miller Aryeh et al. v The Islamic Republic of Iran, Case Nos 842, 843, 844. Chamber One, Order of 6 March 1992.
105. Vespe Contracting Co. v Anvan Corp., 399 F.Supp. 516, (E.D. Pa. 1975).
106. Vibroflation AG v Express Builders Co. Ltd. [1994] 3 HKC 263.
107. Walkinshaw v. Diniz [2000] 2 All ER (Comm) 237 (QB) (English High Ct.).
108. Walter H. Faulkner (United States of America) v United Mexican States, 2 November 1926, 4 RIAA, (1926).
109. William Ralph Clayton et al. v Government of Canada, NAFTA/UNCITRAL, Procedural Order No. 8, (2009).
110. Zubulake v UBS Warburg LLC, 216 F.R.D. 280 (S.D.N.Y. 2003).

- გამოყენებული ონლაინ რესურსები

1. [Metadata Definition \(techterms.com\)](https://www.techterms.com/definition/metadata)
2. [Electronically stored information \(ESI\) Definition | Law Insider](https://www.lawinsider.com/dictionary/electronically-stored-information)
3. [Electronically Stored Information \(ESI\) | Practical Law \(westlaw.com\)](https://www.practical-law.com/topics/electronically-stored-information-ESI)
4. <https://www.acerislaw.com/refusing-to-participate-in-arbitration-proceedings/>